N26 (577) 30/VI-6/VII-2011 ფასი 1 ლარი

„გზა“

ზურა ხაჩიძის ახალი თანამდებობა

„ხალხისთვის ანასტასია ხაჩიძის მამა გავხდი“

ვისთან მოუწევს შერკინება ანი ქორქიას

„ნუ მოექცევით შვილებს ისე, როგორც მე მომექცნენ“

ჩემი რჩეული

გალაკტიონ ტაბიძე

ხუთტომეული ტომი II

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ

გალაკტიონ ტაბიძე

ტომი III

ნიკა წულუკიძის „ბარბი“

„აუცილებლად, იმერელი ქალი უნდა შევირთო...“

ერთადერთი მოწმის აღსარება



კრიმინალი, რომელმაც შეყვარებულის ძმა სადისტურად მოკლა

„სამანელების“ გასაიდუმლოებული ამბავი

„ისინი უთანასწორო ომის გმირები იყვნენ“

თემა როგორ შევურჩიოთ ბავშვს სახელი

„წინაპრის სახელის დარქმევამ შესაძლოა, ადამიანს ცხოვრება დაუმძიმოს“

ISSN 1987 - 5029

როგორ დავიცვათ თავი პიგმენტური ლაქებისგან

Elos

სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილაცია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე

29 00 66 29 47 47

თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

როდენი

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმალურ დაჭყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NS

მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ჯი პი სი“-ს საფთიაქო ქსელს,
და სხვა ქალაქის აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
299 00 14; 230 97 52
მობ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

franco fontana
italy

Ismeri!

franco fontana
გთავაზობთ ცნობილი
იტალიური ბრენდების
ოქროსა და ვერცხლის
ნაკეთობების
ახალ კოლექციას!

საზაფხულო ფასდაკლება
სრულ კოლექციაზე!

10-25%

franco fontana
გემოვნებიანი ადამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎218-10-47;
პეკინის 7 ☎230-65-56;
ჭავჭავაძის 21 ☎218-10-46;
დადიანის 7, ☎218-14-15 (ქარვასლა I სართული)

პლასტიკური ქირურგიის

კლინიკა „კარაპს მედლაინი“ გთავაზობთ

სხეულის პლასტიკის თანამედროვე შესაძლებლობებს: მუცლის პლასტიკა, ლიპოსაქცია და ბევრი სხვა რამ...

კლინიკა „მედლაინის“ პრიორიტეტული მიმართულებაა ესთეტიკური და რეკონსტრუქციულ-პლასტიკური ქირურგია, რომელსაც სათავეში უდგანან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პლასტიკური ქირურგი **ალექსანდრე კალანტაროვი** და პლასტიკური ქირურგი **კოტე მათითა-შვილი**. კლინიკაში ტარდება ნებისმიერი სახის ესთეტიკური ოპერაცია – ცხვირის პლასტიკიდან დაწყებული მუცლის პლასტიკითა და მკერდის ნებისმიერი ოპერაციით დამთავრებული, აგრეთვე: ლიპოსაქცია-ლიპოსკულპტურა, სხეულის ნებისმიერი მიდამოს დეტალური პლასტიკა, სახის ენდოსკოპიური დაჭიმვა განაკვეთების გარეშე „KARL STORZ“-ის ფირმის ულტრათანამედროვე აპარატურის გამოყენებით, ტუჩების პლასტიკა, ქუთუთოების პლასტიკა, სხეულის კონტურული პლასტიკა, ბოტოქსი, ბიოთავსებადი გელის ინექციები, ცხვირის ფორმის კორექცია-რინოპლასტიკა, პაციენტის სურვილისამებრ ნებისმიერი შედეგის მიღებით, წინასწარი ვიზუალური შერჩევით, ცხვირით სუნთქვის აღდგენა და ცხვირის ფორმის ერთდროული კორექცია – სრული გაუტკივარებით, დიდი ზომის ტამპონების და ნახვევების გარეშე, ოპერაციის შემდგომი პერიოდის მაქსიმალური გამარტივებით.

ამჯერად შევჩერდებით სხეულის კონტურულ პლასტიკაზე: მუცლის წინა კედლის პლასტიკა, წელის გვერდითი მიდამოების პლასტიკა, ზურგის მიდამოს პლასტიკა, დაშვებული დუნდულოების და ბარძაყების პლასტიკა, აწევა, დათხელება, მოდელირება. ამ ტიპის ოპერაციები საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობენ, გამომდინარე იქიდან, რომ ერთ ეტაპზე შესაძლებელია შეიცვალოს ადამიანის სხეულის დიდი ნაწილი, რაც საკმაოდ ეფექტურად ვლინდება მიღებული შედეგით. საბედნიეროდ, ქირურგიული ტექნიკის განვითარებასთან და დახვეწასთან ერთად ამ ტიპის ოპერაციები მინიმალურ ტრავმასთან არის დაკავშირებული, რადგან გამოიყენება სხვადასხვა მეთოდიკის ერთობლიობა, მაგალითად, მუცლისა და წელის კონტურების გამოსაყვანად და დასაპატარავებლად კომბინირებულად კეთდება მუცლის პლასტიკა და წელის მიდამოების ლიპოსაქცია. ასევე დუნდულოების აწევისას შესაძლებლია მათი პროთეზირება, რათა მეტად ეფექტურად გამოჩნდეს დუნდულოს მიდამოს მოყვანილობა. რაც შეეხება ბარძაყების და წელის ქვედა მესამედის პლასტიკას, უმეტეს შემთხვევებში გამოიყენება ლიპოსაქციის მეთოდი, თუმცა როდესაც საუბარია დიდი მოცულობის ცვლილებებზე, იმავდროულად აუცილებელია და კეთდება ბარძაყების შიდა ზედაპირების დაჭიმვა და ჭარბი კანის მოცილება. როდესაც დაშვებულია მუცელი და ზურგის და დუნდულოების მიდამო, კეთდება სხეულის ცირკულარული პლასტიკა, ამ ოპერაციის შედეგად სხეული რადიკალურად იცვლება. ამ ტიპის ოპერაციები ძალზე გავრცელებული და პოპულარულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საბედნიეროდ, ჩვენს კლინიკას შეუძლია სრულაფასოვნად და უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე შემოგთავაზოთ ასეთი მომსახურება.

მეტად საინტერესო თემა – ლიპოსაქცია-ლიპოსკულპტურა. ეს არის პროცედურა, როდესაც სრულიად უმტკივნეულოდ 3 მილიმეტრიანი ნაჩხვლეტიდან შესაძლებელია 1-დან 8 ლიტრამდე ცხვიმოვანი ქსოვილის ამოღება. ეს სწორეს ის ცხიმია, რაც არ ექვემდებარება არც დიეტოლოგიურ, არც მედიკამენტოზურ მკურნალობას და არც ვარჯიშების ზემოქმედებას. ლიპოსაქცია არ არის წონაში კლების მეთოდი, ეს არის სწორედ სხეულის მოდელირებისა და გალამაზების საშუალება. ლიპოსაქცია არ იწვევს შემდგომში სხეულის არაპროპორციულ გასუქებას ან სხვა რაიმე გართულებას. რაც შეეხება იმას, თუ სხეულის რა მიდამოში არის შესაძლებელი ლიპოსაქციის გაკეთება, პასუხი მოკლეა: ნებისმიერ მიდამოში, სადაც არის ლოკალიზებული ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილი. ლიპოსაქცია არანაირად არ საჭიროებს ზოგად გაუტკივარებას ან სტაციონარში წოლას, პროცედურის შემდგომ პაციენტი 2 საათში თავისით მიდის სახლში და აგრძელებს ყოველდღიურ ცხოვრებას, არანაირი ტკივილი და არანაირი ნაწიბური. იმ შემთხვევაში კი, როდესაც იმავდროულად საჭირო ჭარბი კანის ან, მაგალითად, მუცლის წინა კედელზე არსებული სტრიების მოცილება შესაძლებელია გაკეთდეს კომბინირებული ოპერაცია, რაც აგრეთვე მინიმალურ ტრავმასთან და რისკთან არის დაკავშირებული. ლიპოსკულპტურის მეშვეობით კი შესაძლებელია სხეულის ზოგიერთ უბანში არსებული კონტურული დეფორმაციები შევსებულ იქნას სხვა მიდამოდან ამოღებული საკუთარი ცხიმოვანი ქსოვილით.

თუ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა, მას შეუძლია მიმართოს კლინიკის საინფორმაციო სამსახურს ან გაიაროს კონსულტაცია ქირურგებთან.

577 22 99 22

222 44 17

ჯავჯავაძის გამზ. 5

www.plasticsurgerygeo.com

Clinic of Aesthetic, Reconstructive and Plastic Surgery "Carraps Medline" Ltd. CARAPS MED Line

№26 (577)
30 ივნისი — 6 ივლისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

■ მინიატიურები 5
ტიტველი პოლიცმეისტერი

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 8

■ რაკურსი 15
უთავმოყვარეო საზოგადოება, უუნარო ოპოზიცია და გულგრილი ხელისუფლება

■ კრიმინალი 17

■ სცენის მიღმა 18
ზურა ხაჩიძის ჰოლანდიური ცხოვრება

■ დებიუტანტი 20
„უნივერსიტეტში წამომძახებენ ხოლმე — ვინ არის აქ ქალიშვილიო?“

■ ამპლუა 22
„ნოდარი კი არა, ნიკა ვარ წულუკიძე!“

■ ცხოვრების სტილი 24
ბიზნესვუმენად გადაქცეული მომღერალი შოუბიზნესში გააქტიურებას აპირებს

■ ოჯახი 26
ჟურნალისტი, მოდელი, დედა...

■ თემა 28
უცნაური სახელები

■ კულისები 31
როგორ შეხვდა გიგი ვანდერი სტივ ვანდერს

ქვეყანა

დაპირისპირება ინტელიგენციაში

„ადრე კი მითხრა ერთი-ორმა, მაგრამ ახლა პოლიტიკაში წასვლას ვერავინ შემომთავაზებს, ვერ გამიბედავენ. პოლიტიკა არ არის მწერლის საქმე“.

8

სახე

ბიზნესვუმენად გადაქცეული მომღერალი

„ჩვენთან მუშაობის ტემპი სხვანაირია — ხანდახან საქართველოს ტემპს ვუსწრებთ კიდეც. საქართველოში ყველაფერი უფრო ნელა ხდება, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში“.

24

ცხოვრება

როგორ შეხვდა გიგი ვანდერი სტივ ვანდერს

„მეგობრებმა „ფეისბუქის“ გვერდი გამიკეთეს, სადაც გიგი ვანდერით დამარეგისტრირეს და მას შემდეგ შემრჩა ეს სახელი. გვარი ნამდვილად არ გადამიკეთებია!“

31

გზა ფილები

საზაფხულო რომანი

„მეორე დღეს ჩემი კავალერი სასტუმროში მომადგა, „ბოდიშებით“. ვინ იყო ის ქალი-მეთქი? — ვკითხე. — ჩემი ცოლიო, მიპასუხა. პირი დავაღე. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს შეფს ტაქსის მძღოლი ქმარი ეყოლებოდა“.

64

გასაჭირი 33

5-შვილიანი ოჯახის გასაჭირი და იმედით განათებული ხვალინდელი დღე

კარიერა 35

საზღვარგარეთ სწავლა და გაცვლითი პროგრამები...

თინეიჯერული პონტები 37

მშობლებისაგან მიტოვებული გოგონები და კაცებზე გაბრაზებული მოზარდები

ისტორიის ლაბირინთები 40

„სამანელთა“ ანტისაბჭოთა მოძრაობა თუშეთში

ავტო 43

საკითხავი ქალებისათვის 44

ერუდიტი 46

შესაძლებელია თუ არა ანი ქორქიას დაშანტაჟება

ანტიდეპრესანტი 48

ტაძარი 48

„უნაყოფო ლეღვის ხეზე“ ღვთისგან აღსრულებული სასჯელი

ჯანმრთელობა 50

როგორ მოვიშოროთ ვულგარული ფერიმჭამელა

წვეთი პოეზია 52

რეალური 53

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

მისტიკური დეტექტივი 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

რომანი 60

სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

გზავნილები 64

საზაფხულო რომანი

ყველა ერთისათვის 68

მობილი-ზაცია 70

ღვაწლი 74

ეს სამყაროა 76

გასართობი 87

ასტროლოგია 80

სკანვორდი 81

საფირმო კროსვორდი 82

სამყარო

ასაკი დავმალოთ თუ მისით ვიამაყოთ?

ცნობილია, რომ სიგარეტის მოწევა, სტრესები და გაუთავებელი დიეტები ნაადრევ სიბერეს იწვევს. სპორტი და სწორი კვება კი — პირიქით, ადამიანს აახალგაზრდავებს.

44

ბიბლუსი

ხაფანგი

— ნინო საღირაშვილი ვინლაა?

— იოსებიძის საყვარელი. შვილის სანახავად რომ იყო გერმანიაში წასული.

— ჰო, გამახსენდა. მერე? რამე საინტერესო გითხრა?

— ჯერ არ მინახავს. სეხნიაშვილის ბებიის პანაშვიდზე გამოჩნდა თუ არა, ერთ-ერთმა მეზობელმა მაშინვე დამირეკა, მაგრამ მაინც ვერ მივუსწარი.

56

ტაიმ-აუტი

ყავა — მსოფლიო სასმელი

ყველაზე მოცლილი კლიენტები აფრიკულ ყავახანებში დადიან. ოფიციანტი, თქვენ თვალწინ, რეცხავს ყავის მარცვლებს, შემდეგ მოხალავს, გააგრილებს, ხელის საფქვავში ჩამოფქვავს, მოხარშავს და მოგართმევთ.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

ცოცხალი პოლიცმეისტერი

შესავლის ნაცვლად „.— ეცოტავება! — თქვა მან. — უყურე ერთი ამას! ორ თუმნად ფოთის პოლიცმეისტერი გაიძრობს, შე ქალო! კაი. ა, კიდევ თუმანი შენ და გაიძრე აწი. ვითომ რიონში ბანაობ და ბუჩქებიდან გიყურებს ვინმე, შენ რომ არ იცი, ისე.

— თუ ხედავთ თქვენ, როგორ ყოფილა საქმე?! — უთხრა თავისი აღმოჩენით გაოცებულმა კაზა ჩხეტიამ ამხანაგებს. — აგერ, ამათი რცხვენია კიკუს და მიტომ არ გაიძრობს, აბა, რა იქნება. მიბრუნდით!

— არავის საქმეში არ ვერევი მე. არავისი საქმე არაა, საით ვიყურები და საით მივბრუნდები! — ნაბადს მხრები აუქნია, სკამის საზურგეზე გადააგდო.

და მთავარი:

— რა ვთქვი მე? გაიძრობს, ვთქვი მე! — მე მეუბნებოდა.

— სამ თუმნად ფოთის პოლიცმეისტერი გაიძრობს! — გაიმეორა ბოდღო ყვალთავამ თავისი ნათქვამი“.

ფოთის პოლიცმეისტერობა კი მაგარი თანამდებობა იყო იმ დროს და თუკი ის იხდიდა სამ თუმნად, ესენი მილიონ ლარად გაიხდიდნენ კი არა, ტანზე რომ არ შემოიხიეს, არ გიკვირთ?!

ასეა თუ ისე, „ოპოზიციური რვიანი“ „შესტიორკამდე“ შეთხელდა. საკითხავი მხოლოდ ერთია — ამ დანარჩენებს თავი პოლიცმეისტერზე ძვირად უღირთ თუ კიდევ რამე სხვა მიზეზია, პალიკო-პავლე-პავლიკო მოროზოვის... უჰ, კი არა და, კუბლაშვილის „ბიზნესწინადადებას“ რომ არ დათანხმდნენ?

კარგი, მათზე დღეს არაფერს ვიტყვი, სუბიექტურობა და მიშისტობა (პირი ქვისკენ მიქნია) რომ არ დამწამონ, ეს ქრისტიანები არიან თუ დემოკრატები, მაგათი ამბავიც ხომ ვიცით, მაგრამ „ახალი მემარჯვენეებიც“ თუ ფოთში მუშაობდნენ პოლიცმეისტერებად, მაინც არ მინდოდა დამეჯერებინა...

ჰოდა, ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო, — „ნაციონალებმა“...

არა, ისე, მილიონი კი კარგი ფულია... აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი „ასატრინა ნა ვერტელე“ შეიძლება ჭამო?.. რამდენი და... ვა! დავთვალე ახლა და მგონი, მივხვდი — არც ისე ბევრი მოუვათ და იქნებ ეგეც იყოს მიზეზი? ყოველ შემთხვევაში, ბოდღო ყვალთავამ იმ ორ თუმანს თავისი მესამე ოქროც რომ დაამატა ზემოდან, რაღაც იმგვარს ველოდები უახლოეს დღეებში და მერე ყველა „პოლიცმეისტერი გახდება“!

ამასობაში, ერთმა ცნობილმა ქართველმა ექსპერტმა, — ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, იქნებ ჯობდეს, აფხაზეთის დამოუკიდებლობა ვაღიაროთო, — და ვინ რა შეფასება მისცა ამ ამბავს და თვითონ როგორ ახსნა ეს იდეა — ამაზე სხვაგანაც წაიკითხავდით, მაგრამ ერთი ბებერი მელა რომ „დაიწვა“, მაგაზე ძალიან ვიცინე — კრწანისიდან მორიგი „სიბრძნე“ მოგვაწოდა ყოფილმა „მამა-მარჩენალმა“ (ეგ ამ სიბერეში სულ „გამობრძენდა“, თუმცა სულ ეგეთი არ იყო?): „მართალია, ჩვენს მოძმე ერთან თანაცხოვრებისთვის, მათი დამოუკიდებლობა უნდა ვაღიაროთ“.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნახევარი საქართველო „გამობრძენებულია“ ან „გამობრძენების“ პროცესშია, მეორე ნახევარი კი — ფოთის ყოფილი, ახლანდელი ან მომავალი „პოლიცმეისტერია“...

თუმცა, საქართველოში ყველა მხოლოდ „სპორტის ეროვნული სახეობით“ კი არ არის დაკავებული (ხომ იცით, რომელ სპორტსაც ვგულისხმობ — მახათის ვირტუოზულად ხმარებას)! აი, მაგალითად, პროკურატურა და შსს — გამოაცხადეს ძებნა ოქრუაშვილზე და ჯილდოსაც დააწესებენ მალე მის დამჭერზე (აქაც გამოჩნდებიან „ფოთის პოლიცმეისტერები“), ზოგიერთი რამ კი თვითონვე იპოვეს — მაგალითად, „დათესილი“ ყუმბარები. სამწუხაროდ ცუდი „ჯიშის“ აღმოჩნდა და თანაც, მალე ამოთხარეს, თორემ ამ შემოდგომაზე კარგი მოსავალი იქნებოდა...

ერთი სიტყვით, ცხელი პოლიტიკური ზაფხული გველის. მე კი, სიმართლე რომ ვთქვა, ყველა „ფოთელი პოლიცმეისტერი“ ფეხებზე მკიდია, მოუთმენლად ველი ამ ზაფხულს ქართველი კალათბურთელებისა და მორაგბეების გამოსვლას ევროპის ჩემპიონატსა და მსოფლიოს თასზე და აქედანვე ვეძებ დროებით შემცვლელ „პროვოკატორს“, რომ იმ პერიოდში ჩემმა თვალებმა არ დაინახოს „პოზიცია-ოპოზიცია“ და ჩემმა ყურებმა არ გაიგონოს მაგათი ბუუტური...

P.S. მამაჩემმა დამირეკა ამას წინათ გურიიდან და „მახარა“: ჩამოვედი თუ არა, ბოსტანი დავთესე, შენს შვილებს ზაფხულში ყველაფერი ნატურალური ექნებათო. გავუთიშე ტელეფონი. ისევ დარეკა:

— დავთესე... — ისევ გავუთიშე.

კიდევ:

— ბოსტანი დავთ... — საერთოდ გამოვრთე ტელეფონი.

მერე მე თვითონ ვრეკავ და აღარ იღებს ყურმილს... ნეტავ „ნათესი“ ხომ არ უპოვეს?..

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

ქართული ფილმი მოსკოვის ფესტივალზე

ქართველმა რეჟისორმა ლევან თუთბერიძემ საკუთარი ფილმი — „უშენოდ მგონი მოვკვდები“ მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარადგინა. ფილმის პრეზენტაციისას პრესკონფერენციაზე რეჟისორმა განაცხადა, რომ ადამიანმა ყოველდღე ისე უნდა იცხოვროს, თითქოს ეს მისი უკანასკნელი დღეა. ფილმი „უშენოდ მგონი მოვკვდები“ აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების“ მიხედვითაა გადაღებული. „ფილმი სიყვარულზე, მეგობრობასა და ბედისწერაზეა. ყოველი დღე ჩვენთვის შესაძლოა, უკანასკნელი იყოს. ალბათ, საჭიროა დაფიქრება, თუ როგორ ვცხოვრობთ და უნდა ვიცხოვროთ ისე, თითქოს ეს ჩვენი უკანასკნელი დღეა“, — აღნიშნა ლევან თუთბერიძემ. რეჟისორის აზრით, მთავარ გმირებს — ყაჩაღსა და სიცოცხლის მოყვარულ მწერალს — რაღაც საერთო აქვთ და ეს არის — ამბიცია. „მათ ორივეს სურს ისეთი რამის გაკეთება, რაც შეუძლებელია“, — დასძინა რეჟისორმა. მოსკოვის 33-ე საერთაშორისო კინოფესტივალი 23 ივნისიდან 3 ივლისამდე გასტანს. კინოფესტივალის ძირითად პროგრამაში 17 სურათი შევიდა. ■

მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიების რეიტინგი

ბრიტანულმა გაზეთმა Financial Times მსოფლიოს მასშტაბით 500 უმსხვილესი კომპანიის რეიტინგი გამოაქვეყნა. კომპანიები მათი კაპიტალის მიხედვით შეაფასეს. მსოფლიოში უმსხვილესად, ნავთობისა და გაზის ამერიკული კომპანია Exxon Mobil დაასახელეს. მისი კაპიტალი 417 მლრდ დოლარს აღწევს. მას, 326 მლრდ დოლარით, ჩინური ნავთობკომპანია PetroChina მოსდევს, მესამე ადგილს კი, 321 მლრდ-ით — კომპანია Apple იკავებს. 500 კომპანიის საერთო ღირებულება 26.200 მლრდ-ია, შარშან ეს მაჩვენებელი 23.500 მლრდ-ს შეადგენდა. ამ სიაში მოსახვედრად, კომპანიის ფასიანი ქაღალდების ღირებულება 19 მლრდ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. პირველ ხუთეულში შევიდა ჩინეთის ინდუსტრიულ-კომერციული ბანკი და ბრაზილიური ნავთობის კომპანია Petrobras. ■

„რკინის ლედის“ „საიდუმლო იარაღი“

ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის ჩანთა საქველმოქმედო მიზნებისთვის აუქციონზე გაყიდეს. ჩანთა 40.000 დოლარად კვიპროსელმა მოქალაქემ შეიძინა. ეს აქსესუარი ტეტჩერს არაერთხელ სჭერია ხელში რონალდ რეიგანთან და მიხეილ გორბაჩოვ-

თან მოლაპარაკებების დროს. ტეტჩერი Asprey-ს ფირმის ჩანთას 30 წლის განმავლობაში ატარებდა.

აუქციონის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ ჩანთა 160.000 დოლარად გაიყიდებოდა. კარიკატურისტები ტეტჩერს ხშირად ხატავენ ამ ჩანთით. მინისტრების თქმით, მთავრობის სხდომის დაწყებისას ტეტჩერი თავის ჩანთას მაგიდაზე წინ იდებდა. დისკუსიის დროს კი იქიდან სახელმწიფო დოკუმენტებს იღებდა. „ჩანთა მისი საიდუმლო იარაღი იყო. ის ამ ჩანთიდან იღებდა დოკუმენტებს, რომლებსაც კამათში არგუმენტის სახით იყენებდა“, — იხსენებს ტეტჩერის ხელისუფლების ყოფილი მინისტრი ლორდი ბეიკერი. ■

ᲐᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ

ოჯახისგან მიტოვებულ არნოლდ შვარცენეგერს მეგობრად მხოლოდ ძაღლი დარჩა. ბოლო დღეებში პაპარაცებმა კალიფორნიის ექსგუბერნატორი ცხოველთან ერთად არაერთხელ დააფიქსირეს. არნოლდი და ძაღლი განუყრელნი არიან. შვარცენეგერს ძაღლი ჯერ ბევერლი-ჰილსზე, კაფეში ახლდა, შემდეგ — ტაძარში. მთელი კვირის განმავლობაში არნოლდმა ოთხფეხა მეგობარი შინ დასატოვებლად მხოლოდ ერთხელ გაიმეტა და ისიც — შვილის ხათრით. შვარცენეგერი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ენერგეტიკულ ფორუმს დაესწრო და თან უფროსი ვაჟი, პატრიკი წაიყვანა. ავსტრიაში „ტერმინატორის“ გარშემო ატეხილი სკანდალი ნელ-ნელა მიავიწყდათ. მაგრამ კალიფორნიაში მისი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა: 4-დან 3 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც არნოლდის საყვარლისა და უკანონო შვილის ამბავი შეიტყვეს, მის მიმართ ნეგატიურად განეწყვნენ.

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲘ�პᲘ ᲑᲠᲘᲢᲜᲘ ᲡᲞᲘᲠᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲖᲔ

ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა პოპმომღერალ ბრიტნი სპირსის სიმღერაზე — Hold It Against Me კლიპი გადაიღეს. სამოყვარულო კამერით გადაღებული ვიდეორგოლი იწყება ტიტრით: „სადღაც, შუა ავღანეთში“. კლიპში სამხედრო მოსამსახურეები (მათ შორის გოგონები) სიმღერის ფონოგრამის ფონზე პირს ამოძრავებენ და ცეკვავენ. ინტერნეტში კლიპი უკვე 3 მლნ-ზე მეტმა ადამიანმა ნახა. მომღერალმა საზღვაო ქვეითები თავის კონცერტზე მიიწვია და მათთან ერთად სურათები გადაიღო. მოგვიანებით კი „ტვიტერში“ საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ აღფრთოვანებულია ჯარისკაცებთან შეხვედრით. ბრიტნი სპირსი ამჟამად ხანგრძლივი ტურნესთვის (Femme Fatale) ემზადება. პირველი კონცერტი კალიფორნიის ქალაქ საკრამენტოში უკვე ჩაატარა. პრესა მომღერალს ცოცხალი შესრულებისთვის აქებს, ადრე ის კონცერტებზე ფონოგრამას იყენებდა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ „ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘ“

ინტერნეტით გავრცელდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, კირილის იახტა „პალადას“ ფოტოები, რომლითაც პატრიარქი სამწყოსში მოგზაურობს. „პალადა“ რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ლუქს-კლასის იახტაა. ხომალდი

სამგემბანიანია და მისი სიგრძე 32 მეტრს შეადგენს. იახტაზე, ძვირფასი ხით მოპირკეთებული ოთხი სასტუმრო და ეკიპაჟისთვის განკუთვნილი ორი ოთახი, სავარჯიშო დარბაზი, საშინაო კინოთეატრი და საუნის ფუნქციის მქონე საშხაპე კაბინით აღჭურვილი აბაზანაა, ასევე — ძვირად ღირებული ავეჯით, ხალიჩებითა და სურათებით გაფორმებული საძინებელი ოთახია, რომელსაც დაბურვის ეფექტის მქონე ფანჯრები აქვს. იახტა სხვადასხვაგვარი თანამედროვე აღჭურვილობით გამოირჩევა. მისი ფასი 7 მლნ დოლარია. „პალადა“ პატრიარქს არ შეუძენია — რუსეთის ეკლესიას იახტა წინამორბედმა მწყემსმთავარმა დაუტოვა. „პალადა“ 2003 წელს ჰოლანდიელი არქიტექტორის — გვიდო დე გროტის პროექტის მიხედვით ააგეს. ორი წლის განმავლობაში იახტა რუსეთის პრეზიდენტის საქმეთა მმართველს ეკუთვნოდა. შემდეგ ის ნავთობკომპანია „ლუკოილმა“ სპეციალურად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის შეიძინა“, — ნათქვამია ვალაამის მონასტრის ოფიციალურ საიტზე, რომელსაც იახტა აჩუქეს. მონაზვნებს თავიდან ძალიან გაუხარდათ ასეთი საჩუქრის მიღება, მაგრამ მათი სიხარული მაშინ გაქარწყლდა, როდესაც მომსახურების, საწვავისა და სხვა ხარჯების პირველი ანგარიში წარუდგინეს. იახტის შენახვა მონაზვნებმა ვერ შეძლეს — მხოლოდ ხით მოპირკეთებული ზედაპირის გალაქვას ასიათასობით რუბლი სჭირდებოდა. ამის შემდეგ „პალადა“ მოსკოვის საპატრიარქოს ბალანსზე გადაიყვანეს. ■

ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲩᲐᲠᲚᲖᲘ ᲪᲝᲚᲡ ᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ

ამერიკული პრესა წერს, რომ პრინცი ჩარლზი და კამილა პარკერი შესაძლოა, უახლოეს მომავალში გაიყარონ. „მათი ოჯახი ინგრევა, ჩხუბის შემდეგ მათ დაშორება გადაწყვიტეს“, — აღნიშნა Globe-ს კორესპონდენტთან საუბრისას სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა ადამიანმა. გაირკვა ისიც, რომ წყვილი საერთო ქონების გაყოფას აპირებს, რომელიც 300 მლნ დოლარს შეადგენს. კამილა პარკერმა და პრინცმა ჩარლზმა ერთმანეთი დაიანასთან ჩარლზის შეუღლებამდე დიდი ხნით ადრე გაიცნეს. მათი ურთიერთობა სწრაფად განვითარდა, მაგრამ კამილა ბრიტანელი პრინცისთვის შესაფერის საცოლედ არ მიიჩნიეს — ის მრავალრიცხოვანი რომანის გამო დაიწუნეს. კამილაზე დაქორწინება ჩარლზმა მხოლოდ 2005 წელს, პრინცესა დაიანას გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ შეძლო. ■

დაპირისპირება ინტელიგენციაში

პოლიტიკური ცვლილებების სურვილი თუ... უსაქმურობის გამოვლინება?

მართალია, ჯგუფებად დაყოფილმა ოპოზიციამ მის მიერ დასახულ თუ დასახელებულ მიზანს ჯერჯერობით ვერ მიაღწია და ხელისუფლება ვერ შეცვალა, მაგრამ შედეგად მივიღეთ ორად გახლეჩილი საზოგადოება და ინტელიგენცია... გასულ კვირას მსახიობ ოთარ კობერიძის საგაზეთო ინტერვიუს, სადაც მან 26 მაისში მონაწილე საზოგადო მოღვაწეებს „ჩამოსახრჩობი“ უწოდა, მაშინვე მოჰყვა აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის პასუხი, სადაც იგი კობერიძეს ახალგაზრდობის დროინდელ „ცოდვებს“ უხსენებდა... მართალია, ნეიტრალურად განწყობილი საზოგადო მოღვაწეების მოძიება გამიჭირდა, მაგრამ მაინც შევეცადე გამერკვია, ღირს თუ არა განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო ასეთი დაპირისპირება და ზოგადად, რატომ მიდიან შემოქმედი ადამიანები პოლიტიკაში?..

ლალი პაპასკირი

ოტია იოსელიანი, *მწერალი:*

— უსაშველოდ საჭირბოროტო საკითხზე დამისვით შეკითხვა: ჯერ ერთი, მე აგერ ვარ, სოფელში, ინტელიგენცია კი იქ ხართ, ქალაქში... ამ თემისთვის ტომები მაქვს მიძღვნილი და მისი მოკლედ ჩამოყალიბება გამიჭირდება... ინტელიგენციას შორის არსებულ დაპირისპირებას სხვადასხვა მიზეზი აქვს და საკმაოდ შორიდან იღებს სათავეს. პირველ რიგში კი, იქიდან, რომ ყანიდან წამოსულები, ვინც კი ცოტა ფული დააგროვა და ქალაქში გადასახლდა, საკუთარ თავს ინტელიგენციას მიათვლის. არ მინდა, კონკრეტული პიროვნებები დავასახელო, ვიცი, რომ ჩემი სიტყვები ბევრს ეწყინება, მაგრამ ასეა. მეორე და მთავარი მიზეზი არის უსაქმურობა, რაც ორივე მხარეს მყოფ ადამიანებს აწუხებთ... ახლა სოფელში დარჩენა არავის უნდა, მიწაზე მუშაობა სათაკილო საქმედ მიაჩნიათ, ქალაქში ყოფნა კი პატრიოტობა ჰგონიათ. არადა, ქართველი კაცისთვის მიწის სიყვარულზე დიდი პატრიოტობა არც არსებობს და არც არავის მოუგონია; მიწათმოქმედი ერი ვართ ჩვენ და იმიტომ... ინტელიგენტობა სხვა რამით იზომება, მაგრამ ეს რომ ავხსნა, ჩემზე ისედაც განაწყენებულ ინტელიგენციას უფრო მეტად გავაბრაზებ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი — არ არის ეს ყველას საქმე... ორი წლის წინ, საქართველოში 146 სამედიცინო სასწავლებელი იყო გახსნილი; მათი უმეტესობა სკოლებში, გარაჟებსა და ორღობეებში ფუნქციონირებდა, მაგრამ სწავლის მსურველი ყველას ჰყავდა. როგორ ფიქრობთ — ვინ გახსნა და ვინ ასწავლიდა იქ? რა თქმა უნდა, ინტელიგენცია. ისე, ერთი იმ მშობლის თავში ჩამახედა, ვინც იქ შვილი მიიყვანა და სწავლის ფულს უხდიდა! ბოლოს ალბათ ყველას ჩაუდეს ჯიბეში მუყაოს ფურცელი, დიპლომს რომ ეძახიან, მაგრამ რამდენი კარგი სპეციალისტი გვყავს მედიცინის დარგში?.. რამდენი შემთხვევა იცით, რომ პაციენტს ან ვერ გაუგეს, ან არასწორად უმკურნალეს და დაღუპეს?! თქვენ შეიძლება არ მიპასუხოთ, მაგრამ მეც ხომ ვიცი, რა ხდება ამ ქვეყანაზე!.. ასე რომ, ყველაზე კარგი პატრიოტობა და ინტელიგენტობა — საკუთარი საქმის პროფესიონალიზმია და ეს თქვენმა თაობამ მაინც უნდა დაიმახსოვროს.

— ბატონო ოტია, იმ საზოგადო მოღვაწეების თქმით, ისინი ვერ ეგუებიან ქვეყანაში არსებულ ვითარებას...

— ვერც მე ვეგუები, ან — როგორ უნდა შევეგუო, როცა იაკობ გოგებაშვილს ვიღაც ვახანიათი მიცვლიან, ან მეუბნებიან, — ამოირჩიეთ, რომელიც გინდათო... ბავშვს, რომელსაც წერა-კითხვა უნდა ასწავლონ, ძალიან დიდ ბოდიშს მოვიხდი თქვენთან და თქვენს მკითხველთან და, წიგნში პირდაპირ უწერია „ასო“, გვერდით არც ნახატი აქვს, არც რაიმე სხვა ნიშანი იმისა, რომ ასო-ბგერაზე ან ასო-ნიშანზეა საუბარი!.. მე კი მივხვდი, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვი ვერ მიხვდება. მერე უკვირთ, — რა უზრდელი თაობა მოდისო!.. ასე რომ, ვერც მე ვეგუები. ის კი არა, ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვის და ჩაიდენს ეს ჩვენი ხელისუფლება, მე ვწითლდები, მაგრამ ვწერ და ასე გამოვხატავ ჩემს აზრს... ისე კი იმნაირ ცუდ დღეში ვართ ერიც და ბერიც, ხმა ამოსაღები გვაქვს კი არა, ენა გვაქვს ამოსაღლეტი, მაგრამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ ყველამ...



ცოტა უხერხულია, როცა განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრების გამო ასეთი სიტყვებით საუბრობენ ერთმანეთზე

საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის ყოფილა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გამოხატავენ აზრს, როგორ დაუმტკიცებენ ერთმანეთს, ვინ მტყუანია და ვინ — მართალი. ინტელიგენტს, რომელ პოლიტიკურ მხარესაც უნდა იდგეს იგი, მეტი თავდაჭერა მართებს. რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უხერხულია, როცა განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრების გამო ასეთი სიტყვებით საუბრობენ ერთმანეთზე, იმიტომ, რომ ისინი ჩემნაირად ყანაში მომუშავე ადამიანებზე ბევრად მაღლა უნდა იდგნენ. მე ინტელიგენტობაზე პრეტენზია არ მაქვს, ჩემო ბატონო, ერთი გლეხი კაცი ვარ, სოფელში ვცხოვრობ და როცა შემეძლო, მიწასაც ვამუშავებდი. ახლა ამის საშუალებას ჯანმრთელობა არ მაძლევს. მეათე ტომი მქონდა დასასრულებელი, იმის ძალაც არ მაქვს. ამიტომაც ვზივარ და ვუყურებ, სხვა როგორ ამუშავებს მიწას...

რეზო ჟვანია, *მწერალი:*

— ამ საქმეში არ ვარ გარეული და არც მინდა გავერიო... ამას წინათ წავიკითხე მათი მოსაზრებები, ოთარ კობერიძის პოზიციასაც გავეცანი და ელიზბარ ჯაველიძის პასუხიც წავიკითხე. ვერ გეტყვით, გამიკვირდა-მეთქი... ამას წინათ დავწერე, — ყველამ თავის თავს და თავის საქმეს მიხედოს-მეთქი, — და ბევრი გამინაწყენდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი: არ მინდა, ამას რჩევის ხასიათი მივცე, პოლიტიკას მიხედონ პოლიტიკოსებმა, ჩვენ, მწერლებს, საწერის მეტი რა გვაქვს, დავსხდეთ და ჩვენი ირონია, ტკივილი და რეალობის მიმართ პროტესტი ქაღალდზე გადმოვიტანოთ. მსახიობს საქმე გამოელია? მაშ, სცენა რისთვის არსებობს?! მისი მოვალეობა, ისევე, როგორც ჩვენი, რეალობის შემოქმედებაში გაცოცხლება იყო... თუ ადამიანი თავისი საქმის პროფესიონალია, მას მიტინგებზე დგომის დრო არ უნდა ჰქონდეს. შემოქმედ და ხელოვან ადამიანს, რომელიც მუდმივად ახლის ძიებაშია, პოლიტიკოსებთან სალაყბოდ არ უნდა ეცალოს...

— ისინი ხშირად ჩივიან, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების გამო, საზოგადოება არც მათი შემოქმედებით ინტერესდება...

— ამიტომაც ჩაებნენ პოლიტიკურ პროცესებში?!. არ დაიჯეროთ. რაც უფრო მეტად გაჭირვებულია ადამიანი, უფრო მეტს კითხულობს. რაც უფრო გაზულუქებულია ქართველი კაცი, სულიერი საზრდო მით უფრო ნაკლებად ახსენდება. ასე იყო ყოველთვის... მოდი, სიმართლე ვთქვათ — პოლიტიკაში ყველა ის ადამიანი მიდის, ვინც თავის პროფესიაში თვითრეალიზაცია ვერ მოახდინა. ანუ ამ შემოქმედი ბატონების მთავარი პრობლემა, უსაქმურობაა... მერე დგანან და თავის გასამართლებლად, დღევანდელობას 30-იან წლების საქართველოს ადარებენ. სასაცილოა და უფრო თავის მართლებას ჰგავს. ისე კი ზოგს უბრალოდ, პირადი ინტერესი ჰქონდა და იმიტომაც ავიდა პოლიტიკურ ტრიბუნაზე, — რა დროს ხელოვნებაა, ახლა ქვეყნის გადარჩენის დროაო. ყველა ხელისუფლების დროს იყო და იქნება პრობლემები, ხალხი დალხენილად არასდროს ცხოვრობდა, სათავეში მოსულები უბრალო საზოგადოებას მუდმივად ავიწროებდნენ, მაგრამ ტყუილად მოლაყბეებს არასდროს გადაურჩენიათ ქვეყანა.

— თქვენ არ დაგკავშირებიათ რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაცია?

— ადრე კი მითხრა ერთი-ორმა, მაგრამ ახლა პოლიტიკაში წასვლას ვერავინ შემომთავაზებს, ვერ გამიბედავენ. პოლიტიკა არ არის მწერლის საქმე. ჩემს სათქმელს, ამ ყველაფრის მიმართ ირონიულ დამოკიდებულებას მკითხველს გადავცემ. ახლახან გამოვიდა ჩემი კრებული „კურუ“, რომელიც ადრე ბროშურის სახით მქონდა გამოცემული და ახლა უკვე წიგნად გამოვიდა. კიდევ ვმუშაობ და თუ ახლა არ სცალია ჩემს მკითხველს, ადრე თუ გვიან მოვა დრო და დაინტერესდება. ■

დავსხდეთ და ჩვენი ირონია, ტკივილი და რეალობის მიმართ პროტესტი ქაღალდზე გადმოვიტანოთ

„ბაზარში ყველის საყიდლად რომ წახვიდე და ხორცის საფასურიც გადაგახდევინონ...“

გაზრდილი გადასახადები და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

„დღემდე ვეძებ იმ იდეის ავტორს, რომლის წყალობითაც, თბილისის მოსახლეობას ამიერიდან დასუფთავების გადასახადის გადახდა დახარჯული ელექტროენერგიის პროპორციულად მოუწევს, მაგრამ მერია მის ვინაობას არ ამხელს“, — მითხრა „ქრისტიან-დემოკრატმა“, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა სამუშიამ. საკრებულომ უკვე დაამტკიცა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომლის თანახმადაც, 1-ელი აგვისტოდან დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ახალი ტარიფი დაწესდა. თითოეულ ოჯახს თითოეულ დახარჯულ კვტ/სთ-ზე 0,05 ლარის გადახდა მოუწევს. კიდევ ერთი გადასახადი, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება თბილისის მოსახლეობას, წყლის გამრიცხველიანების ხარჯია. როგორც საკრებულოში ამბობენ, თბილისში პირველ ეტაპზე, 50000 მრიცხველი დამონტაჟდება. მრიცხველისა და მისი დამონტაჟების საფასური 100 ლარს შეადგენს, რომელიც აბონენტმა უნდა გადაიხადოს. თუ რა კავშირშია ერთმანეთთან ნაგავი და დენი და რატომ აიძულებენ მოსახლეობას მაინცდამაინც 100-ლარიანი მრიცხველის შეძენას — ამის გარკვევას ჯაბა სამუშიასთან საუბრისას შევეცადე.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ჯაბა, მაინც რის საფუძველზე მიიღო საკრებულოს უმრავლესობამ გადაწყვეტილება, რომ თბილისის მოსახლეობას დასუფთავების გადასახადი მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით უნდა გადაეხადა?

— ამ გადაწყვეტილებას მერია ასე ასაბუთებს: თუ ამა თუ იმ სახლში ელექტროენერგია იხარჯება, ე.ი. იქ ვიღაც ცხოვრობს და შესაბამისად, ნაგავსაც აგროვებსო... საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლები ამბობენ, — რეალურად, მოსახლეობას ნაგვის გატანისთვის იმაზე დიდი თანხის გადახდა არ მოუწევს, ვიდრე აქამდე იხდიდა, პირიქით — გარკვეული შეღავათიც კი ეძლევაო. ეს რომ ასე არ არის, თქვენს მკითხველს ახლავე დავანახვებ: აიღონ ელექტროენერგიისა და დასუფთავების ქვითრები, დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა გაამრავლონ 5 თეთრზე და მერე შეადარონ იმ თანხას, რომელსაც აქამდე დასუფთავებისთვის იხდიდნენ. ნახავენ, რომ ყველაზე ცოტა, 50%-ით უძვირდებათ გადასახადი. ზოგიერთ მათგანს 200 და 300%-ით მეტის გადახდაც კი მოუწევს. გარდა იმისა, რომ გადასახადს აძვირებენ, ამით ადამიანის უფლებასაც არღვევენ: გამოდის, რომ მოქალაქეს არა აქვს უფლება, საკუთარი სურვილის მიხედვით მოიხმაროს ერთი კონკრეტული პროდუქტი; ეს იგივეა, ბაზარში ყველის საყიდლად რომ წახვიდე და ხორცის საფასურიც გადაგახდევინონ.

ეს მრიცხველები სინამდვილეში, ძალიან იაფია. ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია მათ შესახებ და ვნახე, რომ მრიცხველის საშუალო ფასი – 20-დან 40 ლარამდე მერყეობს

— სოციალურად დაუცველი ფენისთვის თუ წესდება რაიმე შეღავათი?

— შეღავათი დაწესდება მხოლოდ იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ერთდროულად იქნებიან მრავალშვილიანიც და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ პროგრამაში მყოფიც, თანაც — ძალიან მცირე რაოდენობის ელექტროენერგიას დაწვავენ. ესეც მხოლოდ სიტყვიერი პირობა იყო — კანონპროექტში მსგავსი რამ არ ეწერა.

— იმ ოჯახებზე რას იტყვით, რომლებსაც ბუნებრივი აირი არა აქვთ და გათბობისა თუ ჰიგიენური პრობლემების მოგვარებისთვისაც ელექტროენერგიას იყენებენ?

— ასეთ ოჯახებს არანაირი შეღავათი არ ექნებათ. თბილისში სულ 15000 ოჯახია, რომლებსაც ბუნებრივი აირი არა აქვთ. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ოჯახები ელექტროენერგიას არა მარტო გათბობისა და ჰიგიენური პრობლემების მოსაგვარებლად იყენებენ, არამედ — საჭმლის მოსამზადებლადაც. არის იმ ოჯახების კატეგორია, რომლებსაც ბუნებრივი აირი აქვთ, მაგრამ წყლის გამათბობელი დენზე აქვთ დამონტაჟებული. ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ ზაფხულში თბილისელების უმრავლესობა კონდიციონერს მოიხმარს? ეს კიდევ არაფერი — მერიამ საერთოდ არ გაითვალისწინა მოხუცები, რომლებიც ღამეც ვერ აქრობენ შუქს. სხვათა შორის, ყველა ეს პრობლემა პროექტის განხილვისას, საკრებულოს უმცირესობამ წამოვაყენეთ და საკმაოდ ბევრი კითხვაც დავსვით, რაზეც ქალაქის მერის მოადგილისგან სენსაციური პასუხები მივიღეთ: ბატონმა ტარიელ ხიზანიშვილმა თქვა, რომ მერია ყველა ოჯახში შეიყვანს ბუნებრივ აირს, თანაც — მაქსიმალურად იაფად. მისი ეს სიტყვები ჩაწერილია და დრო რომ დადგება, პასუხისგება მოუწევს. ღმერთმა ქნას, არ მოუწიოს და მერიამ მართლაც, ყველა ოჯახი დააკმაყოფილოს ბუნებრივი აირით! ხიზანიშვილმა კიდევ ერთი საოცარი რამ თქვა: თურმე ნუ იტყვით და, მერია აპირებს გრძელვადიანი პროგრამის განხორციელებას, რომლის მიხედვითაც, ყველა ოჯახს მეტალოპლასტმასის ფანჯრებს ჩაუსვამს.

— ეს რაღა კავშირშია ნაგვის გადასახადთან?

გაგრძელება იხ. გვ. 16

გახდი დონორი,
გაუწიე დახმარება ადამიანებს
და მიიღე დონორის კომპენსაცია - 2 000 ლარი.

რა არის კვერცხუჯრედის დონაცია?

ქალს თითოეულ საკვერცხეში აქვს მრავალი ათასი კვერცხუჯრედი. დონაციის დროს ხდება საშუალოდ 12 კვერცხუჯრედის მომწიფება და აღება. პროცედურა ტარდება უსისხლოდ და უმტკივნეულოდ. კვერცხუჯრედის დონაცია უარყოფითად არ მოქმედებს შვილოსნობის უნარზე. დონაცია დასაშვებია მრავალჯერადად. დონორი უნდა იყოს 32 წლამდე ასაკის.

რა არის სუროგატული დედობა?

სუროგატი დედა არის ქალი, რომლის საშვილოსნოშიც გადააქვთ უშვილო ცოლ-ქმრისაგან მიღებული ემბრიონი 3ან 5 დღის ასაკში, ამრიგად სუროგატი დედა არ არის ბავშვის თავდაპირველი ანუ გენეტიკური დედა. ზოგიერთ ქალს თავად არ შეუძლია საკუთარი შვილის 9 თვე გამოზრდა საშვილოსნოს პათოლოგიის ან სომატური დაავადების გამო. ასეთი ქალის ემბრიონი (ნაყოფი) გამოსაზრდელად სუროგატი დედის საშვილოსნოში გადააქვთ. სუროგატი დედა უნდა იყოს 35 წლამდე ასაკის.
3დღის ემბრიონის გადატანა უსისხლო და უმტკივნეულო პროცედურაა.
მედიცინის ეს თანამედროვე ტექნოლოგია ნებადართულია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საბერძნეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

სუროგატი დედის მიერ მიღებული სარჩო-თანხა 18 000 ლარს შეადგენს.

თანხის გადახდა წარმოებს ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში ბავშვის გენეტიკური დედისა და მამის მიერ. იდება ხელშეკრულება სუროგაციის შესახებ. ნებადართულია საქ. კანონით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 143.

სამედიცინო გამოკვლევები და კონსულტაციები დონორებისა და სუროგატი დედებისათვის უფასოა!

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ჰუმან ჯორჯია - დონაციისა და სუროგატული დედობის ცენტრი

მისამართი: იაშვილის კლინიკა, ლუბლიანას ქ. 2/3,
(კლინიკის ეზოში ცენტრალურიდან მესამე შესასვლელი).
ტელ: 235 51 55; 5 99 22 22 13.

ხევსურული საღამო — მთის საჩუქარი ბარს

2007 წლიდან თბილისში, ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ 26 ივნისს იმართება ხევსურული საღამო — „მთის საჩუქარი ბარს“. მისი დევიზია: თუ თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები ვერ მიდიან მთაში, მთა თავად მოდის მათთან. მართლაც, რამდენიმე საათის განმავლობაში ისეთი გარემო შექმნეს არა მარტო ხევსურმა, არამედ მთის რეგიონის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა — პოეტებმა, მომღერლებმა თუ მოცეკვავეებმა, რომ წვიმის მიუხედავად, დაშლა აღარავის უნდოდა. წარმოდგენილი იყო საქართველოს მთიანეთისთვის დამახასიათებელი ხალხური რეწვის ნიმუშებიც, სტუმრებს კი სპეციალურად ამ დღისთვის დამზადებული ხევსურული ლუდით გაუმასპინძლდნენ.

ნინო ჯავახიშვილი

წლევანდელი საღამო განსაკუთრებით ემოციური იმით იყო, რომ თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა და ამიერიდან ყოველთვის ასე იქნება. მომღერალმა დათო კენჭიაშვილმა იმღერა — „დილაო ავდრიანაო“, რომელსაც თეონასთან ერთად ასრულებდა და როდესაც თეონას გულში ჩამწვდომი ხმა გაისმა, ბევრმა ცრემლების შეკავება ვერ შეძლო... მის ხსოვნას მიეძღვნა სიმღერაც, რომელიც გიორგი ჩიტაურმა ანსამბლ „ჩელასთან“ ერთად შეასრულა და მქუხარე ტაშით დააჯილდოეს.

მარინა კოლხიდაშვილი, *ანსამბლ „ინანას“ წევრი:*

— უკვე 3 წელი გავიდა, რაც ჩვენი ანსამბლი ჩამოყალიბდა. ოთხი წევრიდან არც ერთი არ ვართ ფოლკლორისტი და პროფესიონალი მომღერალი, მაგრამ სიმღერის სიყვარულმა გადაგვაწყვეტინა, რომ რაც შეიძლება მეტი ქართული „ნანა“ და „იავნანა“ აგვეჟღერებინა. დაახლოებით 25-მდე სიმღერა მოვიძიეთ და ამ საქმეს კვლავაც გავაგრძელებთ. ძალიან ძველი სიმღერებია. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არავის უმღერია არათუ XXI, არამედ XX საუკუნეშიც.

— საიდან ან როგორ მოიძიეთ ამდენი ახალი სიმღერა?

— ზოგი — ჩვენი ფოლკლორისტების წყალობით და ზოგიც — ჩვენ თვითონ, სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს. ამ რამდენიმე ხნის წინ ბატონმა მურთაზ ჯანჯღავამ მოგვისმინა, მოგვიწონა იშვიათი, ძალიან ლამაზი მეგრული „ნანა“ და თავადაც ძალზე საინტერესო მასალა მოგვაწოდა. ვცდილობთ, მივიწყებული სიმღერები ავაჟღეროთ და „გავახალხუროთ“. ასეთი საღამოები ამის საუკეთესო საშუალებას გვაძლევს.

გიორგი ჩიტაური, *მომღერალი:*

— თითქმის ყველა ხევსურულ საღამოზე მიმღერია. აუცილებელიც კია, ასეთი ღონისძიებები საქართველოს ყველა კუთხეში ტარდებოდეს. ჩვენ ხომ ქართული ცეკვა, სიმღერა და ლექსი გვაცოცხლებს!

— ბარემ ისიც მითხარი, როგორ გაგიცნო მსმენელმა. შენი რამდენიმე სიმღერა ძალიან პოპულარულია.

— ალბათ „გუდამაყრელს“ გულისხმობ. დეკანოზ თავმას ჩოხელის ეს ლექსი ძალიან მომეწონა. ვთხოვე ავტორს, რომ ჩემთვის ეჩუქებინა. მართლაც, დავწერეთ სიმღერა, მაგრამ მალევე საზღვარგარეთ წავედი და ამიტომ ჩემმა მეგობარმა, კახა მანგოშვილმა შეასრულა. პირველი ჩემი სიმღერა კი იყო — „ლექსებით აგიხსნი სიყვარულს“, რომელზეც კლიპიც გადავიღე და მსმენელს ძალიან მოეწონა. მანამდე კი „არტ-გენშიც“ ვმონაწილეობდი. ახლა საქართველოში ჩამოვედი; დაგეგმილი გვაქვს კონცერტები ბათუმსა და ქობულეთში, სხვათა შორის — საქველმოქმედო მიზნით. დუშეთისა და ხევსურეთის გასაყარზე XIII საუკუნის უმნიშვნელოვანესი ძეგლი — ფუძნარის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა და მის აღდგენას ხალხთან ერთად შევეცდებით.

ეკა ბაიაშვილი, *მომღერალი:*

— თიანეთიდან, ფშაველი გახლავართ. ბავშვობიდან ვმღერი. ერთი წელია, რაც მეგობრებთან ერთად, ანსამბლი „ფშავლები“ ჩამოვაყალიბეთ. „არტ-გენზე“ მიმღერია, მაგრამ ხევსურულ საღამოში პირველად ვმონაწილეობ. ხალხი მოწყურებულია ყველაფერ ქართულს, ქართულ სულისკვეთებას, ცეკვას, სიმღერას. ასე რომ არ იყოს, შეხედეთ — ამდენი ხალხი მოვიდოდა დღეს?!.

ხალხი კი მართლაც ბევრი იყო. ზოგმა, ადგილი რომ ვეღარ იპოვა, პირდაპირ სცენაზე მოიკალათა და ისე უგდებდა ყურს ანსამბლ „ანანურის“, ნინო ბაშარულის, თეა ფირცხელანის სიმღერებს; უსმენდა ერეკლე საღლიანისა და თემურ ჩალაბაშვილის ლექსებს; უყურებდა ხრიდოლის ძალზე საინტერესო და ვაჟკაცურ ნომრებს და დარწმუნებული ვარ, იმწუთას ყველა საკუთარი წარმომავლობით ამაყობდა... ■

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲥᲢᲘᲣᲠᲓᲔᲗ...“

„ᲐᲠᲢ-ᲒᲔᲜᲘ“ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ

„არტ-გენს“ რუსთავმა უმასპინძლა, რომელზეც ქალაქელების გარდა, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და მათი მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ მოიყარა თავი. მუნიციპალური თეატრის შენობის უკან დამონტაჟებულ სცენაზე დამსწრეთ წინაშე ფოლკლორული, ქორეოგრაფიული ანსამბლები (მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა შემოქმედებითი ჯგუფები) და შემსრულებლები წარდგნენ.

ᲔᲗᲝ ᲧᲝᲠᲦᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲠᲘ ᲥᲚᲔᲜᲢᲘ, *ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის — „დიდგორი“ (თეთრიწყარო) — ხელმძღვანელი:*

— 1 წელია, რაც ანსამბლი ჩამოყალიბდა. ასეთი ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად გამოვედით. გვაინტერესებდა, მაყურებელი როგორ შეგვაფასებდა. ჩვენი წინსვლა სწორედ მასზეა დამოკიდებული. 2 ცეკვა — „რაჭული“ და „ყაზბეგური“ წარმოვადგინეთ.

— თეთრიწყაროში ცხოვრობთ?

— არა, თბილისში. თეთრიწყაროში შაბათ-კვირას, გაკვეთილების ჩასატარებლად მივემგზავრები. ზამთარში ეს რთულია — გზები იყინება, მაგრამ ბავშვები ძალიან მონდომებულები არიან. თეთრიწყაროში ძალიან შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. უნდათ, რომ ყველაფერში წარმატებულები იყვნენ.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲐᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— ბოლნისის ცეკვის ანსამბლში ვუკრავ („გარმონზე“), მამაკაცთა სიმღერის ანსამბლში ვმღერი. გარდა ამისა, 5 თვეა, რაც ტრიო „სამება“ შეიქმნა. მისი წევრები ხალხურ საკრავებზე ვუკრავთ და ვმღერით. ჯგუფის წევრები კულტურის სახლში ვმუშაობთ. სიმღერის სიყვარულმა გაგვაერთიანა და უფრო შორს შევტოპეთ — „არტ-გენის“ მოსაწვევი მივიღეთ...

— ეს ფესტივალი ახალგაზრდებისათვის ქართული ტრადიციებისადმი ინტერესის გაღვივებას ემსახურება. ამ მხრივ, ბოლნისში როგორი სიტუაციაა?

— 15 წელიწადია, ბოლნისში ვცხოვრობ. იქ ხალხურ ცეკვას დიდი ტრადიცია აქვს, სიმღერას — არა. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, სიმღერის ანსამბლს ზაურ ხუჯაძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ მას მერე, ბოლნისში კარგა ხანს ხალხური სიმღერის გუნდი არ ყოფილა. ბავშვებთან მუშაობა მე დავიწყე. ახლა გუნდს ნინო დვალიშვილი ხელმძღვანელობს. უკვე შეიძლება ითქვას, რომ კარგი ბავშვების გასაზრდელად ნიადაგი მზადაა.

ᲯᲐᲛᲘᲚᲐ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲐ, *ანსამბლ „სარვანის“ ხელმძღვანელი:*

— ფესტივალზე აზერბაიჯანული და შერეული (ქართულ-აზერბაიჯანული) ცეკვები წარმოვადგინეთ. ჩვენს ბავშვებს ქართული ქორეოგრაფია ძალიან მოსწონთ. ამიტომ რეპერტუარში „მთიულური“, „აჭარული“ ცეკვებიც გვაქვს. გარდა ამისა, სტუმრებს ჩვენი ტრადიციული კერძების გასინჯვის საშუალებაც ჰქონდათ. მათ ფლავით, ხალვით, მაწვნის წვნიანით („დოვლა“) და ნამცხვრით („გასტამა“) ვუმასპინძლეთ. რა თქმა უნდა, სხვადასხვა სახის ჩაიც შევთავაზეთ.

— შეგიძლიათ, რომელიმე მარტივად მოსამზადებელი გემრიელი კერძის რეცეპტი მოგვაწოდოთ?

ᲜᲐᲖᲘᲙᲝ ᲙᲣᲠᲑᲐᲜᲝᲕᲘ, *აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრის თანამშრომელი:*

— ფლავის რეცეპტს გეტყვით: წყალს წამოადუღებთ, შემდეგ მარილს ჩაყრით, ოღონდ — ძალიან მლაშე არ უნდა იყოს; ლობიოს ცალკე მოხარშავთ. ადუღებულ წყალში ჯერ ბრინჯს ჩაყრით, მერე, ოდნავ რომ მოიხარშება, ლობიოს დაამატებთ; შემდეგ გაწურავთ (საწურით), ჯამში ჩაყრით და ზემოდან გამდნარ კარაქს მოასხამთ. დაახლოებით 15 წუთით გაზქურაზე დადგამთ, მერე კი თეფშზე გადმოიღებთ. გარგარის ჩირს ერბოში მოხრაკავთ და ფლავს ზემოდან მოაყრით. ძალიან გემრიელია!..

ᲡᲝᲡᲝ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ, *ჯგუფ „რეგიონის“ წევრი:*

— მესამე წელია, „არტ-გენში“ ვმონაწილეობთ. შარშან თბილისში გამოვედით. მიხარია, რომ წელს ფესტივალი რუსთავშიც ჩატარდა. ჩვენს ქალაქში ჯგუფი სცენაზე სრული შემადგენლობით გავედით.

— თქვენი ჯგუფი რეგის სტილის სიმღერებს არ ასრულებს?

— კი, მაგრამ რეპერტუარში რეგის სტილში გაკეთებული ტრადიციული სიმღერებიც გვაქვს.

— „რეგიონი“ რუსთაველი ბიჭებისაგან შედგება, ამიტომ გვითხარი — სხვა დროს ამ ქალაქში კულტურული ცხოვრება როგორია?

— სამწუხაროდ, კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია. რუსთავში არის რესურსი, რომ ბევრი კარგი ფესტივალი ჩატარდეს. ყველა უნდა გავაქტიურდეთ. ჩვენ ამისთვის მზად ვართ. სოლო კონცერტებიც გაგვიმართავს... ■



რისთვის იყო გამიზნული ქართველების ნოტა და ვის სასარგებლოდ მოქმედებს დრო?

„საქართველო მზად არის რუსეთთან დიალოგი აწარმოოს“, — ეს განცხადება საქართველოს მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ მას შემდეგ გააკეთა, რაც საგარეო უწყებამ რუსეთს ნოტა გაუგზავნა. როგორც კალანდაძე ამბობს, „გაეროს მართლმსაჯულების სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც დაადასტურა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დავის არსებობა, თუმცა მიუთითა მოდავე მხარეებს მოლაპარაკების დაწყების აუცილებლობაზე. შესაბამისად, ქართულმა მხარემ უკვე გადასცა რუსეთს ნოტა, რომლის საშუალებითაც მოსკოვს მოლაპარაკებისკენ მოუწოდა“. მისივე თქმით, „თბილისი იმედოვნებს, რომ რუსეთთან დავის მოგვარება დიალოგის ფორმატში განხორციელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა უფლებას იტოვებს სასამართლოს მიმართოს“. რა გავლენა შეიძლება იქონიოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე გაეროს მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ და როგორი შეიძლება იყოს მოსკოვის საპასუხო ნაბიჯი თბილისის ინიციატივაზე? — ამ კითხვებით, ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში, სოსო ციწიაძეს მივართეთ.

ნათუნა ბახტურიძე

— მართლმსაჯულების სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული შედეგის მოტანა ნამდვილად არ შეუძლია. ეს იყო ჟესტი გაეროს მხრიდან, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლი იქნება. გაერომ თავის ორ წევრ სახელმწიფოს — საქართველოსა და რუსეთს ახალი კონფლიქტის პრევენციის მიზნით დიალოგისკენ მოუწოდა. ისეთი ძლიერი ორგანიზაციისთვის, როგორიც გაეროა, ნამდვილად არ არის სასახელო, რომ მისი წევრები შეიარაღებულ კონფლიქტში იყვნენ ჩართულნი. სიმართლე გითხრათ, დიალოგის დაწყებას აზრი არც აქვს — რუსეთს დიალოგის ფინალად საქართველოს მიერ „ახალი რეალობის“ აღიარება (ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა) წარმოუდგენია, საქართველოს კი ქვეყნის დეოკუპაცია. ე.ი. საქართველო და რუსეთი თავიანთი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ვერასდროს შეთანხმდებიან.

— მაშინ საქართველოს მიერ რუსეთისთვის გაგზავნილი ნოტის მიზანი რა იყო?

— ნოტის გაგზავნით საქართველომ როგორც გაეროს, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც დაანახვა, რეალურად ვინ არის დიალოგისა და პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების წინააღმდეგი.

— როგორ გგონიათ, რუსეთის პასუხი ნოტაზე როგორი იქნება?

— რუსეთი ან საერთოდ არაფერს გვიპასუხებს, ან გამოვა კარასინი და იტყვის, — საქართველომ ჯერ ახალი რეალობა აღიაროს და მოლაპარაკებები მერე დავიწყოთო.

— რას იტყვით მამუკა არეშიძის ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც დევნილების დაბრუნების სანაცვლოდ, აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა ვაღიაროთ?

— ამ ადამიანს პიროვნულად ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მის აზრს — სეპარატისტული რეჟიმების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, არასერიოზულად მივიჩნევ. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მის ინიციატივას რუსები ტაშ-ფანდურით შეხვდნენ. შემიძლია წინასწარ გითხრათ, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ამბავს: ვაღიარებთ თუ არა აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მთელი ევროპა და ამერიკა დიდი ენთუზიაზმით მოგვბაძავს. სოხუმი 250 ათას დევნილს კი არა, 50 კაცსაც არ დააბრუნებს. რა, აფხაზებს ტყუილების თქმა არ სჩვევიათ თუ რა? სხვათა შორის, ძალიან კარგად მახსოვს ბაღაფშის სიტყვები, — 70 ათასი ქართველი უკვე ცხოვრობს ჩვენს ტერიტორიაზე და ერთიც აღარ დაემატებაო. შესაძლოა, ვინმემ მითხრას, — თუ აფხაზები თავიანთ სიტყვას არ შეასრულებენ და დევნილებს არ დააბრუნებენ, ჩვენ შეგვიძლია, დამოუკიდებლობის აღიარება უკან გამოვიწიოთო. კი, ბატონო, ნამდვილად შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ გარდა ამას არავინ გააკეთებს და შეგვრჩება ხელში ევროპისა და ამერიკის მიერ აღიარებული აფხაზეთი. ბატონი მამუკას გასაგონად ვიტყვი, — დიპლომატიას ასეთი ექსტრავაგანტური ინციდენტები არ უყვარს.

— თუ კონფლიქტურ რეგიონებში დღეს არსებული ვითარება დიდხანს გაგრძელდება, ამით მეტი პრობლემის წინაშე ხომ არ აღმოვჩნდებით? ექსპერტების ნაწილი იმასაც ამბობს, რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მოქმედებს...

— არავინ იცის, როგორი სიტუაცია იქნება 10 ან 15 წლის შემდეგ რუსეთში და ზოგადად, მსოფლიოში, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, სადამდე მიიყვანს რუსეთს კორუფცია, ლოთობა, ნარკომანია, ისლამიზაცია (რომელიც ამ ქვეყანაში ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს), დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა, ენერგომატარებლებზე ფასების დაცემა... ნავთობზე ფასის დაცემა გარდაუვალია, ამაზე უკვე რუსი სპეციალისტებიც ღიად ლაპარაკობენ.

— ეი. რუსეთის ჩამოშლას არხეინად უნდა ველოდოთ?

— რუსეთის ჩამოშლას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ მოვლენების ნებისმიერი სცენარით განვითარებისთვის უნდა ვიყოთ მზად. ერთ-ერთი სცენარი ისიც შეიძლება იყოს, რომ აფხაზებს ადრე თუ გვიან, რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ყელში ამოუვიდეთ და ხმა ამოიღონ. სულ რამდენიმე დღის წინ, აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში — აძვიბჟაში აფხაზებმა რუსები ფეხზე დაიკიდეს და თავიანთი საგუშაგო გახსნეს. სამწუხაროდ, საქართველოში მეცნიერულ დონეზე არ სწავლობენ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები რუსეთსა თუ აფხაზეთში, ამიტომ ბევრმა არ იცის, რა საფრთხეების წინაშე დგას ერთიც და მეორეც; ისიც საკითხავია, დრო საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს თუ სასარგებლოდ... ■

უთავმოყვარეო საზოგადოება, უუნარო ოპოზიცია და გულგრილი ხელისუფლება

„ამ ხნის კაცი ვარ და ასეთს არაფერს შევსწრებივარ; ხალხი დაბეჩავდა... ადამიანის არსებობას მაშინ აქვს აზრი, როდესაც თავისუფალია, იბრძვის, არჩევანის უფლებამოსილება აქვს და იცის, ვისი გორისაა, საიდან მოდის და სად მიდის“, — ამბობს ვ.ანსულ ჩარკვიანი. მისი აზრით, დღეს საქართველოში არის საზოგადოება, რომელსაც თავმოყვარეობა არა აქვს, ოპოზიცია, რომელსაც არაფერი შეუძლია და ხელისუფლება, რომელსაც ქვეყანა და ხალხი ფეხებზე ჰკიდია...

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ვ.ანსულ, ამბობთ, — ასეთს არაფერს შევსწრებივარო. კომუნისტური რეჟიმის დროს ჩვენს ქვეყანაში უკეთესი ვითარება იყო?

— დიახ, უკეთესი იყო. იცით, რატომ? მე და ჩემი თაობა თავისუფლებისთვის ვიბრძოდით. ეეე, ჯერ კიდევ როდის ვწერდი: „ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის,/ ტყვია მიზანში მოსახვედრია,/ თავისუფლება მისით არ მოდის,/ თავისუფლება ლომთა ხვედრია/“. მე რომ ამას ვწერდი, ვიღაცებს მაშინაც ეშინოდათ, მაგრამ ისეთებიც მრავლად ვიყავით, რომელთაც არაფრის გვეშინოდა. თავისუფლები არ ვიყავით, მაგრამ ამის მოსაპოვებლად ვიბრძოდით. დღეს არც თავისუფლება გვაქვს და არც მისი მოპოვების სურვილი.

— თავისუფალი რომ არ იყოთ, ახლა ამ ყველაფერს ხომ ვერ იტყოდით?..

— „კავკასიის“, „მაესტროსა“ და ერთი-ორი თავისუფალი გაზეთის საშუალებით ჩემს სათქმელს თუ ვიტყვი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიაა. იმაზე რას იტყვით, დანარჩენი ტელევიზიები (რომლებიც „კავკასიისა“ და „მაესტროსგან“ განსხვავებით, მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობენ) ხელისუფლების რუპორებად რომ არიან ქცეულნი?!. სოფლებისა და რაიონების მოსახლეობა „მიშას საქართველოში“ ცხოვრობს. ხალხი აზრზეც კი არ არის, ქვეყანაში რა ხდება. სხვათა შორის, არც თბილისში გვარგებენ მაინცდამაინც თავისუფლებას: თქვენ რომ ცენზურის გარეშე აშუქებდით ყველაფერს, იმიტომაც შემოგივარდათ შემოსავლების სამსახური ოფისში. რა მაინტერესებს, იცით? ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით რუსეთის ლანძღვა-გინებაში რომ არის, ასე გულმოდგინებით რატომ ჰბაძავს რუსეთს დიქტატორული რეჟიმის დამყარებით?! სააკაშვილის გუნდი თუ მართლა პროდასავლური კურსის მატარებელია, რატომ არ ცდილობს, ქვეყანაში ისეთივე დემოკრატია დაამყაროს, როგორიც ამერიკასა და ევროპაშია?!. ისე, თავად მმართველი ძალა კი არის თავისუფალი — რასაც უნდა, იმას სჩადის და პასუხის მომთხოვნი არავინ ჰყავს. რამდენიმე კვირის წინ პრეზიდენტი სვანეთში ავიდა და „იგრიალა“, მაგრამ ერთ სვანსაც კი არ უთქვამს საყვედური, — კოდორის ხეობა რატომ დაგვიკარგეო?! ეს ყველაფერი იმიტომ კი არ ხდება, რომ მიშა არის მაგარი, — უბრალოდ, ხალხია დაუნი. ყველას — არა, მაგრამ უმრავლესობას ნამდვილად ვგულისხმობ. შეიძლება, ცოცხალ ადამიანს თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილი არ ჰქონდეს?! ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ისიც არის, რომ ერთობა არა გვაქვს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, ზუგდიდელებსა და თბილისელებს ერთმანეთი თვალში რომ არ მოსდით, გურჯაანელები და თელაველებიც კი ველარ იტანენ ერთმანეთს. ქიზიყელს რომ უთხრა, კახელი ხარო, ეწყინება. იმერლები ქვემოურებად და ზემოურებად არიან დაყოფილნი. ზოგჯერ მიკვირს, ამხელა სიძულვილს როგორ იტევს ერთი ბეწო საქართველო?! იცით, რატომ არის ხელისუფლება ასე გათავხედებული? „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ პრინციპით ვცხოვრობთ: თუ შენ არ შემოგიცვივდნენ სახლში, შენ არ დაგარბიეს და შენი შვილი არ მოკლეს, ხმასაც არ ამოიღებ; სხვისი პრობლემა საერთოდ არ განაღვლებს. თავის დროზე შემოგვძახეს კიდეც, — ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველოო... პოეტი ქვეყანას მაშინ შეუძახებს, როდესაც ერს აზროვნებაში გაუჭირდება. თუმცა ამ შემოძახილს, სამწუხაროდ, ყოველთვის არ მოაქვს შედეგი. იცით, სააკაშვილის ხელისუფლებამ ოპოზიციას რითი აჯობა? გაერთიანება მოახერხა.

— კი, მაგრამ ხელისუფლებაში ერთი მრწამსისა და იდეოლოგიის ხალხია თავმოყრილი, ოპოზი-

ცია კი ჭრელია და ყველა პარტიას ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვა აქვს.

— არც მასეა საქმე. „ნაციონალები“ ერთმანეთს დასანახავადაც კი ვერ იტანდნენ, — უბრალოდ, ერთი მიზნისთვის გაერთიანდნენ. ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ ერთი ლიდერი ვერ აირჩიეს.

ვერ გახდა ალასანია ლიდერი?

— იმიტომ, რომ დიპლომატია და დედას არ იგინება. ქართველებს ემოციური ლიდერები უფრო მოგვწონს, რომლებიც იმუქრებიან, იგინებიან და საზოგადოებას რადიკალიზმისკენ მოუწოდებენ... არადა, ალასანია ხელისუფლების წინაშე ყველა იმ მოთხოვნას აყენებს, რომელსაც — რადიკალი

იცით, საა?აშვილის ხელისუფლებამ ოპოზიციას რითი აჯობა? გაერთიანება მოახერხა

— თქვენ თუ ხედავთ ოპოზიციაში ასეთ ადამიანს?

— კი, ვხედავ — ეს ირაკლი ალასანიაა. ამ პიროვნების ყოველთვის მჯეროდა და პატივს ვცემდი. როდესაც ირაკლი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ძალიან ბევრ საქმეს აკეთებდა. ერთადერთი იყო, ვინც აფხაზებთან საერთო ენის გამონახვას ახერხებდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ მამამისი გმირულად დაეცა აფხაზეთში, ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც შარტავა მარტო არ დატოვა.

— როგორ ფიქრობთ — რატომ ოპოზიციონერები, — უბრალოდ, ირაკლი უფრო გაწონასწორებული და დიპლომატიურია.

— ხალხის მხარდაჭერა ვერც რადიკალმა ოპოზიციონერებმა მოიპოვეს...

— ამის მიზეზი ის არის, რომ მათაც ბევრი შეცდომა დაუშვეს. ისეთ საქმეს შეეჭიდნენ, რასაც ვერ მოერეოდნენ. 2007 წელს 300 ათასი კაცი გამოიყვანეს ქუჩაში, მაგრამ ვერაფერი გააკეთეს. ხალხს აქეთ უსაყვედურეს, — სად იყავით აქამდეო?!. ხალხთანაც მაქვს სასაყვედურო: ასე უცებ ხელი არ უნდა ჩაექნიათ და ბრძოლა არ უნდა შეეწყვიტათ. ერთ დღეში დიდი საქმეები არ კეთდება. იმ უსამართლობასა და სიღატაკეს, რომელიც ქვეყანაშია, თავმოყვარე კაცი არ უნდა ეგუებოდეს. დღეს მოსახლეობის 70% შიმშილის ზღვარზეა. დარწმუნებული ვარ, მათ არც ღირსეულ ხელფასს მისცემენ და არც პენსიას მოუმატებენ. ხელისუფლებას ქვეყანაში სოციალური პრობლემის გამოსწორება არ აძლევს ხელს, რადგან კარგად იცის, რომ ღარიბი კაცი ადვილი სამართავია.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— არჩევნებზე მოსახლეობის 80-90% მაინც უნდა მივიდეს და საკუთარი ხმების დასაცავად იბრძოლოს. მთელი ერი უნდა აღდგეს უსამართლობის წინააღმდეგ. რამდენიმე ასეული კაცის ინტერესს ხელისუფლება არ გაითვალისწინებს; თუ მათი ქმედებით ძალიან შეწუხდება, დაარბევს, მოკლავს, დაიჭერს... არც ის არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის გუნდი მოსახლეობის დიდ ნაწილსაც დაუპირისპირდეს, მაგრამ ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. ესენი ისე არ წავლენ, თუ არ „ისროლეს“. უკან დახევა და დათმობა მხოლოდ ვაჟკაცებს შეუძლიათ... ■

დასაწყისი იხ. გვ. 10

— სწორი რეაქციაა — მეც გამიკვირდა, როდესაც ეს წინადადება პირველად მოვისმინე. მერე ხიზანიშვილმა განგვიმარტა, რომ როდესაც ბინაში მეტალოპლასტმასის ფანჯრებია, სითბო ადვილად გროვდება და გასათბობად ბევრი ელექტროენერგიის დახარჯვა საჭირო აღარ არის... საკრებულოს უმცირესობის წარმომადგენლებმა ამ კანონპროექტს მხარი არ დავუჭირეთ და ძალიან ბევრი ვაპროტესტეთ, მაგრამ რას ვიზამდით — ჩვენ მხოლოდ 11 კაცით ვართ წარმოდგენილი. ერთადერთი ახლა ისღა შეგვიძლია, რომ ეს ამბავი სასამართლოში გავასაჩივროთ. ვნახოთ, იქნებ იქ მაინც მივაღწიოთ სამართალს.

— რაც შეეხება წყლის მრიცხველების დამონტაჟებას: რატომ არის მოქალაქე ვალდებული, რომ თავად გადაიხადოს მრიცხველის საფასური, თანაც — 100-ლარიანი? მისი უფრო იაფად ყიდვაც ხომ შეიძლება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. ეს მრიცხველები სინამდვილეში, ძალიან იაფია. ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია მათ შესახებ და ვნახე, რომ მრიცხველის საშუალო ფასი — 20-დან 40 ლარამდე მერყეობს. უფრო მეტსაც გეტყვით: სახელმწიფოსა და „ჯორჯიან ვოთერ ენდ კომპანის“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში ნახსენებიც არ არის, რომ გამრიცხველიანების საფასური მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს. კომპანიამ ასეთი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო.

— ასეთ ვითარებაში მოსახლეობას ხომ შეუძლია, უბრალოდ არ გადაიხადოს მრიცხველის საფასური?

— არ ვიცი, ამას შედეგად რა შეიძლება მოჰყვეს. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის დამსჯელ ღონისძიებას ვერავინ გაატარებს, იმიტომ, რომ კომპანიის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ გამრიცხველიანებამ არ უნდა მიაყენოს მომხმარებელს დამატებითი ხარჯი. იმედი მაქვს, ხელისუფლება ამჯერად მაინც გამოიჩენს გონიერებას და ხალხს კიდევ უფრო მაგრად არ მოუჭერს კისერში წაჭერილ მარწუხს, თორემ ეს ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებს, — ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფიალაც ივსება. 2010 წლის შემდეგ, მერია და საკრებულოს უმრავლესობა თითქმის ყოველ სხდომაზე ზრდიან გადასახადებს: გაიზარდა ავტომანქანების პარკირების გადასახადი, გაძვირდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა; თავის დროზე, დასუფთავების ტარიფი გაორმაგეს; გაზარდეს მიწის გადასახადი... არც კი ვიცი, ეს როდემდე გაგრძელდება. ■

სადისტური მკვლელობის დეტალები

თეა ხურცილავა

ბორჯომის მცხოვრებლები და სამართალდამცველები ორი თვის მანძილზე ეძებდნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულ, 26 წლის სულიკო აიწურაძეს. ახალგაზრდა ბიჭი 18 აპრილს გაქრა და მის ადგილსამყოფელს ვერსად მიაგნეს. 22 ივნისს, შს სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 36 წლის ლევან გოგოლაძე დააკავეს. გაირკვა, რომ სოფელ საკირეში მცხოვრები სულიკო აიწურაძე სადისტურად იყო მოკლული. დაკავებულმა მკვლელის ვინაობა დაასახელა და საკუთარი ბიძაშვილი, 1969 წელს დაბადებული ჯამბულად გოგოლაძე დანაშაულში ამხილა.

სამართალდამცველებმა მკვლელის დაკავება ვეღარ შეძლეს, რადგან პოლიციის მისვლამდე მან თავის საცხოვრებელ სახლში თავი ჩამოიხრჩო. აიწურაძეების ოჯახის წევრები რას წარმოიდგენდნენ, თუ მათ შვილს თანასოფლელი, 42 წლის ჯამბულად გოგოლაძე ასე სადისტურად გაუსწორდებოდა?! მკვლელობის ირგვლივ გავრცელებულმა ინფორმაციამ მთელი საზოგადოება შეძრა. სამწუხაროდ, აიწურაძეებს მოკლული შვილის ცხედრის ნახვაც არ ეღირსათ.

როგორც ირკვევა, ჯამბულად გოგოლაძეს აიწურაძის და უყვარდა. ის ცოლს გაეყარა და სულიკოს დაზე დაქორწინება სურდა, რომელიც სამუშაოდ საბერძნეთში იყო წასული. ჯამბულადი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ შეყვარებული საქართველოში დაებრუნებინა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ შეძლო. მიზანს ამ გზით რომ ვერ მიაღწია, შანტაჟზე გადავიდა: გოგოს ძმასა და მამას მასზე ცუდი ინფორმაციის შემცველ წერილებს სწერდა. აიწურაძეების ახლობლების თქმით, ამით სურდა, ოჯახი გაეღიზიანებინა, რათა მათ შვილისთვის სამშობლოში დაბრუნება მოეთხოვათ. ბუნებრივია, სულიკო ყველანაირად ცდილობდა, მესიჯების გამომგზავნის ვინაობა დაედგინა; ამ მიზანს მიაღწია და თანასოფლელთან სიტუაციაში გარკვევას შეეცადა.

18 აპრილს ჯამბულად გოგოლაძე და სულიკო აიწურაძე ერთმანეთს შეხვდნენ. გოგოლაძეს თან ახლდა ბიძაშვილი, 36 წლის ლევან გოგოლაძე. ბორჯომის რაიონის სოფელ დვირში მათ შორის დაწყებული შელაპარაკება, საბედისწერო შედეგით დასრულდა. ჯამბულად გოგოლაძემ სულიკო აიწურაძეს ჯერ მრავალი ჭრილობა მიაყენა, მერე ყელი გამოსჭრა; შემდეგ, კვალის წაშლაც სცადა — ცხედარი მანქანის

უკანა სავარძელზე მოათავსა და მკვლელობის ადგილიდან 25 კილომეტრის მოშორებით, უკაცრიელ ადგილას დაწვა, ფერფლი კი წყალს გაატანა.

მკვლელობის შემზარავ დეტალებს ასე იხსენებს ბრალდებული **ლევან გოგოლაძე** (სტილი დაცულია):

„18 აპრილს ჩემმა ბიძაშვილმა, ჯამბულადმა თავისი „მერსედესით“ წამიყვანა და სულიკო აიწურაძეს შეხვდა. ისიც ჩაისვა მანქანაში და მოტყუებით, სოფელ დვირის ეკლესიისკენ წაიყვანა. მე მანქანაში ვიჯექი. ისინი შელაპარაკდნენ. ჩხუბის დროს დავინახე, ჯამბულადმა უცებ სულიკოს დანა ყელთან ახლოს ორჯერ რომ მოუქნია და მას სისხლი წამოუვიდა. მანქანიდან გადმოვხტი, მათკენ წავედი, მაგრამ ამის შემხედვარე შიშმა და კანკალმა ამიტანა. სიარული ვერ შევძელი, წავფორთხიალდი და წავიქეცი. უცებ მხარში მეტაკა ჯამბულადი და მითხრა, — ახლავე მანქანაში ჩაჯექი, თორემ შენც მოგკლავო! ისეთი შეშინებული ვიყავი და თან მას ისეთი სახე ჰქონდა, მივხვდი, ამის გამკეთებელი რომ იყო. ლამის ჭკუიდან შევიშალე. უკან მივბრუნდი და მანქანაში ჩავჯექი... მოკლულს მარჯვენა მხარეს, მძღოლის „სიდენიის“ უკან თავი ჩააყოფინა. სულიკო ცოცხალი აღარ იყო, დავინახე, ერთხელ ხელი რომ აიქნია, მერე აღარ სუნთქავდა. საჭესთან ჯამბულადი დაჯდა და ხაშურისკენ წავიდა. კერძოდ, ცხრამუხის ტერიტორიაზე, მტკვრის ნაპირას მივედით. ეტყობა, ისეთ ადგილს ეძებდა, სადაც გვამის მოშორებას მოახერხებდა. ერთ ადგილას საბურავები ეყარა და მანქანა იქ გააჩერა. მითხრა, — გადმოდი, გვამი გადამატანინეო. ვუთხარი, — მეშინია, გვამს ხელს ვერ მოვკიდებ, ძალა არ მაქვსმეთქი. — კარგი, მაშინ იყავიო. მანქანიდან გვამი გადმოაგორა, მერე მანქანა 10 მეტრის მოშორებით დააყენა. ორი დიდი საბურავი ერთმანეთზე დაადო და გვამი შიგნით ჩააგდო. ზემოდან კიდევ საბურავი და თავისი ქურთუკი დაადო, რომელიც მანქანაში ჰქონდა მოკლულისთვის გადაფარებული. საბარგულიდან ბენზინი ამოიღო, სამი ლიტრი იქნებოდა, ზემოთ დაასხა და ცხედარს ცეცხლი წაუკიდა... მერე მანქანა მოატრიალა და ისევ ბორჯომში წავედით“.

ძალოვნებმა სისხლის სამართლის საქმე 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) აღძრეს, რაც 17 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

დაკავებულ ლევან გოგოლაძეს წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა. იგი შემთხვევის ადგილზე გაიყვანეს და დეტალურად აღწერა ვითარება, მკვლელობის და ცხედრის დაწვის ადგილიც მიუთითა. ძალოვნებს დანაშაულის კვალი იქ მართლაც დახვდათ. კრიმინალისტებმა მოკლულის გადარჩენილი ძვლის ნაწილები აღმოაჩინეს და მას ექსპერტიზა ჩაუტარდა, რის შემდეგაც, ნეშტის ნაწილები ოჯახს გადაეცა.

ამ შემზარავი მკვლელობის ირგვლივ გამოძიება გრძელდება. დაკავებული მკვლელობაში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს, ირწმუნება, რომ ამ დანაშაულში არანაირი წვლილი არ მიუძღვის და ყველაფერი მისმა ბიძაშვილმა მარტომ ჩაიდინა. ვნახოთ, გამოძიებით რა გაირკვევა. სავარაუდოდ, მას მკვლელობის თანამონაწილეობისა და დანაშაულის დაფარვისთვის გაასამართლებენ. ■

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

სახე

ზურა ხაჩიძის ჰოლანდიური ცხოვრება

და განახლებული „ქუჩის ბიჭების“ მუსიკალური გეგმები

წლების წინ პოპულარული მუსიკალური ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ კვლავ შეიკრიბა. მალე გულშემატკივრებს კონცერტითაც უმასპინძლებს. თუ რა გახდა „ქუჩის ბიჭების“ აღდგენის მიზეზი და სავარაუდოდ, რამდენ ხანს გაგრძელდება, ამის შესახებ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს — ზურა ხაჩიძეს ვესაუბრე, რომელიც ძირითადად ჰოლანდიაში ცხოვრობს და საფეხბურთო სფეროში გარკვევას ცდილობს. ჯგუფის სხვა წევრების მსგავსად, ამჟამად ზურა საქართველოშია და აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა.

ეთო ყორლანაშვილი

— ერთმანეთი, სიმღერა, მსმენელებთან სიახლოვე მოგვენატრა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ 5 წლის განმავლობაში პიკასო ჩვენი ჯგუფის წევრი არ იყო. ახლა ძველი შემადგენლობით დავბრუნდით. აქვე აღვნიშნავ, რომ პაატა ცეცხლაძეც ჩვენთან ერთადაა — „ქუჩის ბიჭები“ უკვე ხუთნი ვართ. გულშემატკივრები ინტერნეტით ხშირად გვეკონტაქტებიან და გვთხოვენ, რომ რამდენიმე სიმღერა მაინც ჩავწეროთ. მათი აზრი გავითვალისწინეთ. ამ ეტაპზე, 3-4 სიმღერას ჩავწერთ. ვნახოთ, მსმენელი როგორ მიგვიღებს.

— „ქუჩის ბიჭების“ შეკრების ინიციატორი ვინ იყო?

— ამის სურვილი ყველას გვქონდა. მე და გურამიკომ ამ იდეის რეალიზება ვიკისრეთ. ჩვენივე ფინანსებითა და „ქუჩის ბიჭების“ ყველა წევრის დიდი სურვილით, აქტიური მუშაობა დავიწყეთ. 4 სიმღერას ჩავწერთ და 2 კლიპს გადავიღებთ.

— ჯგუფის აღდგენასთან დაკავშირებით, რომელიმე წევრის დაყოლიება ხომ არ გაგიჭირდათ?

— არა, პირიქით. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ირაკლიმ თქვა, რომ დაბრუნდებოდა. ასე რომ, ყველაფერი ნათელი იყო. გავიდა დრო, წარსულში არსებული წყენა დავივიწყეთ... ყველაზე კარგია, როცა ადამიანები საერთო ენას პოულობენ. პირდაპირ ვერ გეტყვით, რომ ეს შეკრება ხანგრძლივია, თუმცა ჯგუფის პოზიცია დაფიქსირდება: ჩვენ ერთად ვართ. შეუძლიათ, კონცერტი ნებისმიერ ქალაქში შეგვიკვეთონ. ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 8 ივლისს კლუბ „სითიში“ პირველი კონცერტი გვექნება. ჩვენს ყველა თაყვანისმცემელს ვეპატიჟებით. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ბილეთის ფასი მაღალი არ ყოფილიყო.

— კონცერტის წინ როგორ განწყობილებაზე ხართ?

— ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ეს სასიამოვნო პასუხისმგებლობაა, რადგან დიდი ხანია, სცენაზე არ ვმდგარვართ. ჩვენი ეს ნაბიჯი ერთგვარი საზომი იქნება: ვნახოთ, რა შედეგს მივიღებთ. ვერ ვიტყვი, რომ „ქუჩის ბიჭების“ სი-დი მილიონობით გაიყიდება, მაგრამ სამომავლოდ სიმღერების ჩასაწერად სტიმულს მოგვცემს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

— მაყურებლების წინაშე რა რეპერტუარით წარდგებით?

— ჩვენი 5 ალბომიდან ძველ ჰიტებს, დუეტებს შევასრულებთ, ჩვენი მეგობრებიც იმღერებენ...

— დღეს თითქოს ბევრი მომღერალი მუშაობს, მაგრამ მსმენელების, მაყურებლების ყურადღების მიქცევა რთულია. თქვენ ამის გაკეთებას როგორ აპირებთ?

— ახალი სიტყვით, ახალი მიმართულებით, რომლისკენაც მთელი მსოფლიოს ყურადღებაა მიპყრობილი. ამ სიმღერებზე ყველა თაობის წარმომადგენელი გაერთობა, მხოლოდ თინეიჯერებისთვის არ ვიმღერებთ. ჩვენი რეპერტუარი ქართული ფოლკლორის მოყვარულთათვისაც იქნება გათვლილი.

— თავის დროზე „ქუჩის ბიჭების“ დაშლის მიზეზი მისი წევრე-

ხათუნას ყურადღების ძირითადი ობიექტი პაგარა ანასგასიაა

ბის ამბიციურობაც ხომ არ გახდა?

— არა. ჩვენ უსახსრობის, „უკონცერტობის“ და „უყველაფრობის“ პერიოდში დავიშალეთ. 2006 წლიდან, ქვეყანაში ძალიან რთული მდგომარეობა იყო: კონცერტები არ ტარდებოდა და არც ერთი მუსიკალური ტელეარხი არ არსებობდა. ტელევიზიები პოლიტიკური ტოქშოუებით იყო დაკავებული. მომღერლის პროფესია ტელევიზიაზეა დამოკიდებული: საზოგადოებას კლიპს ეთერით თუ არ მიაწვდი, აქტუალურობას დაკარგავს. დღეს პოპულარულია ვიდეოების ინტერნეტიდან „გადმოქაჩვა“. ამ მხრივ კანონი ძალიან ლიბერალურია და მომღერლის პროდუქტს ვერ იცავს. შესაბამისად, პროდუქტი არ იყიდება, შემსრულებელი კი სიმღერას ვეღარ წერს... იძულებული ვიყავით, შემოქმედებითი პაუზა აგვეღო.

„ანასტასია ხაჩიძის მამა“ გავხდი

— მახსოვს, „ქუჩის ბიჭები“ ჯერ კიდევ არსებობდა, როცა ჯგუფის წევრებმა სოლო სიმღერები ჩაწერეთ.

— უბრალოდ, ასეთი პროექტი იყო. უცხოეთში ამას ყველა აკეთებს. ჯგუფის დაშლა ამ ფაქტმა არ განაპირობა. გვინდოდა, ინდივიდუალური მუსიკალური შესაძლებლობები წარმოგვეჩინა.

— ბოლო წლების განმავლობაში, ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ძმაკაცები, ერთმანეთის ნათესავები ვართ. მართალია, ირაკლი თავის დროზე ჯგუფიდან წავიდა, მაგრამ ურთიერთობა მასთანაც არ გაგვიწყვეტია.

— წელან წყენა ახსენე...

— ცხადია, როცა საქმე კეთდება, იქ აზრთა სხვადასხვაობაა.

— მაგრამ ჯგუფში საქმე აღარ კეთდებოდა.

— ირაკლის წასვლის შემდეგ, კიდევ ვმუშაობდით. ერთმანეთთან პრობლემები არ გვქონია. ბოლო 5 წლის განმავლობაში სოლო სიმღერები ჩავწერეთ. პირადად მე, შემოქმედებითად არ გავჩერებულვარ — რაღაც პროექტებში ვმონაწილეობდი, თუმცა იყო პერიოდი, როცა ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო, გარკვეულ გადაცემებში ჩემს გამოჩენას კრძალავდნენ. მას შემდეგ, რაც შევიკრიბეთ, ვერ ვიტყვი, რომ სადმე რაიმე პრობლემას ვაწყდებით. ჩვენ მიმართ ტელევიზიების მხრიდან დიდი ინტერესია, მაგრამ ვიდრე გადაღებებს არ დავასრულებთ, მაქსიმალურად ვცდილობთ, ეკრანზე არ გამოვჩნდეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ვჩანვართ (*იღიმის*).

— ზურა, ამ ხნის განმავლობაში, სიმღერის გარდა, რას საქმიანობდი?

— მოგეხსენებათ, ჩემმა ცოლისძმამ არნემის „ვიტესი“ (საფეხბურთო კლუბი ჰოლანდიაში) იყიდა. მას მაქსიმალურად ვეხმარები, მხარში ვუდგავარ. გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშობს. ამიტომ ძალიან ბევრი საქმეა. ჰოლანდიაში ოჯახთან ერთად ვცხოვრობ. პერიოდულად, საქართველოში მოვემგზავრებით.

— ნინიც თქვენთან ერთად არის ხოლმე?

— ის ინგლისში სწავლობს.

— როგორც თავის დროზე ნინისთან, პატარა ანასტასიასთანაც ხომ არ აპირებთ დუეტის ჩაწერას?

— ამჟამად დუეტს არ ვგეგმავ. მაგრამ ანასტასიამ საკუთარი თავი ისე წარმოაჩინა, რომ ჩვენი ჯგუფი მსგავსი რამისთვის მთელი 17 წელი „ჩალიჩობდა“: წუთნახევრის განმავლობაში იმღერა და მას შემდეგ, არც „ქუჩის ბიჭების“, არც რომელიმე პოლიტიკური მოძრაობის წევრი „არ ვყოფილვარ“ — „ანასტასია ხაჩიძის მამა“ გავხდი (*იცინის*)... ეს იმის საფუძველს არ მაძლევს, რომ მივიჩნიო — ანასტასიას შემთხვევაში, ყველაფერი მოგვარებულია; მას აღზრდა სჭირდება. ამაში მეც და ხათუნაც ვმონაწილეობთ. ასევე — ნინიც, მეგობრებიც... მინდა, ქვეყნისთვის სასახელო ადამიანი გაიზარდოს. ხალხის სიყვარული მოპოვებული აქვს. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. უკვე დისკომფორტს აწყდება: ყველგან ცნობენ და ეფერებიან. არ მინდა, რომ ბავშვობიდანვე ასე გათამამებული იყოს.

— ყურადღების ცენტრში ყოფნა თავად არ სიამოვნებს?

— ვერ ვიტყვი, რომ სიამოვნებს. როცა ბავშვი ყურადღების ცენტრშია, ის დიდ ტვირთს იკიდებს. ამას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ვამბობ. თავდაპირველად, როცა პოპულარული გავხდი, ამან ძალიან დამაბრკოლა — ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენას გავურბოდი. მაშინ 17 წლის ვიყავი და ვერ ვუძლებდი. ანასტასია კი ჯერ მხოლოდ 4 წლის ბავშვია. რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს მადლობას ვუხდი, ვისაც ანასტასია უყვარს და აფასებს. ჩემი შვილის წარმატება ყველაზე მეტად მე გამახარებს. ცხოვრების რომელ გზასაც დაადგება, მეც და ხათუნაც მხარში ამოვუდგებით.

— გოგონები ერთმანეთზე კიდევ ეჭვიანობენ?

— ნინი ეჭვიანობს. ანასტასიას გაჩენის შემდეგ, ხათუნას ყურადღების ძირითადი ობიექტი პატარა ანასტასიაა. ნინი ამას შეეგუა. ანასტასია სიგიჟემდე უყვარს. ის ძალიან კარგად აღზრდილი, არაჩვეულებრივი ადამიანია.

რადგან ოჯახის წევრი ვარ, ჩემ მიმართ ნდობის ხარისხი მაღალია

— ჰოლანდიაში როგორ ცხოვრობ? იქაურ შოუბიზნესში ძალების მოსინჯვას ხომ არ აპირებ?

— ჯერჯერობით — არა, მაგრამ აუცილებლად მოვსინჯავ. უპირველეს ყოვლისა, ვეცდები, რომ ჯგუფის პროდუქცია იქაურ პროდიუსერებს მივაწოდო; თუ ეს არ გამოვა, რომელიმე ჰოლანდიელ მუსიკოსთან ერთად მომზადებულ ნამუშევარს შევთავაზებ.

— იქაურ შოუბიზნესში როგორი სიტუაციაა?

— რა თქმა უნდა, მაღალი დონეა.

ჰოლანდია წყნარი, მშვიდი ქვეყანაა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ადამიანის უფლებებს დიდ პატივს სცემენ და კანონს იცავენ... სხვადასხვა გასართობ ცენტრში, კლუბში დავდივარ, იქაურ მუსიკას ვეცნობი... ჩემს ძირითად საქმიანობას რაც შეეხება, გუნდს თამაშებზე დავყვები, ვგულშემატკივრობ და ვეხმარები, როგორც შემიძლია.

— რა ფუნქცია გაკისრია?

— ბევრ სიტუაციაში საჭირო ვარ: რადგან ოჯახის წევრი ვარ, ჩემ მიმართ ნდობის ხარისხი მაღალია. ჩემი ფუნქციაა სტუმრების მიღება, გაცილება... ხანდახან მერაბსაც დავყვები მოლაპარაკებაზე. ვერ ვიტყვი, რომ იქ მნიშვნელოვან როლს ვასრულებ, მაგრამ ეს სფერო ჩემთვის საინტერესოა. ფეხბურთი ძალიან მიყვარს. მოგეხსენებათ, ჰოლანდიაში სპორტის ეს სახეობა მაღალ დონეზეა განვითარებული. რაღაცების შესწავლის შემდეგ ოფიციალურად დავიწყებ მუშაობას. ამჟამად, მერაბ ჟორდანიას ვუდგავარ მხარში, როგორც შემიძლია — ესაა ჩემი „თანამდებობა“ (*იღიმის*)...

— წელან საუბრისას, საავტორო უფლებების დარღვევა ახსენე. „ქუჩის ბიჭები“ ახლა ამისგან დაცულია?

— არა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოება დღეს ძალიან გაჭირვებულია, რაც მუსიკოსს პირდაპირ „ურტყამს“. როცა ადამიანს შია, სანახაობით ნაკლებად ინტერესდება. საზოგადოების დასაქმებაზე ვართ დამოკიდებული. ამიტომ ვთქვი, რომ ძალიან დიდი იმედი არ მაქვს. თუ ადამიანებს შემოსავალი ექნებათ, კონცერტებზე დასასწრებად, შვილებსაც გაუშვებენ, თვითონაც ივლიან, მუსიკალურ დისკსაც იყიდიან და მომღერლის შემოსავალიც გაიზრდება. კანონიც შეიცვლება და სახელმწიფო იმ თანხას არ დაკარგავს, რომელიც არალეგალური გზით მიედინება — მაგალითად, „პირატული“ დისკების სახით. მკითხველი უკეთ რომ გავარკვიო ამ საკითხში, უხეშად დავიანგარიშებ: საქართველო პატარა ქვეყანაა. 1 თვეში ყველა რეგიონს მოივლი და კონცერტებს ჩაატარებ. უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება, შემოსავალი 30 ათასი დოლარი იყოს. წელიწადში 1 სი-დი რომ გამოუშვა, გაყიდვიდან შემოსული თანხა დაახლოებით 30 ათასი ლარი იქნება. 5 ადამიანისათვის 60.000-ლარიანი შემოსავლით (წელიწადში) ოჯახის რჩენა, სიმღერების ჩაწერა, კლიპების გადაღება — რთულია. ასეთი სიტუაცია რომ არ იყოს, მერწმუნეთ, პირადად ჩემთვის არც ერთი სხვა პროფესია მიმზიდველი არ იქნებოდა...

■

„უნივერსიტეტში ნამომაძახებენ ხოლმე — ვინ არის აქ ქალიშვილი?“

სერიალ „დეტექტივების“ მეორე სეზონის გადაღებები დასრულდა. სამოდელო სფეროში 6-თვიანი პაუზის შემდეგ, „დეტექტივების რისკიანი თანაშემწე“ — კატო დედაბრიშვილი მოდელობის გაგრძელებას აპირებს და ვიდრე დასასვენებლად გაემგზავრება, გარკვეულ პროექტებში მონაწილეობასაც გეგმავს.

უკვე გადაღებებზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ამომაგდეს“

ეთო ყორღანაშვილი

— ზაზა იაქაშვილმა ერთ-ერთ სამსახიობო სააგენტოში შემნიშნა და დირექტორს შესთავაზა, რომ სერიალ „დეტექტივებისთვის“ კასტინგში მონაწილეობა მიმეღო: შეიძლება, რეჟისორს მოეწონოსო. მართლაც, ლაშა ცერიაშვილმა როლზე დამამტკიცა.

— „დეტექტივების“ შემოქმედებითი ჯგუფი ახალ თანამშრომელს როგორ შეგხვდა?

— ძალიან კარგად. რადგან არაპროფესიონალი მსახიობი ვარ, უფრო თბილად მექცეოდნენ. ბევრი რაღაც მასწავლეს, ძალიან დამეხმარნენ.

— სხვა დროს ფილმისთვის კასტინგში მონაწილეობა მიგიღია?

— რამდენიმე წლის წინ ფილმის — „სვანი“ ერთ-ერთ როლზეც დამამტკიცეს. უკვე გადაღებებზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ამომაგდეს“. ეს ამბავი არც ვიცოდი. უბრალოდ, როცა ჩემმა სარეკლამო აგენტმა რეჟისორთან დარეკა, მან უპასუხა, რომ იმ როლს მე აღარ შევასრულებდი. ცოტა არ იყოს, გული დამწყდა... 4 წელია, რაც სააგენტო „ნატალის“ მოდელი ვარ. ძირითადად, სარეკლამო კლიპებში ვმონაწილეობდი. ერთ-ერთი კლიპი აზერბაიჯანისთვის გადაიღეს და ასე, შემთხვევით, აზერბაიჯანშიც მოვხვდი (*იცინის*).

— ამდენ ხანს ფილმებისთვის კასტინგებში რომ არ მონაწილეობდი, ეს „სვანში“ იმედგაცრუებამ ხომ არ განაპირობა?

— შეიძლება. იმ ამბის შემდეგ, კინოს სფეროთი აღარ დავინტერესებულვარ. ასაკით პატარა რომ ვიყავი, გარკვეული იმედგაცრუებაც მქონდა, დავიძაბე. თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარებას ვაპირებდი, მაგრამ ამ ფაქტმა გადამაფიქრებინა, შემბოჭა. ამიტომ ავირჩიე სხვა პროფესია.

— ახლა სად სწავლობ?

— იურიდიულ ფაკულტეტზე.

— შენი მომავალი პროფესია სერიალში შენი პერსონაჟის პროფესიისგან შორს არ არის...

— დიახ. რასაც სერიალში ვაკეთებ, ძალიან საინტერესოა. ბავშვობაში ასეთი რაღაცები მიტაცებდა. დასასვენებლად როცა მივდიოდი, ვიძიებდი — ვინ სად დადიოდა, რას აკეთებდა (*იცინის*)... რაც სწავლა დავიწყე, ძალიან დამაინ-

ტერესა სამოქალაქო სამართალმა. რასაც ფილმში ვაკეთებ, რეალურ ცხოვრებაში აღარ მინდა.

— დეტექტივებისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები უკვე გამოგიმუშავდა?

— კი. მეგობრები დამცინიან, — რა დეტექტივივით თქვიო?!. 6 თვის განმავლობაში მიწევდა გადაღებაზე ყოფნა. მართალია, გარკვეული ჩვევები გამომიმუშავდა, მაგრამ საქმეების გამოძიება არ დამჭირვებია — ჩემ გარშემო მყოფები ყველაფერს მიყვებიან (*იცინის*).

— შენი პერსონაჟისთვის დამახასიათებელი თვისებები თუ გაქვს? მაგალითად, რისკიანი ხომ არა ხარ?

— რითიც ჩემი პერსონაჟისგან ნამდვილად განვსხვავდები, ისაა, რომ რისკიანი არა ვარ. გადაწყვეტილების მისაღებად ბევრს ვფიქრობ, ჩემი გმირი კი თან ფიქრობს, თან საქმეს აკეთებს — ძალიან რისკიანია. მას სურს, თავის პროფესიაში წარმატებას მიაღწიოს. ამ მხრივ, ერთმანეთს ვგავართ.

— ჩაცმის სტილით?

— არა. მაგრამ მისი სამოსი მომწონს. როცა ოფისში მუშაობას დავიწყებ, მეც ამ სტილის სამოსს შევარჩევ.

— „დეტექტივების“ მეორე სეზონი უფრო მძაფრი სიუჟეტებით გამოირჩევა. გადასაღებ მოედანზე როგორი სიტუაცია იყო?

— ცუდ რაღაცებს ისე ხშირად ვიღებდით, რომ ოდნავი დაძაბულობა გადასაღებ მოედანზეც იგრძნობოდა, მაგრამ ყველანი ვცდილობდით, სიტუაცია გაგვნეიტრალებინა, ვხუმრობდით...

— ერთ-ერთ სერიაში, როცა დეტექტივები სექტანტების დასაკავებლად ემზადებოდნენ, ზაზა იაქაშვილის პერსონაჟმა ოფისში შემოსვლისას დაძაბული სახით იკითხა: ვინ არის აქ ქალიშვილიო? ამ სცენას ინტერნეტში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დაძაბული სიუჟეტის მიუხედავად, უნებურად, მაყურებლების ხალისიან განწყობილებაზეც იზრუნეთ...

— ამ სცენის გადაღების მომენტში სერიოზულ სახეებს ვინარჩუნებდით, მაგრამ როგორც კი რეჟისორი დაიძახებდა — „სტოპ!“ — გვეცინებოდა. თავად ოფისის თანამშრომლები ძალიან სასაცილოები იყვნენ — სახეზე ხელს იფარებდნენ, ოთახიდან გადიოდნენ... როცა ამ სცენას ვუყურე, ბევრი ვიცინე. უნივერსიტეტში წამომაძახებენ ხოლმე — ვინ არის აქ ქალიშვილიო?

— ეს უხერხულობას ხომ არ გიქმნის?

— არა. ყოველი სერიის შემდეგ ჩემი ახლობლები ჩემი პერსონაჟის მიერ ნათქვამ ფრაზებს იმეორებენ.

— შენი სამოდელო კარიერა ამჟამად როგორ მიმდინარეობს?

— ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული წარმატებისთვის მიმიღწევია... დაახლოებით 6 თვეა, რაც მოდელობით დაკავებული არ ვყოფილვარ, რადგან „დეტექტივების“ გამო, ამისთვის არ მეცალა. ახლა გადაღებებს უკვე მოვრჩით და ისევ ჩვეულ რეჟიმში ჩავდგები. რეკლამის, ჩვენების, ფოტოსესიის კასტინგებში ვმონაწილეობ ხოლმე.

— სილამაზის კონკურსებში მონაწილეობის სურვილი არ გაგჩენია?

— არასოდეს. მიმაჩნია, რომ ასეთ კონკურსში მონაწილეობისთვის ძალიან ლამაზი უნდა იყო, განსაკუთრებულად კარგი გარეგნობა გქონდეს. ჩემს თავს ასეთად არ მივიჩნევ (*იცინის*).

— ქართულ სილამაზის კონკურსებში გამარჯვებულ გოგონებს განსაკუთრებულად ლამაზებად მიიჩნევ?

— კი. კარგი გამარჯვებულები გვყავს, თუმცა შეიძლება, სილამაზის კონკურსებში უფრო კარგი გარეგნობის გოგონებმაც მიიღონ მონაწილეობა.

— სამოდელო სფეროში როგორ აღმოჩნდი?

— მხოლოდ 3 წლის ვიყავი, როცა დედაჩემის ფეხსაცმელების წყალობით, მაღალ ქუსლებს „ვეზიარე“. მერე „ფეშენ ტი-ვი“ ვნახე და მოდელი გოგონები ძალიან მომეწონა. ბავშვობაში ვხატავდი. პირველად გრძელფეხებიანი 3 გოგონა დავხატე, რომლებიც ქუჩაში მიდიოდნენ. 10 წლის ასაკში, ჩემი ინიციატივით, დედამ „მოდელის სკოლაში“ მიმიყვანა. სკოლა 1 წლის შემდეგ დაიხურა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ აბრამ ბაზელმა ბევრი რამ მასწავლა... 16 წლის ვიყავი, როცა მოვინდომე, მოდელის პროფესიას დავბრუნებოდი.

— მოდელობის გარდა, კიდევ რამით ხომ არ ხარ გატაცებული?

— სუხიშვილების სასწავლებელში, ქალბატონ ნინო კირვალიძესთან ვცეკვავდი. როცა მასთან მიმიყვანეს, ძალიან პატარა ვიყავი. ქალბატონმა ნინომ თქვა: ეს გოგონა „სუხიშვილებისთვის“ უნდა გავზარდო, ძალიან ქართული გარეგნობა აქვსო. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო. იმ დღიდან მხოლოდ ცეკვაზე ვფიქრობდი. 5 წლის შემდეგ კასტინგი ჩატარდა. მთელი კურსიდან 5 გოგონა შეგვარჩიეს. ძალიან ბედნიერი ვიყავი. ფეხებთან დაკავშირებით ყოველთვის პრობლემა მქონდა, სისუსტის გამო. ამიტომ მითხრეს, რომ ჩემს ცეკვას აზრი არ ექნებოდა, რადგან 1-2 წელიწადში სამუშაო გრაფიკს მაინც ვერ გავუძლებდი. მოკლედ, ამ საქმისთვის თავის დანებება მომიხდა. დავფიქრდი — სწავლა სად გამეგრძელებინა? იურისტობა ავირჩიე და ცხოვრების სხვა რიტმზე გადავერთე...

— კატო, შენი ოჯახიც გაგვაცანი.

— დედ-მამა და ჩემზე უფროსი და-ძმა მყავს. მთელ ოჯახში იმ საქმეებით არავინაა დაკავებული, რითიც — მე. ერთადერთი, ბებია — კატო მყავდა, რომელიც იურისტი იყო. ალბათ, იურისტობა ამიტომ გადავწყვიტე. ■

როცა ოფისში მუშაობას დავიწყებ, მეც ამ სტილის სამოსს შევარჩევ

„ნოდარი კი არა, ნიკა ვარ წულუკიძე!“

ცნობილი თეატრმცოდნის წარმატებული როლი

ეს ინტერვიუ სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი: ჩემი რესპონდენტი — თეატრმცოდნე, მეიგავე და სცენარისტი — ნიკა წულუკიძე „სტუმარ-მასპინძლის“ რუბრიკისთვის უნდა ჩამეწერა, მის ამერიკელ სტუმართან — მეთანი კოქსთან (ინგლისურის მასწავლებელია) ერთად, რომელიც გასულ სასწავლო წელს მასთან სახლში ცხოვრობდა. მაგრამ ჩემი არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, მეთანისა და ნიკას ერთად შეყრა ვერაფრით მოხერხდა... ამასობაში კი ჩემი რესპონდენტის შემოქმედებაში სიახლე მოხდა: პოპულარულ ტელესერიალს — „შუა ქალაქში“ მისი სახით ახალი მსახიობი შეემატა. ნოდარი ტიპური სახასიათო პერსონაჟია, უყვარს ბევრი ლაპარაკი, ჭორაობა და ინტრიგების ხლართვა. თუმცა როგორც თავად ამბობს, ნოდარი მას საერთოდ არ ჰგავს... ასე რომ, ნიკასთან საუბარი მისი ახალი საქმიანობის შესახებ დავიწყე, რისთვისაც მას გადასაღებ მოედანზე ვეწვიე.

ლალი ფაცია

— ეს სცენარისტი, მეიგავე და თეატრმცოდნე კაცი, როგორ მოხვდი „შუა ქალაქში“?

— მთელი ცხოვრება მსახიობობაზე ვოცნებობდი და წლების წინ, თეატრალურ უნივერსიტეტში სწორედ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ 1-ელ კურსზე მივხვდი, რომ ჩემგან არტისტი არ დადგებოდა და იქ სწავლას თავი დავანებე... მოგეხსენებათ, რომ „ღამის შოუს სტუდიაში“ ვმუშაობ (სერიალის — „გოგონა გარეუბნიდან“ ერთ-ერთი სცენარისტი გახლავართ). ჩემთან „შუა ქალაქის“ რეჟისორი — გოჩა კორხელაური, იგივე კოხი, სცენარისტებთან ერთად მოვიდა; მთხოვეს, — გვინდა, სერიალში ითამაშოო.

— ისე, სახასიათო ტიპი კი ხარ, არავის ჰგავხარ და ალბათ ამიტომაც მოუნდათ შენი სერიალში გადაღება...

— (*იღიმება*) როდესაც შემომთავაზეს, მაშინვე გავაცნობიერე, თუ ეს ჩემგან რამხელა პასუხისმგებლობას მოითხოვდა. ამასთან, რისკიც იყო... როგორ ვითამაშებდი, ეს სხვა საკითხია. მაგრამ რომ გავიხსენე ის მსახიობები, რომლებიც ამ სერიალში არიან დაკავებულები, მივხვდი, რომ მათთან მუშაობა ჩემთვის რთული არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველანი ახლობლები არიან წლებია, ყველანი ერთად მოვდივართ, მეგობრები ვართ... მიუხედავად ამისა, თავიდან გავიპრანჭე, — რა დროს ჩემი არტისტობაა-მეთქი?! გულის სიღრმეში კი ვფიქრობდი, ზედმეტი გაპრანჭვაც არ გამომივიდეს, რადგანაც მერე მეტყვიან, — თუ არ გინდა, სხვას მოვძებნითო, — და დავთანხმდი...

— პირველ ჩაწერაზე არ გაგიჭირდა?

— ჩაწერა რომ დაიწყო, ნირი წამიხდა, ცოტა შემეშინდა (სასწრაფოდ გულში ლოცვა წავიკითხე), მივხვდი, რომ ეს არც ისე იოლი საქმე იყო, რადგანაც აქ თეატრი და კინო შერწყმულია. დარბაზში მაყურებელი ზის და კამერებია ჩართული, შეცდომა დაუშვებელია! განა არ ვიცოდი, რომ მსახიობობა ურთულესი პროფესიაა: როგორც თეატრმცოდნე, სულ ამ საკითხს ვსწავლობ, მაგრამ საკუთარ თავზე რომ გამოვცადე, ამ პროფესიის სირთულეს მეტად ჩავწვდი და იმასაც, რომ რაღაც ახალი მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

— როგორც მახსოვს, სერიალში პირველად რომ გამოჩნდი, მაყურებელმა ტაშით დაგაჯილდოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ შენი პერსონაჟი მოეწონათ.

— ახლა ერთ ამბავს მოგიყვები: ეკრანზე პირველად რომ გამოვჩნდი მსახიობის ამპლუაში, რამდენიმე დღის შემდეგ თავისუფლების მოედანზე წყლის დასალევად შადრევანთან შევჩერდი. ღილაკიანი შადრევანია. დავაჭირე თითი, მაგრამ წყალი არ წამოვიდა. იქვე კაცები ისხდნენ — ნარდს თამაშობდნენ და ასეთი ფრაზა გავიგონე: — ბატონო ნოდარ, მერიაში რომ მუშაობთ, მაგას სჯობია, ამ „ფანტანს“ მიხედოთო... რაღას ვიზამდი — გამოვბრუნდი და გზა გავაგრძელე. ქუჩაში ვიღაც ქალი მოდის და მეუბნება, — არ შემიძლია, არ გაკოცო, გულში არ ჩაგიხუტოო!.. მადლობა კი გადავუხადე, მაგრამ ისიც ვუთხარი, — განა რას შვრება ეს ნოდარი ისეთს? ცხოვრებაში რა არ გამიკეთებია და უცბად ნოდარი როგორ გავხდი-მეთქი?!. მივხვდი, თუ რა ძალა აქვს ტელევიზიას. არადა, პოპულარობა არ მაკლდა; მაგრამ ხალხს სხვანაირად შევუყვარდი... ამას მოჰყვა ცნობილი მსახიობების სატელეფონო ზარებიც. დამირეკეს — გურამ საღარაძემ, თამარ სხირტლაძემ, მარინა კახიანმა, გურანდა გაბუნიამ, ქეთევან კიკნაძემ, ნანა ლორთქიფანიძემ, ჯემალ ღაღანიძემ — და ისეთი კომპლიმენტები მითხრეს, რომ შემრცხვა.

— ეი. გაქეს?

— ძალიან. აბა, უვარგისი ხარო, — ამას ხომ არ მეტყოდნენ (*იცინის*)?! უნდა ვაღიარო, რომ ეს ყველაფერი მომე-

დამირეკეს – გურამ საღარაძემ, ჯემალ ღაღანიძემ – და ისეთი კომპლიმენტები მითხრეს...



მთელი ცხოვრება იმას ვცდილობ, ვის რა ვასიამოვნო და როგორ გავახარო...

წონა და მესიამოვნა... იმ დღეს ჩაწერა დაიწყო თუ არა, ჯერ ხმა არ მქონდა ამოღებული და მაყურებელმა ტაში დასცხო. მოვრჩი ტექსტს, გამოვედი უკან და ტაში გამომაყოლეს. ახლა მეშინია, ეს ყველაფერი თავში არ ამივარდეს. თან, ვატყობ, რომ თავი უკვე რაღაც, „ზევით“ მიჭირავს (*იცინის*)...

— **შენ მიერ განსახიერებული ნოდარი თუ გგავს?**

— არაფრით ვგავარ ნოდარს! არა ვარ ნოდარი, მე ნიკა ვარ, წულუკიძე! არც ჭორაობა მიყვარს და არც ინტრიგების ხლართვა. მე მხოლოდ საუბარი მიყვარს თეატრსა და ხელოვნებაზე. ჩემს სიცოცხლეში არავისთვის ინტრიგა არ მომიწყვია, ამას ჩემზე ვერავინ იტყვის... ერთხელ ჯაბა კილაძე პატრუალმა გააჩერა: დედა, ეს შტერია, ამას რას აუხსნიო?! — თქვეს და გაუშვეს... ჯაბასავით მეც პერსონაჟთან რომ გამაიგივონ, ნამდვილად არ მინდა. ვიმეორებ, ინტრიგანი ნამდვილად არ ვარ! ისე, კი მიყვარს, ხომ იცი... ასეთი ტიპები ყველგან არიან, ყველა სამსახურს თითო ასეთი მაინც ჰყავს. აქვე მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ჩემი გამსახიობება დროებითია...

— **მოდი, ახლა საკუთარი ნამუშევარი, როგორც თეატრმცოდნემ, ისე შეაფასე?**

— ნოდარი კეთილი ადამიანია. გულის სიღრმეში, სამართლიანია და ეს შემდგომში გამოჩნდება. თუმცა მიზნის მისაღწევად იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე საჭიროა, მაგრამ ბოროტება არ ჩაუდენია. ბევრი ლაპარაკი ცოდვაა, მაგრამ — არა მომაკვდინებელი.

— **სერიალში შენს პარტნიორებზე რას იტყვი?**

— პარტნიორობა ურთულესია: ეს ხომ კოლეგისთვის სცენაზე დახმარებაა! ამბობდნენ, რომ ეროსი მანჯგალაძე გენიალური პარტნიორი იყო, ასევე — რამაზ ჩხიკვაძე; მაგრამ სერგო ზაქარიაძესთან მუშაობა არავის უყვარდა, რთული იყო, მაქსიმალისტი გახლდათ და შესაბამისად, პარტნიორობა არ გამოსდიოდა... ჩვენმა რეჟისორმა, გოჩა კორხელაურმა ნანუკა ლითანიშვილს (სერიალში მერის როლის შემსრულებელს) უთხრა, — ნანუკა, მაპატიე, ორ დილეტანტთან (*ოთარ ტატიშვილი და ნიკა წულუკიძე. — ავტ.*) რომ გამუშავებო... კარგი პარტნიორები მყავს და მეც ვცდილობ, ასეთივე პარტნიორი ვიყო მათთვის. მთელი ცხოვრება იმას ვცდილობ, ვის რა ვასიამოვნო და როგორ გავახარო...

— **ნიკა, იმდენი სამსახური გაქვს, მგონი, ოთარ ტატიშვილსაც კი გაუსწარი. რას იტყვი?**

— ცუდია, როცა ადამიანი ბევრ საქმეს აკეთებს?.. მთავარია, პროფესიონალურად მიუდგე და რამე ღირებული გააკეთო. რაც მეტს დაისახავ მიზნად, მეტს მოასწრებ.

— **ახლა, ვაშინგტონიდან ჩამოსულ მასწავლებელზე მოგვიყევი.**

— ბარბი ხომ გინახავს — ზუსტად ასეთი გარეგნობა აქვს ჩემს ამერიკელ სტუმარს.

— **ხომ არ შეგიყვარდა?**

— აჰ, არა! მე აუცილებლად იმერელი ქალი უნდა მოვიყვანო ცოლად (*იცინის*). თუმცა მასთან ძალიან ახლოს ვარ და კეთილგანწყობილი ვარ მის მიმართ. ასევეა ისიც ჩემდამი, მაგრამ მისგან ინგლისური მაინც ვერ ვისწავლე. ისე, ეს ჩემი ბრალია — უბრალოდ, ვერ მოვიცალე. მოკლედ, მეთანი ჩემთან ცხოვრობდა და ახლა მალე თავის ქვეყანაში დაბრუნდება. სექტემბრიდან ისევ ჩამოვა.

— **როგორი იყო შენს ცხოვრებაში ის პერიოდი, როცა უცხო ადამიანი შენს სახლში ცხოვრობდა?**

— მოვატარეთ ლამის მთელი საქართველო — მცხეთა, სიღნაღი, ბოდბე... მისთვის არც მწვადი, ხინკალი და ხაჭაპური დაგვიკლია, რადგანაც ქართული ხასიათის შესახებ თქვენც კარგად მოგეხსენებათ... ძალიან მოეწონა საქართველო და ქართული სამზარეულო.

— **სად მუშაობს?**

— თბილისის IX საჯარო სკოლაში. სხვათა შორის, გასულ სასწავლო წელს იმ სკოლაში საათები მეც მქონდა — ხელოვნებას ვასწავლიდი. მეთანი პედკოლექტივმაც და მოსწავლეებმაც კარგად მიიღეს, კარგი მასწავლებელია... ახლა დედაჩემი, მისი წყალობით, ისე ჭიკჭიკებს ინგლისურად, შენი მოწონებული. თითქოს ენა ამოადგმევინაო — კომპლექსი გადაალახვინა. მეთანი ჩემხელაა, მხოლოდ 3 დღით არის ჩემზე უმცროსი...

— **ვიცი, რომ 25 აპრილს „ოქროს დაბადების დღე“ გქონდა, 25 წლის გახდი...**

— დიახ, ამ ამბის აღსანიშნავად, „თავისუფალ თეატრში“ ჩემი იგავებით სპექტაკლი დაიდგა. „იმედის“ თანამშრომლებმა დიდი ა-ლა-ფურშეტი მოაწყვეს. ჩემი დაბადების დღეს თეატრალებმა და ტელევიზიის თანამშრომლებმა ტორტი „მრავალჟამიერისა“ და ფეიერვერკების ფონზე გამაჭრევინეს. მოკლედ, ისეთი ამბავი იყო, თავი სცენის კორიფე მეგონა. უბედნიერესი ვიყავი. დიდი მადლობა ყველას, მათ შორის — ავთო ვარსიმაშვილს, თიკო კორძაძეს, თამუნა ჯანელიძეს, თამუნა მაჭავარიანსა და ყველას, ვისაც ოდნავი წვლილი მაინც მიუძღვის ამ ამბის ორგანიზებაში.

— **ნიკა, ასე გადატვირთული, დროს როგორ ანაწილებ?**

— დილის 6 საათზე რადიო „იმედში“ მოვდივარ, 7-ზე გადაცემას ვიწყებ; პარალელურად, ტელეეკრანზე, „იმედის დილაში“ ვერთვები. ამ ყველაფერს 11-ზე ვამთავრებ. 12 საათამდე ვისვენებ. მერე კი სერიალის — „გოგონა გარეუბნიდან“ სცენარის წერას ვიწყებ. 4 საათზე აქვე, ჩემთან სტუდიაში სტუდენტები (ხელოვნების ინსტიტუტიდან) მოდიან და ლექციას ვუტარებ. კიდევ, თეატრალურ უნივერსიტეტში დისერტაციაზე დავიწყე მუშაობა — დოქტორანტი ვარ, რასაც წერა და დრო სჭირდება. კიდევ, რაღაც კერძო კომპანიასთან ერთად, ქართულ ზღაპრებზე ვმუშაობ — მულტიპლიკაციური ფილმები უნდა გადაიღონ...

— **რამდენი ხანი გძინავს?**

— 4 საათი და სრულიად საკმარისია.

— **წარმატებული ადამიანი ხარ და კვლავაც წარმატებებს გისურვებ.** ■

მე აუცილებლად იმერელი ქალი უნდა მოვიყვანო ცოლად

ბიზნესვუმენად გადაქცეული მომღერალი შოუბიზნესში გააქტიურებას აპირებს

ია ჩანტლაძემ ცოტა ხნის წინ, რუსთაველის თეატრში კონცერტი გამართა. ამ დღისთვის 3-4 თვის განმავლობაში ემზადებოდა — მონდომება, შრომა და ენერგია არ დაუკლია, რომ კონცერტი წარმატებული ყოფილიყო. კონცერტის შემდეგ, მაყურებლით სავსე დარბაზი ფეხზე ამდგარი, დიდხანს უკრავდა ტაშს...

ლალი ფაცია

— ია, 2 სერიოზული საქმის კეთება ერთდროულად გიწევს — მუშაობ ბიზნესის სფეროსა და მუსიკაში. ბოლოს და ბოლოს, ბიზნესვუმენი ხარ თუ მომღერალი?

— ორივე...

— არ იღლები?

— არა, რადგან საინტერესო ცხოვრება მაქვს.

— საკუთარ თავს გამუდმებით „ექსპერიმენტებს“ რომ უწყობ, რთული არ არის?

— იოლი ნამდვილად არ არის, მაგრამ ვიმეორებ — ჩემთვის ასეთი ცხოვრება ძალიან საინტერესოა! სცენაზე ყოველი გამოჩენისას, მაყურებელსა და მსმენელს გამუდმებით რაღაც სიახლეს ვთავაზობ. ვინც ცოტა ხნის წინ, რუსთაველის თეატრში ჩემს კონცერტზე იყო, დარწმუნდებოდა, რომ ჩემი რეპერტუარი ჟანრობრივადაც მრავალფეროვანი გახლდათ. პროექტს „აი ია“ ერქვა... სიმბოლური სახელწოდებაა და ახლის დასაწყისს, მართალს, გულწრფელს გულისხმობს... ამ ყველაფრით კი მინდოდა მეთქვა, რომ აი, ეს არის ია და წლების შემდეგ სწორედ ასე წარვმდგარიყავი საზოგადოების წინაშე. საკმაოდ მინიმალისტური პროექტი იყო, რადგანაც საერთოდ არ შეიცავდა შოუს ელემენტებს — ყურადღება მხოლოდ მუსიკაზე იყო გამახვილებული. მასში ჩემთან ერთად, გერმანიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი, ნინო ხარატიშვილი მონაწილეობდა, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია უცხოეთში. სხვათა შორის, გასულ ზამთარს მსგავსი საღამო მე და ნინომ ფრანკფურტშიც გავმართეთ. ის ერთ-ერთმა იქაურმა ლიტერატურულმა სალონმა — „ევტერპემ“ გააკეთა. მუსიკალური ნომრები ჩემი იყო, ლიტერატურული ნაწილი — ნინოსი. ამ პროექტით მერე საქართველოშიც დაინტერესდნენ და გადავწყვიტეთ, რომ აქ ცოტა უფრო ვრცელი ფორმით წარმოგვედგინა. ახლა კი ალბომის გამოშვებასა და კლიპის გადაღებას ვგეგმავ. პროგრამაში მქონდა კომპოზიციები ჯაზის ელემენტებით, იყო ბალადები, ასევე — მუსიკალური ნომრები ფოლკლორული ელემენტებით და — თანამედროვე მუსიკაც...

— როგორც ვიცი, შენთან ერთად, სცენაზე მუსიკოსი რომა რცხილაძეც მუშაობდა, რადგან კონცერტი ცოცხალი ბენდის თანხლებით ჩაატარე...

— კი, ამ პროექტზე 4 მუსიკოსი ვმუშაობდით: რომა რცხილაძე, ლევან დეისაძე, უჩა მეტრეველი და მე. მანამდე კი კომპოზიციებისთვის განსხვავებული არანჟირებები ერთად გავაკეთეთ. ვეცადეთ, რომ ცნობილი თემები არ დამსგავსებოდა ორიგინალებს. კონცერტზე იმპროვიზაციაც ბევრი იყო. ახლა შეიძლება, ამ პროექტით ევროპაში გასტროლებზეც გავემგზავროთ.

ამ პროექტზე 4 მუსიკოსი ვმუშაობდით: რომა რცხილაძე, ლევან დეისაძე, უჩა მეტრეველი და მე

— ია, წლების წინ, პირველად საზოგადოების წინაშე წარდექი სიმღერით — „არ მიყვარხარ“, რომელიც მსმენელმა მაშინვე შეიყვარა. მას მერე არაერთი სხვა სიმღერა გაქვს შესრულებული, მაგრამ უმრავლესობას მაინც იმ პირველით ახსოვხარ... რას იტყვი ამაზე?

— ჰო, იმ სიმღერას რაღაც ძლიერი მუხტი აღმოაჩნდა. ყველას ისე შეუყვარდა, რომ მას მერე 13 წელი გავიდა და დღემდე ვერ ივიწყებენ; ამით ვამაყობ კიდეც და უკმაყოფილოც ვარ... ყველაფერი ალბათ, მაინც იმით აიხსნება, რომ იმის შემდეგ საზოგადოების წინაშე ხშირად აღარ გამოვჩენილვარ. ამიტომაც იყო, რომ ამ პროექტზე დიდი შემართებითა და ენერგიით ვიმუშავე...

— ბიზნესის სფეროში მუშაობ — საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ერთ-ერთი დირექტორი ხარ. ეს საქმიანობა ალბათ შენგან ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს...

— გარდა იმისა, რომ საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატაში ვმუშაობ, მაქვს ასევე ჩემი კომპანია

— „ემსიაი პროჯექტი“, რასაც ჩემი ძირითადი საქმიანობა უკავშირდება. ჩვენი კომპანია თბილისის ძველ უბანში ერთ-ერთ სოლიდურ სასტუმროს აშენებს. რამდენიმე უცხოელ პარტნიორთან ერთად, ამ კომპანიის დამფუძნებელი გახლავართ. გარდა ამისა, ჩაბმული ვართ „ფეშენ ტი-ვის“ გენერალური ლიცენზიის მოპოვების საქმეში. ამ საკითხზე ჩემს რამდენიმე პარტნიორთან ერთად, მოლაპარაკებას ვმართავ. კონცერტის შემდეგ, ემოციებისგან დაცლილი და დაღლილი, ამ საქმესთან დაკავშირებით ვენაში გავფრინდი. აეროპორტში ისე წავედი, მაკიაჟის მოცილებაც ვერ მოვასწარი. ძალიან სასაცილო ვიყავი, ყველა მე მიყურებდა... საინტერესოა ასეთი ცხოვრება: დილას იღვიძებ ერთ ქვეყანაში, საღამოს მეორეში ჩაფრინდები და მესამეში იძინებ (რეისი კიევის გავლით იყო)... ავსტრიაში მიშელ ადამს — „ფეშენ ტვ-ის“ პრეზიდენტს შევხვდი. ეს კომპანია, თავისი ლოგოთი და საქმიანობით, ოფიციალურად უნდა შემოვიდეს საქართველოში. ახლა მხოლოდ დეტალებზეა საუბარი, თორემ რეალური თანხმობა და მათგან თანამშრომლობის სერიოზული სურვილი უკვე არსებობს.

— ბავშვობიდანვე ასეთი აქტიური ადამიანი იყავი?

— არა. ახლაც, მიუხედავად ჩემი ცხოვრების წესისა, პასიური, სიმშვიდის მოყვარული ადამიანი ვარ. მაგრამ სიმშვიდემ შეჩვევა იცის. ვცდილობ ხოლმე, ერთი კვირით საკუთარი თავი „გამოვრთო“ ყველაფრისგან და უცხოეთში წავიდე ან უბრალოდ, ტელეფონი გამოვრთო და შინ ჩავჯდე. საერთოდაც, სახლში ყოფნა ჩემთვის, უდიდესი სიამოვნება და განტვირთვაა...

— არსებობს ისეთი ადამიანი შენს ცხოვრებაში, ვინც გადატვირთულ ცხოვრებას გიმსუბუქებს?

— კი — დედა. ჩემი თავი ამ ადამიანის გარეშე ვერ წარმომიდგენია. სულ ცდილობს, როგორმე შემიმსუბუქოს ყოველდღიურობა. ისე, დიდად არ მიყვარს სხვისთვის ჩემი პრობლემების აკიდება. არ მინდა, ვინმე დავღალო და შევაწუხო. სულ იმას ვამბობ, — ჩემს გასაკეთებელს მე თვითონ გავაკეთებ, ოღონდ ხელი არ შემიშალოთ-მეთქი!

— საკუთარ თავს ამდენს რომ სთხოვ, სხვების მიმართაც ასეთივე მომთხოვნი ხარ?

— მომთხოვნი ვარ, მაგრამ კატეგორიულობით არ გამოვირჩევი. მეტისმეტად უნდა გავბრაზდე, რომ კატეგორიული გავხდე, ისიც — 5 წუთით, რადგანაც არ მომწონს ჩემი თავი ასეთ მდგომარეობაში. ვინც ჩემთან მუშაობს, თავისი საქმე ყველამ კარგად იცის. მითითებები არავის სჭირდება. თან, ჩვენთან მუშაობის ტემპი სხვანაირია — ხანდახან საქართველოს ტემპს ვუსწრებთ კიდეც. საქართველოში ყველაფერი უფრო ნელა ხდება, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში.

— რას გულისხმობ?

— რამდენიმე ქართულ კომპანიასთან მაქვს საქმიანი ურთიერთობა და როდესაც სამსახურში 10 საათზე მოვდივარ და მათთან რეკვას ვიწყებ, იქ ამ დროს, არავინ მპასუხობს: ყველა უკვე სადღაც არის გასული, ყოველ შემთხვევაში, ასე მპასუხობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან ხალხის მენტალიტეტია ასეთი — ზარმაცები ვართ!.. მე ჩვენი კომპანიის მუშაობის ტემპს უკვე შევეჩვიე; მეექვსე წელია, ამ სისტემაში ვმუშაობ.

— ებრაული ენა თუ ისწავლე?

— მესმის. ცოტ-ცოტა, პასუხის გაცემაც შემიძლია. ისე, ამ ენისთვის მეტი ყურადღება რომ დამეთმო, უკეთ უნდა მცოდნოდა, მაგრამ ფრანგულ ენას ვსწავლობდი და ორივე ერთად, როგორც ჩანს, გამიჭირდა.

— ახლა რა გეგმები გაქვს? პირად ცხოვრებაზეც გვითხარი რამე...

— პირად გეგმებზე რა გითხრა? თავში თუ „დამეცემა რამე“, ალბათ რაღაცას მოვიფიქრებ (*იცინის*)... ჯერჯერობით დაქორწინებას არ ვაპირებ.

— შეყვარებული არა ხარ?

— არსებობს გარკვეული სიმპათიები, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობ. პირად ცხოვრებას არ ვგეგმავ. ვფიქრობ მხოლოდ შემოქმედებაზე და ცოტა ხანში სწორედ ამ მიმართულებით გააქტიურებას ვაპირებ...

■

ცოგა ხანმი მუსიკაში გააქტიურებას ვაპირებ

ჟურნალისტი, მოდელი, დედა...

„მათეს დაბადების შემდეგ უფრო „გავმთლიანდით“

თიკო ნატროშვილი რამდენიმე თვის წინ დედა გახდა და ამ ამპლუაში თავს საუცხოოდ გრძნობს. პატარა მათეს გამო დროებით კარიერას ჩამოშორდა და მიიჩნევს, რომ შვილის აღზრდაზე უფრო მნიშვნელოვან საქმეს ამჟამად ვერაფერს გააკეთებს.

ელენე გასილიძე

ძალიან აქტიური და კონტაქტურია, ფეხის ადგმას ცდილობს და თავიც კარგად უჭირავს

— დედის ამპლუა მშვენივრად მოვირგე და სიმართლე გითხრა, უკვე შევეჩვიე კიდეც. მე და მათე ერთად ვიზრდებით: მათე — როგორც შვილი და მე — როგორც დედა. მასთან ერთად ვსწავლობ, თუ როგორი დედა უნდა ვიყო. უკვე ვხვდები, რა უხარია და რა სწყინს. ვცდილობ, მის აღზრდას ფაქიზად მივუდგე. თურმე დედობა გამაგიჟებელ, საოცარ ემოციებთან და განცდებთანაა დაკავშირებული. დღეს მხოლოდ შვილზე ვფიქრობ და შეიძლება ითქვას, რომ ჩემი თავი აღარც მახსოვს. ადრე ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. ჩემთვის პრიორიტეტი მუდამ სწავლა იყო და ვაპირებ, რომ გავაგრძელო, მაგრამ ჯერჯერობით ჩემს შვილს ვჭირდები და საპატიო მიზეზით ვარ კარიერას ჩამოშორებული.

— პატარის გაზრდაში ძიძა გეხმარება?

— არა, მე და ჩემი მეუღლე დამოუკიდებლად ვზრდით. მე არ ვმუშაობ, ჯერ კიდევ ძიების პროცესში ვარ და როცა სამსახურს ვიშოვი, მათეს ალბათ ძიძასთან ერთად მოუწევს გარკვეული დროის გატარება. სიმართლე რომ გითხრა, პატარას გაზრდა ძალიან დამღლელია, მაგრამ ამავდროულად — ძალიან სასიამოვნოც. დღეს მათე ოჯახის უფროსია და მას ბევრ დროს ვუთმობთ, მაგრამ დროის დათმობაში არ ვგულისხმობ, რომ საკუთარი თავი შვილის გამო „გვერდზე უნდა გადავდო“.

ჩემთვის პრიორიტეტი მუდამ სწავლა იყო და ვაპირებ, რომ გავაგრძელო

— დედობასთან ერთად, დიასახლისობაც შეითავსე და ალბათ სამზარეულოსთანაც „მეგობრობ“, არა?

— სამზარეულოსთან დიდი ხანია, რაც „ვმეგობრობ“: გათხოვებამდეც „მჭიდრო და ნათესაური“ კავშირი მქონდა. კულინარია ჩემი ჰობია. მაქვს ჩემი ხელით შექმნილი კულინარიული წიგნი, სადაც საინტერესო რეცეპტებს ვინახავ, მზა კერძების ფოტოებთან ერთად. ხშირად ინტერნეტიდანაც ვიწერ ამა თუ იმ რეცეპტს. სპეციალურ წიგნში ყოველდღიური კერძების რეცეპტები არ ხვდება, ძირითადად, განსხვავებულ, პიკანტურ კერძებს ვიწერ. ამას წინათ, უზბეკური ფლავი გავაკეთე და ძალიან მომიწონეს. ჩემთვის გემრიელი სადილი სასიამოვნო საუბრის ერთ-ერთი „ატრიბუტია“. ჩემი მეუღლე არ არის პრეტენზიული, ძალიან უყვარს შემწვარი კარტოფილი, მაგრამ ჩვენს ოჯახში პირველი და მეორე თავი სადილი ყოველთვისაა.

— მათე 8 თვის არის, ხომ?

— კი. ძალიან აქტიური და კონტაქტურია, ფეხის ადგმას ცდილობს და თავიც კარგად უჭირავს. ზომიერი მჭამელია. ჯერ კიდევ ბუნებრივ კვებაზეა, მაგრამ დამატებით თითქმის ყველაფერს ვაჭმევთ, ამას წინათ მჭადი და ყველიც კი მიირთვა (*იცინის*). უყვარს სტუმრები და ყველასთან მიდის, ვინც ხელს გამოუწვდის. ცოტა ხნის წინ სპეციალური მულტფილმი გადმოვწერეთ, რომელიც ფსიქოლოგების მიერაა შექმნილი, დაახლოებით 30-წუთიანია და ფერები, მუსიკა, ხმა ისეა შეხამებული, რომ მათეც კი, რომელიც მულტფილმებს ჯერჯერობით ყურადღებას არც კი აქცევს, თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით უყურებს. მე ამ დროს, რამდენიმე წუთი მიჩნდება, რომ ჩემი საქმე გავაკეთო: არ უყვარს დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ ყოფნა, ხელში აყვანასაც ითხოვს. რთული გასაზრდელი სულაც არ არის. ახლა მინდა, ჩანგლით ჭამას შევაჩვიო (*იღიმის*).

— გაგა გეხმარება პატარის გაზრდაში?

— რომ გითხრა, თანაბრად გვაქვს საქმე განაწილებული-მეთქი, არ იქნება სიმართლე, მაგრამ გაგას საკუთარ თავზე დიდი ვალდებულება აქვს აღებული: მათე დილის 7 საათზე იღვიძებს და მერე წივილ-კივილს ტეხს. ღამით ძუძუს წოვს და ჩემს საწოლში გადმოყვანა მიწევს. დილით კი, ახალგაღვიძებული, ან მე მაპუტავს თმას, ან — გაგას. ხანდახან, როცა ძილი ძალიან დამაკლდება, გაგა იღვიძებს დილის 7 საათზე და მათეს აჭმევს. მამიკოს ყველაფერი შეუძლია, მათეს გაუკეთოს: დაბანოს, გამოუცვალოს, გაასეირნოს. ტიპურ ქართველ, „დაშტამპულ“ მამებს არ ჰგავს. ცდილობს, პატარის გაზრდაში დიდი წვლილი შეიტანოს.

— ხშირად აღნიშნავენ — როცა ოჯახში ბავშვი ჩნდება, მეუღლეები გაცილებით ნაკლებ დროს უთმობენ ერთმანეთსო...

— არა, მათეს დაბადების შემდეგ უფრო „გავმთლიანდით“. ჩვენი გრძნობები უფრო ძლიერდება და მყარდება. ჩვენი ჯვრისწერის დრო რომ გავიხსენოთ, დღეს გაცილებით მეტად გვიყვარს ერთმანეთი, ვიდრე მაშინ. რაც მეტი დრო გადის, ერთმანეთს უფრო ვაფასებთ. გაგა და მათე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ვერც ერთი ვერ იტანს უყურადღებობას. ხშირად, როცა ტელევიზორს ვუყურებ, ის კი კომპიუტერთან ზის, ორივეს დისკომფორტი გვექმნება; აუცილებლად ან მე უნდა გადავჯდე მასთან, ან ის მოვიდეს ჩემთან. სადაც ჩვენ მივდივართ, მათეც მიგვყავს. აქვს თავისი დიდი ჩანთა, ჩავლაგდებით და საღამოობით სტუმრად დავდივართ. რაც მთავარია, ხალხმრავალ ადგილას მათე თავს არაჩვეულებრივად გრძნობს — თავადაც ერთობა და ჩვენც გვართობს.

— ამას წინათ Georgian Fashion Week-ში მონაწილეობდი. მოდელობას ისევ აგრძელებ?

— მაშინ მათე 5 თვის იყო და მეც ჩემი ძველი ფორმა მქონდა დაბრუნებული. ორსულობას არანაირი ნაკლი არ დაუჩნევია ჩემი სხეულისთვის და ამიტომაც თავისუფლად შევძელი სამოდელო საქმიანობის გაგრძელება. პოდიუმს დავუბრუნდი და თუკი რამე ჩვენება იქნება, მონაწილეობაზე უარს არ ვიტყვი, მაგრამ სამომავლოდ ჩემი პროფესიით — ჟურნალისტიკაში მუშაობას ვაპირებ, რადგან სამოდელო საქმიანობა ძალიან ხანმოკლეა. თუ სამსახური ხელს შემიწყობს, რომ მოდელობა გავაგრძელო, არც ამაზე ვიტყვი უარს. თუ დროს სწორად დაგეგმავ, ცხოვრებაში ყველაფრის მოსწრებაა შესაძლებელი. ქალების უმრავლესობა ხშირად აღნიშნავს, — ჩემი ცხოვრება ოჯახს მივუძღვენი და საკუთარი თავისთვის არასოდეს მეცალაო. ეს სწორი დამოკიდებულება არ მგონია. ქალმა საკუთარი თავი არასოდეს უნდა დაივიწყოს. მათე ახლა ისეთ ასაკშია, დედიკო ძალიან სჭირდება. ვფიქრობ, რომ შვილს თავისუფლება უნდა მისცე. მშობლებზე ზედმეტად დამოკიდებულება არ ვარგა. ბიჭი მყავს და სულაც არ მინდა, დედის კალთას გამოკერებული გავზარდო. მინდა, მათე საკუთარ თავში დარწმუნებული, ჩამოყალიბებული პიროვნება იყოს.

— თიკო, მეორე შვილის გაჩენაზე ხომ არ ფიქრობთ?

— კი, ვფიქრობთ, მაგრამ ჯერჯერობით არა. მეორეზეც ვფიქრობთ და მესამეზეც. თუ ჯანმრთელობა, დრო და შესაძლებლობა მექნება, იმდენი შვილი გვეყოლება, რამდენსაც შევძლებ.

— წელან აღნიშნე, სწავლის გაგრძელება მინდაო...

— კი, დოქტორის ხარისხი მინდა დავიცვა. სანამ გავთხოვდებოდი, ჩაბარებას ვაპირებდი, მერე ჩემმა გეგმამ დროებით უკანა პლანზე გადაიწია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლა გვერდზე გადავდე. ამას წინათ მე და ჩემი მეუღლე ვსაუბრობდით ამ თემაზე. გაგაც მეთანხმება, რომ სწავლა უნდა გავაგრძელო.

— საქმიანობით დატვირთული ცხოვრება გქონდა. ახლა არ გიჭირს მთელი დღე სახლში ყოფნა?

— ყოველთვის ჰიპერაქტიური ვიყავი და უცებ ჩემი კარიერა დროებით შეწყდა. ეს, რა თქმა უნდა, იოლი არ იყო. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში უამინდობის გამო მე და მათემ ქუჩაშიც კი ვერ გავისეირნეთ. ამ დღეების განმავლობაში სახლში ჯდომა კოშმარი იყო. მგონი, დეპრესიისკენ მივდივარ-მეთქი, ვამბობდი. ■

ცხოვრება

უცნაური სახელები

ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ დაწესებულებაში სტუმრობისას ასეთ დიალოგს შევესწარი:

— თუ შეიძლება, სხივი ედიშერაშვილი შემოვიდეს.

— ქალბატონი სხივი ახლახან გავიდა, ნახევარ საათში დავბრუნდებიო. შემდეგი მე ვარ და შეიძლება, შემოვიდე? — შესასვლელისკენ გაემართა მამაკაცი...

სახელი „სხივი“ თუ არსებობდა, იმ დღეს პირველად გავიგე და მაშინვე გამიჩნდა იდეა, უცნაური სახელების მქონე ადამიანებზე სტატია მომემზადებინა. ამიტომ, ჩემს ახლობელს, რომელიც მახლდა, ვთხოვე, — ცოტა ხანს გავჩერდეთ, სხივის დაველოდოთ, მინდა, გავესაუბრო-მეთქი. — რა გინდა, რა უნდა ჰკითხოო? — გაუკვირდა, მაგრამ ადგილიდან ფეხი მაინც არ მოვიცვალე... მალე ჩემი ყურადღება ერთმა სანდომიანმა ქალბატონმა მიიქცია, ის კიბეებზე ჩქარი ნაბიჯით ამოვიდა და იმ კაბინეტისკენ გაეშურა, რომლის წინაც ჩვენ ვიდექით. მივხვდი, რომ ის იყო, ვისაც ველოდებოდი (ინტუიციამ არ მიმტყუნა).

თამუნა კვინიკაძე

სხივი ედიშერაშვილი:

— ეს სახელი მამამ დამარქვა, ჩემს მშობლებს ქორწინებიდან 7 წლის შემდეგ გავუჩნდი.

— რატომ დაგარქვა, არასდროს გიკითხავთ?

— როცა წამოვიზარდე და გავაცნობიერე, ეს სახელი ჩემ გარდა არავის ერქვა, დედას ვუსაყვედურე. მან დამამშვიდა, — შენი სახელი სითბოსა და სინათლესთან ასოცირდება, რატომ არ მოგწონს? შენმა დაბადებამ მზის სხივივით გაგვათბოო. მერე მეც შევეჩვიე...

— როცა უცნობ ადამიანებს სახელით წარუდგებით ხოლმე, რა რეაქცია აქვთ მათ?

— უმეტესად უკვირთ. ზოგს მოსწონს კიდევაც. ახალგაზრდობაში ერთ-ერთ ქარხანაში მუშაობა უნდა დამეწყო და იქ საბუთების შესატანად მივედი. მდივანმა გოგონამ მითხრა: — უფროსი დაკავებულია, 1 საათში თუ მობრძანდებით, მიგიღებთო. ოთახიდან დერეფანში რომ გავედი, იქვე, ფოიეში რამდენიმე ბიჭი იდგა, რომლებმაც ჩემს დანახვაზე ჩაილაპარაკეს: — ეს მზესავით გოგო ვინ არისო? ერთ-ერთმა უპასუხა: — ამ გოგოს სხივი ჰქვია და მზესავით გაანათებს, აბა, რა იქნებაო? მივბრუნდი და ხელში ჩემი თანაკლასელი არ შემრჩა? მოგვიანებით ის ბიჭი, რომელმაც მზეს შემადარა, ჩემი მეუღლე გახდა. თავს არ ვიქებ, მაგრამ ლამაზი გოგო ვიყავი, თაყვანისმცემლები მეუბნებოდნენ, შენ გვერდით ყველა გოგო იჩრდილებაო (*იცინის*).

სხივი ედიშერაშვილი მართლაც ლამაზი ქალბატონია, მაგრამ ფოტოს გადაღება რომ ვთხოვე, იუარა. მე კი მასთან დამშვიდობების შემდეგ იმ ადამიანების მოძებნა განვაგრძე, რომლებსაც უცნაური სახელები ჰქვიათ... ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ინტერვიუს ჩაწერა ნიუტონთან მომიწევდა.

ნიუტონ გიგიბერია:

— ეს სახელი მამაჩემის დეიდაშვილის შვილმა დამარქვა.

— პროფესიით ფიზიკოსი ხომ არ არის?

— არა. მე რომ დავიბადე, მაშინ მოსწავლე იყო. ზუსტად იმ დღეებში სკოლაში ნიუტონის კანონი უსწავლია. როგორც ჩანს, მეცნიერის აღმოჩენამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როცა ჩემთვის სახელის შერჩევის დრო დამდგარა, უთქვამს: — ნიუტონი დავარქვათო. ასე დამერქვა ეს სახელი. როცა წამოვიზარდე, აღარ მომეწონა, მაგრამ რაღას ვიზამდი?

— სახელის შეცვლა არ გიცდიათ?

— როგორ არ ვცადე, მაგრამ უარი მითხრეს. არადა, ვიცი, რომ იმ პერიოდში სახელი ბევრმა ადამიანმა გამოიცვალა.

ჩემი შემდეგი რესპონდენტი — ხუნტული ნაჭყეტია გახლავთ. როცა მასთან დაკავშირება ვცადე, მისმა ქალიშვილმა მიპასუხა: — დედა შინ არ არის, საღამოს საათებში დარეკეთო. ავუხსენი, მასთან დალაპარაკება რა მიზნითაც მსურდა, თან ვკითხე, — თუ იცით, ეს სახელი ვინ დაარქვა-მეთქი? — ამაზე ვერ გიპასუხებთ, მაგრამ დედას ხშირად ეუბნებიან, — რა კარგი ქალი ხარ და წესიერი სახელი ვერ შეგირჩიესო?! ქალბატონი ხუნტული შინ საღამოს დაბრუნდა. ის პროფესიით ექიმი გახლავთ და ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობს.

ხუნტული ნაჭყეტია:

— ახალდაბადებულს მშობლები მეფერებოდნენ, — ჩვენი ხუნტულა გოგოო და ეს სახელიც ასე დამერქვა. სიმართლე გითხრათ, ხუნტულის რომ მეძახდნენ, არ მომწონდა, მაგრამ რა უნდა მექნა? ახლა რასაც გინდა, იმას დაირქმევ, ადრე სახელის შეცვლა ადვილი არ იყო. ხუნტული საბუთებში მიწერია, ისე კი ყველა ლიას მეძახის. თუმცა სამეგრელოში ბევრს ჩემზე უარესი სახელი ჰქვია.

— **„უარესში“ რას გულისხმობთ?**

— დაზმირი, ავრორა... რა ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო? ისე, ბოლო დროს უცნაურ სახელებს სამეგრელოშიც აღარ არქმევენ.

— **მშობლებს ამ სახელის შერჩევის გამო ხომ არ საყვედურობდით?**

— არა, ეს სახელი სამეგრელოში ბევრს მოსწონდა. ჩემი სიყვარულით, არაერთ გოგონას ხუნტული დაარქვეს.

კიდევ ერთი უცნაური სახელი სატელეფონო ცნობარში ამოვიკითხე. ლაჟვარდი შევარდნაძეზე რეგისტრირებულ ნომერზე რომ დავრეკე, ქალბატონმა მიპასუხა. ავუხსენი, რომ ვმუშაობდი თემაზე — უცნაური სახელები და ვკითხე:

— **ლაჟვარდი შევარდნაძესთან თუ შეიძლება დაკავშირება?**

— ლაჟვარდი გარდაიცვალა, — *იყო მისი პასუხი. მოვუბოდიშე და ის იყო დამშვიდობებას ვაპირებდი, რომ საუბრის გაგრძელება თავად მოისურვა.*

— ჩემ შვილსაც უცნაური სახელი ჰქვია — პრომეთე.

— **ეს სახელი თავად შეურჩიეთ?**

— დიახ, ჩემს მამამთილს ერქვა პრომეთეოსი და მის პატივსაცემად დავარქვი.

— **არ იფიქრეთ იმაზე, რომ მომავალში შესაძლოა, ამის გამო თქვენთვის ესაყვედურა?**

— ვფიქრობდი, მაგრამ შევარდნაძეებს ასეთი უცნაურობები გვახასიათებს. ჩვენს ნათესავებს ერქვათ — ეფენდი, ევგრაფი და ჰიპოკრატე.

— **თავად რა გქვიათ?**

— ნანა.

— **ქალბატონო ნანა, პრომეთე შინ არის?**

— დიახ, დაელოდეთ.

პრომეთე შევარდნაძე, *29 წლის:*

— **როცა უცნობ ადამიანებს ეცნობი, როგორია მათი რეაქცია?**

— თავიდან უკვირთ, მაგრამ არაფერს მეკითხებიან. სახელის გამო კურიოზები ნამდვილად არ მქონია.

— **შვილები გყავს?**

— არა, მაგრამ როცა მეყოლება, მათაც აუცილებლად უცნაურ სახელებს დავარქმევ.

ბევრი უცნაური სახელი ჩემს წიგნშიც მაქვს მოხსენიებული

— **მაგალითად?**

— ჯერ მოფიქრებული არ მაქვს. ბიჭი თუ შემეძინება, შეიძლება, მამაჩემის სახელი — ლაჟვარდი დავარქვა, ვნახოთ...

— **თავის დროზე მამათქვენს ეს სახელი ვინ დაარქვა?**

— ბაბუამისმა. როგორც ვიცი, ლაჟვარდი ბერძნული სახელია.

ახლა **კეკლუცა ლომსაძეს** *გაგაცნობთ, მისთვის სახელი უფროს დას დაურქმევია, რის გამოც მას თურმე მთელი ცხოვრება საყვედურობს... ქალბატონი კეკლუცა მხიარული რესპონდენტი აღმოჩნდა:*

— ბავშვობის წლები რაიონში გავატარე, 4-5 წლიდან გავაცნობიერე, რომ უცნაური სახელი მერქვა. მაგრამ ამაზე მაშინ დიდად არ მიფიქრია. რომ წამოვიზარდე, მეზობელი ქალების ლაპარაკს მოვკარი ყური, მეზობლის გოგოზე ჭორაობდნენ, — ყველა ბიჭს ეკეკლუცებაო. მასზე სხვა ცუდი რაღაცებიც თქვეს. მაშინ კი შემოვიკარი თავში ხელი, დედასთან გულგახეთქილი მივვარდი და ტირილით ვუთხარი, — კეკლუცი ცუდი სიტყვა ყოფილა-მეთქი. დედა მამშვიდებდა, მაგრამ მაინც დაჟინებით ვთხოვდი, — სასწრაფოდ სახელი გადამარქვით-მეთქი. ერთი პერიოდი ნუცას მეძახდნენ. სკოლა რომ დავამთავრე და უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე, ჯგუფელებმა ისევ კეკლუცად გამიცნეს (როგორც საბუთებში მეწერა), მაგრამ აღარ ვდარდობდი.

— **კეკლუცი გოგო იყავით?**

— (*იცინის*) ყველა გოგო კეკლუცია, გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ. ახალგაზრდობაში ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, ერთ-ერთის დედამ უნახავად, სახელის გამო დამიწუნა. 19 წლის ასაკში გავთხოვდი. ქმრის ახლობლებს კეკლუცი ჩემი მეტსახელი ეგონათ და მეუბნებოდნენ, — ნამდვილი სახელი გვითხარიო.

გულივაარ ხუნდაძე:

— 1945 წელს ვარ დაბადებული, თურმე მაშინ მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი — „ლეკის ქალი გულჯავრი“ გადიოდა, რომელშიც მთავარ როლს ნინო ჩხეიძე ასრულებდა. მამა სპექტაკლის სანახავად წასულა, შინ რომ დაბრუნებულა, იმ ღამეს დაბადებულვარ და ჩემდა ჭირად, გულჯავრი დაურქმევია.

— **თქვენი სახელი არ მოგწონთ?**

— მოსაწონია? შინაურები გულიკოს მეძახიან. ბევრი ვერ იგებს, ეს სახელი ქალს ჰქვია თუ კაცს. ჩემი საცხოვრებელი კორპუსის თავმჯდომარე ვარ. მერიაში ხშირად მიწევს სიარული. თავიდან რომ დამირეკეს, იკითხეს — ბატონ გულიჯავრს სთხოვეთო. ავუხსენი, ბატონი — არა, ქალბატონი ვარ-მეთქი. ზოგს ამ სახელის გამოთქმა და სწორად დაწერაც უჭირს, ამიტომ ვეუბნები, ფურცელი მომეცით და ჩემს სახელს თვითონ დაგიწერთ-მეთქი.

— **სხვა ადამიანს თუ იცნობთ, რომლებსაც იშვიათი სახელები ჰქვიათ?**

— დედა თიანეთიდან მყავს, ზაფხულობით იქ ხშირად დავდიოდი. ერთხელ იქ გეოლოგები იყვნენ მოსულები. ერთ-ერთ მათგანს ჩემი სახელი ისე მოეწონა, რომ შვილს დაარქვა; იმ ბავშვმა ისეთი რა დაუშავა-მეთქი, ამის გამო ვწუხდი.

ილამაზი მეძმარიაშვილი:

— ეს სახელი მშობლებმა დამარქვეს, სიმართლე გითხრა, ყოველთვის მეჩოთირებოდა; ამიტომაც, მეორე სახელი — ზურაბი მქვია და ყველა ასე მიცნობს; ილამაზი მხოლოდ საბუთებში მიწერია.

— **მშობლებისთვის არასდროს გიკითხავთ, ეს სახელი რატომ დაგარქვეს?**

— არა, ალბათ იმიტომ, რომ საკუთარი სახელით აღფრთოვანებული არასდროს ვყოფილვარ. ახალგაზრდა რომ ვიყავი, მაშინ გავარკვიე, რომ არსებობს თურქული სახელი — ილმაზ, შეიძლება ილამაზი აქედან არის წარმოებული...

გარდა უცნაური სახელებისა, ბოლო დროს ბავშვებს უმეტესად ძველებურ სახელებს (ლუკა, საბა, თეკლა, ანასტასია) არქმევენ. საინტერესოა, ზოგადად რა დატვირთვა აქვს სახელს? როგორ შემოდის და გადადის მოდიდან ესა თუ ის სახელი? ამ თემაზე სასაუბროდ წიგნის — „რა გქვია შენ?“ ავტორს — ზურაბ ჭუმბურიძეს შევხვდი.

ზურაბ ჭუმბურიძე, *ფილოლოგი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი:*

— საინტერესო სახელების ნაკრები გაქვთ. თაიგულის ვერ მიაკვლიეთ?

— **ვერა.**

— ნიუტონი ჩაგიწერიათ, მე არისტოტელეს ვიცნობდი. ახალგაზრდობაში სვანეთში ხშირად დავდიოდი. იქ გავიცანი ბექსტონი. ასეთი სახელი გაგიგონიათ?

— **პირველად მესმის.**

— სახელებზე წლების მანძილზე ვმუშაობდი. უამრავი ჩანაწერი მაქვს. ბევრი უცნაური სახელი ჩემს წიგნშიც („რა გქვია შენ?“) მაქვს მოხსენიებული. მაგალითად, დისტანგო. იცით, რას ნიშნავს? — დიდ სტალინს გოუმარჯოს.

— **თავად ეს ადამიანები საკუთარ სახელებთან დაკავშირებით, რას გიამბობდნენ?**

— შეჩვეულები იყვნენ. ზოგიერთი უნივერსიტეტში ჩემი სტუდენტიც გახდა. როცა უნივერსიტეტის რექტორი

— ნიკო კეცხოველი იყო, სტუდენტებსა და თანამშრომლებს, რომლებსაც უცნაური სახელები ერქვათ, მოუწოდა, შეეცვალათ სახელები. ზოგიერთი დათანხმდა... თავის დროზე ამ საკითხს ეკლესია აწესრიგებდა, ნათლობის დროს ბავშვს არაქრისტიანულ სახელს არ არქმევდნენ. თუ უცნაური სახელი ერქვა, მღვდელი ამა თუ იმ წმინდანის სახელს არქმევდა. ამან კომუნისტების პერიოდში ძალა დაკარგა. იმ პერიოდში მმაჩის ბიურო არსებობდა. ეს სიტყვა ბევრს გაუგონია, მაგრამ ყველამ როდი იცის, როგორ იშიფრება (მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო). ეს იყო სახელმწიფო სტრუქტურა. იმის ნაცვლად რომ ახალდაქორწინებულები ეკლესიაში წასულიყვნენ და ჯვარი დაეწერათ, მმაჩის ბიუროში მიდიოდნენ და რეგისტრაციაში ტარდებოდნენ. ბავშვის სახელიც მმაჩის ბიუროში ფორმდებოდა. ერთი პერიოდი მითითება იყო, ბიუროს თანამშრომლებს კონსულტაცია გაეწიათ, რომ ახალდაბადებულებისათვის უცნაური სახელები არ დაერქმიათ. ამ მიზნით გამოიცა წიგნად — „ქართულ საკუთარ სახელთა სარეკომენდაციო სია“.

— რა განაპირობებს ამა თუ იმ სახელის მოდაში შემოსვლას და პირიქით? ეს რა გარემოებაზეა დამოკიდებული?

— არის სახელების გარკვეული ჯგუფი, რომელიც მოდიდან არ გადადის. გიორგის ყველა თაობაში არქმევენ. გიორგი მარტო მეფე გვყავდა 12. არც ერთი სხვა სახელის მქონე მეფე ამდენი არ გვყოლია. ვახტანგი კი მხოლოდ 6 იყო. მოდიდან არ გადადის დავითი, თამარი, ნინო... წლების წინ ილიას იშვიათად არქმევდნენ, ახლა — მოხშირდა. წმინდა ილიას გარდა, მოქმედებს ისიც, რომ ეს სახელი საქართველოს პატრიარქს ჰქვია. მას უამრავი ნათლული ჰყავს, ყველას უყვარს, შეხარიან და ახალდაბადებულ ვაჟებს ილიას ხშირად ამიტომაც არქმევენ. აკაკი მე-19 საუკუნის ბოლომდე საქართველოში ცნობილი სახელი არ ყოფილა. 1850 წელს ჩატარდა თავადთა და აზნაურთა ოჯახების აღწერა. ოჯახის ყველა წევრი უკლებლივ აღწერეს. ამის საბუთები არსებობს. ათასობით ადამიანს შორის აკაკი მხოლოდ ერთს ერქვა და ისიც აკაკი როსტომის ძე წერეთელი გახლდათ. მაშინ 10 წლის იყო. როცა მსგავსი აღწერა 30-40 წლის შემდეგ ხელახლა ჩატარდა, ეს სახელი უამრავს ერქვა. იმ პერიოდში დაიბადნენ — აკაკი შანიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა და კიდევ ბევრი სხვა. აქედან დაიწყო ამ სახელის პოპულარობაც. ერთი პერიოდი პოპულარული სახელი იყო ლუარსაბიც, მაგრამ მას მერე, რაც გამოიცა ილია ჭავჭავაძის — „კაცია ადამიანი?!“, ეს სახელი მოდიდან გადავიდა. არავის უნდოდა, საკუთარი შვილი ლუარსაბ თათქარიძის მოსახელე ყოფილიყო. ასეთი ხალხური გადმოცემაც არსებობს, ძველად, ახალდაბადებულ ბავშვს ხელში დაიჭერდნენ, პატარა ტირილს რომ დაიწყებდა, სახელებს ჩამოუთვლიდნენ და რომელი სახელის გაგონებაზეც გაჩუმდებოდა, იმ სახელს არქმევდნენ. გვარისგან განსხვავებით სახელი მემკვიდრეობით არ გადადის. ახლა რომ გვთავაზობენ, გრძელი გვარები ახალ პირადობის მოწმობებში არ ეტევა და უნდა შევამოკლოთო — ეს დანაშაულია. ამის უფლება არავის აქვს. ჯერ მამის სახელი ამოიღეს, მერე ეროვნება, ახლა გვარების შემოკლებას იწყებენ... ვეღარ გაიგებ, ვინ რომელი ერის წარმომადგენელია, არა მგონია, საზოგადოება ამას დადებითად შეხვდეს.

მიხეილ ცაგარელი, *ასტროლოგი:*

— სახელის ენერგეტიკული კუთხე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბედ-იღბლის გზაზე ყველა დეტალი გარკვეულ როლს თამაშობს. თითოეულ ბგერას და ადამიანის სხეულსაც თავისი ენერგოვიბრაციული მუხტი აქვს. ზოგჯერ ერთი გამოხედვა საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი გაღიზიანდეს, ზოგიერთი კარგ ხასიათზე დადგეს... სახელი გარკვეული ასობგერების წყობისგან შედგება. მნიშვნელოვანია, ეს ასობგერები ერთმანეთთან რამდენად ჰარმონიულად არის შერწყმული. ადამიანის სახელი მის გარეგნობას, მანერებს, ხმის ტემბრს უნდა უხდებოდეს. აღბათ არაერთი ადამიანისგან გსმენიათ, რომ საკუთარი სახელი აღიზიანებს და მერე იწყებს იმ სახელის შელამაზებას. ფაქტობრივად, ფსევდონიმს იღებს, რაც მათ ყურს უკეთესად ესმის. როცა სიამოვნებთ, შიდაენერგეტიკა და განწყობილება ეცვლებათ.

— შვილის სახელის შერჩევის დროს, მშობლებმა რა უნდა გაითვალისწინონ?

— მშობელმა შვილს ჰარმონიული ჟღერადობის სახელი უნდა შეურჩიოს, მისი წარმოთქმა თავად უნდა სიამოვნებდეს. ეს სახელი ცხოვრების განმავლობაში ხომ არაერთხელ უნდა წარმოთქვას, მაგრამ მეორე და მნიშვნელოვანია ასტრონუმეროლოგიური პარამეტრი ანუ შესატყვისობა იმ დღის კოდთან (დაბადების წლის, თვის და რიცხვის შეჯამება, რის შედეგადაც ერთ ციფრს მივიღებთ), როცა ადამიანი დაიბადა. მაგალითად, თუ ეს ციფრი არის 8, სასურველია სახელი შედგებოდეს 8 ან 4 ასოსგან. შემდეგი ეტაპი წმინდა „მუსიკალურ ნაწილთან“ არის დაკავშირებული. ასობგერათა წყობა ბავშვის ნატურას უნდა შეესაბამებოდეს. ამის განსაზღვრა დაბადების მომენტში რთულია. მშობელი არქმევს იმ სახელს, რომელიც მას მოსწონს, მაგრამ ეს სახელი შეიძლება, არ მოეწონოს ბავშვს, როცა ის წამოიზრდება. ეს უიღბლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია. რატომ არის, რომ არაერთი ცნობილი მწერალი არაფერს წარმოადგენდა მანამ, სანამ ფსევდონიმი არ აიღო. ფსევდონიმით წარმატებას არაერთმა მიაღწია.

— როცა ახალშობილს თავისი წინაპრის სახელს არქმევენ, ამაზე თქვენი აზრი როგორია?

— სასტიკად წინააღმდეგი ვარ. წინაპრის სახელის დარქმევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ის იყო ძალიან ჯანმრთელი, ბედნიერი და იღბლიანი ადამიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კარმის (კარმა ეს არის ბედ-იღბალი, რომლითაც მოდის ადამიანი, რომელიც მან დააგროვა წინა ცხოვრებების შედეგად) ნაწილი თქვენს შვილზე აუცილებლად გადმოვა და მას ცხოვრებას დაუმძიმებს. ასეთი სახით წინაპრების პატივისცემას თავი დავანებოთ. მიმაჩნია, რომ სახელი და მისგან გადმოსული კარმა გენეტიკურ ხაზზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. არის შემთხვევები, როცა იგივე დაავადებები უვითარდებათ, რომლებიც იმ ადამიანებს ჰქონდათ, ვის სახელსაც ისინი ატარებენ...

— თუ შეიძლება სახელი ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ავირჩიოთ?

— ასე კატეგორიებად დაწყობილი არ არის, მაგრამ მებრძოლი სულისკვეთების ნიშით (მორიელი, ვერძი, თხის რქა) დაბადებულ მამაკაცს არ უნდა ერქვას გულო, მათ მარსი მართავს. მოაზროვნე ნიშნით დაბადებულებს (მერწყული, სასწორი, ტყუპები) შესაბამისი სახელები უნდა შევურჩიოთ. მიწის ნიშნით (ქალწული, კურო და თხის რქა) დაბადებულები პრაგმატული ადამიანები არიან, მათთვის მისაღებია: მიხეილი, თამაზი თემური, ნოდარი. ზოგჯერ სახელში რაღაც ინფორმაციაა ჩადებული. ადრე შვილს არქმევდნენ მარლენს, ეს იყო მარქსის და ენგელსის შეერთებული ვარიანტი. უცნაური სახელების დარქმევის წინააღმდეგი ვარ. მით უმეტეს, თუ ჰარმონიულად არ ჟღერს და თავად მას არ მოსწონს, ვისაც ჰქვია. საშინელებაა ადამიანისთვის იმ სახელის ტარება, რომელიც მის ყურს არ სიამოვნებს. ვისაც თქვენი სახელი არ მოგწონთ, გირჩევთ, მოითხოვეთ, ყველამ ის სახელი დაგიძახოთ, რომელიც თქვენ მოგწონთ. საბუთებში ეწეროს ის, რაც დაგარქვეს. შესაძლებელია გადაკეთებაც. ამაში რთული არაფერია. ■

როგორ შეხვდა გიგი ვანდერი სტივ ვანდერს

„დავუკარი და 2 სიმღერა იმღერა“

გიგი ვანდერი — იგივე გიგი ჭიპაშვილი რამდენიმე თვეა, გადაცემა „ფეისკონტროლის“ მუსიკალურ გაფორმებაზე ზრუნავს. ნიჭიერმა ახალგაზრდამ პიანისტის კარიერა ნიჭიერთა ათწლედიდან დაიწყო, შემდეგ კონსერვატორია დაამთავრა და განათლების მიღების სურვილით საქართველოს საზღვრებსაც გასცდა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ კი მან, აჩიკო ნიჟარაძემ და კიდევ სამმა მუსიკოსმა ჯგუფი „City Life“ ჩამოაყალიბეს. გიგი რედაქციაში აჩიკოსთან ერთად გვეწვია და ინტერვიუს მსვლელობისას ისიც რამდენჯერმე ჩაება ჩვენს საუბარში.

ელენე ბასილიძე

— 10 წელი ვსწავლობდი ნიჭიერთა ათწლედში, მერე კი გიზი ამირეჯიბთან — კონსერვატორიაში. ბატონი გიზის მოსწავლე საშა კორსანტია იყო, რომელიც ამჟამად, ბოსტონის New England Conservatory-ში პროფესორია და მთხოვა, ჩემი დისკი გამეგზავნა მისთვის. ასეც მოვიქეცი. მალევე მოწვევა მომივიდა — გამოცდაზე მიწვევდნენ. ჩავედი, დავუკარი და საქართველოში ჩამოსულს წერილი დამხვდა, რომელშიც მატყობინებდნენ, რომ სტიპენდია მოვიპოვე და უნივერსიტეტი სასწავლებლად მიწვევდა. 1 წლის განმავლობაში ბატონ საშასთან ვსწავლობდი. იქვე ბერკლიში პოპმუსიკის სკოლაა, რომელიც ახლოს იყო ჩემს სასწავლებელთან. ღია გაკვეთილებზე დავდიოდი, ვსწავლობდი პოპმუსიკას, ჯაზს, არანჟირებას... როცა საქართველოში ვიზის გასაგრძელებლად ჩამოვედი, საელჩოდან უარი მივიღე — ვიზა აღარ გამიგრძელეს და მას შემდეგ აქ ვარ. მერე აჩიკო ნიჟარაძემ ჯგუფის ჩამოყალიბება შემომთავაზა. ასე შეიქმნა ბენდი City Life.

— დღეს კლასიკურ მუსიკას ნაკლებად სწყალობ, არა?

— ბოლო დროს ცოტა ჩამოვშორდი კლასიკას. კლასიკურ ჟანრს არაემოციური, სტაბილური იმიჯი სჭირდება. ჩემზე ალბათ ბერკლის პოპმუსიკის სკოლამ იმოქმედა და ჯაზისა და ესტრადისკენ გადავიხარე.

— რამდენი წელი გაატარე უცხოეთში?

— თითქმის 2 წელი და კიდევ მინდა, სასწავლებლად წავიდე.

— გადაცემა „ფეისკონტროლში“ როგორ აღმოჩნდი?

— მას შემდეგ, რაც ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ, სხვადასხვა შოუში მიგვიწვიეს, მათ შორის — „ფეისკონტროლშიც“. ალბათ ამ ვიზიტის შემდეგ დაებადათ იდეა, რომ გადაცემა მუსიკალურად გამეფორმებინა.

— როცა რომელიმე მომღერლის რეპერტუარი არ მოგწონს, ამ შემთხვევაში როგორ იქცევი?

— ყველანაირად ვცდილობ, როგორმე შევცვალო მისი რეპერტუარი და სხვა სიმღერა ვამღერო, მაგრამ ხშირად ჩემი ვერ გამაქვს და მაინც იმას მღერიან, რაც სურთ. ამას წინათ, ერთმა გოგონამ ისეთი სიმღერა მოიტანა, კინაღამ გული შემიწუხდა. ახლა, არ იკითხავთ, რა ხმით იმღერა (*იცინის*)?!. კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. როგორც იქნა, სიმღერა შევაცვლევინეთ. ეს რომ მაყურებელს მოესმინა, რა დაემართებოდა?

— ისეთი მომღერლები თუ მოდიან, რომლებსაც არც სიმღერის შეცვლა შველით?

— (*იღიმის*) კი, აბა რა! ასეთებიც არიან, მაგრამ მე მაინც ვუკრავ. მთავარია, საზოგადოებამ იცის, რომ ეს მომღერალი ჩემი მოყვანილი არ არის და მეც დამშვიდებული ვარ. შეიძლება, ყველამ პოლ მაკარტნივით და სტივ ვანდერივით ვერ იმღეროს, მაგრამ თუ საშუალება ექნება და ისეთი პროდიუსერის ხელში მოხვდება, როგორიც ამ მომღერლებს ჰყავდათ, მაშინ დადებითი რეზულტატი გარანტირებული იქნება.

— მოდი, დავუბრუნდეთ „ფეისკონტროლს“. როგორია ნანკასა და ნინისთან მუშაობა?

— არაჩვეულებრივი. ამ გოგონებს ადრეც ვიცნობდი. ნინი ათწლედში სწავლისას გავიცანი და ცოტა ხანი სოლფეჯიოზე ერთად დავდიოდით. მათთან მუშაობაც ძალიან სასიამოვნოა და შეუძლებელია, დისკომფორტი იგრძნო. გადაცემის მსვლელობისას კარგად ხალისობენ. ამასთან ერთად, ძალიან

სტივს ვუთხარი, მეც ვანდერს მეძახიან-მეთქი...

ბოლო დროს ცოტა ჩამოვშორდი კლასიკას

ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავთ, რომლებიც მათზე გიჟდებიან.

— მათ თაყვანისმცემლებს, გაგიჟებულ ბიჭებს ხომ არაფერს ეტყვი?

— არაფერსაც არ ვეტყვი, გააგრძელონ გაგიჟება (*იცინის*)!

— სტივ ვანდერისადმი შენს სიყვარულზე უკვე „ლეგენდები“ დადის. თუ გახსოვს, პირველად როდის მოისმინე მისი სიმღერა?

— ჩემი მეზობელი მანქანით ეზოში შემოდიოდა და სტივ ვანდერის სიმღერა — „I just called to say i love u“ ჰქონდა ჩართული, რომელიც ძალიან მომწონდა. დედა მეუბნება, მეზობელს ხშირად სთხოვდი ამ სიმღერის ჩართვასო, — მაშინ 5-6 წლის თუ ვიქნებოდი. მერე ვანდერის სიმღერების კრებული ვიყიდე და მას ვუსმენდი. დროთა განმავლობაში თითქოს შევეშვი მისი სიმღერების მოსმენას და ჯაზზე — ოსკარ პიტერსონზე გადავერთე. მერე კი ისევ სტივ ვანდერს მივუბრუნდი.

— როგორც ვიცი, შეხვდი კიდეც შენს კერპს...

— კი. მაშინ საზღვარგარეთ ვსწავლობდი და მის კონცერტზე წავედი. გავიგე, რომ კონცერტის შემდეგ მიღება ექნებოდა, იქ კი სპეციალური სტიკერით უნდა მოხვედრილიყავი, რომელიც ხვეწნა-ხვეწნით ვიშოვე და მიღებაზეც აღმოვჩნდი. მივედი, გადავეხვიე, ფოტოც გადავიღე, იქვე ინსტრუმენტი შევამჩნიე და ვთხოვე, — შეიძლება, თქვენთვის დავუკრა-მეთქი? კი, ბატონო, თუ შეგიძლია, რატომაც არაო?! დავუკარი და 2 სიმღერა იმღერა. ამას წინათ კი დუბაიში ჩატარებული კონცერტის შემდეგ, ჩვენმა ბენდმა სტივ ვანდერის ბენდის წევრები გაიცნო. სამწუხაროდ, დუბაიში სტივს ვეღარ შევხვდით.

აჩიკო:

— დუბაიში ტურნე არ ჰქონდა სტივს, თორემ ტურნეს დროს ყოველთვის ეწყობა მიღებები და მის ნახვას შევძლებდით. ბენდის ერთ-ერთმა წევრმა, საქსოფონისტმა რაიანმა დახმარება შემოგვთავაზა. გვითხრა, რომ თუ დაგვჭირდებოდა, სიამოვნებით დაგვეხმარებოდა. ჯაზ-ფესტივალზე გვინდოდა ჩამოყვანა, მაგრამ ამისთვის მინიმუმ 5.000 დოლარი გვჭირდება.

— ხელზე შენი კერპის სახელი და გვარი გაწერია. ეს ტატუ საქართველოში გაიკეთე?

— 2008 წლის ზაფხულში, სტივ ვანდერის კონცერტამდე 3-4 კვირით ადრე ბოსტონში გავიკეთე. ტატუს გასაკეთებლად რომ მივედი, შავკანიანი ბიჭი დამხვდა. დამიდო წინ კატალოგი და ამოირჩიეო, მითხრა. დავხურე ეს კატალოგი და, — „სტივ ვანდერი“ დამაწერე-მეთქი, ვუთხარი. კაცი გაგიჟდა! ტატუს გაკეთება 160 დოლარი ღირდა და მე 60 დოლარად გამიკეთა: ეს გიჟია, თეთრკანიანი ადამიანი შავკანიანის სახელს ხელზე იწერდეს, ჯერ არ გამიგიაო. მერე მეორე მხატვარს დაუძახა, — ნახე, რის გაკეთებას აპირებსო, — და ახლა იმ მეორემ მკითხა, — დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად გინდაო (*იცინის*)?! სხვათა შორის, ბერკლიში სწავლისას, ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს მკერდზე რეი ჩარლზის სახე ჰქონდა დახატული. სტივმა ჩემს ტატუს ხელი მოუსვა და „წაიკითხა“. სხვათა შორის, ისიც ვუთხარი, მეც ვანდერს მეძახიან-მეთქი.

— მოდი, ამ მეტსახელის შესახებაც მომიყევი. ამბობენ, რომ გვარი გამოიცვალე...

— არა, რას ამბობ?! ეს უბრალოდ, შერქმეული სახელია, რომელიც ბერკლიში შემარქვეს.

აჩიკო:

— ეს საქართველოშია გასაკვირი, თორემ თითქმის ყველა ცნობილ ადამიანს შერქმეული სახელი ან გვარი აქვს. სხვათა შორის, ჩემთვისაც ხშირად უკითხავთ, გიგიმ მართლა შეიცვალა გვარიო?

გიგი:

— ჩემი ამერიკელი მეგობრები ისე შევაწუხე სტივ ვანდერზე საუბრით, რომ დამინახავდნენ, — ააუ, მოვიდა და ისევ ვანდერზე დაიწყებს ლაპარაკსო, — ამბობდნენ. თავდაპირველად, გვარიდან გამომდინარე, ჩიპსონს მეძახდნენ, მერე ჩემმა შავკანიანმა მეგობარმა, ჯერიმ, ვანდერი შემარქვა და ყველა ასე მომმართავდა. ერთხელაც, მეგობრებმა „ფეისბუქის“ გვერდი გამიკეთეს, სადაც გიგი ვანდერით დამარეგისტრირეს და მას შემდეგ შემრჩა ეს სახელი. გვარი ნამდვილად არ გადამიკეთებია!

— გიგი, პირად ცხოვრებაზე რას მეტყვი? რჩეული გოგონა თუ გყავს?

— არა, არ მყავს (*იღიმის*). ამერიკაში მყავდა, მაგრამ ჩამოსვლის შემდეგ სასურველი გოგონა ჯერ ვერ ვიპოვე.

— როგორც ვხვდები, თქვენს ბენდს დიდი გეგმები აქვს, არ გამიმხელთ?

— ჯერჯერობით ჯაზფესტივალისთვის ვემზადებით. გამოსვლა 20 ივლისს გვექნება. ამას წინათ, კიევში ვიყავით, სადაც კონცერტი ჩავატარეთ. შესაძლოა, კიდევ მოგვიწიოს უკრაინაში წასვლამ. ჩვენი ბენდი პოპზე, რიტმ-ენდ-ბლუზსა და სოულზე მუშაობს.

აჩიკო:

— ვაკეთებთ ქავერ ვერსიებს და ცალკე კომპოზიციებსაც. შესაძლოა, მერე ქართული სიმღერებიც ჩავწეროთ.

— გიგი, ბერკლიში სწავლის გაგრძელებას ვაპირებო, მითხარი. როდის მიდიხარ?

— გამოცდა იანვარში იქნება და საგამოცდოდ ალბათ თურქეთში მომიწევს ჩასვლა. კომპოზიციისა და სიმღერის ავტორობის კურსი მინდა გავიარო. მინიმუმ, 1 წლით მაინც მინდა წასვლა. მუსიკის გაკეთება მინდა. არა აქვს მნიშვნელობა, სად ვიცხოვრებ, მთავარია, ჩემი საყვარელი საქმის კეთების საშუალება მქონდეს. ■

აჩიკო ნიჟარაძემ ჯგუფის ჩამოყალიბება შემომთავაზა. ასე შეიქმნა ბენდი City Life

5-შვილიანი ოჯახის გასაჭირი და იმედით გათენებული ხვალინდელი დღე

უკვე წლებია, რაც მარტოხელა ქალბატონი — ლალი ლოსიშვილი 5-შვილიან ოჯახს მარტო უძღვება. ადრე ოფისებსა და ბინებს ალაგებდა, შემდეგ კი დროთა განმავლობაში, ეს სამუშაოც დაკარგა და ამბობს, თითქოს ჯიბრზე ადამიანებმა სახლებისა და ოფისების დალაგებაზე უარი თქვეს, არადა, ჯერ კიდევ ჯანზე ვარო... სოციალური სამსახურების მიერ ერთ-ერთი გეგმური შემოწმების დროს, მისი ოჯახი სიიდან ამოვარდა და 14 წლის თაკო, 13 წლის იზაბელა, 12-ის სოფიკო და 11-ის ტყუპი — გივიკო და ნანიკო ლუკმაპურის გარეშე დარჩნენ. უკვე მერამდენე თვეა, გაკვეთილების შემდეგ, ფონდ — „მომავლის გზას“ მიაშურებენ ხოლმე, სადაც სრულფასოვნად იკვებებიან. „ბოლო რამდენიმე დღეა, გზის ფულიც კი არ მაქვს, რომ 5-ივე გავუშვა... თან, ტყუპს ვირუსი შეეყარა; სიცხე ჰქონდათ“, — მიყვება თვალცრემლიანი დედა. ახალგაზრდა ქალბატონის ოცნებაა — შვილებს ელემენტარული პირობები შეუქმნას და გზაზე დააყენოს...

ლალი პაპასქირი

ვცდილობ, ოთახში გამეფებულ სიღარიბეს თვალი ავარიდო. ბავშვები მხიარულად მესაუბრებიან. 5-ივე ერთმანეთს ჰგავს, ყველა ერთად კი — დედას... იზაბელა მოკრძალებით მიმხელს, რომ ფოტოხელოვნებაზე ოცნებობს... მათ ბავშვურ თვალებში სიხარულთან ერთად, დარდსაც ვკითხულობ...

— ბოლო 2 წელია, რაც უკიდურესად გაგვიჭირდა. ადრე ვმუშაობდი, სახლებსა და ოფისებს ვალაგებდი, სოციალურ დახმარებასაც ვიღებდი და თვის ბოლოსთვის აღებული თანხა გვყოფნიდა... მერე ყველა უბედურება ერთდროულად დამატყდა თავს, — სამუშაო დავკარგე. არადა, ჯერ 39 წლის ვარ და არანაირ სამუშაოს არ ვთაკილობ...

— **ლალი, ვიცი, რომ მუსიკალური განათლება გაქვთ...**

— სკოლა წარჩინებით დავამთავრე. ჩემი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი ვენის ოპერის მომღერალი — თამარ ივერი იყო... საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თამარ მეფის სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში გავაგრძელე, რომელიც ასევე წარმატებით დავამთავრე. ჩემი პედაგოგი ლექსო თორაძის მამიდა — ნანა თორაძე იყო. მისი და სხვა პედაგოგების წყალობით, კარგი მუსიკალური განათლება მივიღე... ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია. რადგანაც ბევრი შვილი მყავს, იმ საქმიდან აღებული ხელფასი არ მეყოფოდა. შვილები რომ გამომეკვება, ერთდროულად 3-4 ადგილას ვმუშაობდი... სამუშაოს დაკარგვის შემდეგ, სახელმწიფოს დახმარების იმედზე დავრჩით, 125 ლარს მრავალშვილიანობის დახმარებას ვიღებდი, 150-ს კი — როგორც უმწეოთა დახმარებას. ამ თანხით თვიდან თვემდე როგორღაც გაგვქონდა თავი. მისი შეჩერების შემდეგ, კი „ჰაერზე“ დავრჩით...

— **დახმარების შეჩერების მიზეზის გარკვევა არ გიცდიათ?**

— კი, როგორ არა?!. ისანი-სამგორის რაიონს ვეკუთვნით და იქ რამდენჯერმე მივედი. მითხრეს, ტექნიკური ხასიათის გეგმური შემოწმებაა და თუ საკმარის ქულებს მოაგროვებთ, დახმარებაც აღდგებაო... არადა, წინა დღეებში სოციალური აგენტი იყო მოსული და ლამის იტირა, იმაზე უარესი მდგომარეობა გაქვთ, ვიდრე აქამდე გქონდათო, მაგრამ დახმარება მაინც შეგვიწყვიტეს. ბავშვები დღის განმავლობაში „დღის ცენტრში“ არიან, სადაც სრულფასოვნად იკვებებიან... ჭამის გარდა უამრავი პრობლემა გვაქვს. ამას წინათ, ტყუპს ვირუსი შეეყარა და მაღალი სიცხეები ჰქონდა. სიცხის დამწევი მედიკამენტებიც არ მქონდა... „თბილისის ფორუმის“ წევრებმა შემიგროვეს ფული, წამლებიც მომიტანეს და სურსათიც... ამავე საიტზე არსებობს მადლიანი ადამიანების მიერ დაფუძნებული ფონდი — „დააპურე თუნდაც ერთი ბავშვი“ და მისი წევრე-

წინა დღეებში სოციალური აგენტი იყო მოსული და ლამის იტირა, იმაზე უარესი მდგომარეობა გაქვთ, ვიდრე აქამდე გქონდათო

ბოლო 2 წელია, რაც უკიდურესად გაგვიჭირდა

ბი ჩემნაირ გაჭირვებულ ოჯახებს ეხმარებიან...

— **ბავშვები სკოლაში დადიან?**

— დიახ, 5 ბავშვის ტანსაცმლის, წიგნებისა და სასკოლო ნივთების შეკოწიწება ძალიან მიჭირს, მაგრამ ყველაფერს ვიკლებ, იმ ელემენტარული სურსათის შეძენაზეც უარს ვამბობ და ბავშვებს სკოლას არ ვაცდენინებ. წელს უფროსმა გოგონამ IX კლასი დაამთავრა და მინდა, კოლეჯში გავაგრძელებინო სწავლა...

თამაშის დროს ერთი მეზობლის ბავშვმა მეორეს გივიკოზე მიუთითა და უთხრა, იმასთან ნუ თამაშობ, ღარიბიაო...

შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ბოლო 3 დღეა, პურიც არ გვიყიდია, ბავშვები წყალზე მოხარშულ მანანის ფაფაზე გადამყავს, მაგრამ მზად ვარ, ესეც კი მოვაკლო შვილებს. ჩემი მიზანია, ბავშვებს რაღაც ბიძგი მივცე და ცხოვრებაში თავის დამკვიდრება შეძლონ. ღმერთის წყალობით, 5-ივე ნიჭიერია. ნორმალური ოჯახის შვილებისთვის წარმოუდგენელია ის გაჭირვება, რასაც ჩემი ბავშვები იტანენ, მაგრამ არ მახსოვს, სკოლაში მოუმზადებლად წასულიყვნენ...

— **ახლობლები არ გეხმარებიან?**

— ალბათ ცოტა უცნაურია, მაგრამ ახლობლისთვის არასდროს მითხოვია დახმარება, ან როგორ უნდა ვთხოვო, როცა მათაც უჭირთ?! 70 წელს გადაცილებული დედა მყავს, რომელიც თავისი პენსიით ცხოვრობს. ამასთან, ძმაც მყავს, მაგრამ მასაც ოჯახი აქვს სარჩენი და ვერ ვეტყვი, შენს შვილს მოაკელი-მეთქი...

— **მხიარული შვილები გყავთ...**

— დიახ, იმ ასაკში არიან, რომ ახლა იწყებენ ცხოვრების გაცნობიერებას. უფროსებს გარდატეხის ასაკი აქვთ და ყველაფერს მტკივნეულად აღიქვამენ. ამას წინათ, 11 წლის გივიკომ მითხრა, — ეზოში სათამაშოდ აღარ ჩავალო. გამიკვირდა, — რატომ-მეთქი?! მერე გოგონებისგან გავიგე, თურმე თამაშის დროს ერთი მეზობლის ბავშვმა მეორეს გივიკოზე მიუთითა და უთხრა, იმასთან ნუ თამაშობ, ღარიბიაო... არ მინდა, რომ ასეთმა გამონათქვამებმა ჩემს შვილებს გული ატკინოს და მირჩევნია, იქ იყვნენ და ითამაშონ, სადაც მისნაირები იკრიბებიან. ვცდილობ, მათ დასანახავად რაღაც პრობლემებს იუმორით შევხედო. თუმცა, ღამე ბევრჯერ მიტირია... ჩემთვის, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ძვირფასი არაფერია, მაგრამ ამას ბავშვს ვერ აუხსნი...

— **თქვენს ბინაში პიანინო შევნიშნე. მართალი გითხრათ, გამიკვირდა კიდეც...**

— (*მაწყვეტინებს*) მაშინ, როცა ძალიან ცუდად ვარ და სასოწარკვეთილებისგან არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო, დავჯდები და ვუკრავ. ამ დროს ცხოვრების გასაგრძელებლად ძალა მემატება... თან, ვცდილობ, რომ შვილებს მცირე სულიერი საზრდოც მივცე...

p.s. როცა ცხოვრება ყოველდღიურად ძვირდება, ძნელია, ვინმეს ქველმოქმედება მოსთხოვო, მაგრამ უბრალო ადამიანების მიერ დაფუძნებული ფონდი — „დააპურე თუნდაც ერთი ბავშვი“ აგრძელებს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დახმარებას... რამდენიმეთვიანი არსებობის განმავლობაში, მისმა წევრებმა თავიანთი ყოველთვიური შემოსავლიდან გადარიცხული მიზერული თანხით არაერთი ბავშვი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინეს... იმედით, რომ საზოგადოება ასეთ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების ტკივილს გულთან ახლოს მიიტანს, ვაქვეყნებთ ანგარიშის ნომრებს:

ლარის ანგარიში:
GE62TB0877136512500062
ევროს ანგარიში:
GE79TB7577136612500004
დოლარის ანგარიში:
GE09TB7577136612500003
Emoney-ის ანგარიში:
360721245
ბანკი TBCBGE22

■

სოფო მინაშვილი

საბა:

— სანამ შეერთებულ შტატებში გავემგზავრებოდი, საქართველოში ბევრი სასწავლებელი გამოვიცვალე. ვსწავლობდი ოთხ სხვადასხვა, მათ შორის — თბილისის ბაირონის სახელობის ინგლისურენოვან სკოლაში. შემდეგ, გიული ალასანიას საქართველოს უნივერსიტეტში პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავაბარე. 2 წლის შემდეგ აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებულ იმ, გლობალური საბაკალავრო გაცვლითი პროგრამის გამარჯვებულთა სიაში აღმოვჩნდი. განაცხადი პირველად 18 წლის ასაკში შევიტანე, მაგრამ მაშინ უარყოფითი პასუხი მომივიდა. შემდეგ უფრო სერიოზულად მოვემზადე — გავიარე სტაჟირება, საქართველოს უნივერსიტეტში ვმუშაობდი ერთ-ერთი პროფესორის ასისტენტად და ეკონომიკური გაზეთის რედაქტორად; უკეთესად ჩამოვყალიბდი, თუ რომელი მიმართულებით მსურდა სწავლის გაგრძელება. შევიტანე განაცხადი. პირველ ეტაპზე, სხვადასხვა საბუთის შეგროვების გარდა, ყველაზე რთული იყო აპლიკაციის შევსება, სადაც ინგლისურ ენაზე 3 ესეი უნდა დამეწერა: პირველი — რატომ ავირჩიე ეს პროფესია და აშშ-ში სწავლა, მეორე — ვინ არის ჩემთვის ლიდერი და მისაბაძი ადამიანი და მესამე — წერილი ოთახის მეგობარს ან ოჯახს, რომელთან ერთადაც აშშ-ში ცხოვრება მომიხდებოდა. მეორე ეტაპზე საქართველოში IREX-ისა და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებთან გასაუბრება გველოდა, სადაც 3600 სტუდენტიდან მხოლოდ 50 დაგვიბარეს... გასაუბრების შემდეგ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ინგლისურის ტესტი უნდა დამეწერა, მაგრამ TOEFL-ის ტესტი პირველი კურსის ბოლოს უკვე დაწერილი მქონდა და სერტიფიკატი კვლავაც ძალაში იყო. მაისის ბოლოს შევიტყვე, თუ რომელ უნივერსიტეტში მომიხდებოდა სწავლა. ჩემი უნივერსიტეტი ჩრდილოეთ დაკოტის შტატში, კანადის საზღვართან ახლოს მდებარეობს, სადაც თავის დროზე პრეზიდენტი — თეოდორ რუზველტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამით მთელი შტატი ამაყობს, იქ მისი მუზეუმიც არსებობს. ეს შტატი თავისი საგანმანათლებლო სისტემით შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი მოწინავეა. დიკინსონის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაახლოებით 3000 სტუდენტი სწავლობს. პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვსწავლობდი, თან, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ისეთი საგნებიც ავირ-

საზღვარგარეთ სწავლა, გაცვლითი პროგრამები და ის, რაზეც ყველა სტუდენტი ოცნებობს

საზღვარგარეთ სწავლა ბევრი ქართველი სტუდენტისთვის ოცნებად რჩება. თუმცა საქართველოში უკვე ყოველწლიურად იზრდება იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც სხვადასხვა საერთაშორისო ფონდისა თუ ქართული უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მეშვეობით სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მიღება შეძლეს. როგორია აშშ-ისა და ევროპის მოწინავე უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტური ცხოვრება და რა უპირატესობა აქვს ამერიკულ და ევროპულ საგანმანათლებლო სისტემას ქართულთან შედარებით? ამის შესახებ გაცვლით პროგრამებში ჩაბმული სტუდენტები — საბა გვეტაძე და ლატავრა ჩუბინიძე გვიამბობენ.

ჩიე, რომლებსაც აქ სათანადოდ ვერ დავეუფლებოდი. აშშ-დან ჩამოსვლის შემდეგ, კვლავ საერთაშორისო ურთიერთობების განხრით, ტექნიკურ უნივერსიტეტში გავაგრძელე სწავლა. წელს ბაკალავრიატს ვამთავრებ და სამაგისტრო გაცვლითი ორწლიანი პროგრამით გერმანიაში მივემგზავრები.

ლატავრა:

— წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი დავამთავრე. ოქტომბრიდან სწავლას გერმანიაში, ტრირის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში გავაგრძელებ. მანამდე იქ გერმანული ენის ოთხთვიან კურსს გავივლი. წელს DAAD-ისა (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) და ფონდის — „ღია საზოგადოება საქართველო“ სამაგისტრო კურსის ერთობლივი სტიპენდია მოვიპოვე, რაც გერმანიაში სწავლის დაფინანსებას უზრუნველყოფს. საზღვარგარეთ სასწავლებლად პირველად არ მივემგზავრები. ბაკალავრიატის პერიოდში, თბილისისა და ბრემენის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, იქ ერთი სემესტრის განმავლობაში ფინანსურ აღრიცხვას ვსწავლობდი.

— როგორ აღმოჩნდი გაცვლით პროგრამაში? რთული იყო DAAD-ის სტიპენდიის მოპოვება?

ლატავრა:

— DAAD-ის შესახებ თავდაპირველად არაფერი ვიცოდი. აკადემიური მოსწრების, გერმანული ენის ცოდნისა და სტუდენტური აქტიურობის წყალობით შემარჩიეს. ერთ დღეს დამირეკეს და მითხრეს, რომ გასაუბრებაზე ვიყავი დაბარებული. გასაუბრებისა და ჩემი CV-ის გერმანიაში გაგზავნის შემდეგ დამინიშნეს DAAD-ის სტიპენდია. ბრემენში სწავლის დროს მეტი მოტივაცია და იმის სურვილი გამიჩნდა, რომ უფრო გამეღრმავებინა ცოდნა. მინდოდა, მაგისტრატურაში სწავლა პირდაპირ გერმანიაში გამეგრძელებინა, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ჯერ საქართველოში დავამთავრე მაგისტრატურა. საბოლოოდ, ეს კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა, რომ საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსება მომეპოვებინა.

— ახლა ის გვითხარი, რა უპირატესობა აქვს დასავლეთის განათლების სისტემას აქაურ სისტემასთან შედარებით?

საბა:

— აშშ-ის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა მთლიანად სტუდენტზეა ორიენტირებული — დამლაგებლით დაწყებული, პროფესორით დამთავრებული, სტუდენტს ყველა ისე აღიქვამს, როგორც დამკვეთს, რომლის დაკვეთილ საქმესაც ის ასრულებს. საქართველოში განსხვავებული ვითარებაა — აქ სტუდენტი თავს ისე გრძნობს, თითქოს პირველ რიგში, ის არის რაღაცით ვალდებული უნივერსიტეტის წინაშე. აშშ-ში პროფესორები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი თავისუფალი დრო გამონახონ სტუდენტისთვის. იქ ყველა პროფესორს საკუთარი კაბინეტი აქვს და მათ პრესტიჟად მიაჩნიათ, როდესაც თავისუფალ დროს მათთან გასაუბრებისთვის ბევრი სტუდენტი მიდის. საქართველოში კი ეს შეწუხებად და თავის მობეზრებად აღიქმება, თუმცა ეს ყველა პროფესორს არ ეხება. ამერიკელი ლექტორი მაქსიმალურად ცდილობს, რომ საგნის მიმართ დიდი ინტერესი გაგიღვივოს, რათა წახვიდე და ბიბლიოთეკაში დამატებითი ინფორმაცია მოიპოვო. ლექტორი დეტალურად არ ლაპარაკობს, თუ კონკრეტულ მაგალითს მოიყვანს, მხოლოდ იმიტომ, რომ საკითხი უკეთ გაიგო. სტუდენტებს ყოველი მომდევნო თავის გავლის შემდეგ ეძლევა წიგნების სია, საიდანაც დამატებით ინფორმაციას მიიღებს. იქაური უნივერსიტეტები უნიკალური ბიბლიოთეკებით არის აღჭურვილი და სტუდენტს წიგნისთვის შორს წასვლა არ სჭირდება. საქართველოში კი ხშირად ინტერნეტის პრობლემაა, ან საჯარო ბიბლიოთეკაში წასვლა გიწევს, რაც დამატებით დროსა და ხარჯებთან არის დაკავშირებული.

— რა არის ყველაზე მთავარი დაფინანსების მოსაპოვებლად? როგორ უნდა მოემზადო გასაუბრებისთვის?

ლატავრა:

— პირველი ეტაპი საბუთების ჩაბარებაა, რაც შრომატევადი პროცესია. ჩემს შემთხვევაში ითხოვდნენ ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, სამოტივაციო წერილს, ლექტორების რეკომენდაციებს. ყურადღება ექცევა სტუდენტობის პერიოდში ატიურობას, გავლილ ტრენინგებსა და მიღებულ სერტიფიკატებს. წარდგენილი საბუთების მოწონების შემთხვევაში ხვდები გასაუბრებაზე, სადაც არგუმენტირებულად უნდა გადმოსცე, თუ რას მოელი კონკრეტული პროგრამისგან, რისი მიღწევა გსურს მომავალში, რატომ აირჩიე ესა თუ ის ფაკულტეტი, სად გამოიყენებ მიღებულ ცოდნას და ა.შ. დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ წარმოგიდგენია მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრება.

— იქაური სტუდენტური ცხოვრების შესახებაც მიამბეთ.

საბა:

— ერთი სემესტრის განმავლობაში ამერიკელ სტუდენტთან ერთად ვცხოვრობდი, ერთი სემესტრი კი — მარტო. იყო ასეთი პროგრამა — „ამერიკუ-

ლი ოჯახი“, რომელიც წყვილს (არ ჰქონდა ასაკს მნიშვნელობა) დროებით, სტუდენტის შვილად აყვანის უფლებას აძლევს. საბუთების მიხედვით, ჩემი ოჯახი იყო ჩემი ამერიკელი მეგობარი და მისი შეყვარებული — ერთი წლით ჩემზე უფროსი „მამა“ და ერთი წლით უმცროსი „დედა“ მყავდა. მათთან ერთად არ ვცხოვრობდი, ლექციებისგან თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით. ჩვენი უნივერსიტეტი ყოველ შაბათს საკუთარ კლუბში საღამოს მართავდა, სადაც დიჯეი ჩვენი მეგობარი იყო და რასაც ვთხოვდით, იმას უკრავდა. ვირჩევდით თემას და კოსტიუმებს შესაბამისად ვიცვამდით. გვქონდა „თეთრი საღამო“, რომლის დროსაც მხოლოდ თეთრი ფერის სამოსი უნდა გვცმოდა. მოვაწყვეთ ასევე „ვარდისფერი საღამო“, „პიჟამების საღამო“, „მარწყვის საღამო“, სადაც მარწყვის ფერებში გამოწყობილი უნდა მისულიყავი და ცეკვის დროს მარწყვი უნდა გაგენაწილებინა სხვებისთვის.

ლატავრა:

— გერმანული სტუდენტური ცხოვრება აქტიურია. სასწავლო პროცესი მრავლისმომცველი და დატვირთულია, რის გამოც სტუდენტები ყველაზე მეტ დროს მეცადინეობას უთმობენ. განტვირთვისთვის ეწყობა ექსკურსიები და სხვადასხვა სახის ღონისძიება. მახსოვს, ერთ-ერთი წვეულების დროს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებს დანარჩენებისთვის მშობლიური ქვეყნები უნდა წარედგინათ.

სტუდენტები მრავალ ადგილზე მოგზაურობის დროს შეღავათით სარგებლობენ, მუზეუმებში ბილეთის შეძენა ფასდაკლებით შეუძლიათ

ამისთვის ფოტოების გამოყენებით, სლაიდშოუ უნდა მოგვეწყო და ეროვნული კერძები უნდა მოგვემზადებინა. ქართველებს ამ დავალებისთვის თავის გართმევა არ გაგვჭირვებია. სტუდენტები მრავალ ადგილზე მოგზაურობის დროს შეღავათით სარგებლობენ, მუზეუმებში ბილეთის შეძენა ფასდაკლებით შეუძლიათ. სასწავლებლები ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკებით არის აღჭურვილი და სტუდენტებს უამრავი სახის ლიტერატურაზე მიუწვდებათ ხელი. სტუდენტები გადიან როგორც ძირითადი მოდულის საგნებს, ასევე არჩევით საგნებსაც.

— როგორი დამოკიდებულება აქვთ იქაურ სტუდენტებს ქართველებისა და საერთოდ, უცხოელი სტუდენტების მიმართ?

— ჩვენში დამკვიდრებულია სტერეოტიპი, რომ გერმანელები ცივი ხალხია. როცა იქ ჩავედი, გაოცებული დავრჩი — არ მოველოდი ამდენად უშუალო გარემოს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც რომელიმე ქუჩას ვერ ვპოულობდი, ჩემთან მოსულა გერმანელი და დახმარება შემოუთავაზებია, წამომყოლია და თავად უჩვენებია გზა. არა აქვს მნიშვნელობა, სტუდენტია თუ ასაკოვანი ადამიანი, — როცა ხვდება, რომ უცხოელი ხარ და მის ქვეყანაში სტუმრად იმყოფები, ცდილობს, მაქსიმალურად გასიამოვნოს. უშუალო ურთიერთობებია სტუდენტებს შორისაც. იშვიათად შეხვდებით სნობებს. თუ რომელიმე სტუდენტი მატერიალურად ძლიერი ოჯახიდანაა, ამას ვერც ჩაცმულობით შეატყობთ და ვერც — ქცევით. იქ ამის ხაზგასმა არ ხდება.

— კურიოზულ ვითარებაში თუ აღმოჩენილხართ?

საბა:

— ერთხელ ჩემი მეგობრის დედის დაბადების დღე იყო. იმ ქალს ახლოს ვიცნობდი, ჩვენს უნივერსიტეტში მუშაობდა, ერთადაც გვიმუშავია. დაბადების დღე უნივერსიტეტში აღვნიშნეთ. მინდოდა, რაიმე ორიგინალური გამეკეთებინა იუბილარისთვის და ფელამუშის გაკეთება გადავწყვიტე. საქართველოდან მომზადებული წავედი. იქ ქართულ კერძებს ხშირად ვამზადებდი. განსაკუთრებით მოეწონათ ხაჭაპური. მეგობრის სახლში მოვამზადე ფელამუში, გავანაწილეთ თეფშებზე და უნივერსიტეტში ავტომობილით წავედით. გზაში მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა და მეც და ჩემი მეგობარიც ფელამუშში ამოსვრილები მივედით დაბადების დღეზე. მერე ვუხსნიდით ხალხს, რომ ეს იასამნისფერი მასა სინამდვილეში იჭმებოდა.



ერთი წლით ჩემზე უფროსი „მამა“ და ერთი წლით უმცროსი „დედა“ მყავდა

— საბა, მუშაობა ახსენე. აშშ-ში გაცვლითი პროგრამით ჩასულ სტუდენტებს მუშაობის უფლება აქვთ?

— სტაჟირებას გავდიოდი, მაგრამ იქ სტაჟირება ანაზღაურებადია. სხვა სტუდენტებთან ერთად, პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის პირადი ჩანაწერებისა და წიგნების ელექტრონულ ბიბლიოთეკას ვქმნიდით. სადღეისოდ, 3 პრეზიდენტის — ჯორჯ ვაშინგტონის, აბრაამ ლინკოლნისა და თომას ჯეფერსონის ელექტრონული ბიბლიოთეკები არსებობს, ახლა მზადდება რუზველტისაც, რაშიც ჩემი წვლილიც არის. ვაშინგტონში ყოფნის დროს კონგრესის ბიბლიოთეკაში ექსკლუზიურად შემიყვანეს და ვნახე იმ დოკუმენტების დედნები, რომელთა მხოლოდ ასლები მქონდა ნანახი, — ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო.

— უცხო ქვეყანაში ყოფნის დროს ყველაზე მეტად რა გენატრებოდათ?

— მენატრებოდა აქაურობა, ყოველღამე წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ოთახში ვსვამდი ჩაის და ჩემს საწოლში ვიძინებდი. პირველი 3 თვე ყველაზე მეტად გამიჭირდა. არ ვიცი, რა დავარქვა ამას — ქართული ნოსტალგია თუ სხვა რამ, მაგრამ აშშ-ში ქართული ლიტერატურის იმდენი ნიმუში წავიკითხე, რამდენიც 18 წლის განმავლობაში არ წამიკითხავს. მახსოვს, ვიზეპირებდი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს და ლექციაზე ყოფნის დროს ზოგჯერ ასომთავრულითა და ნუსხურით ქართულ ტექსტებს ვწერდი. ამერიკული კულტურა მშობლიური კულტურის მეტად დაფასებაში დამეხმარა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკული კულტურა ნაკლებად არის განვითარებული, უბრალოდ, იქ ჩემი იდენტობის ფასი შევიგრძენი. ასეთ უცხოელებს ამერიკელებიც უფრო მეტ პატივს სცემენ. ■

მშობლებისგან მიტოვებული გოგონები და კაცებზე გაბრაზებული მოზარდები

„გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას!"

ამჯერად, ჩვენი ერთგული მკითხველების ვრცელ წერილებს გთავაზობთ, რომლებიც იმედია, თქვენც დაგაინტერესებთ. პირველი წერილის ავტორი მაკა ბურჯალიანი გახლავთ, რომელმაც მშობლებისგან მიტოვებული გოგონას ტრაგიკული ამბავი გაგვანდო.

ლიკა ქაჯაია

პატარა ანას ტკივილი

მაკა ბურჯალიანი:

„ეს ამბავი პატარა ანას ცხოვრებაზეა. პრობლემა, რომელიც მას ასე აწუხებს, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ბევრი ბავშვის ტკივილიცაა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ანა მზადაა, სიცოცხლე ბედნიერი მომავლის იმედით განაგრძოს და მინდა, იმ პატარა ბავშვებს, რომლებმაც ეს იმედი დაკარგეს, ანას მიზანსწრაფულობა გადაედოთ და ცხოვრება თავიდან დაიწყონ. მე შემთხვევით, ანას დღიური ჩამივარდა ხელში და... მისი ცხოვრების ეპიზოდებს გოგონას თანხმობით გთავაზობთ.

პირველის ერთი წუთი იყო, შობის დილა თენდებოდა, ირგვლივ სიმყუდროვე და სიწმინდე სუფევდა. აი, ღვთისმშობელმა ბეთლემში შვა ჩვილი იესო...

ბეთლემიდან შორს, მრავალი საუკუნის შემდეგ, 1972 წელს საქართველოში, თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროში ქალმა შვა ულამაზესი გოგონა... მისმა დაბადებამ ყველა ძალიან გაახარა. ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა: — შობას დაიბადა, წმინდა ქალი იქნებაო.

დრო გადიოდა... ქალი იზრდებოდა, დღითი დღე მშვენდებოდა და თეთრ ვარდს ემსგავსებოდა. მშობლები მისით ამაყობდნენ. როცა ქუჩაში გადიოდა, აივნიდან გასცქეროდნენ, თვალს ადევნებდნენ და მართლებიც იყვნენ — ლამაზ ფერიას თვალყურის დევნება ნამდვილად სჭირდებოდა, რადგანაც ყველა, ვინც კი თვალს მოჰკრავდა, მის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. 17 წლის იყო, როცა მის ცხოვრებაში გამოჩნდა კაცი — პირველი კაცი, რომელმაც ჭკუიდან შეშალა, გადარია და... ქალი გათხოვდა. ბედნიერებამ მხოლოდ 6 წელი გასტანა. ქალი ტყუპზე დარჩა ფეხმძიმედ, მაგრამ ბედისწერამ ბავშვები მწუხარებას აარიდა და 6 თვის შემდეგ უფალთან აიყვანა — ცხოვრება ხომ ასეთია, ბედნიერებას არ დაგაცდის; არ შეუძლია, თაფლში მწარე ნაღველი არ შეგაპაროს.

1995 წლის 30 მარტს ქალმა შვა „უხმო" გოგონა ანუ მე. ვინაიდან ძალიან მშვიდი ვყოფილვარ, თურმე, ძალით მატირებდნენ. მშობლების გარდა, ჩემი დაბადება ყველას გახარებია...

ყველაზე მშვიდად ღმერთი იჯდა თავის საბრძანებელში და მიღიმოდა, მამშვიდებდა და ძალას მმატებდა. ალბათ, ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა თვეების გახლდით — მერე რა, რომ მშობლებს არ ვუყვარდი, პატარაობისას ამას ნამდვილად არ განვიცდიდი...

ერთ დღეს ვითომდა ბედნიერ წყვილს შორის (მშობლებს ვგულისხმობ) შავმა კატამ გაირბინა. არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ იყო ამაში დამნაშავე, დაშორებისკენ პირველი ნაბიჯი რომელმა გადადგა; მთავარი ისაა, რომ შვილზე ანუ ჩემზე არც ერთმა არ იფიქრა! ჩემი პაწაწინა გული მშობლებმა დანაჩანგლით მიირთვეს; სისხლისმსმელი ვამპირებივით მეცნენ და აღარ გაჩერდნენ მანამ, ვიდრე სტომაქი არ ამოივსეს. ბოლოს, როგორც იქნა, გაძღნენ, დამშვიდდნენ და, ცარიელი გვამი მგლებს მიუგდეს საჯიჯგნად!!!

ცხოვრებამ მაინც არ გამწირა. გამოჩნდა ორი ღვთისნიერი ადამიანი, რომლებმაც გამათბეს, ის სიყვარული მომცეს, რაც ჩემთვის მშობლებს დაენანათ. დედ-მამისგან განწირული ჩვილი ბებია-ბაბუამ მიშვილა...

ალბათ გაინტერესებთ, რა მოუვიდა დედაჩემს. მისდა სამწუხაროდ, ისიც ბებიასთან, ბაბუასთან და ჩემთან დარჩა, რაც ძალიან არ უნდოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა?!

დღემდე მახსოვს, როგორ ხტებოდა დედა ფანჯრიდან, მერე უცებ შეჩერდა და თმაში ჩამაფრინდა

მერე, მის ცხოვრებაში გამოჩნდა რამდენიმე პირუტყვი...

ყველაზე ცუდი ისაა, რომ მათ ავხორცობას მეც ვუყურებდი და ჩემდა უნებურად, ერთ დღეს, ბებიას დედის საქციელიდან პატარა ფრაგმენტს მოვუყევი. ჰოდა, ატყდა ომი...

დღემდე მახსოვს, როგორ ხტებოდა დედა ფანჯრიდან, მერე უცებ შეჩერდა და თმაში ჩამაფრინდა, თან — მიკიოდა: ყველაფერი შენი ბრალია, შე ენატანიაო.

მეორე დღეს დედა სახლიდან წავიდა. იგი დეიდამ შეიფარა. ისიც მახ-

სოვს, როგორი გაბუტული წაბრძანდა და პატარა ბავშვს მთელი თვე არ მელაპარაკებოდა იმის გამო, რომ რაღაცაში მადანაშაულებდა. მე რას ვშვრებოდი? — მის ტანსაცმელს გულში ვიხუტებდი. როდესაც დედის სამოსს ვყნოსავდი და მის სურნელს ვგრძნობდი, მწარედ ვქვითინებდი. ვტიროდი შეუჩერებლივ და საკვირველი ის იყო, რომ ჩემს ტანჯვას ვერავინ ამჩნევდა.

ხუთი წლის ვიყავი, როცა ჩემი და დედაჩემის გზა სამუდამოდ გაიყო; ამავე წელს ჩემს ცხოვრებაში მოხდა დიდი მოვლენა — მოვინათლე...

რა მოუვიდა მამაჩემს? შექმნა სხვა ოჯახი და ახალმა ცოლმა ორი შვილი აჩუქა. მან ცხოვრება ისე აიწყო, როგორც სურდა. მისთვის მთავარი ყოველთვის ფული იყო და არა — სულიერება. მამაჩემმა ჭუჭყიან ფულში გამცვალა!

2000 წელს ერთმა ყვავილმა, უფრო სწორად, ღამაზმა ვარდმა სიონის ტაძარში მიმიყვანა, რათა ჩემთვის ანგელოზი ეჩუქებინა... ეს ღამაზი ვარდი ნათლიაჩემია.

ხუთწლიანი ტანჯვა-წამების შემდეგ ის ჩემს ცხოვრებაში ნათელი სხივივით შემოიჭრა და გაბზარული გული გამიმრთელა. ჩემმა მფარველმა ანგელოზმა მშობლების მიერ დაგლეჯილი ბავშვის სხეულის ნაწილები შეაგროვა და გაამრთელა.

პირველად 5 წლის ასაკში გავაანალიზე, რომ ,,სიცოცხლე მხოლოდ, იმიტომ ღირს, რომ ის სიცოცხლეა!“

გავიდა ხანი (სულ რამდენიმე წელიწადი) და ერთ მშვენიერ დღეს ნათლიდედამ მთხოვა, ეკლესიაში მასთან ერთად წავსულიყავი. კარგად მახსოვს — როდესაც ტაძარში ფეხი შევდგი, ჩემს სხეულს თითქოს, ჭიანჭველები დაესივნენ. ეს საოცარი შეგრძნება იყო და მივხვდი, რომ იმ დღიდან ეს პატარა ეკლესია ჩემი მეორე სახლი გახდებოდა. ჩემი პირველი მოძღვარი მამა გიორგი გახლდათ.

პირველად ქრისტეს სისხლსა და ხორცს 8 წლის ასაკში ვეზიარე. სამწუხაროდ, მამა გიორგისთან ურთიერთობა მხოლოდ სამ წელიწადს გაგრძელდა, შემდეგ კი ის წმინდა ქეთევან წამებულის ეკლესიიდან სხვაგან გადაიყვანეს. სამწუხაროდ, ჩემი მცირეწლოვნობის გამო, მას ვერ გავყევი.

უფალმა სულიერი მამის გარეშე მაინც არ დამტოვა. უფალი ბრძანებს, — ეძიებდე და პოვებდეო. ჰოდა, მეც ვიპოვე დიდი შუამდგომელი ჩემსა და უფალს შორის — მამა სამოელი. ის არის ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში პირველად დავუძახე „მამა“...

მოკლედ, მამა დღემდე მყავს და მისი ნახვა ძალიან მიხარია; ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მამა სამოელსაც ვუყვარვარ და მე ამას ვგრძნობ.

ახლა კიდევ ერთი მიზეზი მაქვს იმისთვის, რომ ვიცოცხლო.

მე უკვე 15 წლის ვარ. ბიოლოგიურ მამას ჩემთან დაახლოების სურვილი გაუჩნდა. თავი დავიმცირე და მაინც წავედი მის სანახავად. მის სანახავად-მეთქი, ისე ვამბობ, თითქოს სხვა დროს არც შევხვედრივარ. დიახ, არ გაგიკვირდეთ, მას ყოველდღე ვხედავდი — მამაჩემი ჩემს მეზობლად ცხოვრობს, მაგრამ გვერდს ისე ამივლიდა და ჩამივლიდა, თითქოს, მისთვის უცნობი ადამიანი ვიყავი. და აი, ამ ყველაფრის მიუხედავად, მე მაინც წავედი მასთან შესახვედრად, დედაც თან მახლდა.

საღამომ შეიძლება ითქვას, მშვიდად ჩაიარა. კაცმა დალია, იმხიარულა და ამოივსო სტომაქი, გაძღა!!! მეგონა, მშობლებთან ერთად სადილობა სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ ვერაფერი ვიგრძენი, გარდა სიცივისა... როცა შინ მოვყავდი, კაცმა ჩამჩურჩულა: ,,მამი, მე დედაშენი ისევ მიყვარს...“

ვიდრე მანქანიდან გადმოვიდოდი, მას ვაკოცე, ლოყაზე შევეხე და... სადარბაზოში ძლივს შევასწარი

მათხოვრობა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე ვარ წამსვლელი?

— გული ამერია იმ ადამიანის შეხების გამო, რომელიც წესით, ჩემთვის ყველაზე საყვარელი, უძვირფასესი უნდა ყოფილიყო.

აი, რა ვიგრძენი ბიოლოგიურ მამასთან პირველი შეხვედრისას! ამ შეხვედრის შემდეგ მშობლების დაშორებით გამოწვეული ტკივილი, წყენა, მწუხარება სადღაც გაქრა და ჩემს გულში მხოლოდ ზიზღმა დაისადგურა; მერე, ეს ზიზღიც სადღაც გაქრა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის კაცი შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ მივხვდი, ჩემი მშობელი ზიზღის ღირსიც კი არ იყო, ის უბრალოდ, ერთი საცოდავი არსებაა!

მე უკვე თექვსმეტი წელი შემისრულდა. დიდი ვარ და გვერდით მყვანან ადამიანები, რომლებსაც ვუყვარვარ და რომლებიც მიყვარს. ჰოდა, ახლა კმარა ტანჯვა-წამება!

მე უკვე საკუთარ თავს უნდა მივხედო! არ ვიცი, მომავალში ვინ ვიქნები, რა პროფესიას ავირჩევ, მაგრამ ერთი რამ კი ზუსტად ვიცი: მე კარგი დედა ვიქნები და ამ ცხოვრების აბდაუბდას გავასწორებ!..“

ჩემი ღამაზი ოცნება

ქეთა:

„მე ბავშვთა სახლში გაზრდილი გოგო ვარ. ჩემი თანატოლები ალბათ, თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცზე ოცნებობენ, მე კი მხოლოდ ის მინდა, რომ მშობლები ვიპოვო და მათთან ერთად, ტკბილად ვიცხოვრო...

ზოგჯერ ვმათხოვრობ, ხშირად მიშიმშილია, ზამთარში ღამე ქუჩაშიც ბევრჯერ გამითევია, სიცხიანს წყალიც კი სანატრელი მქონია, რადგან მისი მომწოდებელიც არავინ მყავდა, მაგრამ მერწმუნეთ, მშობლების პოვნის გარდა, მაინც არასდროს არაფერზე მიოცნებია.

ერთხელ შეყვარებულიც ვიყავი ბიჭზე, რომელსაც დედაც ჰყავდა და მამაც. მართალია, მიყვარდა, მაგრამ მისი მშურდა კიდეც. იცით, მას რატომ დავშორდი? იმიტომ, რომ მშობლებს შეურაცხყოფას ხშირად აყენებდა და ეს ვერ ავიტანე. ეჰ, მე რომ მშობლები მყავდეს...

მართალია, არც ღამაზი კაბები მაქვს და არც — სამკაულები, არც გამომწვევად მაცვია, მაგრამ კაცები თვალს მაინც მაყოლებენ. თუ საღამოს ქუჩაში თვალს მომკრავენ, ხარბ მზერას არ მაშორებენ და ღამის, ცოცხლად გადამყლაპონ. გული მწყდება, ზოგიერთი კაცი უწმაწური წინადადებითაც რომ მომმართავს ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, მათხოვრობა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე ვარ წამსვლე-

ლი? ისე, ასეთი წინადადებით უმეტესად, ასაკოვანი კაცები მომმართავენ. არადა, დარწმუნებული ვარ, ბევრ მათგანს შინ ასაკით ჩემზე უფროსი ქალიშვილებიც ჰყავს. ჰოდა, მაინტერესებს, ნუთუ, სინდისი არ ქენჯნით?.. მაგრამ მე არ ვოცნებობ კაცების გამოსწორებაზე. ყველაფერს ავიტან, თუკი მშობლებს ვიპოვი და მათ სითბოს ვიგრძნობ...

ყველაზე მეტად დედ-მამის ალერსი მაშინ მომინდა, როცა ამ ქვეყანას ჩემი გოგონა მოევლინა. მე ის საყვარელი ადამიანისგან გამიჩნდა და მის თავს არასდროს არავის დავუთმობ. მართალია, ძალიან მიჭირს და ხშირად ვშიმშილობ, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი — ჩემს პატარას არასდროს მოშივდება, მის გამოსაკვებად ყველაფერს გავაკეთებ. შეიძლება გამკიცხოთ, მაგრამ თუ დამჭირდა, შეიძლება შვილი საკუთარი სხეულის გაქირავებით ვარჩინო, ვიდრე მივატოვო — რა გასაკვირია, ქალიშვილის გამო ყველაფერზე წამსვლელი რომ ვარ, მე ხომ მშობლებს დანატრებული შვილი გახლავართ... ჩემი ბუდის პოვნა მინდა და იქნებ ვინმე დამეხმაროთ... სამწუხაროდ, მშობლების შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ დედას ნანი ჰქვია, მამაჩემი კი აფხაზეთში ნაომარი კაცი გახლავთ, გვარად მელიავა. დედა, მამა, ძალიან გთხოვთ, თქვენც მოინდომეთ ჩემი პოვნა და გულში ძალიან, ძალიან მაგრად ჩამიკარით. გელოდებით მე და ჩემი პატარა ნიაკო...

ქართველი „მურთხების“ ამბავი

ჭყაპუნა:

„ღმერთმა შექმნა კაცი, შემდეგ კი მისი ნეკნიდან — ქალი. ასე რომ, მამაკაცი იყო პირველი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ.

ჩვენს ქვეყანაში კაცები ბევრი პრივილეგიით სარგებლობენ და ალბათ ამიტომაც ჰგონიათ, რომ ყველგან, ნებისმიერ სფეროში თავად უნდა იყვნენ პირველები. მათ ეპატიებათ ის, რასაც საპირისპირო სქესის წარმომადგენელს არასოდეს აპატიებენ. მაგალითად, თუ ერთ მშვენიერ დღეს ვნებამორეულს მოუნდა „პატივი ეცა“ საკუთარი თავისთვის და ე.წ. მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში „გაიგულავა“, მერე რა მოხდა? ბევრს ეს სულაც არ მიაჩნია დანაშაულად, მაგრამ ქალმა თვალი სხვისკენ რომ გააპაროს და ეს კაცმა შენიშნოს, ატყდება ერთი ამბავი... კიდევ უარესი: ზოგს ჰყავს ცოლი, შვილები და პარალელურად — ქალი-საყვარელი, რომელსაც უნაწილებს იმას, რაც წესით, მხოლოდ ოჯახს უნდა მოახმაროს.

არსებობენ უცოლო „მურთხებიც“, რომლებიც მუდმივად „მშიერი თვალებით“ დაეთრევიან ქუჩებში, სხედან ტრანსპორტში და საერთოდ, არიან ყველგან. ჩაიცვამ კაბას და მთელი დღის განმავლობაში იმდენი კაცის დაჭყეტილ მზერას იგრძნობ, რომ ერთი სული გაქვს, როდის მიხვალ სახლში, რათა ტანისამოსი გამოიცვალო; მეორე დღეს ჩაიცვამ შარვალს და არავითარი განსხვავება — ისევ ისეთ „დაქაჩულ“ თვალებს აწყდები. სულ რომ კოჭებამდე კაბა და დახურული მაისური ჩაიცვა, არა აქვს მნიშვნელობა, სად ხარ და რა დროა — დღეა თუ ღამე, მაინც არაფერი გეშველება, „მურთხების“ თვალები მაინც არ მოგასვენებენ.

თუ ავტობუსში ცარიელ ადგილს იპოვი და ჩამოჯდები, წასულია შენი საქმე — ტრანსპორტიდან ჩასული მამაკაცების უმეტესობას აუცილებლად ეცოდინება, მკერდზე გაქვს თუ არა ხალი და რომელ მხარეს. თუ ქუჩაში მიდიხარ და კაბა გაცვია, თუნდაც — მუხლს გიფარავდეს, მამრები ისეთი გულმოდგინებით ცდილობენ დაფარული ადგილი დაინახონ და ისეთი საცოდავი თვალებით იყურებიან, შეიძლება, ქალს ცრემლიც კი მოგადგეს. სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას უნდა ეცადო, მუხლამდე ზედატანი ჩაიცვა და წელი არ გამოგიჩნდეს, თორემ ჩასვლისას იმდენი დორბლმორეულის მზერას ჩაიყოლებ, რომ მათი ცოდვით ვერ გაიხარებ... აღარაფერს ვამბობ იმაზე, ქუჩაში რომელიმე გამვლელი „მურთხი“ რაღაცას რომ მოგაძახებს ან შენს დანახვაზე სიმღერას რომ დაიწყებს (უკვე მოძველებულია კითხვა: რომელი საათია?)...

ბოლო დროს ამბობენ, — ისეთი დრო დადგა, გოგონები ბიჭებს აქეთ „ახტებიანო“, მაგრამ, ხალხნო, სუსტი სქესის პატიოსნებას ერთი და ორი ქალის საქციელით ნუ განსაზღვრავთ... ნებისმიერმა ბილწი ფიქრებით შეპყრობილმა მამაკაცმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ მანდილოსანი, რომელიც მიზანში უკვე ამოიღო, ისეთივე ქალია, როგორც მისი დედა ან და და რომ ამ „სამიზნესაც“ ჰყავს მამა, ძმა... ისე არ გამიგოთ, თითქოს ფემინისტი ვიყო. დიდ პატივს ვცემ ყველა ღირსეულ ადამიანს, მაგრამ ქართველი მამაკაცები „გარყვნილ მზერას“ თუ „ულალატებენ“, ეს ბევრად უკეთესი იქნება არა მარტო ქალებისთვის, არამედ მათი ნერვული სისტემისთვისაც...“ ■

„თურმე, სიყვარული საკუთარ დას ავუხსენი“

მუსუსა:

„ერთმა გოგომ იმდენი მოახერხა, რომ თავი შემაყვარა. როცა სიყვარული ავუხსენი და ისიც გამომიტყდა, — მეც მიყვარხარო, ამქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. შეყვარებულობის პერიოდმა 2 წელიწადს გასტანა. ბოლოს, მის დაბადების დღეზე მისულმა ისეთი ამბავი გავიგე, შოკში ჩავვარდი: ჩვენ რაღაცებზე ვლაპარაკობდით და უცებ, დედამისს ფერი ეცვალა; ის ქალბატონი მოგვიანებით გამომიტყდა, რომ მისი ქალიშვილი ჩემი და გახლდათ... მას შემდეგ 1 წელი გავიდა. მთელი ამ დროის მანძილზე ყოფილი „ლოვე“ ერთხელაც არ მინახავს, მაგრამ ახლახან, სრულიად შემთხვევით ვნახე და... არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა. როგორ ავუხსნა, რომ ის ჩემი დაა და რომ სიმართლეს მთელი წელი ვუმალავდი? ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ რამე“. ■

„ჩემი მეგობარი გეი აღმოჩნდა“

უცნობი:

„მყავს ახლო მეგობარი, რომელიც თურმე, გეია. ეს ამბავი ჩემი მეუღლის ყურამდეც მივიდა და ახლა, მას ღრღნის ეჭვი, რომ მე და იმ ბიჭს მეგობრობის გარდა, სხვა რაღაცაც გვაკავშირებს ანუ ჰგონია, რომ ის ჩემი საყვარელია, არადა, მერწმუნეთ, ეს ამბავი ჩემთვისაც შოკის მომგვრელი სიახლე იყო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? როგორ დავარწმუნო მეუღლე იმაში, რომ, მეგობართან სექსუალური ურთიერთობა არ მქონია?..“

*P.S. **გაშ ასე, თუ მუსუსა და უცნობის წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*** ■



სამყარო

„სამანელთა“ ანტისაბჭოთა მოძრაობა თუშეთში

მიხეილ ლაგაძე

II მსოფლიო ომის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირს მძიმე დღეები დაუდგა და გერმანულმა არმიამ მოსკოვამდე მიღწევაც კი შეძლო, ბერლინში არარუს ხალხთა გადაბირების სპეციალური გეგმა შემუშავდა, რომელიც პირად კონტროლზე თვით ადოლფ ჰიტლერმა აიყვანა. გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის არარუსი ხალხების (ბალტიისპირელების, უკრაინელების, ქართველების, შუაზიელებისა და ა.შ.) ეროვნულ გრძნობებზე თამაშით, კრემლს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სტალინი ქართველი იყო, ადოლფ ჰიტლერი ჩვენებურებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

თავის მხრივ, ჰიტლერელთა ჩანაფიქრი კრემლშიც კარგად გამოიყენეს — „გერმანული აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლის“ საბაბით, მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეზღუდეს და 1937 წლის მსგავსად, „ხალხის მტრების“ ძიება-დაპატიმრებას მიჰყვეს ხელი. საქართველოში საიმედოდ ჩაიკეტა თურქეთთან საზღვარი, მეტიც — დაიწყო მზადება სასაზღვრო ზონაში მცხოვრებთა დეპორტაციისათვის. თუმცა, თურქეთის პრეზიდენტი — ისმეთ ინენიუ გამჭრიახი პოლიტიკოსი აღმოჩნდა და ადოლფ ჰიტლერის გეგმების გაზიარებას მოცდა ამჯობინა. სამაგიეროდ, ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში დაიძაბა — ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში გერმანული აგენტურა დაუფარავად ამოქმედდა და აქა-იქ აჯანყებებმაც იფეთქა.

იმ დროისათვის საბჭოთა არმიაში ეროვნული სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. ერთ-ერთი ქართული ქვედანაყოფი საქართველოსთან სულ ახლოს — აზერბაიჯანის ქალაქ კიროვაბადში (დღევანდელი განჯა) გახლდათ დისლოცირებული. აღსანიშნავია, რომ ჯარისკაცებს შორის ანტისაბჭოთა შეთქმულებას მეთაურების მეტად უნიათო საქციელმა შეუწყო ხელი — ერთ დღეს ერთმა ახალმოსულმა რუსმა პოლიტხელმა ქვედანაყოფის პირად შემადგენლობას ჩვეული რუსულ-სალდაფონური სტილით და ძალზე უწმაწური ლექსიკით განუცხადა, რომ ეროვნული სამხედრო ნაწილები უქმდებოდა და ფრონტზე გამგზავრებამდე, ქვედანაყოფის მებრძოლთა ნაწილს სხვაგან გადაიყვანდნენ. ქართველმა ჯარისკაცებმა ახალი ამბავი მდუმარედ მოისმინეს, რუსი კი რატომღაც, გახელდა და რჯულზე შეიგინა.

აღსანიშნავია, რომ უზრდელი პოლიტხელი ქართულ სამხედრო ნაწილს რამდენიმე დღეში მოაშორეს, მაგრამ ჯარისკაცთა შორის მღელვარება მაინც არ ჩაცხრა — ეროვნული სამხედრო ნაწილების მოსალოდნელმა გაუქმებამ ისინი მართლაც, გვარიანად შეაშფოთა. უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ეს გადაწყვეტილება სტალინთან არ იყო შეთანხმებული; რომ „დიდი ბელადი“ ამას არ დაუშვებდა. ერთი სიტყვით, მეომრებმა იფიქრეს, რომ მათ ფრონტზე არა საბრძოლველად, არამედ ე.წ. საზარბაზნე ხორცად გზავნიდნენ და გადაწყვიტეს, იარაღი რუსების წინააღმდეგ მიემართათ. როგორც „ჩეკას“ დოკუმენტებშია მითითებული, ანტისაბჭოთა შეთქმულებას ორი ახალგაზრდა ოფიცერი — გიორგი იმერლიშვილი და კოტე ხიმშიაშვილი ედგა სათავეში. მათ შექმნეს იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანიც, რა თქმა უნდა, საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადება გახლდათ. საყურადღებოა, რომ ამ ორგანიზაციის აქტივისტთა სიაში სოფელ ზემო ალვანის მკვიდრი — იმხანად სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, გიორგი ქადაგიძეც იხსენიება. დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ქადაგიძე თუშ მწყემსთა შორის ანტისაბჭოთა აგიტაციას აწარმოებდა და

გოგალე ხოხიაიძე (მარცხნივ), „სამანის“ აქტიური წევრი და მეთაურების მასპინძელი სოფ. დოჭუში. სურათი 1942 წლის ზაფხულშია გადაღებული. აქ იგი 18 წლისაა

ამის შედეგად, ორგანიზაციის საქმიანობაში ჩააბა მრავალი ადამიანი, მათ შორის, თანასოფლელები — ადამ ბობღიაშვილი და მიხეილ (ფანცალე) იმედიძე.

არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის კვალზე საბჭოთა ჩეკისტები მალევე დადგნენ — 1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის მარტამდე, ამ საქმესთან დაკავშირებით 37 კაცი დააპატიმრეს; მათ შორის იყვნენ იმერლიშვილი, ხიმშიაშვილი და ქადაგიძეც, რომლებიც მალევე დახვრიტეს. უნდა ითქვას ისიც, რომ გიორგი ქადაგიძემ, არაადამიანური წამების მიუხედავად, ზემო ალვანელი მომხრეებიდან არავინ დაასახელა. „ჩეკამ“ იცოდა, რომ მეამბოხეებს ყველაზე მეტი მხარდამჭერი ამ სოფელში ჰყავდათ, მაგრამ აშკარა სამხილის უქონლობის გამო იქ ვეღ-

სოფელი ომალო XX საუკუნის 40-იან წლებში

არავის იჭერდნენ. ამასობაში, გერმანული არმია კავკასიონსაც მოადგა. მათ ჩრდილო-დასავლეთი კავკასია თითქმის მთლიანად დაიკავეს, თუმცა ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და დაღესტანში ვერც კი შემოაღწიეს. მიუხედავად ამისა, ხსენებულ მხარეებში ვითარება ისე გამწვავდა, რომ დამატებითი სამხედრო ნაწილების შეყვანა აუცილებელიც კი გახდა. ჩეჩნეთ-ინგუშეთში ანტისაბჭოთა გამოსვლები არც მას მერე შეწყვეტილა, რაც ჩეჩნები და ინგუშები მასობრივად, შუა აზიაში გადაასახლეს — „ჩეკამ“ ის აბრაგები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას იარაღით უპირისპირდებოდნენ, ვერ მოიხელთა.

ამგვარ ფონზე, ადამ ბობღიაშვილმა და მიხეილ იმედიძემ, რომლებიც ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ თუშეთის ძნელად მისადგომ ადგილებში იმალებოდნენ, ბარში ჩამოსვლა გადაწყვიტეს. 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში მათ ზემო და ქვემო ალვანში თანამოაზრეები მოინახულეს და ორგანიზაციული სტრუქტურები აღადგინეს. ადამ ბობღიაშვილმა ახალი წესდება შეიმუშავა და ორგანიზაციას „სამანი“ უწოდა, რაც ასე იშიფრებოდა: „საქართველოსთვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტი“. თავად ბობღიაშვილისა და იმედიძის გარდა, „სამანს“ გიგო ქააძე და პლატო უშიძე მეთაურობდნენ. „სამანელები“ ძირითადად, მაშინდელი თელავის რაიონის ტყეებში იყვნენ ბაზირებულნი და ღამღამობით მოქმედებდნენ — თავს ესხმოდნენ და ანგარიშს უსწორებდნენ ჩეკისტთა აგენტებს, ასევე — საბჭოთა ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მექრთამეობითა და გამომძალველობით იყვნენ ცნობილნი. მაგალითად: 1942 წლის სექტემბრის დასაწყისში, თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, ვინმე ციხისთავს მანქანა იმის გამო დაუცხრილეს, რომ ვენახში ობოლი და-ძმა ამუშავა და ფული არ გადაუხადა. ეს ყველაფერი გიგო ქააძემ შემთხვევით შეიტყო და ბობოლა ასე მრავლისმეტყველად „გააფრთხილა“. თავმჯდომარე მიხვდა, რასაც ერჩოდნენ და მეორე დილით, ობლებს თავად ეახლა, გასამრჯელოც გადაუხადა და პატიებაც სთხოვა.

ციხისთავის გარდა, „სამანელებმა“ ძალისმიერი გზით ბევრი სხვაც დასაჯეს, მათ შორის — საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებიც. სხვათა შორის, დასჯილებმა ჩივილი ვერ გაბედეს, რადგან ხალხი მათდამი უკმაყოფილებას ვერ ფარავდა და ეს ზემდგომებმაც ბრწყინვალედ იცოდნენ. მიუხედავად ამისა, ჩეკისტები ზემო და ქვემო ალვანში ძალზე აქტიურად მუშაობდნენ — აგენტები ორივე სოფელში ჰყავდათ და მათი მეშვეობით ცდილობდნენ, ანტისაბჭოთა ორგანიზაციის თაობაზე სულ უბრალო ინფორმაციაც კი არ გამოჰპარვოდათ. თუმცა, სანამ „ჩეკა“ ასე კონსპირაციულად მუშაობდა, „სამანი“ შეეცადა, თვით საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივანს, ჩხუბიანიშვილს დასხმოდა თავს, მაგრამ ამაოდ — ის მრავალრიცხოვანი დაცვის თანხლებით გადაადგილდებოდა ხოლმე და „სამანელებმაც“ აღარ გარისკეს.

1942 წლის ოქტომბერში ადამ ბობღიაშვილმა, მიხეილ იმედიძემ, გიგო ქააძემ და პლატო უშიძემ გადაწყვიტეს, ბარიდან ისევ მთაში ასულიყვნენ და ჩეჩნეთ-ინგუშეთში დარჩენილ აბრაგებს, კერძოდ — იდრის მაჰომადოვის დაჯგუფებას დაჰკავშირებოდნენ; პარალელურად კი თუშეთის მოსახლეობაში ანტისაბჭოთა აგიტაცია ეწარმოებინათ და გერმანელთა შემოსვლის დროისათვის („სამანელებს“ ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ საბჭოთა არმია მათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა) ხალხი დარაზმული ჰყოლოდათ. ამიტომაც, როცა მათ ომალოში პირველი კრება გამართეს, ადამ ბობღიაშვილმა თუშებს ასე მიმართა: „გაზაფხულზე გერმანელები შემოვლენ, საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა და ყველას, ვინც კოლექტივმა დაჩაგრა, ქონება დაუბრუნდება!“ მერე ომალოს სოფსაბჭოს თავმჯდომარეს — დანიელ ჩიღოიძეს მოუწოდა, ხალხისთვის მაგალითი მიეცა და „სამანის“ წესდებაზე მოეწერა ხელი. ჩიღოიძე ასეც მოიქცა, რის შემდეგაც, მთელმა სოფელმა მას მიჰბაძა.

მათე წვერაიძე ხანში შესულ ასაკში

„სამანელებმა“ იდრის მაჰომადოვის დაჯგუფებასთან დაკავშირება ვერ მოახერხეს — აბრაგები კონტაქტზე არ გამოდიოდნენ — და იძულებულნი გახდნენ, ზამთარი თუშეთში გაეტარებინათ, თუმცა უმეტესობამ ომალო დატოვა და სოფელ დოჭუში დაიდო ბინა. ადამ ბობღიაშვილი ფიქრობდა, გაზაფხულამდე როგორმე გაიტანდნენ თავს და მერე საქართველოს გერმანელებთან ერთად გაათავისუფლებდნენ. მისი გაანგარიშებით, „სამანელებს“ ზამთარში ერთი მხრივ, თუშეთის მთელი მოსახლეობის მიმხრობა, მეორე მხრივ კი იარაღის მარაგის შევსება უნდა მოესწროთ. ამ მიზნით, ბობღიაშვილმა და ქააძემ თელავში სამი კაცი გაგზავნეს: გოგალე ხოხიაიძე, ვახტანგ ცისკარიშვილი და გიორგი რაინაული. მათ უნდა ენახათ ვინმე კიმოთე ლაგა-

ზიძე, რომელიც იმხანად თელავის ჯანდაცვის განყოფილებაში მუშაობდა და იმთავითვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა კოტე ხიმშიაშვილსა და გიორგი ქადაგიძესთან. ლაგაზიძემ „სამანის“ წევრებს

ომალოს ეკლესია, სადაც 1943 წელს დაპატიმრებული „სამანელები“ ჰყავდათ დამწყვდეული

ადრევე უთხრა, რომ თუ საჭირო იქნებოდა, მათ იარაღით მოამარაგებდა, თუმცა თუშეთში ასვლის შემდეგ ადამ ბობღიაშვილს მასზე აღარაფერი სმენოდა.

თელავში ჩასულ სამ თუშს კიმოთე ლაგაზიძე ადგილზე არ დახვდა — ის „ჩეკას“ დაეპატიმრებინა. ჩეკისტები თვით „სამანელებსაც“ ჩაუდგნენ კვალში, რადგანაც ისინი კონსპირაციულად ვერ მოქმედებდნენ: როცა ლაგაზიძის დაპატიმრების ამბავი შეიტყვეს, გოგალე ხოხიაიძე, ვახტანგ ცისკარიშვილი და გიორგი რაინაული ისევ თუშეთისაკენ გაემართნენ და თან რამდენიმე ალვანელი მწყემსიც იახლეს. გადმოცემით, სწორედ ეს მწყემსები იყვნენ „ჩეკას“ აგენტები, რომლებმაც სამ „სამანელს“ დოჭუში სურსათი აატანინეს და ორგანიზაციის შტაბბინის ადგილიც კარგად დაიხსომეს. სულ რაღაც სამი დღის შემდეგ, დაღესტნის მხრიდან, „სამანელებს“ დიდოელთა ჯგუფი დაესხა თავს. მცირე შეტაკების შედეგად არავინ დაღუპულა, მაგრამ ადამ ბობღიაშვილსა და გიგო ქააძეს გულმა ცუდი უგრძნო. „ვინ იცის, იქნებ თავდამსხმელები დიდოელები კი არა, დიდოურად გადაცმული ჩეკისტები იყვნენ? დავტოვოთ აქაურობა და ჩეჩნეთში წავიდეთ!..“ — უთხრა ქააძემ ბობღიაშვილს.

თელავის შინსახკომში „სამანელების“ წინააღმდეგ სპეცოპერაცია მართლაც მზადდებოდა. თავდაპირველი ჩანაფიქრით, თუშეთში ჩეჩნეთ-დაღესტნისა და კახეთის გზებით, შინაგანი ჯარი უნდა შესულიყო და მეამბოხეებიც ერთიანად გაენადგურებინა, მაგრამ ბოლოს გადაწყდა, რომ „სამანელებისათვის“ ადგილობრივი მოსახლეობა დაეპირისპირებინათ — საქმე ის იყო, რომ ჩეჩენ-ინგუშების გადასახლების გამო, თუშ-ფშავ-ხევსურები შფოთავდნენ და თუშეთში შინაგანი ჯარის შესვლა მათ მეტად შეაშფოთებდა: „მეამბოხეები ცოტანი არიან... თუკი მათ თუშებსავე დავუპირისპირებთ, პრობლემა უმტკივნეულოდ მოგვარდება და ძალებიც დაგვზოგება. ახლა ომია და ძალები უნდა დავზოგოთ“, — განაცხადა შინსახკომის მესვეურების კრებაზე გამოცდილმა ჩეკისტმა, ალიოშა კვაშალმა და სპეცოპერაციის მეთაურობაც ითავა.

შინსახკომის დადგენილებით, 1943 წლის თებერვალში „სამანელთა“ წინააღმდეგ საბრძოლველად ე.წ. „გებისტების“ ანუ შინაგანი ჯარის ნებაყოფლობით დამხმარეთა ჯგუფი შეიქმნა, რომელიც თუშებისაგან შედგებოდა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა დართლოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კობე არშაულიძე; მისი წევრები იყვნენ: ქარუმაიძე მიტრო, სვიმონ რაინაული, მათე წვერაიძე და სხვანი. უნდა ითქვას, რომ ჩეკისტებმა ბევრი მათგანი იძულებით გააწევრეს — ყველას, ვინც ყოყმანობდა, დაჭერითა და გადასახლებით ემუქრებოდნენ და ხალხიც ასე შეაგროვეს, თანაც ხმა გაავრცელეს, თითქოს ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე და „სამანის“ სხვა მეთაურები გერმანელთა აგენტები იყვნენ და დეზერტირობდნენ: „სანამ თქვენი შვილები ფრონტზე მტერს ებრძვიან, ეს უკეთურები აქ დეზერტირობენ და გძარცვავენ! დროა, მათ პარპაშს ბოლო მოეღოს!“ — მოუწოდებდა ხალხს ალიოშა კვაშალი. ამდენად, ზოგი დაშინებით, ზოგიც — ნებაყოფლობით ჩეკისტებს დაექვემდებარა და „სამანელების“ ასაყვანად მთის ბილიკებს შეუყვა.

ამავდროულად, თელავიდან დიდოეთის გავლით, თუშეთში მეორე შეიარაღებული რაზმიც გადავიდა, რომელსაც თვით ალიოშა კვაშალი ხელმძღვანელობდა. მას დოჭუში მყოფი „სამანელების“ ალყაში მოქცევა სურდა და წინასწარ ჰქონდა გაცემული ასეთი ბრძანება: „ტყვიები დაზოგეთ, მაგრამ მეამბოხეთა მეთაურები ცოცხლები არ დატოვოთ!“. სწორედ ამიტომაც იყო, რომ როდესაც „გებისტები“ დოჭუს თავში მძინარე გიგო ქააძეს და ადამ ბობღიაშვილს გადააწყდნენ, უკან დაბრუნდნენ და კობე არშაულიძეს მათი ცოცხლად აყვანა შესთავაზეს, მან კი იუარა: კვაშალმა ასე მიბრძანა, ცოცხლად არც ერთი არ გაუშვაო, და ხალხი შეტევისათვის მოამზადა. ამასთანავე, დიდოეთის მხრიდან დოჭუს მისადგომები კვაშალის ხალხმაც დაიკავა და სპეცოპერაციის დაწყების ნიშნად, ჰაერში წითელი მაშხალა გაუშვა.

თანამედროვეთა გადმოცემით, შეტაკება საათ-ნახევარს გრძელდებოდა. უნდა ითქვას, რომ ისროდნენ მხოლოდ თავდამსხმელები, რადგანაც „სამანელებმა“ იარაღის ხელში აღებაც კი ვერ მოასწრეს. „გებისტ“ მათე წვერაიძეს სროლა არც კი უნდოდა (ის ბევრ „სამანელს“ ბავშვობიდან იცნობდა და ცხადია, ისინი ეცოდებოდა), მაგრამ ალიოშა კვაშალმა დაუყვირა: ნუ ეშმაკობ, თუშო, თორემ ეშმაკობას მე გიჩვენებო და მათემ ალალბედზე გაისროლა. ტყვია ვინმე პეტრე კიბორჭაიძეს ფეხში მოხვდა და სიკვდილს სწორედ ამის წყალობით გადაურჩა. „სამანელთა“ მეთაურებს — ადამ ბობღიაშვილსა და მიხეილ იმედიძეს კვაშალის ხალხმა სპეციალური, ე.წ. სასკდომი ტყვიების ჯერი დაუშინა. მძიმედ დაიჭრნენ გიგო ქააძე და არჩილ კიტოშვილი, რომლებიც შემდგომ ომალოში, ხალხის თვალწინ დახვრიტეს.

დოჭუს ამბების შემდგომ, როცა „სამანის“ ხელმძღვანელი ბირთვი თითქმის განადგურებული იყო, ალიოშა კვაშალმა და მისმა ხალხმა თუშეთის სოფლებში 50 კაცზე მეტი დააპატიმრა. „სამანის“ წევრთა გარდა, მათ შორის ბევრი წევვამდელიც იყო — ისინი უბრალოდ, ომში წასვლას არიდებდნენ თავს და ბობღიაშვილის ხალხთან საერთო არაფერი ჰქონდათ. დაპატიმრებულები ჯერ ომალოს ეკლესიაში გამოკეტეს (რომელიც იმ დროს საწყობად იყო გადაკეთებული), ხოლო მერე ერთმანეთს გადააბეს და ფეხით წაიყვანეს თელავში, ლეჩურის ხეობის გავლით; ცოტა ხანში კი თითოეული მათგანი 10 და მეტი წლით, შუა აზიასა და ციმბირში გაასახლეს, საიდანაც ცოტა ვინმემ თუ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება.

ასე დასრულდა ამბავი „სამანელთა“ ამბოხებისა, რომელიც სხვაგვარად ალბათ ვერც დასრულდებოდა — ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე, მიხეილ იმედიძე, გოგალე ხოხიაიძე, არჩილ კიტოშვილი და სხვები უზარმაზარ იმპერიას ფაქტობრივად, შიშველი ხელებით უპირისპირდებოდნენ. მათ შესახებ დღესაც ბევრი რამაა გაურკვეველი, რადგან ამ ამბის გასასაიდუმლოებლად „ჩეკამ“ თავის დროზე იზრუნა. ერთი კი ცხადია — „სამანელები“ უთანასწორო ომის გმირები იყვნენ. ■

5-კარიანი ჰეჩბეკი Demio

კომპანია „მაზდამ“ იაპონური ბაზრისთვის განახლებული 5-კარიანი ჰეჩბეკი Demio წარმოადგინა, რომელიც

სხვა ქვეყნებში „მაზდა 2“-ის სახელით იყიდება. ძირითადი სიახლე 13-SKI-ACTIV-ის სახელით გამოშვებული მოდიფიკაციაა, რომელიც SkyActiv-ის აგრეგატების ხაზიდან აღებული ძრავათია აღჭურვილი. „სქაიაქტივის“ ოჯახის წარმომადგენელი 1,3-ლიტრიანი 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა, რომლითაც Mazda 2 დაკომპლექტდება, გაზის მართვის ფაზების ცვლილებისა და „სტარტ-სტოპის“ სისტემებითაა აღჭურვილი. მოტორის სიმძლავრე 84 ცხძ-ა. აგრეგატი ვარიატორთან ერთად მუშაობს. ასეთი მოტორის მქონე ავტომობილი, მწარმოებლის მონაცემებით 100 კმ-ის დასაფარავად 3,33 ლიტრს წვავს. გარდა ამისა, კომპანია „მაზდამ“ შეიმუშავა სისტემა სახელით i-DM, რომელიც — საჭის მოძრაობას, გაზისა და მუხრუჭის სატერფულებზე დაჭერას, აგრეთვე ავტომობილის სიჩქარეს აკონტროლებს. ამ მონაცემების შესაბამისად, ელექტრომოწყობილობას ხელსაწყოთა დისპლეიზე ავტომფლობელის, როგორც მძღოლის თვისებების შესახებ ინფორმაცია გამოაქვს. ეს სამი დონით შეფასდება — Stage 1-დან Stage-3-მდე. „სისტემა ყოველი გასვლისთვის ქულებს წარმოადგენს და მძღოლის თვისებების ერთ-ერთ დონეს შეუსაბამებს. ამ დონის ცვლილების მიხედვით კი ავტომობილის მფლობელი მიხვდება, თუ რამდენად გაუმჯობესდა მისი თვისებები“, — ნათქვამია „მაზდას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამასთან, განახლებულ „მაზდას“ გაუზარდეს ძარას სიმტკიცე, გადაუწყვეს ამორტიზატორები; სალონში მცირედ შეიცვალა ხელსაწყოთა პანელი და დაუმონტაჟდა ახალი სავარძლები. იაპონიაში ასეთ ავტომობილზე შეკვეთების მიღება ორიოდე დღის წინ დაიწყო. მანქანის ფასი საბაზო კომპლექტაციით დაახლოებით 1 მილიონ 149 ათასი იენია (დაახლოებით 14,4 ათასი დოლარი). ■

„იარისი“ ევროპელთათვის

კომპანია „ტოიოტამ“ ჰეჩბეკ „იარისის“ ევროპული ვერსიის ოფიციალური ფოტოები გაავრცელა. ამ ავტომობილის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მისი ფასები მიმდინარე წლის ივლისში გამოცხადდება, ხოლო მომავალ წელს ბაზარზე ამ მოდელის ჰიბრიდული მოდიფიკაციაც გამოჩნდება. ახალი „იარისი“ ანალოგიური კონცეპტ-ავტოს მოტივებზეა აგებული, რომელიც პირველად მიმდინარე წლის მარტში ჟენევის მოტორშოუზე აჩვენეს. AutoWeek-ის ინფორმაციით, სერიული მანქანა იგივე მოტორებით იქნება წარმოდგენილი, რითიც წინამორბედი: 1.0 და 1.33-ლიტრიანი ბენზინის ძრავებით, რომლებიც შესაბამისად 69 და 99 ცხძ-ს ავითარებენ; აგრეთვე — 90 ცხძ-იანი, 1,4-ლიტრიანი დიზელით. სხვა მონაცემებით გამაში შეიძლება 108 ცხძ-იანი, 1,5-ლიტრიანი აგრეგატიც გამოჩნდეს. „ტოიოტა იარისის“ ჰიბრიდული ვერსია, როგორც მოსალოდნელია, აღიჭურვება აგრეგატით, რომელიც გააერთიანებს 98 ცხძ-იან, 4-ცილინდრიან, 1,8-ლიტრიან ძრავას, 80 ცხძ-იან ელექტრომოტორს და აკუმულატორების კომპლექტს. იაპონურ კომპანიაში ადრე აცხადებდნენ, რომ ასეთ მანქანას „კლასში საუკეთესო მაჩვენებლები ექნება საწვავის ეკონომიურობისა და ატმოსფეროში CO2-ის გამონაბოლქვის თვალსაზრისით“. ახალი ჰეჩბეკი „ტოიოტა იარისი“ იაპონიის ბაზრისთვის გასული წლის დეკემბერში წარადგინეს. მანქანას ექსტერიერის სრულიად ახალი გაფორმება და 50 მმ-ით გაზრდილი ბორბლების ბაზა აქვს. ასეთი ავტომობილი წინამორბედზე 30 კგ-ით მსუბუქია და ამჟამად სულ რაღაც 1000 კგ-ს იწონის. ■

Mazda3-ებს დეფექტი აღმოაჩნდათ

კომპანია „მაზდამ“ მსოფლიო მასშტაბით Mazda3-ის 494500 ავტომობილისთვის სერვისკამპანიის დაწყების შესახებ გააკეთა განცხადება. ეს მოდელი 2008 წლის იანვრიდან 2010 წლის ივლისამდე გამოდიოდა. ამ მანქანების უდიდესი ნაწილი — 157,7 ავტომობილი — გამოთხოვილი იქნება ჩრდილო ამერიკაში. კიდევ 91 ათას 588 ევროპის სერვისცენტრებში გაიგზავნება (აქ მოხვდება 2008 წლის 7 იანვრიდან 22 დეკემბრამდე აწყობილი მანქანები). 84 ათასი ცალი ჩინეთის სერვისცენტრებში მოხვდება, ხოლო 20 ათასი — იაპონიაში. საქმე ის არის, რომ აღნიშნულ მოდელს მინის საწმენდის მექანიზმის დეფექტი აღმოუჩინეს. მძღოლებს, რომელთა ავტომობილებსაც ასეთი დეფექტი აღმოაჩნდებათ, სერვისცენტრებში მომსახურების მისაღებად სპეციალურ დოკუმენტს გაუგზავნიან. ტრადიციულად, მათ უფასოდ მოემსახურებიან. თუ რა თანხა დაუჯდება „მაზდას“ ყველა წუნდადებული მანქანის შეკეთება, ამ ეტაპზე უცნობია. ■

„ასტრა ფემილი“ უფრო იაფად

კომპანია „ოპელმა“ ფასები შეამცირა წინა თაობის „ასტრას“ ავტომობილებზე, რომლებიც ამიერიდან „ასტრა ფემილის“ სახელით გაიყიდება. ახალი სახელით კომპანია „ოპელი“ 5-კარიან ჰეჩბეკს, სედანს და უნივერსალს სამ კომპლექტაციად გაყიდის, ძრავების ორი ვარიანტით — 115 და 140 ცხძ-იანი სიმძლავრით, ასევე ორი ტრანსმისიის ამორჩევის უფლებით. ესენი იქნება 5-საფეხურინი „მექანიკა“ ან 4-საფეხურიანი „ავტომატი“. უნივერსალისა და სედანის საბაზო ვერსიების ფასი ამ ეტაპზე უცნობია. ამჟამად „ოპელ ასტრა ფემილის“ მანქანები კალინინგრადის ქარხანა „ავტოტორში“ იწყობა, ხოლო ახალ „ასტრას“ პეტერბურგში მდებარე General Motors-ის ქარხანაში აწყობენ. ■

24

ცნობილია, რომ სიგარეტის მოწევა, სტრესები და გაუთავებელი დიეტები ნაადრევ სიბერეს იწვევს. სპორტი და სწორი კვება კი — პირიქით, ადამიანს აახალგაზრდავებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერებმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც, ადამიანს (მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე) შეუძლია, ახალგაზრდობა გაიხანგრძლივოს. რა გვიმატებს და რა გვიკლებს ასაკს?

თუ ხშირად ნერვიულობთ

სტრესი ნამდვილი „ასაკობრივი ბომბია“. ძლიერმა და ხანგრძლივმა სტრესმა შეიძლება 15 წლით დაგაბეროთ. თუმცა, ადამიანის ორგანიზმს ასეთი შემთხვევის შემდეგაც შეუძლია ძალები აღიდგინოს. ამიტომ თუ ხშირად ხვდებით სანერვიულო სიტუაციაში, თქვენს ყოველდღიურ განრიგში იოგა ან არომათერაპია შეიტანეთ.

თუ ასაკი არ გაშინებთ

გულწრფელად გწამთ, რომ ცხოვრება 40 წლის შემდეგ იწყება? ესე იგი, ასეც იქნება, რადგან ჩვენი ფიქრები და სიტყვები ჩვენსავე ორგანიზმში გარკვეულ რეაქციებს „აპროგრამებს“. ეს მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. საკუთარ ასაკთან მიმართებაში ორი სწორი ვარიანტი არსებობს: ან შენი ასაკით უნდა იამაყო, ან ამაზე არც იფიქრო და არც ილაპარაკო.

თუ მკაცრ დიეტას მიმართავთ

მაშინაც კი, როცა აუცილებლად და თანაც სასწრაფოდ გჭირდებათ წონაში დაკლება, მკაცრი დიეტისგან თავი შეიკავეთ. ქალები, რომლებიც მკაცრ დიეტას იცავენ, მუდმივად დაძაბულები არიან. მკაცრი დიეტა, დროთა განმავლობაში, წნევასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის კანის მეორე მტერია (პირველი — მზეა).

თუ სპორტს აქტიურად მისდევთ

ეს იმას ნიშნავს, რომ კვირაში სამჯერ, მინიმუმ 20 წუთს მაინც უთმობთ სპორტს. იმ შემთხვევაში, თუ ხშირად სეირნობთ ფეხით, ორი წლით მაინც გაახალგაზრდავდებით. ხოლო სპორტის ინტენსიური ვარჯიშები (მაგალითად, აერობიკა) მინიმუმ ხუთი წლით გაგაახალგაზრდავებთ.

თუ მწეველი ხართ

გაითვალისწინეთ, რომ 45 წლის მწეველი ქალები თავიანთ თანატოლ არამწეველებთან შედარებით, 8 წლით უფროსებად გამოიყურებიან. ჯერ მარტო კანთან დაკავშირებული პრობლემები რად ღირს: ნიკოტინის სიჭარბის გამო ხომ კანი ჟანგბადით სათანადოდ ვერ იკვებება...

თუ გზაში საათ-ნახევარზე მეტ დროს ხარჯავთ

თუ მანქანით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, 3 საათზე მეტი გეხარჯებათ, უმჯობესია, სამსახურის შეცვლაზე იფიქროთ. თუ ეს შეუძლებელია, ეცადეთ, ხშირად იაროთ ფეხით.

თუ საუზმობა გავიწყდებათ

საიმისოდ, რომ ზედმეტი ერთი წელი მიიწეროთ, კვირაში ორჯერ მაინც გამოტოვეთ საუზმე.

თუ პოლივიტამინებს არ იღებთ

პოლივიტამინების დახმარების გარეშე, ვიტამინების სრული დოზის მისაღებად, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რადგან მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით კვება მოგიწევთ.

თუ ხშირად გამოუძინებელი ხართ

ცუდია, თუ დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ 7 საათზე ნაკლები გძინავთ. ცნობისთვის, ყველაზე დიდხანს ისინი ცოცხლობენ, ვისაც დღე-ღამეში 9 საათზე მეტხანს სძინავთ. თუმცა, ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ნორმად 8-9-საათიანი ძილი მიიჩნევა.

თუ ხშირად იცინით

რამდენიმეწუთიანი გულიანი სიცილი ორგანიზმში ენდორფინს (ორგანულ ანტიდეპრესანტს) გამოიმუშავებს. ეს კომპონენტები კი იმუნურ სისტემას აძლიერებს.

თუ კბილებს კარგად უვლით

კბილებთან დაკავშირებული პრობლემები იმუნურ სისტემას აქვეითებს და სისხლძარღვებს ავიწროებს. ამიტომ ყურადღებით მოეკიდეთ ამ პრობლემას და დროზე მიაკითხეთ სტომატოლოგს.

თუ ოჯახური პრობლემები გაქვთ

გაუთავებელი კამათი და უთანხმოება ოჯახში, აშკარა კვალს ტოვებს და არა მარტო გარეგნულ მხარეზე. ოჯახის დანგრევა კი — პლუს ერთ წელს უდრის.

თუ ქმარი ასაკით თქვენზე ბევრად უფროსია

ჩვენი ბიოლოგიური საათი ჩვენი ახლობელი და საყვარელი ადამიანების ასაკის მიხედვით მოქმედებს. ასე რომ, თუკი მეუღლე თქვენზე 10 წლით ან მეტით არის უფროსი, შეგიძლიათ წელიწად-ნახევარი „მიიმატოთ“.

თუ ძაღლი გყავთ

შინაური ცხოველები, განსაკუთრებით კი ძაღლები, დადებითი ემოციებისა და სოციალური ურთიერთობების ნაკლებობის კომპენსაციას ახდენენ. ამასთან, სუფთა ჰაერზე მათთან ერთად სეირნობა ნერვულ სისტემაზე შესანიშნავად მოქმედებს.

თუ შვებულების გარეშე მუშაობთ

წელიწადში მინიმუმ 2 კვირა (იდეალურია 3-4 კვირა) თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ — ამ პერიოდში, სასურველია, მკვეთრად შეიცვალოთ გარემო.

დაბოლოს

თუ რომელიმე პუნქტის შეცვლას ვერ მოახერხებთ, ნუ ინერვიულებთ — ყოველთვის მოიძებნება რაღაც ისეთი, რითიც მის ჩანაცვლებას მოახერხებთ. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან მხოლოდ მოწევის კომპენსაციას ვერ შეძლებთ, ამიტომ, სიგარეტს სასწრაფოდ თავი უნდა დაანებოთ. ■

მარტივი დიეტები

წიწიბურას დიეტა

წიწიბურას სასარგებლო თვისებების წყალობით შესაძლებელია 1 კვირაში 5-დან 10 კილოგრამამდე დაკლება.

საღამოს მოხარშეთ 1 ან 2 ჭ წიწიბურა 3-5 ჭ წყალში (უმარილო და უშაქრო).

გაღვიძებისთანავე უზმოზე აუცილებელია დალიოთ 1 ჭიქა ცხელი, ანადუღარი წყალი. ნახევარი საათის შემდეგ მიირთვით 3 ნაწილად გაყოფილი წიწიბურას პირველი წილი, კეფირთან ან მაწონთან ერთად. მიაყოლეთ უშაქრო ჩაი ან ბოსტნეულის წვენი (გოგრის, სტაფილოს, ტომატის); საუზმეზე — მეორე წილი; ვახშამზე — მესამე წილი.

შუალედებში აუცილებელია სითხის მიღება (უგაზო, უშაქრო, უმარილო) სითხის რაოდენობა 2 ლიტრამდე.

დიეტის ხანგრძლივობა 7 დღეა.

ამ დიეტის გამეორება მხოლოდ 2 თვის შემდეგ არის შესაძლებელი. დიეტის დასრულების შემდეგ, სურვილისამებრ შეგიძლიათ დილაობით ისევ წიწიბურა მიირთვათ. წონის შესანარჩუნებლად შეზღუდეთ ტკბილეული და მარილიანი საკვები.

დაიწყეთ დილა ლიმონის წვენით

ფიზიკურ ვარჯიშებთან და სწორად შერჩეულ კვების რაციონთან ერთად ლიმონის წვენი დაგეხმარებათ მოკლე ვადაში დაიკლოთ წონაში.

სხვათა შორის, თუ ლიმონის კანსაც მიირთმევთ, მაშინ შესაძლებელია 4 საათის განმავლობაშიც კი ჩაიხშოთ შიმშილის გრძნობა: ნივთიერება, რომელიც ლიმონის ქერქშია, კუჭში მოხვედრისთანავე გადაიქცევა ბლანტ სითხედ და ეკვრის ნაწლავის კედლებს, რაც ორგანიზმის „მოტყუებას“ და შიმშილის გრძნობის შესუსტებას იწვევს.

ამავე დროს, ლიმონი მდიდარია C ვიტამინით, რომელიც განსაკუთრებულად საჭიროა იმუნიტეტის ასამაღლებლად, ასევე — სახის კანის ჯანსაღი ფერის შესანარჩუნებლად. ■

რჩევები დიასახლისებს

* ბურღულეული, შაქრის ფხვნილი, ფქვილი ადვილად იღებს სუნს, ამიტომ ამ პროდუქტების სიახლოვეს არ მოათავსოთ საპონი, თუთუნი, დაფნის ფოთოლი. ასეთი პროდუქტები თავდახურულ ჭურჭელში უნდა შეინახოთ.
* სალათისათვის კარტოფილი უმჯობესია მოხარშოთ მარილწყალში, გათლილი. მოიხარშება თუ არა, გადაღვარეთ წყალი, მოათავსეთ საწურზე, დატოვეთ მცირე ხნით თავღია, შეაგრილეთ და მერე დაჭერით.
* ბოსტნეულის კერძების მომზადებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათ თანამიმდევრობით ჩაყრას მოსახარშად. ჭარხალი იხარშება დაახლოებით 1 საათსა და თხუთმეტ წუთში, სტაფილო 20-30 წუთში, კომბოსტო 30-50 წუთში.

სამარხვო კერძები

მაკარონი ბოსტნეულით

მასალად საჭიროა:

400 გ სამარხვო მაკარონი;
2,5 ლ წყალი;
50 გ მარგარინი ან სამარხვო კარაქი;
მარილი — გემოვნებით;
100 გ დაჭრილი სტაფილო;
100 გ დაჭრილი თავი ხახვი;
50 გ ტომატ-პიურე;
50 გ მწვანე ბარდა;
50 გ მარგარინი;
ოხრახუში, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

მაკარონი მოხარშეთ ჩვეულებრივად. სტაფილო დაჭერით, მოშუშეთ მარგარინში წვრილად დაჭრილ ხახვთან და ოხრახუშთან ერთად; დაუმატეთ ტომატ-პიურე, მწვანე ბარდა. ყველაფერი კარგად აურიეთ ერთმანეთში და გააცხელეთ.

მზა მასა გადაურიეთ მოხარშულ მაკარონს. კერძი გადაიტანეთ თეფშზე, მოართეთ დაჭრილი ოხრახუშით. ■

საფუვრიანი ცომის მომზადება

1 კგ მზა ცომის მოსამზადებლად საჭირო პროდუქტები:

600 გ ხორბლის ფქვილი;
200 მლ წყალი;
50 გ სამარხვო კარაქი ან მარგარინი;
100 გ შაქარი;
20 გ საფუარი;
1 ჩაის კოვზი მარილი.

მომზადების წესი:

ჯამში ჩაყარეთ ფქვილი. დაუმატეთ თბილ წყალში გახსნილი საფუარი, შაქარი, მარილი, კარაქი, მოზილეთ ცომი. გადააფარეთ ტილო, დადგით თბილ ადგილას 1,5-2 საათით. როცა ცომი აფუვდება, დაამუშავეთ. ■

შესაძლებელია თუ არა ანი ქორქიას დაშანტაჟება

ის პროფესიით ექიმია, მაგრამ ვიცნობთ, როგორც ტელეწამყვანს. როცა დავურეკე და „ერუდიტისთვის“ ჩაწერა ვთხოვე, შინ მიმიპატიჟა. იმას, რომ წიგნების კითხვა უყვარს, ანი ქორქია მშობლის დამსახურებად მიიჩნევს და ამბობს: „დედა პროფესიით ჟურნალისტია. ზაფხულის არდადეგების დროს მე და ჩემს დას წიგნს საკუთარი ხელით გადაგვიშლიდა ხოლმე და გვთხოვდა, წაგვეკითხა, მერე კი წიგნის შინაარსს ერთად განვიხილავდით, ვმსჯელობდით. ეს ყველაფერი კითხვის პროცესს უფრო საინტერესოს ხდიდა და შესაბამისად, ინტერესიც გაგვიჩნდა. აი, ასე შემიყვარდა წიგნები“.

„არ ვიცი, მორფს როგორი თრობა აქვს“

თამუნა ქვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ანი, ახლა რას კითხულობ?

— კითხვა რომ დავიწყო, თავისუფალ დროსთან ერთად, საამისო განწყობილებაც უნდა მქონდეს. ამჟამად სელინჯერის „ბანანა თევზის ამინდს“ ვკითხულობ.

ძალიან მიყვარს გალაკტიონის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. ჩემთვის „დიდოსტატის მარჯვენა“ სიმღერასავითაა... უცხოელი ავტორებიდან პუშკინი მომწონს. სიამოვნებით წავიკითხე ბულგაკოვის პატარა მოთხრობა — „მორფი“. მართალია, არ ვიცი, როგორი თრობა აქვს მორფს, მაგრამ მგონია, რომ ამ წიგნში ყველაფერი იდეალურადაა აღწერილი.

— „მორფის“ წაკითხვის შემდეგ, ნარკოტიკის გასინჯვის სურვილიც ხომ არ გაგიჩნდა?

— არა, რადგანაც კარგად ვიცი, რა შეიძლება და რა — არა.

— ვიცი, რომ პოეზია გიყვარს და ლექსებს თავადაც წერდი.

— ლექსების წერა ადრეულ ბავშვობაში დავიწყე და 11 წლის ასაკში დავამთავრე.

— რომელიმე მათგანი ზეპირად თუ გახსოვს?

— „მახსოვს ჩოხატაურში მტრედისფერი აპრილი,/ ხის პატარა ოდები, ხელისგულზე გაშლილი,/ ჭურის თავზე ორშიმო, ღობის ძირში გიდელი,/ თიხის ქვევრი, ჭინჭილა და წარსულზე ფიქრები./ ჩაის მწვანე კორდები, სისხამ დილით ნავარდი,/ ჭრელფრთიანი იხვები, შვილებივით ნაზარდი./ კრიმანჭული გურული, ნაწნავივით ჩაწნული./ მახსოვს ჩოხატაურში მტრედისფერი აპრილი“. მეგობრებში ვხუმრობ ხოლმე, „მოხუცურ-დაგრუზულ“ ლექსებს ვწერდი-მეთქი.

— „სილამაზეს დიდებულს ხანდახან სჩვევია შიშის მომგვრელი ზეგავლენის მოხდენა. მხოლოდ თავხედი არ ეკრძალება მას ასეთ წუთებში. ამიტომაც ულამაზესი უმამაცესს კი არა, უთავხედესს შეხვდება ხოლმე“, — რომელი ქართველი კლასიკოსია ამ სიტყვების ავტორი?

— კონსტანტინე გამსახურდიას „ჰგავს“. ასეა?

— გამოიცანი. ის ცნობილი ფრანგი დიზაინერია. 1883 წლის 19 აგვისტოს დაიბადა და უსახსრობის გამო, უდედმამო ბავშვთა სახლში იზრდებოდა, მერე კი მისი შემოსავალი წელიწადში 160 მილიონ დოლარს შეადგენდა. 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მოდას დაუტოვა ჯაჭვისსახელურიანი ხელჩანთა, მოკლე ვარცხნილობა, გარუჯული კანით სიარული, დიდი სათვალე და კიდევ, შავი ფერი აქტუალური გახადა. დაასახელე ეს დიზაინერი.

— რაც მან მოდას დაუტოვა, დღეს ყველაფერი აქტუალურია ანუ ლაპარაკია კოკო შანელზე.

— ის საშუალოდ, 20 ათასი თმისგან შედგება და შეუძლია, 20 ტონა სიმძიმეს გაუძლოს. რაზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებ.

— მიგანიშნებ, ეს რალაც შეგიძლია, თავადაც გაიკეთო.

— (*ფიქრობს*) ვერ ვხვდები.

— ნაწნავი. მას შეუძლია, 1 ღამეში 91-მეტრიანი გვირაბი გათხაროს.

— ეს თხუნელას შეუძლია.

— ამ მდინარეზე 4 ევროპული ქვეყნის დედაქალაქი — ვენა, ბრატისლავა, ბელგრადი, ბუდაპეშტი — მდებარეობს. მას ევროპის დედამდინარესაც უწოდებენ...

— დუნაის გულისხმობ.

— „ვინც უპირველესად არ არის ადამიანი, ის ვერასდროს გახდება...“ — დასასრულე ალექსანდრე მაკედონელის გამონათქვამი.

— არ ვიცი.

— „...ექიმი“.

— (*იცინის*) თურმე, ადამიანი არ ვყოფილვარ.

— თუ ეს პროფესია არ მოგწონდა, სტომატოლოგობა რატომ გადაწყვიტე?

— ეს ჩემი სურვილით არ მომხდარა: როცა საქმე პროფესიის არჩევაზე მიდგა, გადაწყვეტილება ჩემი ოჯახის წევრებმა მიიღეს. ჰოდა, ახლა ყველა მშობელს ვთხოვ, არ მოექცნენ საკუთარ შვილებს ისე, როგორც მე მომექცნენ — ანუ ამარჩევინეს პროფესია, რომელიც არ მიყვარდა, არ მომწონდა და შესაბამისად, არც ინტერესი მქონდა. ჟურნალისტიკაზე ან იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ მხარში არ ამომიდგნენ. საერთოდ, ბეჯითი და მონდომებული ბავშვი ვიყავი, სკოლაც და კოლეჯიც ფრიადებზე დავამთავრე, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლას გული ვერ დავუდე... ოდესმე სტომატოლოგად მუშაობა რომ მომიხდეს, ვიმუშავებ, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ამის გაკეთება არ მომიწევს...

— რა ჰქვია სტომატოლოგიის დარგს, რომელიც

შეისწავლის ყბა-სახისა და კბილთა სისტემის ანომალიების ეტიოლოგიას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას?

— ორთოდონტია.

— **„ლიტერატურა ჩემი კანონიერი ცოლია, ხოლო მედიცინა — საყვარელი. როცა მე ვიღლები ერთ-ერთი მათგანისგან, მივდივარ და მთელ ღამეს ვატარებ მეორესთან“, — რომელი რუსი მწერალი და დრამატურგია ამ სიტყვების ავტორი?**

— ანტონ ჩეხოვი.

— **როგორი ქვა არ შეიძლება იყოს მდინარეში?**

— არ ვიცი.

— **მშრალი. სახელმწიფო ტოგოში მამაკაცი ქალს კომპლიმენტს თუ ეტყვის, ამის შემდეგ რა ვალდებულება ეკისრება?**

— არ ვიცი.

— **ის ქალი ცოლად უნდა მოიყვანოს... მამამ დაურეკა ქალიშვილს და სთხოვა, — ხვალ მივლინებაში მივდივარ და ესა და ეს ნივთები მიყიდე; ფული კონვერტში დევს, კონვერტი საწერი მაგიდის უჯრაშია და რაოდენობაც ზედ აწერია. ქალიშვილმა კონვერტი აიღო და დაინახა, რომ მასზე 98 ეწერა. ფული მაღაზიაში დაუთვლელად წაიღო. ნავაჭრმა 90 ლარი შეადგინა. გოგონა ფიქრობდა, რომ 8 ლარი დარჩებოდა, მაგრამ 4 ლარი დააკლდა. როგორ?**

— გზაში დაეკარგებოდა.

— **მას არაფერი დაჰკარგვია.**

— მაშინ მამას შეეშლებოდა დათვლა და კონვერტზე რაც ეწერა, იმდენი არ ექნებოდა.

— **ვერ გამოიცანი. გოგონას კონვერტი ხელში უკულმა ეჭირა... „ყველა წამალზე უმჯობესია დასვენება და თავშეკავება“, — ამერიკის რომელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა ამ სიტყვების ავტორი?**

— არ მახსოვს.

— **ფრანკლინი. წელს დასვენებას სად აპირებ?**

— თავისუფალი მხოლოდ 10 დღე მექნება და აუცილებლად ზღვაზე წავალ. ალბათ თურქეთში გავემგზავრები. ჩემთვის მთავარია, ზღვა იყოს და ხმაური იქნება თუ სიმშვიდე, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

— **ცურვა იცი?**

— რა თქმა უნდა! ბავშვობაში ზღვაში იმდენად ღრმად შევდიოდი, ნაპირზე ხალხი კიოდა. თან, სიმაღლეებიდანაც ვხტებოდი, ექსტრემალური გართობა ყოველთვის მომწონდა.

— **გარდერობის განახლებაზე უკვე იზრუნე?**

— ამაზე გამუდმებით ვზრუნავ (*იცინის*). ზღვისთვის რამდენიმე ახალი საცურაო კოსტიუმი, თავისი მოსაცმელებით უკვე შევიძინე და ბედნიერი ვარ. ერთი სული მაქვს, როდის წავალ დასასვენებლად. „ეთამაშე ვარსკვლავს“ გაზაფხულის სეზონი უკვე დასრულდა და ეგრევე ზაფხულის სეზონი გადააბეს, რომელიც სულ 5 გადაცემისგან შედგება. სხვათა შორის, მხოლოდ ცნობილები ითამაშებენ.

— **თავად არ ითამაშებ?**

— შეიძლება, ვითამაშო კიდეც... ეს ჯერ არავისთვის მითქვამს.

— **შენი მეტოქე ვინ იქნება?**

— სავარაუდოდ, შერკინება გიგი დედალამაზიშვილთან მომიწევს.

— **კარგი, კითხვარს მივუბრუნდეთ. ოდესმე ვინმეს შენი დაშანტაჟება უცდია?**

— არ მახსენდება. სხვათა შორის, ჩემი დაშანტაჟება ადვილი არ არის. მეტსაც გეტყვი — ეს გამორიცხულია! საკმაოდ ძლიერი და მდგრადი ხასიათი მაქვს. ჩემთან ტკბილი სიტყვა უფრო ჭრის.

— **შანტაჟი ფრანგული სიტყვისგან — „შანტე“ არის ნაწარმოები. ხომ არ იცი, რას ნიშნავს იგი?**

— სიმღერას.

— **დიახ, სიმღერას, გალობას. ფრანგმა ჩიტის დამჭერებმა იციან ერთგვარი სიმღერა, რომელიც ჩიტის გალობას ჰგავს და ამ „გალობით“ იტყუებენ ხოლმე ჩიტებს.**

— ამდენი არ ვიცოდი.

— **რა ჰქვია მეცნიერებას სამყაროს შესახებ?**

— ასტრონომია.

— **რომელ სასხლეტარლვებში მიედინება სასხლი ყველაზე ნელა?**

— კაპილარებში.

— **რომელ ქართულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?**

— ვერ ვიხსენებ.

— **მიგანიშნებ, ეს ფილმი ალექსანდრე ცაგარელის პიქსის მიხედვითაა გადაღებული.**

— არ მახსოვს და რა ვქნა?..

— **„ქეთო...“**

— (*მაწყვეტინებს*) „ქეთო და კოტეში“.

— **რომელ ცხოველს არ შეუძლია ხტომა?**

— გველს.

— **გველი ქვეწარმავალია.**

— ეს ცხოველი საქართველოში ბინადრობს?

— **ველურ ბუნებაში ვერ შეხვდები, მაგრამ მისი ნახვა ზოოპარკშია შესაძლებელი.**

— სპილო.

— **დაბოლოს, დასრულე ვოლტერის ცნობილი გამონათქვამი: „არასდროს გაალმერთო ბავშვი, თორემ გაიზრდება და...“**

— (*იცინის*) დედას გიტირებს.

— **„...თაყვანისცემას მოითხოვს“.**

■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. „ჰაკი აძბა“ ლეო ქიაჩელის დაწერილია.

2. ცოდნისკარი სოფელია ლაგოდეხის რაიონში.

3. ნელსონ მანდელამ საპატიმროში 16 წელი გაატარა.

4. ფარშავანგი ცის სამხრეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედია.

5. ხევსურები ბოლშევიკების ხელისუფლებას „წითელ ეშმას“ ეძახდნენ.

6. შავი ჭირის მიკრობი 100 გრადუს ტემპერატურაზე 1 წუთის განმავლობაში იღუპება.

7. მსოფლიოში პირველი საფეხბურთო კლუბი „შეფილდ იუნაიტედი“ 1855 წელს შეიქმნა.

8. ლევან სანიკიძე რომაელ დიქტატორ სულას „ფელიციტას (ბედის) ნებიერს“ ეძახდა.

9. ლონდონურ ომნიბუსებში ვანდალიზმის საწინააღმდეგოდ 12 ფარული კამერაა დამონტაჟებული.

10. სტივენ სპილბერგის გახმაურებული ფილმის გმირი რიგითი რაიანი 101-ე ბატალიონში იბრძოდა.

11. სტალინი და კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი ერთსა და იმავე დღეს, 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალნენ.

12. საფოსტო მტრედს შეუძლია საათში 80 კილომეტრის სიჩქარით დღეში 10 საათის განმავლობაში იფრინოს. დღესაც არავინ იცის, როგორ იგნებს გზას ეს საოცარი გამძლეობის მქონე ფრინველი.

13. ლარისა კოსაჩი ლესია უკრაინკას ნამდვილი სახელი და გვარია. უკრაინელ პოეტ ქალს განათლება მხოლოდ ოჯახში ჰქონდა მიღებული, რადგან ბავშვობიდან ძვლის ტუბერკულოზით იყო დაავადებული და უკურნებელი სენი აიძულებდა, მთელი ცხოვრება ემკურნალა. ყირიმსა და ეგვიპტეში ნაცხოვრებმა პოეტმა სიცოცხლის ბოლო ათი წელი საქართველოში გაატარა და აქვე გარდაიცვალა.

14. კათოლიციზმისა და რომის პაპის ერთგულების გამო სიკვდილმისჯილ ტომას მორს ეშაფოტზე ასვლა გაუჭირდა. ინგლისის ყოფილმა კანცლერმა და განთქმული „უტოპიის“ ავტორმა იქვე მდგომ ჯარისკაცს სთხოვა დახმარება: „იქნებ ასვლაში დამეხმაროთ... ჩამოსვლაზე აღარ შეგაწუხებთ...“.

15. ესპანეთის მეფე კარლ V ტიციანის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი იყო. ერთხელ მეფის თანდასწრებით მომუშავე მხატვარს ფუნჯი დაუვარდა. მეფემ ფუნჯის აღება დაასწრო, მხატვარს გაუწოდა და უთხრა: „ტიციანი ღირსია, რომ მას მეფეები ემსახურებოდნენ“.

16. ამ ანეკდოტს ერთ-ერთ გადაცემაში ილუზიონისტმა ამაიაკ აკოპიანი მოჰყვა:

„უნაყოფო ლეღვის ხეზე“ ღვთისგან აღსრულებული სასჯელი

„უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავი მოთხრობილია ლუკას სახარების მე-13 თავში: „ერთ კაცს თავის ვენახში ლეღვი ედგა. მივიდა, რომ მასზე ნაყოფი მოეძებნა, მაგრამ ვერ იპოვა. უთხრა მევენახეებს: აჰა, სამი წელია, მოვდივარ ამ ლეღვის ნაყოფის საძებნელად და ვერ ვპოულობ. მოსჭერი იგი, რად უნდა ფიტავდეს მიწას? მევენახემ უთხრა: ბატონო, დატოვე ამ წელიწადსაც, ვიდრე ძირს შემოვუთოხნიდე და ნაკელს მივაყრიდე, იქნებ მოისხას ნაყოფი. თუ არა და, მოსჭრი მას“...

„სახარებიდან“ ვიცით, რომ ჯვარცმამდე რამდენიმე დღით ადრე, ბეთანიიდან გამოსულ მაცხოვარს მოშივდა და დაინახა გაფოთლილი ლეღვის ხე. წავიდა, იქნებ ნაყოფი ჰქონდეს გამოღებულიო, მაგრამ როდესაც ხესთან მივიდა, ფოთლების გარდა ვერაფერი იპოვა და წარმოთქვა: „ნულარავინ ჭამოს უკუნისამდე ნაყოფი შენ“...



შორენა მერკვილაძე

გვესაუბრება მამა **დიმიტრი ვჩანგულაშვილი**:

— ლეღვის ხეში უნდა ვიგულისხმოთ ისრაელის ერი, ფოთლებში — სჯული, რომელიც მათ უფალმა მისცა. ხისთვის ფოთლებიც აუცილებელია, რადგან ნაყოფი ფოთლის ძირიდან გამოდის — ანუ სჯული არის საფუძველი, მაგრამ უმთავრესი მაინც ნაყოფია — სჯულის აღსრულებით სულიერი ნაყოფი უნდა იქნას გამოღებული. რაოდენ ზედმიწევნითაც უნდა იყოს დაცული სჯული, თუ ეს მხოლოდ გარეგნულად ხდება ანუ თუ მას ღვთისადმი ჭეშმარიტი რწმენა და სასოება არ უდევს საფუძვლად, ღვთის წინაშე არაფერს წარმოადგენს; ის ფუჭი და ამაოა ისევე, როგორც უნაყოფო ხე, რომლის ფოთლები მხოლოდ საჩრდილობლად თუ გამოდგება. ფოთლებით შემოსილი ხე, ვიდრე ახლოს მიხვალ და მის უნაყოფობას იხილავ, სახილველად კარგია. ასევე იყვნენ ებრაელთა მღვდელმთავრები, სჯულისმოძღვრები და მწიგნობარნი, რომელთაც ებრაელი ერის ჭეშმარიტებამდე — მაცხოვრამდე მიყვანა ევალებოდათ. მათ გარეგნულად სარიტუალო შესამოსლები ამშვენებდათ, სჯულის წესებს — რიტუალებსაც იცავდნენ და ხალხსაც უქადაგებდნენ სჯულის დაცვას, მაგრამ შინაგანად თავადაც არ იყვნენ ღვთისადმი მსასოებელნი, სჯულის აღმსრულებლები და ამის გამო ხალხშიც აღარ იყო ის სულიერება, — ნაყოფი, სჯულის საქმეები, რაც უფალს „ფოთლებზე“ მეტად აინტერესებს. საბოლოოდ, ისრაელის ერის უნაყოფობა გამოვლინდა იმაში, რომ მათ მხსნელი, განკაცებული უფალი არ მიიღეს.

როგორც ვიცით, ისრაელის ერი ღვთის რჩეული იყო. მათ ეს რჩეულობა, ასე თუ ისე, შეასრულეს, ამოწურეს, მაგრამ ვერ განვითარდნენ, რადგან ჯვარს აცვეს უფალი, განკაცებული მაცხოვარი — აღთქმული მესია, რომელსაც ისრაელის ერი მთელი არსებობის მანძილზე, ათასწლეულები ელოდებოდა, მაგრამ მაინც ვერ შეიცნო იგი. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ქრისტიანობა სწორედ რჩეულ ისრაელიანთაგან, იუდეველთაგან (უფლის მოწაფეები — მოციქულები ხომ იუდეველები, ებრაელები იყვნენ) გავრცელდა, მთლიანობაში ერმა უარყო მაცხოვარი და შესაბამისად, მათ არ მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება, ქრისტიანობა. ვიცით, რომ ქრისტიან ებრაელთა ცალკე ფრთად ანუ — ქრისტიანულ ეკლესიად, საპატრიარქოს სახით მათი ჩამოყალიბება არ მომხდარა; თუ რომელიმე ებრაელი ქრისტიანი გახდებოდა, ის იყო რომელიმე ადგილობრივი ეკლესიის რიგითი წევრი და ასე ხდება დღემდე. იუდეველებმა,

ებრაელებმა თავიანთი რჩეულობა ფაქტობრივად, თავადვე უარყვეს თავიანთი უნაყოფობის, გამიწიერების გამო და ამისათვის სხვადასხვა სახის სასჯელიც მოიწიეს — სწორედ ამას მიანიშნებს (იგავურად) უნაყოფო ლეღვის ხის მოჭრა და დაწყევლა. მაცხოვრის ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ღვთის რჩეული გახდა ქრისტიანი ერი, რომელიც არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ერს მოიცავს, არამედ ქრისტეს სარწმუნოების, მართლმადიდებლური რწმენის ქვეშ მყოფ ნებისმიერი ეროვნების ადამიანს აერთიანებს.

ისრაელის ერმა არაერთგზის გადაუხვია ღვთის გზიდან, არაერთგზის უჩვენა თავისი უნაყოფობა. თუნდაც, ეგვიპტელთა მონობიდან ისრაელიანთა გამოყვანის პერიოდი გავიხსენოთ: აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალი ერი სასწაულებრივად გაიყვანა მეწამულ ზღვაში, რათა ფარაონის მხედრობის რისხვისგან დაეფარა. უდაბნოში ყოფნისას ზეციურ მანანას უგზავნიდა, ზეციური პურით კვებავდა ისრაელიანებს, თუმცა ისინი ხშირად დრტვინავდნენ, საყვედურს გამოთქვამდნენ უფლის მიმართ და ამით ღვთისადმი უსასოობას, უნდობლობას გამოხატავდნენ — ეს არის სწორედ სულიერი უნაყოფობა. მიუხედავად ყველაფრისა, უფალი საუკუნეების მანძილზე, მართალთა და წინასწარმეტყველთა მოვლინებით ცდილობდა ჭეშმარიტებაში მათ განმტკიცებას, ამზადებდა უმთავრესი ნაყოფის გამოსაღებად — მაცხოვრის, აღთქმული მესიის მისაღებად. როდესაც ბოლო წინასწარმეტყველმა — იოანე ნათლისმცემელმა, უფლის წინამორბედმა იორდანეს სანაპიროზე მისკენ მიმავალი იესო ქრისტე დაინახა, წარმოთქვა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაი, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ — ეს არის ის, რომელზეც ვთქვი, ჩემ შემდგომ მოდის კაცი, რომელიც ჩემზე უპირატესია, ვინაიდან ჩემზე უწინ იყოო. ე.ი. ხალხს განცხადებულად მიეცა ნიშანი მხსნელის შესახებ. უფალმა უწყოდა, რომ ისრაელიანთა უმეტესობა არ მოექცეოდა, ისიც იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა ერი მის წინააღმდეგ, მაგრამ მცდელობა არ დაუკლია.

უნაყოფო ლეღვის ხის მოჭრასა და დაწყევლაში უნდა ვიგულისხმოთ ის სასჯელები, რაც ისრაელის ერმა გამიწიერებისა და საბოლოო უნაყოფობის გამო მოიწია; მათ თავადვე დაიწყევლეს თავი, როდესაც საკუთარი ნებითა და პირით წარმოთქვეს მაცხოვრის მიმართ: „სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა იყოს“. უფალი არ არის სასტიკი, ის კაცთმოყვარე და მრავალმოწყალეა, მაგრამ ამავე დროს, სამართლიანი მსაჯულიცაა. ღვთის წინაშე ჩვენს თავს ვილოცავთ და მის მადლს, წყალობას ვიღებთ ჩვენი კეთილი საქმეებით; უსჯულოების გამო კი საკუთარ თავზე მსჯავრს მოვიწევთ. ჩვენი რჩეულობა რწმენის საქმეებით, სათნოებების გამოვლინებითა და შინაგანი სულიერი მდგომარეობით უნდა დავამტკიცოთ... ისრაელის ერზე ღვთის მსჯავრი მაცხოვრის ჯვარცმიდან სულ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ აღესრულა: როდესაც რომაელებმა ერთიანად დაანგრიეს იერუსალიმი და ორ მილიონზე მეტი ებრაელი ამოხოცეს, ცოცხლად დარჩენილები მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ. მას შემდეგ კი მათ საუკუნეების განმავლობაში, სახელმწიფოებრიობა აღარ ჰქონიათ... გავიხსენოთ თუნდაც ებრაელთა მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც მათ საშინლად ტანჯავდნენ, აწამებდნენ და ანადგურებდნენ... ებრაელ ერს ეს სასჯელები ისევ და ისევ იმის გამო მიეცა, რომ საკუთარი შეცდომა დაინახოს, დაფიქრდეს და ჭეშმარიტებამდე მივიდეს. მართლაც, ბოლო დროს ებრაელთა ნაწილი, მათ შორის — ნაბინებიც ამბობენ: აღთქმული მესია მოვიდა და ჩვენ ვერ შევიცანით, არ მივიღეთ იგიო; ბევრმა მათგანმა აღიარა ქრისტე და მოექცა ჭეშმარიტებაზე.

ცხადია, უფალს ეს იგავი მხოლოდ იუდეველთა მისამართით არ უთქვამს. უფალი ყველას მიგვანიშნებს, რომ თუ არ გვინდა, იუდეველების მსგავსად ღვთის სასჯელი საკუთარ თავზე მოვიწიოთ, აუცილებელია სულიერი ნაყოფის გამოღება — რწმენის საქმეებით დამტკიცება. შესაძლოა, ადამიანი ეკლესიაშიც დადიოდეს, წირვასა და მსახურებებს ესწრებოდეს, აღსარებასაც ამბობდეს, მარხულობდეს, მაგრამ თუ ეს მხოლოდ გარეგნულად ხდება, თუ ჩვენს ქრისტიანობას სათნოებითა და ქველი საქმეებით არ დავამტკიცებთ, უფალი კურთხეულად არ ჩაგვთვლის. ლეღვის ხის მიმართ აღსრულებული სასჯელით, უფალი იმასაც გვიჩვენებს, რომ მას შეუძლია განგვწმინდოს, ცოდვები მოგვიტევოს, მოგვეფეროს, მაგრამ ასევე შეუძლია, მსჯავრი მოგვივლინოს — მას დასჯაც ხელეწიფება, მაგრამ ამით კი არ გვაშინებს, არამედ გვაფრთხილებს; მოგვიწოდებს, რომ ვიყოთ ყურადღებით, რათა საკუთარ თავზე სასჯელი არ მოვიწიოთ.

■

ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ

ᲒᲖᲐᲨᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲙᲝᲚᲐᲥᲘ

ᲥᲔᲛᲓᲔᲒᲘᲜᲔᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

80 წლის ებრაელს მეგობრები ურეკავენ, ყველანი სავახშოდ ვიკრიბებით და შემოგვიერთდიო. ებრაელი ბოდიშობს: „დრუზია, ბრატია!.. უ მენია დამა!.. იესლი სმაგუ... ნე პრიდუ!..“.

17. ერთხელ ნადირობის დროს ჰენრიხ ნავარელი ამალას ჩამორჩა და ტყის პირას ერთ გლეხს გადაეყარა. „აქ რას აკეთებ?“ — ჰკითხა მეფემ. „ამბობენ, ჩვენს მხარეში მეფე ნადირობსო; არასდროს მინახავს და ვუცდი, იქნებ თვალი მოვკრა შორიდან“, — უპასუხა გლეხმა. ჰენრიხს გაეცინა და გლეხი ცხენზე შემოისვა, მე წაგიყვან იმ ადგილას, სადაც სამეფო ამალა ნადირობსო. გზაში გლეხმა ჰკითხა, როგორ უნდა მივხვდე, ხელმწიფე რომელიაო? „ძალზე ადვილად, როგორც კი მეფე გამოჩნდება, ყველა ქუდს მოიხდის მის წინაშე, ხოლო ვინც ქუდით დარჩება, ის იქნება ხელმწიფე“. მეფის დანახვაზე, მართლაც ყველამ მოიხადა ქუდი. „ახლა მიხვდი, ვინ არის მეფე?“ — ჰკითხა ჰენრიხმა. გლეხმა მხრები აიჩეჩა: ვერაფერი გამიგია, ბატონო, მხოლოდ მე და თქვენ დავრჩით თავშემოსილიო.

18. ალი ქართული წარმართული სარწმუნოების ცნობილი სახეა. მაცდური, უნდო და საშიში ავსული, ანკარა ნაკადულებში, ტბებში, ჭაობებში, უღელტეხილებსა და ბნელ ტყეებში ცხოვრობს. ღამით გამოდის, ცეცხლისებრ მანათობელი თვალებიდან ელვას აკვესებს. დაჯდება ქვაზე და თმას ივარცხნის, სახე უხილავია. ვისაც ეცემა, იღუპება, ან გიჟდება. შეიძლება უეცრად გზაზე გამოვიდეს და კაცი გადაჩეხოს. განსაკუთრებით უღელტეხილებზე, ქარბუქში, ქანცგაწყვეტილ ადამიანს „ეცემა“ და თუ „ჰალის ენა“ არ იცის, დაღუპავს კიდეც. მისი განრიდება მხოლოდ შელოცვით შეიძლება: „ერევეზი, გერევეზი, ანგარეზი, მივალსა ნადირსა, ნავხეთ — ნათარეში. დავუდგით დიდი ბადე ლომი, მითა დავიჭირეთ ჰალი, ქაჯი და ეშმაკი. ჰაი, თქვე წყეულო ჰალო, ქაჯო და ეშმაკო. საიდან მოსული ხართ, საით მიმავალი ხართ?“ „ქვესკნელიდან მოსული ვართ, ზესკნელში მივალთ, ვეძებთ დაღლილსა კაცსა, დაჭრილსა კაცსა, მელოგინე ქალსა“. „ჰაი, თქვე წყეულო ჰალო, ქაჯო და ეშმაკო! ნურც ეძებთ დაღლილსა კაცსა, ნურც ეძებთ დაჭრილსა კაცსა, ნურც ეძებთ მელოგინე ქალსა, თორემ დაგჩეხავთ, სამას სამოცდახუთი წელი გადუღებთ სპილენძის ქვაბში, შემდეგ თქვენ ძვალსა და ხორცს ზევით ქარს გავატანთ, ქვევით — წყალს. ფუი, ასე გაქრით, ჰალო, ქაჯო და ეშმაკო!“. ამ შელოცვით გაჭირვებულს ალი ეხსნებოდა, ამიტომ მისი ცოდნა სავალდებულო იყო.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

როგორ მოვიშოროთ ვულგარული ფერიმჭამელა



თუ გარდატეხის ასაკს გადაშორებული ხართ, მაგრამ სახეზე ან ზურგზე ხშირად გიჩნდებათ გამონაყარი (ხშირად — ჩირქოვანი), მაშინ ვულგარულ ფერიმჭამელასთან გქონიათ საქმე. ეს არის ქრონიკული დაავადება, რომელიც, როგორც წესი, სებორეის ფონზე აღმოცენდება ხოლმე და ლოკალიზდება სახის, გულმკერდისა და ზურგის კანზე. დაავადებას ახასიათებს რეციდივები. ვულგარული ფერიმჭამელას განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენეტიკური ფაქტორები, ცხიმოვანი ჯირკვლების პათოლოგიური ფუნქციონირება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის მოშლა, ორგანიზმში ჩირქოვანი კერის არსებობა (ჩირქოვანი ანგინა), გოგონებში მენსტრუალური ციკლის დარღვევა და სხვა.

მკურნალობა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას; მიმართავენ ზოგად თერაპიას, გარეგან და იმუნომასტიმულირებელ პრეპარატებს, ფიზიოთერაპიულ და ლაზეროთერაპიულ პროცედურებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანის სწორად მოვლასაც: სახე დაიბანეთ გადადუღებული წყლით (უსაპნოდ), შემდეგ კი გაიწმინდეთ ისეთი ლოსიონით, რომელიც სპირტს არ შეიცავს; არ გამოიყენოთ ტონალური კრემი და კომპაქტური პუდრა, რადგანაც ეს საშუალებები ცხიმოვან ჯირკვლებს ახშობს.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, მაშინ სახე ჯერ დერმასეპტით გაიწმინდეთ, შემდეგ კი თითოეული ელემენტი თეთრი კასტელანით დაიმუშავეთ; თუ კვანძები გაქვთ, მაშინ რამდენიმე დღის განმავლობაში, მათზე იხტიოლის მალამო წაისვით, კვანძების დაშლის შემდეგ კი, აქერცვლის მიზნით, ზინერიტის სუსპენზია (შეიცავს ერითრომიცინს და თუთიას) გამოიყენეთ. ოღონდ წაისვით მხოლოდ კვანძებზე და არა — მთელ კანზე; ასეთი მკურნალობა ჩაიტარეთ 10 დღე, შემდეგი 10 დღის განმავლობაში კი გამოიყენეთ კურიოზინი-გელი, დღეში 2-ჯერ; დაბოლოს (ანუ მკურნალობის დაწყებიდან 20 დღის შედეგ), ნარჩენი პიგმენტაციის ასალაგებლად წაისვით სკინორენის მალამო, დღეში 2-ჯერ, ერთი თვის განმავლობაში. გარდა ამისა, აუცილებლად დაიცავით დიეტა — შეზღუდეთ ნახშირწყლების მოხმარება. ვულგარული ფერიმჭამელას შემთხვევაში კარგად მოქმედებს მზის სხივები (ზომიერად). გარდა ამისა, აუცილებლად უნდა დაითესოს ჩირქი ფლორაზე და მგრძნობელობაზე, უნდა გამოიკვლიოთ კუჭ-ნაწლავისა და ყელის მდგომარეობა. ხშირად, ჩირქოვანი გამონაყრის მიზეზი ორგანიზმში არსებული ჩირქოვანი კერაა და თუ ამ კერის ლიკვიდაცია არ მოხდება, ადგილობრივი მკურნალობით გამქრალი ფერიმჭამელები კვლავ გაგიჩნდებათ.

დაბოლოს, გასწავლით ერთ მეტად ეფექტურ საშუალებას: 35 მგ ქაფურის სპირტი, 35 მგ გულყვითელას ნაყენი, 4 აბი კარგად დაფქული ლევომიცეტინი ერთმანეთში აურიეთ და ამ ხსნარით პრობლემური კანი ყოველდღე გაიწმინდეთ.

გამონაყარი ზურგზე

ზურგზე ფერიმჭამელების გაჩენას შეიძლება, ბევრი მიზეზი ჰქონდეს. ზოგიერთი სპეციალისტი ამას საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის დარღვევას უკავშირებს, ზოგი — ჰორმონულ დისბალანსს, ზოგი კი ზურგის მიდამოში განლაგებული ცხიმოვანი ჯირკვლების გაძლიერებულ ფუნქციონირებას; რასაკვირველია, დიდი როლი მიუძღვის ჰიგიენასაც — სახის კანთან შედარებით ზურგის კანის მოვლა, დაბანა, გასუფთავება, მასზე სხვადასხვა მალამოსა თუ ნიღბის დადება ხომ გაცილებით ძნელია.

ვინაიდან ფერიმჭამელების გაჩენის მრავალი მიზეზი არსებობს, აუცილებელია დაავადების ჭეშმარიტი მიზეზის დადგენა და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა, რასაც მხოლოდ დერმატოლოგი მოახერხებს; თუ ის დაადგენს, რომ აკნეს (ფერიმჭამელას) განვითარების მიზეზი ჰორმონული დარღვევაა, მაშინ საჭირო გახდება ენდოკრინოლოგის კონსულტაციაც. აკნეს მსუბუქი და საშუალო ხარისხის სიმძიმის დროს გამოიყენება გარეგანი მოხმარების პრეპარატები ანუ მიმართავენ ადგილობრივ თერაპიას ისეთი მალამოებით, გელით, კრემებით, ლოსიონით და სხვა, რომლებიც შეიცავს კომედონების საწინააღმდეგო, კანის ცხიმის გამოყოფის შემამცირებელ და ანთების საწინააღმდეგო სხვადასხვა აქტიურ ნივთიერებას. ჰორმონული დარღვევების დროს შეიძლება დაინიშნოს სასქესო ჰორმონებით მკურნალობაც. ფერიმჭამელებისგან კანის გასაწმენდად გამოიყენება ქიმიური პილინგი — ეს არის ხილის სუსტი მჟავების დახმარებით კანის ზედა შრის მოშორების პროცედურა.

როგორ მოვიქცეთ ზურგზე გამონაყრის შემთხვევაში:

*დაიცავით დიეტა — შეზღუდეთ ნახშირწყლები, ცხიმი (ზოგჯერ, მარილის შემცირებაც არ არის ურიგო). სამაგიეროდ, კვების რაციონი გაამდიდრეთ რძის პროდუქტებით, ხილით, ბოსტნეულით.

*გამონაყარს ხელი არ ახლოთ — გამორწყვის მიზნით მათზე ზეწოლა დაუშვებელია, ამით კანს უფრო დააზიანებთ, ანთების გაძლიერებასა და ინფექციის გავრცელებას შეუწყობთ ხელს.

*ტანი დაიბანეთ ცხიმიანი ან პრობლემური (აკნესადმი მიდრეკილი) კანისთვის განკუთვნილი საპნით.

*გამოიყენეთ მხოლოდ ცხიმიანი კანისთვის განკუთვნილი კოსმეტიკური საშუალებები. მათ აქვთ წარწერა — noncometogen.

*მიეფიცხეთ მზეს (ზომიერად).

პიგმენტური ლაქები

პიგმენტური ლაქების გაჩენას იწვევს კანის პიგმენტაციის დარღვევა, რომელიც 2 სახისაა: პირველი — კანი ალაგ-ალაგ შედარებით მკრთალი (ვიტილიგო) ხდება და მეორე — ის ალაგ-ალაგ, შედარებით მუქდება; ეს შეიძლება იყოს ჭორფლი ან კიდევ, თუ კანზე გამუქებული ნაწილები დიდდება — პიგმენტური ლაქები, რომლებიც უმეტესად, ქალებს უჩნდებათ (ეს დაკავშირებულია ქალის ფიზიოლოგიის თავისებურებებთან). ლაქე-

ბის გაჩენის მიზეზი მრავალი რამ შეიძლება იყოს: მზის სხივების გადამეტებული ზემოქმედება, ღვიძლის ან კუჭ-ნაწლავის სისტემის მუშაობის დარღვევა, კანზე ქიმიურად აქტიური ნივთიერებების ზემოქმედება.

არასასურველი ფაქტორის ზემოქმედებით, კანის განსაზღვრულ უბნებში დიდი რაოდენობით პიგმენტი — მელანინი გროვდება და კანი მუქ ელფერს იძენს — ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გამოკვლევის ჩატარება. თუმცა, შემთხვევათა უმრავლესობაში, პიგმენტური ლაქები ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის და მხოლოდ ვიზუალური ნაკლის რანგში განიხილება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადამეტებული პიგმენტაცია ჩვეულებრივ, მზის სხივების ზემოქმედებით, უმეტესად, გაზაფხულობით ჩნდება. ამიტომ ქალმა (მით უმეტეს, თუ ის მიდრეკილია ასეთი ლაქების გაჩენისკენ) უნდა ატაროს ნატურალური ქსოვილისგან დამზადებული, მსუბუქი და დახურული ტანსაცმელი; სასურველია მზის სათვალის ტარებაც. ქუჩაში გასვლის წინ აუცილებელია დღის დამცავი კრემის წასმაც: კრემის ეტიკეტზე წერენ SPF და უთითებენ ციფრებს — 4-დან 60-მდე. გაამრავლეთ ეს ციფრი 15-ზე და მიიღებთ წუთების რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც კრემი კანს ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან დაიცავს. კვების რაციონში შეიტანეთ A, B, C ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები.

თუ პიგმენტური ლაქები უკვე გაგიჩნდათ, არსებობს მათგან თავის დაღწვის რამდენიმე საშუალება:

1. სხვადასხვა ფირმის მათეთრებელი კრემები. უმჯობესია, კრემი შეგირჩიოთ კოსმეტოლოგმა კანს ტიპის, ფერისა და პიგმენტური ლაქების მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. პილინგი, რომელიც პიგმენტური ლაქების მოსაშორებელი ეფექტური საშუალებაა.

3. დაბოლოს, ხალხური საშუალებები — ეს არის მათეთრებელი ნიღბები და ლოსიონები, რომლებიც დამზადებულია წყალბადის ზეჟანგის, ნუშის, ლიმონის, შავი მოცხარისა და ბევრი სხვა მცენარისგან. მაგალითად:

* ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული 2 ს/კ ოხრახუში დაიდეთ პრობლემურ კანზე, 20-30 წუთის შემდეგ კი ჩამოიბანეთ ცივი წყლით. ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ სახეზე მკვებავი კრემი წაისვით.

* მოხარშეთ ოხრახუშის ძირები, დაუმატეთ ლიმონის წვენი და წაისვით ლაქებზე — დილა-საღამოს.

* ნუშს აქვს მათეთრებელი თვისება და ამიტომაცაა, რომ მისგან დამზადებულ ლოსიონს ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად იყენებენ.

* ნახევარ ჭიქა ნუშის გულს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე და გააჩერეთ 3-5 წუთის განმავლობაში, შემდეგ წყალი გადაღვარეთ, ნუში კი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. მიღებულ ფაფას დაუმატეთ ნახევარი ლიმონის წვენი და 1 ს/კ ანადუღარი წყალი. ეს მასა კარგად ათქვიფეთ, გაიკეთეთ ნიღაბი და 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

* 1 ლიმონის წვენი, 1 კვერცხის ცილა, 10 გ შაქარი, 100 მლ წყალი კარგად აურიეთ და დაიდეთ წინასწარ გასუფთავებულ კანზე, 20-30 წუთის განმავლობაში. პროცედურა ჩაიტარეთ დღეგამოშვებით. ნიღაბი მოიშორეთ თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით.

* ახალი კიტრი წვრილ სახეხზე გახეხეთ და დაუმატეთ 1 ს/კ მკვებავი კრემი. თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, მაშინ კიტრის წვენს დაუმატეთ ამავე რაოდენობის არაყი და გააჩერეთ 24 საათის განმავლობაში, შემდეგ კი გაიკეთეთ ნიღაბი ამ სითხეში დასველებული მარლით.

კიტრის წვენი შეიძლება მომზადდეს ხანგრძლივად (6 თვე) შესანახადაც: 100 გ წვრილად დაჭრილ ახალ კიტრს დაასხით 100 მლ არაყი. ეს ნარევი ბნელ ადგილას, 8-10 დღე გააჩერეთ, შემდეგ კი გაწურეთ და შეინახეთ მაცივარში.

■

სამყურას ყვავილი თირკმლებს აჯანსაღებს

ალბათ, მშრალ წიწვოვან ტყეებში ან სათიბებზე გინახავთ წვრილი, მორუხო-მოვარდისფრო ყვავილებისგან შემდგარი ფაფუკთავიანი, 25-30 სმ სიმაღლის მცენარე — ეს სამყურაა. ხალხი მას ფისუნიასაც უწოდებს. მართლაც, ამ მცენარეს თავზე ხელი რომ გადაუსვათ, ისეთი შეგრძნება დაგეუფლებათ, თითქოს, კატას ეფერებით.

სამკურნალო მნიშვნელობით ყვავილობის პერიოდში დაკრეფილ მცენარეს იყენებენ. მას აქვს ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, ტკივილგამაყუჩებელი და სისხლში შაქრის შემცველობის დამწევი მოქმედება.

*ცისტიტის, პიელონეფრიტის, მომატებული მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, ალერგიული დერმატიტების დროს: 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ სამყურას დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე 1 საათის განმავლობაში, შემდეგ კი გაწურეთ და მიიღეთ 1/4 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

*დიზენტერიისა და დიარეის დროს: 2 ს/კ დაქუცმაცებულ სამყურას ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე, 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი გადმოდგით და გააჩერეთ 1 საათი; გაწურეთ, გადადუღებული წყლით საწყის მოცულობამდე შეავსეთ და მიიღეთ 1/4 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

*დიაბეტის, შაკიკისა და ნევროზის დროს: 2 ს/კ დაქუცმაცებულ სამყურას ბალახს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, 30 წუთით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში, შემდეგ კი გაწურეთ და მიიღეთ როგორც ჩაი, დღის განმავლობაში.

*ანგინის, ლარინგიტის, ფარინგიტის, სტომატიტის, პარადონტოზის დროს: 3 ს/კ დაქუცმაცებულ სამყურას ბალახს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ თერმოსში 3-4 საათის განმავლობაში, შემდეგ კი გაწურეთ. ეს ნაყენი დღეში 3-4-ჯერ, ყელში გამოივლეთ.

*ჩირქოვანი ჭრილობებისა და წყლულების დროს: 4 ს/კ დაქუცმაცებულ სამყურას ბალახს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, გააჩერეთ 2 საათის განმავლობაში და გაწურეთ. ნაყენი გამოიყენეთ როგორც საფენების სახით, ისე დაზიანებული უბნის ჩამოსაბანად.

*ფეხების ოფლიანობის დროს: 0,5 ჭიქა დაქუცმაცებულ სამყურას ბალახს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე, 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი გადმოდგით ცეცხლიდან, გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ. ამ ნაყენით გაიკეთეთ 20-წუთიანი აბაზანა. მკურნალობის კურსია 12-15 პროცედურა, შემდეგ დაისვენეთ 2 კვირა და მკურნალობა კვლავ გაიმეორეთ.

■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

სიტყვა



რამდენ სიტყვასაც ვიჭერ
ჯბილით –
იმდენ ტკივილს ვიგუბებ
გულში...
სიტყვა ძნელი შესანახია...
სიტყვის წასვლისას
რალაც ისევ ირხევა
სულში,
როგორც ტოტი ხილის ვარდნისას –
ცარიელი ბუდის სევდა გრჩება სხეულში...

ჯობა არაბული

სახსოვარი

ქართული ანდაზები

◆მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო.

◆მამალს უთქვამს: — მე კი ვიყივლებ და გინდა გათენდეს, გინდ — არაო.

◆მამამ შვილს ვენახი აჩუქა და შვილმა მტევანიც აღარ მიაწოდა.

◆მგელმა კბენა არ იცოდა, ადამიანმა ასწავლაო.

◆მგორავ ქვას ხავსი არ მოეკიდება.

◆მშიერი ძაღლი პატრონს უკბენსო.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ლ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-25, 2011

ლევა — გულის ლევა — 1. გულის დასუსტება, შეღონება (შიმშილისგან, მწუხარებისგან, ლოდინისგან); 2. ძლიერი მღელვარება.

ლეზვი — დორბლი;

ლეკვერჩხი — 1. პაიჭის შესაკვრელი თასმა; 2. ფეხზე წინდის დასამაგრებელი რეზინი.

ლეკისხე — ჩვენს ტყეებში ფართოდ გავრცელებული ხე ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა; აქვს თეთრი მერქანი.

ლეკმარხილა — პატარა მარხილი, ჩვეულებრივ შეშის მოსატანი.

ლეკური — 1. ქართული ცეკვის ძველებური სახელი; 2. უვადო ხმალი.

ლელი — ჭაობის მავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე.

ლემა — ერთწლოვანი შხამიანი მცენარე ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. ხმარობენ სამკურნალოდ.

ლენცოფა — ერთწლოვანი შხამიანი მცენარე ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. იხმარება სამკურნალოდ.

ლენჭყი, ლენჭყო (კუთხ.) — ნოტიო, ჭაობიანი ადგილი.

ლენჯო — იგივეა, რაც ლეჯა (კაკალს გაცლილი წენგო).

ლეჟერი — ნედლი, ცუდი შეშა.

ლერწამტანი — (პოეტ.) 1. კოხტა, წერწეტი, მოხდენილი ტანი (ქალისა); 2. ასეთი ტანის პატრონი (ქალი).

ლესტერი (კუთხ.) — დიდი წვიმა, თავსხმა.

ლელი — თოვლის დნობა.

ლეღვისკვერი — 1. ასხმული ჩირი (საბა); 2. ლეღვის ტყლაპი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მორიგანი

ეჩხდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-25, 2011

მარი ჯაფარიძე

გეგიძისა და არეშიძის საქმეებმა ისე ჩამითრია, რომ დილით გამოსული, შინ შუაღამისას ვბრუნდებოდი. შინ კი არა, უფრო სწორად — დავითთან და ნინოსთან. ერთი სული მქონდა, როდის მოვრჩებოდი მათთან ურთიერთობას, რომ ჩემი საქმისთვის მიმეხედა. სახლის რემონტი წამოვიწყე, მაგრამ დროებით შევაჩერე, რადგან ხელოსნებს კუდში დევნა უნდოდათ, მე კი ამისთვის არ მეცალა. ერთადერთი, რისთვისაც დროს ვნახულობდი, ეს ოფისის საქმეები იყო და ვცდილობდი, როგორც კი თავისუფალი წუთი გამომიჩნდებოდა, მაშინვე იქ მივსულიყავი.

სანდრო დუმდა — მისგან ახალ დავალებას ჯერჯერობით არ ვიღებდი.

ნინოც აღარ მაწუხებდა უაზრო დავალებებით. სამაგიეროდ, ავთო არ მაძლევდა მოსვენებას და გეგიძე-არეშიძის საქმის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. ის გეგიძის მეგობარი და ბიზნესპარტნიორი აღმოჩნდა და მისი კეთილდღეობა ალექსანდრეს მომავალზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ციხეს თავი დააღწია, გეგიძის საქმე მაინც ცუდად წავიდა — საზოგადოებაში რეპუტაცია შეელახა, უცხოელმა პარტნიორებმა მასთან საქმის გაგრძელება აღარ ისურვეს და ბიზნესი უკან-უკან მიდიოდა. გეგიძე საქმის გადარჩენასთან ერთად არეშიძის დახსნასაც ცდილობდა, ვინაიდან სერგო მხოლოდ პირადი მცველი კი არა, მისი მარჯვენა ხელიც იყო და მის გარეშე საქმის გაძღოლა უჭირდა — თავის გარემოცვაში სანდო კაცი აღარ ეგულებოდა; მომხდარი მოვლენების გამო ყველას ეჭვის თვალით უყურებდა და სულ დაძაბული იყო.

მისი და ავთოს შეხვედრა კონფლიქტით დასრულდა, რაც ავთოს ხელს არ აძლევდა, მაგრამ დაპირისპირების თავიდან აცილება შეუძლებელი აღმოჩნდა — ალექსანდრეს ნერვები ხშირად უმტყუნებდა.

ავთომ შეხვედრა დამინიშნა და გეგიძის საქმის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება მთხოვა.

გავცეცხლდი.

— მარგო, ეს ინფორმაცია ჩემი თავისა და საქმის გადასარჩენად მჭირდება და უნდა დამეხმარო. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ახლობლები ვართ! — ქუთაისში მასთან გატარებული ღამე შემახსენა.

— გეგიძე ჩემი კლიენტია და კლიენტის შესახებ ინფორმაციას არ გავცემ! თანაც, როგორც უნდა გაგიკვირდეს, ახლობლად არ მიმაჩნიხარ. შენნაირი, „ერთღამიანი" კაცები იმდენი მყავდა, გახსენება რომ დავიწყო, სათვალავი ამერევა და ყველა თუ ჩემი ახლობელია, კარგად მქონია საქმე. — არ ვიცი, რაში დამჭირდა ჩემი თავის ასეთი კუთხით წარმოჩენა; ეს ვთქვი თუ არა, მაშინვე ენაზე ვიკბინე, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

— ფულს გადავიხდი, — უკან დახევას არ აპირებდა.

— არა, — თავი გავაქნიე უარის ნიშნად, — არ გამოვა ეგ ამბავი. შენ გეგიძეზე მეტს ვერ გადამიხდი და რომც შეძლო, მაინც არაფერი გამოვა.

— ის მითხარი, არეშიძეს ციხიდან გამოძრომის შანსი აქვს?

— კი, აქვს.

— ეგ არ მაწყობს.

— შენ რომ არ გაწყობს, იმას არ ნიშნავს, რომ ციხეში დარჩება.

— მაგის შანსი არსებობს?

— თეორიულად ყველაფრის შანსი არსებობს.

— ჰოდა, მაშინ ყველაფერს ვიღონებ, რომ სწორედ ასე მოხდეს.

— შენი საქმის შენ იცი, ჩემი იმედი კი არ გქონდეს, — ამ სიტყვებით დავემშვიდობე ავთოს, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ისევ მომიწია მასთან შეხვედრამ.

ოფისთან მისულმა, ეზოში მისი მანქანა შევნიშნე. მივხვდი, ჯონისთან იყო სტუმრად და როგორც ჩანს, მასთან მოლაპარაკება ჰქონდა ჩაფიქრებული. მართალი აღმოვჩნდი.

ალბათ ჩემს გამოჩენას არ ელოდა — ოთახში შესული რომ დამინახა, სახე შეეცვალა.

— შენ აქ რა გინდა?! — ფეხზე წამოდგა.

— ჯონი ჩემთან ერთად იცავს არეშიძეს. ეს ოფისი ჩემია, ჯონი კი — ჩემი დაქირავებული თანამშრომელი. დარწმუნებული ვარ, ვერც მასთან მორიგდები. ჯობია, წახვიდე.

წელმოწყვეტილივით გაიძურწა ოთახიდან.

არეშიძის საქმე ისე არ დასრულდა, როგორც გეგიძეს აძლევდა ხელს — 9 წლით გაამწესეს ციხეში.

ახლა ავთოს საშუალება ეძლეოდა, ალექსანდრე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და საქმე ისე წაეყვანა, როგორც თვითონ სჭირდებოდა.

გადავწყვიტე, სიტუაციით მესარგებლა — როგორც ადვოკატს, გეგიძის ნდობა მოპოვებული მქონდა და არ გამიჭირდებოდა მისი დარწმუნება იმაში, რომ მისთვის ძალზე საჭირო ადამიანი ვიყავი; თან, იმ დროს, როდესაც სწორედ ერთგული ადამიანები თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდა.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს გულახდილად ვუამბე ყველაფერი, რაც ვიცოდი. ავთოს განზრახვაც არ დამვიწყებია და არც ის დამიმალავს, რომ მისი საქმის ხელში ჩაგდება უნდოდა და ამის გამო ჩემთან მოლაპარაკებას ცდილობდა.

უხმოდ მისმენდა, ერთხელაც არ გავუჩერებივარ, არც კითხვა დაუსვამს.

ბოლოს შევთავაზე, წილს თუ მომცემ, გვერდით დაგიდგები, ბევრ ვაჟკაცს არ ჩამოვუვარდები ერთგულებითა და საქმის ცოდნით-მეთქი.

— ველოდი, რომ რაღაც ამდაგვარს შემომთავაზებდი, — მის მზერაში ეჭვი შევნიშნე.

— თუ მენდობი, შეგვიძლია,

ლაპარაკი გავაგრძელოთ, თუ — არა, მაშინ აზრი არა აქვს. უნდა დაგიმტკიცო, რომ გულწრფელი ვარ და რასაც ვამბობ, ამის მიღმა სხვა არაფერი დგას. ახლა ამაში მხოლოდ სიტყვებით შემიძლია დაგარწმუნო, რაც არ იქნება გამართლებული. ამიტომ ჯერი შენზეა. ყველაფერი გითხარი, გადაწყვეტილება კი შენ უნდა მიიღო. წავალ და შენს ზარს დაველოდები. იმედია, უარყოფითი პასუხის შემთხვევაშიც დამირეკავ და გამაგებინებ.

აგერ, ახლაც დევს რამდენიმე ფოტო; ერთ-ერთ ძებნილში 150 ათასს იხდიან

არ შევუჩერებივარ. არც მე გამიგრძელებია ლაპარაკი — ჯობდა, მოფიქრების საშუალება მიმეცა.

ალექსანდრე კარგა ხანს არ შეგვხმიანებია. არც ღირებული საქმე გამოგვიჩნდა. დავითის სახლიდან წამოვედი, რადგან ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მავანთათვის საინტერესო აღარ იყო...

მატერიალურად გამიჭირდა — სანდროს ფულს პრინციპულად აღარ ვთხოვდი; თანხა, რომელსაც მოსკოვის ბინის გაქირავებით ვიღებდი, ოფისის ქირისა და გადასახადების გასასტუმრებლად მჭირდებოდა. სხვა შემოსავალი კი არ მქონდა.

ერთ საღამოს, ლაშასთან და ჯონისთან ერთად ოფისში ვიყავი და უფულობაზე ვწუწუნებდი.

— მარგო, პოლიციის საიტზე მუდმივად ქვეყნდება ძებნილების ფოტოები და ვინაობა. მათზე ინფორმაციის მიწოდებაშიც კი ფულს იხდიან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ მას დააკავებ და პოლიციას ჩააბარებ. იქნებ გვეცადა? საკმაოდ დიდი „სტავკები“ აქვთ. 20 ათასზე ნაკლები ჯერ არ მინახავს. ყოფილა შემთხვევები, 50 ათასსაც იხდიდნენ.

— აგერ, ახლაც დევს რამდენიმე ფოტო; ერთ-ერთ ძებნილში 150 ათასს იხდიან. ეს ცოტა არაა, — ლაშამ კომპიუტერის მონიტორი ჩვენკენ შემოაბრუნა და ერთ-ერთ სურათს თითი დაადო.

— ინფორმაციის მოპოვება არ გაგიჭირდება — შენი ძველი კავშირები გამოიყენე და დავცხოთ, — ლაშა ახლოს მივიდა მონიტორთან და სურათს დააკვირდა.

მისი ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა — ცუდი იდეა სულაც არ იყო.

— კი, მაგრამ შეიძლება მათი ნდობა? ნამდვილად გადაიხდიან ფულს?

— არა მგონია, იტყუებოდნენ. რადგან ამხელა თანხას იძლევიან, ალბათ უღირთ კიდეც — 10-ჯერ მეტს ამოიღებენ მისგან.

— ამასაც დადგენა უნდა, ხვალისთვის რატომ გადავდოთ? — სანდროს ნომერი ავკრიბე და შეხვედრა ვთხოვე.

სანდროსგან დაიმედებული წამოვედი. როგორც თვითონ მითხრა, მისი მხარდაჭერისა და დახმარების იმედი უნდა მქონოდა.

ლაშასთან და ჯონისთან დალაპარაკება მეორე დღისთვის გადავდე და ლალისთან გულდამშვიდებული წავედი, რადგან „თავის გადარჩენის“ რაღაც გზა უკვე მოძებნილი მქონდა.

2 დღეში სანდროსგან ყველა საჭირო ინფორმაცია მივიღე იმ ადამიანზე, რომლის ძებნაც უნდა დამეწყო. ეს გახლდათ განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 35 წლის გაბრიელ მელაძე.

მკვლელისა და მოკლულის ფოტოსურათები მობილურში მქონდა შენახული.

საქმის მასალების მიხედვით, ერთ-ერთ სოფელში, მიტოვებული სახლის ეზოში ჩამარხული მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. მართალია, გარდაცვლილის ამოცნობა შეუძლებელი იყო, რადგან ტანისამოსი არ ეცვა, მაგრამ იქაურებმა მაშინვე თქვეს, რომ ის მათი მეზობელი გელა იქნებოდა, რომელიც წელიწად-ნახევრის წინ, მეორე მეზობელთან, გაბრიელ მელაძესთან ჩხუბის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. თვითმხილველთა ჩვენებებიდან ჩანდა, რომ მეზობლებს სადღაც უქეიფიათ, შინ გვიან ბრუნდებოდნენ და წაკამათებულან. ცოტა ხანში კამათი ჩხუბში გადაზრდილა. ხმაურზე ხალხი შეკრებილა, მაგრამ მოჩხუბრებს მათთვის თავი აურიდებიათ და საქმის გასარჩევად, სოფლის განაპირას წასვლა განუზრახავთ. მათთვის ხელი არავის შეუშლია. იმ ღამის შემდეგ გელა აღარავის უნახავს. რამდენიმე ადამიანი ირწმუნებოდა, — დავინახეთ, როგორ შევიდა გაბრიელი შინ, ნახევარ საათში კი უკან გამობრუნდა და იმის შემდეგ ისიც აღარ გამოჩენილა სოფელში, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში ოჯახს ურეკავდა, ეკონტაქტებოდა, ფულიც კი გამოუგზავნაო. გაბრიელის ცოლის ჩვენებას თუ დავუჯერებდით, ქმარს მისთვის იმ საღამოს შემდეგ აღარც დაურეკავს და აღარც ფული გამოუგზავნია.

მოკლედ, ჩვენი ამოცანა გაბრიელის მოძებნა იყო.

პირველ რიგში, სოფელში ამბების საფუძვლიანი შეგროვება და მისი ცოლის დაკითხვა იყო საჭირო, ეს კი დიდ სირთულესთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რადგან სოფელი საკურორტო გახლდათ, იქ ისედაც მიჩვეული იყვნენ უცხო ხალხს და ჩემი და ლაშას გამოჩენა ეჭვსა და განსაკუთრებულ ინტერესს არ გამოიწვევდა.

სოფლის ცენტრში ოთახი ვიქირავეთ და იმ დღიდანვე საქმეს შევუდექით. ლაშა საპარიკმახეროს ეწვია. ეს ხომ ის ადგილია, სადაც სოფლის ყველანაირი ჭორი თუ სიმართლე იყრის თავს და ხშირად საინტერესო რაღაცების მოსმენა შეიძლება. ლაშამ რამდენიმე საგულისხმო ფაქტი დაადგინა, რაც ძიებას გააიოლებდა. გარდაცვლილისა და ძებნილის მეუღლეებთან დაკონტაქტება მოვახერხე, მაგრამ მათგან ახალი ვერაფერი შევიტყვე — იმავეს ამბობდნენ, რასაც გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში. რამდენიმე დღე დაგვჭირდა საიმისოდ, რომ საჭირო ინფორმაცია მოგვეგროვებინა.

თბილისში რომ ვბრუნდებოდი, გზაში ბლოკნოტში ჩავიხედე, სადაც მნიშვნელოვან საკითხებს ვინიშნავდი; ვცადე, კიდევ ერთხელ აღმედგინა ყველაფერი.

— ლაშა, შეიძლება, რაც ახლა უნდა ვთქვა, დიდი სისულელე იყოს, მაგრამ იცი, რას ვფიქრობ? იქნებ, ვინც მოკლული გვგონია, ისაა მკვლელი და იმალება, ხოლო ვისაც ვეძებთ, ის — მკვდარი... რატომღაც ეს აზრი შემომიჩნდა და არ მასვენებს.

ლაშა კარგა ხანს დუმდა. როგორც ჩანს, ჩემს ნათქვამს აანალიზებდა.

— ისე, მთლად სიმართლეს მოკლებული არაა შენი ვერსია. შესაძლებელია მაგ ვარიანტის განხილვაც, მაგრამ მაშინ ძიება 2 მიმართულებით უნდა წარვმართოთ.

— მაგრამ თუ ასეა, სად შეიძლება იყოს? — გამიხარდა, რომ ლაშას ჩემი ნათქვამი ბოდვად არ მოეჩვენა.

— მგონი, მისი ცოლის მობილური უნდა გავაკონტროლოთ.

სანდროს დახმარებით, გელას ცოლის მობილურზე შესული და იქიდან გასული ზარების ნუსხა მოვ-

იპოვეთ. ყველა ნომერი გადავამოწმეთ. ერთ-ერთი მათგანი საეჭვოდ მოგვეჩვენა — ქართული ნომერი არ იყო — დროგამოშვებით უკრაინის ქსელიდან ურეკავდა ვიღაც. კიევიდან ამ ნომერზე ინფორმაცია გამოვითხოვეთ. აღმოჩნდა, რომ როუმინგში იყო ჩართული და ამჟამად ტელეფონი საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა, კერძოდ — თბილისში.

კვალმა დიდ დიღმში მიგვიყვანა. რამდენიმე დღის განმავლობაში ვცდილობდით, ძებნილის ზუსტი ადგილსამყოფელი დაგვედგინა და როგორც იქნა, მოვახერხეთ.

გადავწყვიტე, რაიმე საბაბით ვსტუმრებოდი. ბოლო სართულამდე ფეხით ავედი. სადარბაზოში ყველაფერს ვაკვირდებოდი და ვიმახსოვრებდი. შემდეგ მეხუთეზე დავბრუნდი, კართან შევიცადე, მივაყურადე და დავაკაკუნე.

— ვინ გნებავთ? — კარი ახალგაზრდა, სანდომიანმა ქალმა გააღო.

— ბინას თქვენ ყიდით? — წინასწარ მომზადებული ფრაზა ვაჯახე.

— დიახ, — ჩემდა გასაკვირად, დადებითი პასუხი მივიღე, — ვინ მოგასწავლათ?

— ეზოში ვიკითხე და მითხრეს, რომ თქვენ ყიდით. შეიძლება, დავათვალიერო?

— რა თქმა უნდა, მობრძანდით, — ქალმა გზა დამითმო.

— დაბლა მეუღლე მელოდება, თუ შეიძლება, ისიც ამოვა, — ლაშას დავურეკე, ბინის პატრონი შინ დამხვდა, ამოდი, ბარემ დავათვალიეროთ და ფასზეც მოველაპარაკოთ-მეთქი.

სახლში ამ ქალის მეტი არავინ დაგვხვედრია. ორივე ოთახი, სამზარეულო და სააბაზანო ვნახეთ.

— ფასი ცოტა გვეძვირება, მოვიფიქრებთ და დაგირეკავთ, — ასეთი პასუხით დავემშვიდობეთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ შეგვძლებოდა მისვლა.

რამდენიმე დღის შემდეგ ტელეფონზე დავრეკე. მამაკაცმა მიპასუხა. ბინის თაობაზე ვრეკავ და მოსვლას ვაპირებ, მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ შინ დამხვდებოდითმეთქი.

ჩაიბურტყუნა, — მაშ, სად წავალო?! — და ყურმილი დაკიდა.

— არიქა, ლაშა, სანამ კაცი შინაა, გავიქცეთ, — დავფაცურდი.

ამჯერად მარტო მამაკაცი დაგვხვდა. შეეხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი — ჩვენ წინ „გარდაცვლილი“, გელა გიორგაძე იდგა.

ტელეფონში მისი სურათი მოვძებნე და შევადარე. არ ვცდებოდი — ნამდვილად ის იყო.

ეჭვი არაფერზე აუღია. ისევ ბინის ფასზე „ვცდილობდი მორიგებას“, მაგრამ „ვერ შევთანხმდით“ და მე და ლაშამ მალე დავტოვეთ იქაურობა.

მისი აყვანა კი უახლოესი მომავლისთვის გადავდეთ.

ლაშა მეუბნებოდა, ჩვენი საქმე მხოლოდ პოლიციაში მისვლა და მისი ადგილსამყოფლის გამხელაააო, მაგრამ მინდოდა, საქმე ბოლომდე მიმეყვანა და ამ წინადადებას არ დავთანხმდი. იმდენი ვქენი, რომ ჩემი გავიტანე და ლაშა დავარწმუნე — ჯობდა, ჩვენი დაწყებული საქმე ჩვენვე დაგვესრულებინა.

იმ საღამოს მოვილაპარაკეთ და გიორგაძის დაკავება მეორე დღისთვის დავგეგმეთ.

დილაადრიან, შინ მივაკითხეთ. კარი უპრობლემოდ გაგვიღეს, რადგან უკვე გვცნობდნენ. ქალმა შინ შეგვიპატიჟა. გელას ხმა სამზარეულოდან მოგვესმა, ორიოდე წამში კი თვითონაც გამოჩნდა. როგორც კი მოგვიახლოვდა, ლაშამ ხელი ამოუგრიხა და ხელბორკილი დაადო.

დაკავებულს წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც ქალს აუტეხავს პანიკა. ყველაფერი ისე მშვიდად და თვალის დახამხამებაში დასრულდა, რომ გამიკვირდა კიდეც. გელა მანქანაში ჩავსვით და პოლიციის სამმართველოში მივიყვანეთ. ის და ლაშა მანქანაში დავტოვე, მე კი შენობაში შევედი და უფროსის კაბინეტისკენ გავეშურე. ბედად, ადგილზე დამხვდა.

— ძებნილი დავაკავეთ და მოვიყვანეთ, რომ ჩაგაბაროთ, — ღიმილით ვუთხარი და ალბათ ამიტომაც არ დამიჯერა.

— კაააი, კაცო... — გაწელა პირველი სიტყვა.

— თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ, გარეთ გამობრძანდეთ და დარწმუნდეთ.

— კი, მაგრამ თქვენ ვინ ხართ?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! თქვენ ეძებდით კაცს, რომელსაც განზრახ მკვლელობაში ეღებოდა ბრალი და მის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელს ჯილდოდ, 40.000 ლარს ჰპირდებოდით. მე კი მოგიყვანეთ „გარდაცვლილი“, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, — განგებ ავურიე ყველაფერი, რომ მისი დაბნეული გამომეტყველების ყურებით დავმტკბარიყავი.

— მოიცა, მოიცა, ვერაფერი ვერ გავიგე...

— მოკლედ, მკვლელი, რომელსაც თქვენ ეძებდით, სინამდვილეში დაზარალებულია ანუ — მოკლული, ხოლო მოკლული — მკვლელია. ახლა გასაგებად ვთქვი?

— დაახლოებით მივხვდი, მაგრამ თქვენ, როგორც უბრალო მოქალაქეს, დამნაშავის დაკავების უფლება არ გქონდათ. პატივს ვცემ თქვენს თავდადებას და გმირობას, მაგრამ საკმარისი იქნებოდა, მისი ადგილსამყოფელი ჩვენთვის რომ გეცნობებინათ.

საფულედან საბუთი ამოვიღე და ვუჩვენე. გამიღიმა და აღარაფერი უთქვამს. გარეთ გამომყვა, 2 პოლიციელი იახლა და გიორგაძე ჩაიბარა.

ბატონი ვატო მეორე დღეს შემეხმიანა.

— აჩრდილთა დედოფალს ჩემი გულითადი სალამი! — გარდაცვლილად ცნობილი ადამიანი რომ დავაკავე, იმის გამო მიწოდა აჩრდილთა დედოფალი.

— გამარჯობა, ბატონო ვატო, — მასთან დისტანციის დაცვა ვამჯობინე და შეხუმრება „არ შევიმჩნიე“.

— გამოგვიარეთ, გვჭირდებით.

— კარგი, დღეს გესტუმრებით.

მკვლელი, რომელსაც თქვენ ეძებდით, სინამდვილეში დაზარალებულია ანუ – მოკლული, ხოლო მოკლული – მკვლელია

ვატოს ის ინფორმაცია აინტერესებდა, რაც საქმის შესახებ მქონდა. რაღა თქმა უნდა, ყველაფერს დაწვრილებით მოვუყევი, ბოლოს კი თანამშრომლობა შემომთავაზა, რაზეც თავაზიანი უარი ვუთხარი.

— როცა რთული საქმე გექნებათ ანუ ვინმე გეყოლებათ მოსაძებნი, შეგიძლიათ დამიკავშირდეთ. გარკვეული ანაზღაურების საფასურად დაგეხმარებით.

— ეგ რაღა დახმარებაა?! — გაეცინა ვატოს.

— ხელი ხელს ჰბანს და ორივე — პირსო, ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, ვითანამშრომლოთ. თქვენც მოგებული დარჩებით და მეც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ „გზა“ №19-25

რუსუდან ბერიძე

თავი VIII

ორდენიძის ნათქვამზე ირაკლის მწარედ გაეღიმა:

— მე?.. მე რა შემიძლია ან როგორ უნდა დაგეხმაროთ?

— კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე, ვის შეეძლო გუგა ლაზიშვილის მოკვლა?

— არ ვიცი, — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა სეხნიაშვილმა.

— ხომ გითხარი, კარგად დაფიქრდი-მეთქი. ამ პასუხზე მარტო შენი აქ დარჩენა-არდარჩენა კი არა, მომავალია დამოკიდებული.

სეხნიაშვილმა თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო, ოთახში კი მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ისევ ორდენიძემ დაარღვია:

— ვიცი, გიჭირს აზრის მოკრება, მაგრამ დიდხანს ვერ დაგელოდები.

— ერთ კაცზე კი მაქვს ეჭვი, მაგრამ ხელჩასაჭიდი — თითქმის არაფერი, — როგორც იქნა, ამოღერღა სეხნიაშვილმა.

— ვინ არის ის კაცი?

— თედო იარაჯული.

— იონას მარჯვენა ხელი?

— იარაჯული იონას მარჯვენა ხელი კი არა, მისი დაუძინებელი მტერი იყო.

ორდენიძეს მაძებრის ალღომ უკარნახა, რომ იმ ძაფის ბოლოს მიუახლოვდა, რომელიც შეიძლება, მთელი გორგლის გახსნაშიც კი დახმარებოდა, მაგრამ კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე ბადრაგი გამოჩნდა.

— რა ხდება? — დაინტერესდა გამომძიებელი.

— ეჭვმიტანილი სასწრაფოდ სხვაგან გადაგვყავს.

— მაგრამ ჯერ რომ მისი დაკითხვა არ დამიმთავრებია?

— მე ბრძანებას ვასრულებ, — სეხნიაშვილი ფეხზე წამოაგდო ბადრაგმა.

— ვის ბრძანებას?

— უფროსობის.

— უფრო კონკრეტულად?

— არ ვიცი.

— სად გადაგყავთ?

— არც ეგ ვიცი.

— საერთოდ თუ იცი რამე? — გაღიზიანება ვეღარ დამალა ორდენიძემ.

— ბრძანების შესრულება, — სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შერხევია, ისე უპასუხა ბადრაგმა...

სამსახურში დაბრუნებულ ორდენიძეს დანა კბილს არ უხსნიდა. ამიტომ კაბინეტში გამოჩენილ მოღიმარ ლეკიშვილსაც ისე შეუბღვირა, თითქოს ყველა მისი პრობლემის სათავე ის ყოფილიყო.

— რა მოხდა, შეფ? — ღიმილი პირზე შეაშრა ანდროს.

— კარგი არაფერი.

— ცუდი?

— სეხნიაშვილთან დალაპარაკება არ მაცალეს.

— საწყენია, — ორდენიძის სამუშაო მაგიდის გვერდით მდგარ სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა ლეკიშვილი და ხელში შერჩენილი საქაღალდე მუხლებზე დაიდო.

— შენკენ რა ხდება? — მცირეოდენი პაუზის შემდეგ დაინტერესდა ორდენიძე.

— კარგი ამბავი მაქვს.

— მერე რაღას უცდი? დაიწყე.

— ნინო საღირაშვილი დაბრუნდა.

— ნინო საღირაშვილი ვინღაა?

— იოსებიძის საყვარელი. შვილის სანახავად რომ იყო გერმანიაში წასული.

— ჰო, გამახსენდა. მერე? რამე საინტერესო გითხრა?

— ჯერ არ მინახავს. სეხნიაშვილის ბებიის პანაშვიდზე გამოჩნდა თუ არა, ერთ-ერთმა მეზობელმა მაშინვე დამირეკა, მაგრამ მაინც ვერ მივუსწარი.

— მერე, განყოფილებაში ვერ გამოიძახე?

— გამოვიძახე და ხვალ დილით აქ იქნება.

— ძალიან კარგი. ურთმელიძეს ხომ არ მოვუკითხივარ?

— ჯერ არა, მაგრამ ხომ იცი, რომ დიდხანს არ გაცდევინებს.

ამის თქმა და ორდენიძის მაგიდაზე მდგარი ტელეფონის აწკრიალება ერთი აღმოჩნდა.

— ა, ბატონო! — გამომძიებელს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა ლეკიშვილმა. — მომკალი, თუ ის არ იყოს.

მართლაც პოლკოვნიკი ურთმელიძე აღმოჩნდა.

— შემოდი ჩემთან! — მკაცრი ხმით უხმო მან თავისთან ორდენიძეს.

— ახლავე, ბატონო კახაბერ! — ყურმილი უხალისოდ დადო გამომძიებელმა და ფეხზე წამოდგა.

— გამოცანა მეკუთვნის, — ეშმაკურად გაეღიმა ანდროს, — ისე სწორედ ამაზეა ნათქვამი, ძაღლი ახსენეო და...

— რა ლაპარაკია ეს?!. — თვალები დაუბრიალა ორდენიძემ თანაშემწეს და კაბინეტიდან სწრაფად გავიდა. თუმცა გასული არ იყო, რომ უკან შემობრუნდა.

— რა მოხდა? — გაუკვირდა ლეკიშვილს. — ასე უცბად რატომ გამოგიშვა?

— აზრზე არ ვარ, რა მოხდა, — ხელები გაშალა გაკვირვებულმა ორდენიძემ, — კაბინეტამდე მისული არ ვიყავი, ურთმელიძე იქიდან ისე გამოვარდა, ბოლო წამს რომ არ მემარჯვა და განზე არ გავმხტარიყავი, ალბათ, გადამაყირავებდა. ახლა შენთვის არ მცალიაო, ერთი მომაძახა და სანამ რამის კითხვას მოვასწრებდი, უკვე დერეფნის ბოლოში იყო. ალბათ, „ზემოთ“ გამოიძახეს.

— თან, — ძალიან „ზემოთ“, თორემ ასე არ გადაირეოდა. ისე, ააშენებს ღმერთი, ვინც ეგ ასე „დაქოქა“, — ფეხი ფეხზე არხეინად გადაიდო ანდრომ, — ცოტა ხანს მაინც ვისუნთქებთ მშვიდად.

— არა მგონია, დამშვიდების მიზეზი გვქონდეს, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია გამომძიებელმა.

— მართლა, შეფ, სულ დამავიწყდა, — უცბად შუბლზე ხელი გამეტებით იტკიცა ანდრომ.

— რა იყო?

— მარიმ დარეკა. მობილური გამორთული აქვს და ვერ ვუკავშირდებიო.

— არ უთქვამს, რა უნდოდა?

— არა. მთხოვა, როგორც კი გამოჩნდება, შემეხმიანოსო.

ორდენიძემ მეუღლეს მაშინვე დაურეკა, მაგრამ მარიმ ყურმილი არ აიღო.

— ეს ქალი მაინც სად დაიკარგა? — ქალაქის ტელეფონის ყურმილი გამეტებით დაახეთქა ორდენიძემ და ახლა მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.

— ნუ ნერვიულობ, შეფ. ალბათ, ბავშვს აძინებს, — ანდრომ გამომძიებლის დამშვიდება სცადა.

ამასობაში ზარი გავიდა და მარიმაც, როგორც იქნა, მეუღლეს უპასუხა.

— რა მოხდა? — ჰკითხა მას ორდენიძემ და პასუხის მოსმენისთანავე სახე შეეცვალა. — ექიმს გამოუძახე?.. მერე?.. კარგი, ნუ ნერვიულობ... კი, ახლავე გამოვალ და ოც წუთში მანდ ვიქნები...

— რა მოხდა? — შეშფოთდა ლეკიშვილიც.

— ესღა მაკლდა, — ტელეფონი ხელის კანკალით გათიშა ორდენიძემ და ფეხზე წამოხტა.

— რა მოხდა? — კითხვა გაუმეორა მას ანდრომ.

— ბავშვი კრუნჩხვაში ჩავარდნილა.

— რას მეუბნები?.. მერე?.. ახლა როგორ არის?.. ექიმმა რა თქვა?.. — კითხვა კითხვაზე დააყარა გამომძიებელს ლეკიშვილმა.

— ახლა არა უშავს, მაგრამ თუ სიცხემ ისევ აუწია, შეიძლება, გაუმეოროსო. მოკლედ, გავიქეცი ახლა მე...

— გინდა, მეც წამოგყვები? — მაგიდაზე გაშლილი ფურცლები სწრაფად წამოკრიფა ლეკიშვილმა.

— არა, შენ აქ დარჩი, თორემ ურთმელიძე თუ მობრუნდა და არავინ დახვდა, ხომ იცი, რასაც იზამს?

— კარგი, შეფ, როგორც იტყვი, — მაშინვე დაეთანხმა გამომძიებელს ხელქვეითი...

მეორე დილით საკუთარ კაბინეტში შესულ ორდენიძეს ანდრო ფეხდაფეხ მიჰყვა:

— ხომ მშვიდობაა? რას შვრება ჩემი ნათლული?

— მგონი, გადავრჩით, — მაგიდას ხვნეშით მიუჯდა გამომძიებელი და ჩაწითლებულ თვალებში ხელისგულები ფრთხილად ამოისვა.

— დაღლილი ჩანხარ.

— აბა, რა იქნება? მთელი ღამე გაგვათენებინა იმ მამაძაღლმა.

— რას იზამ, ბავშვის გაზრდა იოლი არ არის.

— ნეტავ, შენ რაღა იცი? რამდენი გყავს გაზრდილი?

— ჯერ არც ერთი, მაგრამ ისე, სამის გაჩენა-გაზრდას მაინც ვაპირებ, — გაიჯგიმა ლეკიშვილი.

— ჯერ გადახტი და ჰოპლა მერე დაიძახე.

— გინდა, ახლავე გადავხტები?

— ნუ სულელობ! — ხელი აუქნია ორდენიძემ როლში შესულ თანაშემწეს.

— მიყურე, „უმფროსო“! — მაინც განაგრძობდა ანგლობას ლეკიშვილი.

— მორჩი მაიმუნობას! — მაგიდას მუშტი დაჰკრა გამომძიებელმა. — იოსებიძის საყვარელი სად არის?

— ახლავე გაახლებ, — ოთახიდან გასხლტა ლეკიშვილი და რამდენიმე წუთში საკმაოდ მიმზიდველ შუახნის ქალთან ერთად დაბრუნდა.

„ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იქნებოდა“, — ქალის დანახვისთანავე გაიფიქრა ორდენიძემ და ფეხზე წამოდგა.

— გაიცანით, ბატონო ოთარ, ეს იონა იოსებიძის მეგობარი, ქალბატონი ნინო საღირაშვილი გახლავთ, — ზრდილობის ყველა წესის ერთად დაცვა მოინდომა ქალის წარდგენისას ლეკიშვილმა.

— სასიამოვნოა, — ქალს თავი თავაზიანად დაუკრა ორდენიძემაც და დაჯდომა შესთავაზა.

— პირველად ვარ პოლიციაში, — სკამის კიდეზე უხერხულად ჩამოჯდომის შემდეგ მხრები დაბნეულად აიჩეჩა ნინომ.

— იმედი ვიქონიოთ, რომ — უკანასკნელადაც, — ორდენიძის მაგიდასთან მეორე სკამი მიაჩოჩა ლეკიშვილმა.

— ბატონო ანდრო, — მიუბრუნდა მას ქალი, — შეიძლება, ბატონ ოთარს მარტო დაველაპარაკო?

— მარტო? — გაუკვირდა ლეკიშვილს და ორდენიძეს ისე შეხედა, თითქოს შველას სთხოვსო, მაგრამ მას ხმა არ ამოუღია.

— დიახ, — განაგრძო ნინომ, — არ იფიქროთ, რომ თქვენი საწინააღმდეგო მქონდეს რამე. უბრალოდ, ბატონ ოთართან უფრო გამიადვილდება საუბარი.

— კარგი, როგორც ინებებთ, — შეფს კიდევ ერთხელ უიმედოდ შეხედა ანდრომ და ოთახიდან ზლაზვნით გავიდა.

ამის შემდეგ ოთახში მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც შემდეგ გამომძიებელმა დაარღვია:

— აი, ახლა კი ყურადღებით გისმენთ, ქალბატონო ნინო.

— არც კი ვიცი, საიდან დავიწყო, — ხელები ნერვიულად მოიფშვნიტა ქალმა, — იონას ამბავმა ისეთი თავზარი დამცა, რომ...

— კარგად მესმის თქვენი.

— იცით, რა ადამიანი იყო? — ცრემლი ვეღარ შეიკავა ნინომ.

— პირველი არ ხართ, ვინც ამას მეუბნება.

— მაგრამ ჩემსავით იონას მაინც არავინ იცნობდა და ალბათ, ჩემსავით არც გული მოუკვდებოდა...

— მაშინ იქნებ ის ადამიანიც აღმოჩნდეთ, ვინც მისი იდუმალებით მოცული მკვლელობის ამოხსნაში სხვებზე მეტად დაგვეხმარება.

— ყველანაირად ვეცდები.

— იონას დიდი ხანია იცნობდით?

— მთელი ცხოვრება. ერთ უბანში გავიზარდეთ. ბაღშიც ერთად დავდიოდით და სკოლაშიც მთელი 10 წელი ერთ მერხზე ვისხედით.

— მშობლები თქვენს მეგობრობას მიესალმებოდნენ?

— ალბათ, პირველ რიგში, ჩემს მშობლებს გულიხმობთ, არა?

— დიახ.

— ნაკლებად. თუმცა სანამ პატარები ვიყავით, წინააღმდეგობას არ მიწევდნენ. დედაჩემს იმედი ჰქონდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემი და იონას გზები მაინც გაიყრებოდა, რადგან სასწავლებლად მოსკოვში მიპირებდა გაგზავნას.

— მოსკოვში?

— დიახ. დედა რუსი, უფრო სწორად, მოსკოვში დაბადებულ-გაზრდილი უკრაინელი იყო. მამაჩემი კი — იქ ჯარში მსახურობდა და მაშინ შეუყვარდათ ერთმანეთი. დედაჩემი მამაჩემს საქართველოში კი წამოჰყვა, მაგრამ აქაურობას ვერ შეეგუა და თვალი სულ გაქცევაზე ეჭირა. რაკი ქმარი ვერაფრით აიყოლია, მთლიანად ჩემზე გადმოერთო.

— დედას სურვილი აუსრულეთ?

— ნაწილობრივ. სწავლა მოსკოვში განვაგრძე, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ისევ საქართველოში, იონასთან დავბრუნდი, რადგან მისი ცოლობა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი.

— თქვენი ქორწინება დედათქვენმა ჩაშალა?

— არა. დედა ვერ მომერეოდა, მაგრამ თავად იონა გადამიდგა.

— ეგ როგორ?

— ცოლად მოყვანაზე ცივი უარი მტკიცა: ჩემნაირი ხეიბრის ცოლობას შენ კი არა, მტერს არ ვუსურვებო. ამის გამო ვეჩხუბე და დიდი ხნით გავებუტე. მერე დედაჩემმაც დრო იხელთა, დატრიალდა და ისევ მოსკოვში, თავისი ძველი მეგობრის შვილს გამაყოლა ცოლად.

— მოკლედ, იონას საბოლოოდ დაგაცილათ?..

— მაშინ მეც ასე მეგონა. თან, შვილიც მალევე მეყოლა და, თითქოს, ბედს შევურიგდი. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ჰოდა, მეც ასე დამემართა. მალე ჩემი ქმარი ერთი ახალგამომცხვარი ოლიგარქის ქალიშვილს გადაეკიდა და ოჯახზე ნელ-ნელა აიყარა გული. ბოლოს კი მე და ჩემი გოგონა ბედის ანაბარად დაგვაგდო და ის ქალი შეირთო ცოლად. დედაჩემი ამ ამბავს გადაჰყვა. თბილისში მის გასვენებაში ჩამოვედი და მას შემდეგ მოსკოვისკენ აღარც გამიხედავს. მალე მამაც გარდამეცვალა და მარტო დავრჩი.

— და იონაც სწორედ ამ დროს გამოჩნდა, ხომ?

— დიახ. იონა რომ არა, არ ვიცი, შვილს როგორ გავზრდიდი. ბავშვმა სკოლა ისე დაამთავრა, მამამისს მისი შორიდან მოკითხვაც კი არ გახსენებია.

— ამ ყველაფრის შემდეგ მაინც რატომ არ იქორწინეთ თქვენ და იონამ?

— ეს მას უნდა ჰკითხოთ, — ცრემლი მოერია ქალს, — თუმცა რა სისულელეს ვამბობ? — თავი უკმაყოფილოდ გააქნია მან. — იონას მოსვლამდე ღმერთმა კარგად გამყოფოთ.

— ვეცდები, — გაეღიმა ორდენიძეს.

— რა არის იცით? — წამით ჩაფიქრდა ნინო. — ალბათ, თქვენამდეც მოაღწევდა ის ჭორები, ჩემზე და იონაზე რომ დადის...

— არაფერი მსმენია, — თავი შორს დაიჭირა გამომძიებელმა.

— თუ აქამდე არ გსმენიათ, მალე გაიგებთ, მაგრამ არ დაიჯეროთ, — ისევ ცრემლი მოერია ნინოს, — ამას ჩემთვის კი არა, იონასთვის გთხოვთ. პატიოსანი კაცი იყო და არ მინდა, მის ხსოვნას ჩრდილი მიადგეს.

— დამშვიდდით, ქალბატონო ნინო, ხომ იცით, ენას ძვალი არა აქვს.

— ვიცი... — თავი უმწეოდ ჩაქინდრა ქალმა.

შეფიქრიანებული ორდენიძე კი ფეხზე წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ისევ მაგიდასთან შედგა:

— ეს ყველაფერი კარგი, ქალბატონო ნინო, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მთავარს მაინც არ ამბობთ.

— მართალს ბრძანებთ, — თავი ნელ-ნელა ასწია ქალმა, — აქ ჩემი უნუგეშო სიყვარულის ამბის მოსაყოლად არ მოვსულვარ, მაგრამ მადლობელი ვარ, რომ მომისმინეთ და, რაც მთავარია, დამიჯერეთ კიდეც. თითქოს უზარმაზარი ლოდი მომეხსნა გულიდან. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

— სამადლობელი არაფერია, ქალბატონო ნინო, — ისევ მაგიდას მიუჯდა ორდენიძე, — ჩემი პროფესია ხომ, პირველ რიგში, სწორედ ადამიანების მოსმენასა და გაგებას გულისხმობს.

— რა ბედნიერება იქნებოდა, სხვა გამომძიებლებიც რომ ასე ფიქრობდნენ, — სევდიანად გაეღიმა ნინოს, — მაშინ ხომ ციხეში ამდენი უდანაშაულო ადამიანი აღარ იჯდებოდა.

— და მათ რიგებს კიდევ ერთი რომ არ შეემატოს, დროა, მთავარ სათქმელზე გადავიდეთ.

— დიახ, რა თქმა უნდა... — ხელჩანთა გახსნა ქალმა, უცხო ენაზე ნაბეჭდი რაღაც ფურცლები ამოიღო და ორდენიძეს წინ დაუწყო. — თქვენთან, პირველ რიგში, ამის გადმოსაცემად მოვედი.

— ეს რა არის? — დაინტერესდა გამომძიებელი.

— დნმ-ს პასუხი.

— რის პასუხი?

— ალბათ, იცით, რომ გერმანიიდან სულ ახლახან დავბრუნდი, — შორიდან მოუარა ქალმა.

— დიახ. და მგონი, ცოტა კიდეც შეგაგვიანდათ, არა?

— დიახ. ამ საბუთმა შემაყოვნა. სწორედ ამის გამო ვერ ჩამოვუსწარი იონას და ბოლო გზაზეც კი ვერ გავაცილე.

— მაშინ მნიშვნელოვანი დოკუმენტი უნდა იყოს.

— დიახ. იონასთვის მართლაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მის ნახვას მაინც ვერ მოესწრო. ამ რამდენიმე ფარატინა ფურცლით 3 ადამიანის უახლოესი ნათესაობა დასტურდება და მათგან ერთი თავად იონაა.

— რას მეუბნებით? — ფურცლებს დასწვდა ორდენიძე, მაგრამ მაშინვე უკან დადო. — სამწუხაროდ, გერმანულისა არაფერი გამეგება.

— არც — მე. მაგრამ დამერწმუნეთ, ასეა. დანარჩენში კი ალბათ, ჩემზე უფრო კომპეტენტური ადამიანები გაგარკვევენ.

— დიახ, რა თქმა უნდა... — ფურცლები სასწრაფოდ საქაღალდეში შეინახა ორდენიძემ. — ახლა მგონი, ვხვდები, სად წავიდა ის სერიოზული თანხა, რომელიც იონამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ბანკიდან გამოიტანა.

— სწორად ხვდებით. მე გამატანა, — ხელჩანთა კიდევ ერთხელ გახსნა ნინომ, მოგრძო კონვერტი ამოიღო და გამომძიებელს დაუდო წინ.

— ეს რაღაა? — კონვერტი ფრთხილად გახსნა ორდენიძემ და იქიდან რამდენიმე ას და ორმოცდაათევროიანი ბანკნოტი ამოიღო.

— ეს მორჩენილი თანხაა. იონამ იმაზე მეტი მომცა, ვიდრე ამ გამოკვლევის ჩატარებას დასჭირდა. ყოველთვის ასე იქცეოდა. ზედმიწევნით ზუსტადაც რომ სცოდნოდა, კონკრეტულ საქმეზე მიმავალს რა თანხა დასჭირდებოდა, მაინც ზედმეტი მიჰქონდა: რა იცი, რა ხდებაო... ჰოდა, მეც ზედმეტი გამატანა. ვფიქრობ, ახლა ეს ფულიც ნივთმტკიცებაა და თქვენთან უნდა იყოს.

— მეც ასე ვფიქრობ, — ფულიანი კონვერტიც საქაღალდეში შეინახა ორდენიძემ, — თანხა ჯერჯერობით ჩვენთან დარჩება, გამოძიების დასრულების შემდეგ კი ალბათ, იოსებიძის მემკვიდრეს თუ მემკვიდრეებს გადავცემთ.

— მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ეს ფული ბოლოს ისევ ჩემთან მოხვდეს, — სევდიანად გაეღიმა ნინოს.

— თქვენთან რატომ?

— იმიტომ, რომ ჯერჯერობით იონას ერთადერთი ოფიციალური მემკვიდრე მე ვარ.

— მართლა? — გაუკვირდა ორდენიძეს. — მაგრამ რატომ ჯერჯერობით?

— იმიტომ, რომ როგორც უკვე გითხარით, გერმანიაში ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ, მას კიდევ 2 უახლოესი ნათესავი აღმოაჩნდა და არავინ იცის, მის ქონებაზე რომელს რა პრეტენზია ექნება. ისე, პირადად მე ქონებას კი არა, რას არ დავთმობდი, თუნდაც ერთხელ, სულ ერთი წამით მაინც რომ შემეძლოს ცოცხალი იონასთვის თვალის შევლება... — აქვითინდა ნინო.

ორდენიძემ ქალს სულის მოთქმა აცალა და შემდეგ საქმეზე გადავიდა:

— გამოდის, რომ იონას ანდერძი ჰქონდა დაწერილი...

— დიახ, ჰქონდა, — სლუკუნს განაგრძობდა ქალი.

— თავად თუ გინახავთ ის ანდერძი?

— მინახავს. გერმანიაში წასვლამდე ცოტა ხნით ადრე დამირეკა და სასწრაფოდ მასთან მისვლა მთხოვა. იქ ვიღაც უცხო მამაკაცი დამხვდა, რომელიც თავის ადვოკატად გამაცნო და ანდერძიც მაშინ მაჩვენა. უკვე ყველაფერი გაფორმებულ-დამოწმებული ჰქონდა. რომ ვუთხარი, მე რატომ არაფერი მკითხე-მეთქი, გაეღიმა: ქალისთვის მისართმევი საჩუქრის თაობაზე თავად ქალთან შეთანხმება სად გაგონილაო. აი, ასეთი უცნაური ადამიანი იყო.

— დიდი ქონება დაგიტოვათ?

— ჯერ არ ვიცი და სიმართლე გითხრათ, დიდად არც მაინტერესებს.

— როგორ? — გაუკვირდა ორდენიძეს. — თუ სწორად გაგიგეთ, ერთხანს იონას დახმარებაზე იმდენად იყავით დამოკიდებული, რომ...

— სწორად გამიგეთ, — გააწყვეტინა ქალმა გამომძიებელს, — იყო დრო, როცა იონა რომ არა, მე და ჩემს შვილს შიმშილით სული ამოგვხდებოდა. მაგრამ მერე ერთი სრულიად მოულოდნელი ამბავი მოხდა და ჩემი შვილი უცბად დიდი ქონების პატრონი გახდა. ასე რომ, თუ ჭკუას იხმარს, მატერიალურად ალბათ, აღარასოდეს გაუჭირდება. ჩემი თავი — ჯანდაბას!

— ამ მოულოდნელ ამბავზე რატომ არაფერი მითხარით?

— იმიტომ, რომ მას იონას მკვლელობასთან არანაირი კავშირი არა აქვს და აღარ დაგღალეთ მისი მოსმენით.

— არადა, მართლა მაინტერესებს, ასეთი რა მოხდა?

— ნატას მამა გამოჩნდა.

— ვისი?

— ჩემი შვილის.

— როდის?

— 4 წლის წინ.

— თქვენმა გოგონამ როგორ მიიღო მამა?

— ისე, როგორც მილიონერი მამიკოს ერთადერთ მემკვიდრეს შეეფერებოდა.

— თქვენი ყოფილი ქმარი მილიონერი გახდა?

— დიახ. და რადგან მეორე ცოლთან შვილი არ გაუჩნდა, შემდეგ კი ცოლიც გარდაეცვალა, მთელი თავისი ქონება ნატას გადმოუფორმა.

— გაგმართლებიათ დედა-შვილს. აქამდე მეგონა, რომ ასეთი რამეები მხოლოდ ბრაზილიურ სერიალებში ხდებოდა.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ მართლა ასე მოხდა ყველაფერი. ისე, გამართლებისა რა გითხრათ. საყვარელი ადამიანი აღარ მყავს. ჩემი შვილი კი — მამამისის გამოჩენის შემდეგ, იმხელა ხიფათს გადაეყარა, რომ გაჭირვებით დაიძვრინა თავი. მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, ეს ამბავი უკვე სულ სხვა ოპერიდანაა.

— მესმის, მაგრამ იქნებ მაინც მიამბოთ.

— კი, ბატონო, დასამალი არაფერია. როგორც უკვე გითხარით, ჩემმა ყოფილმა ქმარმა ნატა თავის ერთადერთ მემკვიდრედ გამოაცხადა. ოღონდ, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მამაშვილს შორის გარკვეული შეთანხმება შედგა. კერძოდ, გადაწყვიტეს, რომ ნატა მასთან უნდა გადასულიყო საცხოვრებლად და სწავლაც

იქ განეგრძო. მე, რა თქმა უნდა, სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე და შვილის ნებას დავყევი. ოღონდ, ყოფილ ქმარს იმის მტკიცე პირობა ჩამოვართვი, რომ ბავშვს სამედიცინოზე მოაწყობდა და შემდეგ სწავლაშიც ყველანაირად შეუწყობდა ხელს. მართლაც ყველაფერი ასე მოხდა. ნატა სტუდენტი გახდა და თავიდან კარგადაც სწავლობდა, მაგრამ შემდეგ ჯერ ერთ სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა, შემდეგ — მეორეში და სწავლაზე ნელ-ნელა გული აიცრუა. ერთ დღეს კი დამირეკა და მითხრა, რომ ინსტიტუტს თავს ვანებებ, მამაჩემის ნაცნობ ბიზნესმენს მივყვები ცოლად და თაფლობის თვეს იტალიის მთებში გავატარებთო. თავზარი დამეცა, მაშინვე ბილეთი ავიღე და მოსკოვში ჩავფრინდი, მაგრამ მაინც დამაგვიანდა. ადგილზე ქმარყოფილი და მისი საყვარელი დამხვდნენ, ნატა კი თავის ახალგამომცხვარ ქმართან ერთად, უკვე იტალიის მთების სილამაზით ტკბებოდა.

— რას იზამთ? — გაეღიმა ორდენიძეს. — ასე იცის სიყვარულმა.

— სიყვარულმაო? — გაღიზიანდა ნინო. — რომელმა სიყვარულმა? კიდევ კარგი, რომ ის არამზადა იტალიიდან ცოცხალი აღარ დაბრუნდა, თორემ ჩემი ხელით გამოვჭრიდი ყელს.

— სიძეზე ამბობთ?

— ჰო.

— რა დაემართა?

— შემთხვევით კლდიდან გადაიჩეხა. მერე კი ჩემმა შვილმა ისიც გაიგო, რომ ბიზნესმენს კი არა, თურმე, სტუდენიორს გაჰყოლია ცოლად, რომელსაც მოსკოვიდან იტალიაში გოგონები მოტყუებით ჩაჰყავდა და სარფიანად ყიდდა.

— მდაა, — თავი გაკვირვებით გადააქნია ორდენიძემ, — ამაზეა ნათქვამი, მთავარი სიმდიდრე კი არა, იღბალიაო.

— სხვათა შორის, ამ ამბის შემდეგ, იონაც ამას უმეორებდა ჩემს შვილს.

— კარგი ურთიერთობა ჰქონდათ?

— ძალიან კარგი. თითქმის მამაშვილური. იღბალს რა ვუთხარი, თორემ იონასგან შესანიშნავი მამა დადგებოდა.

— იოსებიძე თქვენი ყოფილი ქმრის გამოჩენას როგორ შეხვდა?

— გარეგნულად — მშვიდად, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც განიცდიდა. ის კი არა და, მგონი, თავისი ქონების ჩემთვის დატოვებაც სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა. ერთხელ წამოსცდა, ყველაფერს გავაკეთებ, ჩემი სიკვდილის მერეც არავისზე რომ არ აღმოჩნდე დამოკიდებული და სიცოცხლის ბოლომდე ყველაფრით უზრუნველყოფილი იყოო, მაგრამ მაინც სხვებზე დამოკიდებული დამტოვა, — სევდიანად გაეღიმა ნინოს.

— ვის გულისხმობთ?

— იონას ახალგამომცხვარ ნათესავებს. მართლა, იცით, ერთ-ერთი მათგანი ვინ აღმოჩნდა?

— ვინ?

— იონას ყოფილი შეგირდი — თედო იარაჯული...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. გზა №23-25

— ვასიკო, ხომ არაფერი გეშლება? სწორად მოვედით? ეს სახლია? — გაოგნებული მივაჩერდი ბიჭუნას.

მან ჯიუტად დამიქნია თავი, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, თვალები შიშით ავსებოდა. ეზოში ისეთი ლამაზი ბაღი მოჩანდა, ნებისმიერ ქალს რომ შეშურდებოდა, საოცრად მოვლილი... ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. გეგონებოდათ, ამ საოცარ სილამაზეში სიცოცხლე ჩაკვდაო... მეც ამიტანა შიშმა, გამოუცნობმა, იდუმალმა... თავი ხელში ავიყვანე და ზარის ღილაკს თამამად მივაჭირე თითი. არავინ გამოგვხმაურებია, მაგრამ მოულოდნელად რაღაცამ გაიტკაცუნა და ჭიშკარი ავტომატურად გაიღო.

— როგორც ჩანს, უნდა შევიდეთ, — საკუთარი თავის გასამხნევებლად უფრო ვთქვი, ვიდრე ვასიკოს გასაგონად.

ეზოში შევედით და ფრთხილად ავიარეთ კიბის საფეხურები. ის იყო, მომუშტული ხელი შევმართე დასაკაკუნებლად, რომ უეცრად კარი გაიღო, ვიღაცამ ვასიკოს მკლავში წაავლო ხელი და შიგნით შეათრია. მოულოდნელობისგან მუხლები მომეკვეთა. ასეთ შეხვედრას არ ველოდი. როგორც ჩანს, მართალი იყო ეს ბავშვი, ბიძამისზე რომ მიყვებოდა!

ფეხები არ მემორჩილებოდა, მაგრამ როგორმე უნდა დამეძლია შიში. ორიოდე ნაბიჯი გადავდგი და ნათელ ჰოლში აღმოვჩნდი, ქერათმიანი მაღალი მამაკაცის პირდაპირ, რომელიც ვასიკოს ახლა ქეჩოში ჩაჰფრენოდა.

— ვინ ხართ? — გაისმა მისი მბრძანებლური ხმა.

— მე... ანა მქვია, — გაუბედავად წარმოვთქვი, — თქვენ ალბათ ლადო ბრძანდებით, არა?

აი, შარიიი! შეხვედრაც ამას ჰქვია! როგორი სპექტაკლი მოგვიწყო?!

მამაკაცმა ჩემი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა, მხოლოდ ხელის აქნევით მანიშნა, დაჯექიო და იქვე მდგარ მაღალზურგიან სკამზე მიმითითა. ისე სწრაფად დავემორჩილე მის მოთხოვნას, თითქოს იარაღი ჰქონოდა ჩემთვის შუბლზე მობჯენილი. კი არ დავჯექი, დავეხეთქე. სიმართლე გითხრათ, ნერვიულობისგან ცახცახმაც კი ამიტანა, ლამის კბილს კბილზე ვაცემინებდი. მეც თუ მომხვდა ვასიკოსთან ერთად, მერე უნდა ნახოთ კინო! ეს შეხვედრა შეიძლება ჟურნალი აღმოჩნდეს!

როგორც შემეძლო, მშვიდი სახე მივიღე და ბავშვს ნაძალადევად გავუღიმე. რაღაცნაირად, კიდევ ვიგრძენი ვიღაცის მზერა, თუმცა, როცა შევედი, ქერათმიანის გარდა ოთახში სხვა არავინ დამხვედრია. ჩემდა უნებურად, გვერდზე მივიხედე და სუნთქვა შემეკრა. აშკარად დემონის მსგავსი არსება მოიწევდა ჩემკენ მოღუშული სახით. კუნაპეტ ღამესავით შავი და უცნაურად ნაცრისფერი თვალები დაჟინებით მომშტერებოდა. ასეთი ფერის თვალები მხოლოდ ამერიკულ ფილმებში თუ მინახავს! ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! ნეტავ, ვინ არის და რა უნდა? ასე მოულოდნელად აქ საიდან გაჩნდა? გულმა ისეთი ბაგბუგი დაიწყო, თითქოს მიკროფონი ჰქონოდა ვიღაცას მიშვერილი. ასე მეგონა, ასი მეტრის რადიუსში ყველას ესმოდა მისი ძგერა.

„ნეტავ, რა უნდა?“ — კვლავ დავუსვი ჩემს თავს დაგვიანებული, მაგრამ ამწუთას ერთობ საჭირო შეკითხვა. ჩვენ შორის მანძილი მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო დაძაბულობამ მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია. სული იმ დონემდე შემეხუთა, რომ ვიგრძენი, გული როგორ მიმდიოდა. „ოღონდ არ გავითიშო, ღმერთო, მიშველე!“ — გავიფიქრე სასოწარკვეთილმა და გასაქცევად მოვემზადე.

— ლადო ბიძია! — დაიყვირა უცებ ვასიკომ და მივხვდი, რომ ქერათმიანი კი არა, ეს დემონი ყოფილა მისი ბიძა.

ახალმა აღმოჩენამ უარესად გამაოგნა. ახლა რაღა ვქნა? როგორ მოვიქცე? გავუღიმო? რომ არ მეღიმება? გავიქცე? რა წესია? მოკვლას ხომ არ მიპირებს... ბოლოს და ბოლოს, ისიც ადამიანია, მხეცი ხომ არა?!

— ეგ როზასთან გაიყვანე, სტუმარს მე მივხედავ, — იმავე ტონით ახლა ქერათმიანს მიუბრუნდა ლადო და თავი გადააქნია.

მისი ხმის გაგონებისთანავე თითქოს ჭიანჭველებმა დამირბინეს ტანში. გულში ჩამწვდომად სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

— კაბინეტში წამოდი! — მიბრძანა „დემონმა“, თან „შენობით“ მომმართა და პასუხისთვის არ დაუცდია, წინ გამიძღვა.

არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ადგომას შევძლებდი, ისე მომკვეთოდა მუხლები. რის ვაი-ვაგლახით ავითრიე წელი და უკან მივყევი ჩემს უცნობ „მბრძანებელს“, წინააღმდეგობის გაწევას როგორ გავბედავდი!

ოთახში რომ შევედით, ლადომ საკარძელი ჩემკენ შემოატრიალა და ამით მიმახვედრა, რომ უნდა დავმჯდარიყავი. უსიტყვოდ შევასრულე მისი თხოვნა თუ მოთხოვნა.

— შეშინებული ხართ? — კვლავ მკაცრად გაისმა მისი ხმა.

ამის შეკითხვა რაში სჭირდება, არ ჩანს, როო? ფერი არ მადევს სახეზე, ნუთუ ვერ ხედავს? ჰმ! ერთი შეხედვითაც ადვილად დაასკვნიდა კაცი, რომ შეშინებული კი არა, თავზარდაცემული ვიყავი. ეს რა საშინელ დღეში ჩავიგდე თავი! მიუხედავად ამისა, თავი მაინც დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

— ძალიანაც კარგი, თორემ ჩემს მოტყუებას შეეცდებოდი. თუმცა, ასეც რომ იყოს, მაინც არაფერი გამოგივიდოდა. ჩემთან ტყუილი არ გაგივა, მინდა, აქედანვე იცოდე, გასაგებია?

ისევ დავუქნიე თავი. რამდენიმე წამის განმავლობაში ისე მბურღავდა მზერით, განძრევის მეშინოდა.

— შენი სახელი? — მან უფრო დაუწია ხმას, რამაც უარესად იმოქმედა ჩემზე, უფრო და უფრო მაწყდებოდა ნერვები.

ვერაფერი ვუპასუხე, ფეხებთან ერთად, მგონი, ენაც დამება, ჩემი ორმეტრიანი ენა, სხვა დროს წამითაც რომ ვერ ვაჩერებ.

— ქართული გესმის?

თავი დავუქნიე.

— აბა, რატომ არ მპასუხობ? შემთხვევით, ენა ხომ არ გადაყლაპე?

მივხვდი, რომ მოთმინება არ შედიოდა იმ ღირსებების ჩამონათვალში, რომლითაც „დემონი“ იყო დაჯილდოებული და მთელი ჩემი სადღაც გამქრალი ძალების ძლივძლივობით მოკრებით ამოვღერღე.

— მე ანა მქვია.

— ძალიანაც კარგი, — კბილებშუა გამოცრა ლადომ, — აბა, მითხარი, ანა, საიდან გაჩნდა შენთან ჩემი ძმისშვილი?

— ჩვენ... ჩვენ პარკში შევხვდით ერთმანეთს... მომიყვა, ბავშვთა სახლიდან გამოვიქეცი და... ბიძაჩემთან მივდივარო სტუმრად. მთხოვა, დავხმარებოდი. მეც მოვიყვანე... თქვენთან, — ერთი ამოსუნთქვით ამოვთქვი გრძელი წინადადება და კვლავ დავმუნჯდი, კრიჭა შემეკრა.

— აჰა... ეს მოვისმინეთ... ახლა კი სიმართლე მითხარი ანუ სინამდვილეში როგორც იყო. ზღაპრები არ მიყვარს.

— სიმართლე?

— თქვენ მოიტაცეთ ბავშვი იქიდან. რატომ? რა მიზნით? ფაქტია, გამოსასყიდს არ ითხოვ, რადგან შენი ფეხით მოხვედი აქამდე. მაშ, რა შედიოდა თქვენს გეგმებში?

— რა-ა? — მე თვითონ არ ვიცი, საიდან მომეცა ძალა, გამეპროტესტებინა მისი ნაბოდვარი და ხელებით სავარძლის სახელურებს სიმწრით ჩავაფრინდი, თითქოს საომრად ვემზადებოდი. — ვინ ჩვენ? რას გულისხმობთ?

— შენ და შენმა თანამზრახველებმა. მშვიდად, წყნარად მომიყევი, ვინ არიან ისინი, რას ითხოვთ ჩემგან და, რატომ გადადგით ეს სულელური ნაბიჯი!

— რას ამბობთ! თქვენ, მგონი, არ გესმით, რას ამბობთ! რაში მჭირდებოდა მისი მოტაცება ან მე, ან ჩემს არარსებულ თანამზრახველებს? თქვენი აზრით, რისთვის უნდა მიმეღწია ამით?

— აი, მეც მანდ ვარ! სწორედ ეგ მაინტერესებს. და მანამდე ვერ გახვალ აქედან, სანამ სიმართლეს არ მეტყვი შენი ლამაზი ბაგეებით. ძალიან ჯიუტი ვარ!

— რაც გითხარით, ის არის ერთადერთი სიმართლე. სხვა სიმართლე არ მაქვს, როგორი ჯიუტიც უნდა იყოთ!

უეცრად მომეჩვენა, რომ მის თვალებში გაოცების ნაპერწკალი გაკრთა, თუმცა მხოლოდ წამით, რომელიც მალევე რისხვით სავსე მზერამ შეცვალა. გული სადღაც გამეპარა... სანამ ლადო რამეს მოიმოქმედებდა, თუმცა არ ვიცი, რას, კარი გაიღო და ზღურბლზე ვასიკო გამოჩნდა... მიტკალივით გაფითრებული, ნიკაპჩამოგრძელებული, სატირლად გამზადებული.

— ანა, — დაიჩურჩულა.

— აქ რა გინდა?! — დაიგრგვინა უეცრად ბიძამისმა. — ხომ ვთქვი, როზასთან დარჩი-მეთქი! გადი ახლავე!

— ყველაფერი კარგად იქნება, — მოვასწარი, ბიჭუნასთვის მეთქვა, თუმცა ბოლომდე არ ვიყავი ჩემს ნათქვამში დარწმუნებული, — ჩვენ, უბრალოდ, ვსაუბრობთ. გააკეთე, რასაც გეუბნებიან. ეს უფროსების საქმეა, შენი აქ ყოფნა და მოსმენა არ არის მიზანშეწონილი.

ამ დროს ქერათმიანი გამოჩნდა ვასიკოს ზურგს უკან.

— მაპატიეთ, ბატონო ლადო, ვერც კი შევნიშნე, როდის გამომეპარა, — მოუბოდიშა მან „დემონს“.

— ლევან! რამდენჯერ გითხარი, ყურადღება არასდროს მოადუნო-მეთქი! — ისევ დაიგრგვინა საშიშმა ბიძიამ და წარბები ავის მომასწავებლად შეყარა.

ლევანმა ბავშვს ხელი ჩაავლო და იქაურობას გაარიდა.

— შენ კი აქედან ფეხს მანამ ვერ გაადგამ, სანამ სიმართლეს არ მეტყვი! — მრისხანედ შემომიტია ლადომ.

ვგრძნობდი, როგორ მიბნელდებოდა თვალთ... ეს იმას ნიშნავდა, რომ გული უნდა წამსვლოდა... ცივმა ოფლმა დამასხა, ხელები დამიბუჟდა, თითებს ველარ ვამოძრავებდი... მერე... მერე აღარაფერი მახსოვს....

სანამ თვალს გავახელდი, რაღაც უცნაური ხმები ჩამესმოდა.

— მოწამლული ხომ არ არის ვითომ? — ამბობდა ერთი.

— არა მგონია... ასე რომ ყოფილიყო, აქამდე როგორ მოაღწევდა? რაღა ჩვენთან წაუვიდა გული?

ისე შემეშინდა, მსწრაფლ გავახილე თვალები და მიმოვიხედე... თავიდან ვერ მივხვდი, სად ვიმყოფებოდი და დავიძაბე. შევეცადე, გონებაში აღმედგინა, რა მოხდა, რა გადამხდა თავს... მახსოვს, რომ ვასიკო ბიძამისთან მივიყვანე. ის კაცი უჟმური ვინმე აღმოჩნდა, კინაღამ მცემა... არა, არ ვუცემივარ, ეს უკვე ცილისწამება იყო, თუმცა რაღა უკლდა? ცოტაც და... აბა, რატომ დავკარგე გონება? რა დამემართა? დავიჯერო, ასე შემეშინდა? ხომ არ ვუთხრა ამათ, კერძო დეტექტიურ სააგენტოში რომ ვმუშაობ? იქნებ იქით შევაშინო? შეეშინდებათ კი?

— აჰა, მგონი, მოვიდა გონს. მიდი, დაალევინე! — კვლავ მომესმა ხმა და ახლა შევამჩნიე ჩემკენ გადმოხრილი 2 მამაკაცი — ქერათმიანი და „დემონი“.

ლევანმა თავი ამიწია და ჭიქა ტუჩებთან მომიტანა. რაღაც სითხე მოვსვი და ისე დავიჯღანე, თითქოს საწამლავი შემესვას. რა მწარე რამე იყო! საინტერესოა, რა ჯანდაბა ასხია შიგ? არც ვალერიანის წვეთებს ჰგავს და არც — ვოლოკორდინს! რას მასმევენ? სამსალას? იქნებ ჩემი აღსასრულის დრო დადგა?

უცნაური აზრები ერთმანეთს ცვლიდა გონებაში. ხველა ამიტყდა, რადგან მწარე სითხე სასულეში გადამცდა.

ღმერთო ჩემო! მე ხომ სავარძელში ვიჯექი, საწოლზე საიდან მოვხვდი? ვინ დამაწვინა? ხომ არ გამხადეს? შიშველი ხომ არ ვარ? დამდუღრულივით წამოვხტი და ტანზე დავიხედე. მადლობა ღმერთს, არავის გავუშიშვლებივარ!

გავრისკე და წამოდგომა დავაპირე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერ შევძელი. თავი საშინლად მტკიოდა. გულის რევის შეგრძნებაც დამეუფლა რატომღაც. რა მიქნეს? ვინ არიან ესენი? რა ჯურის ხალხია? უფრო და უფრო მემატებოდა შიში. შეძრწუნებულმა ავხედე მამაკაცებს. მათ სახეზე ბოროტება ვერ ამოვიკითხე. ამან ცოტათი დამაშოშმინა. ამჯერად არც ისე საშინელ „დემონად“ მომეჩვენა ჩემი მასპინძელი — ენ-

ერგეტიკული ვამპირი. პირიქით, ცოტათი შეშფოთებული სახეც კი ჰქონდა.

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში დაბალი, გალეული ქალი გამოჩნდა — არცთუ ახალგაზრდა და არც მთლად ბებერი... არა, შევცდი, ხანდაზმული უფრო ეთქმოდა. ნახევარი საუკუნის მაინც იქნებოდა ანუ 50 წლის. შემოვიდა თუ არა, ლადო და ლევანი მაშინვე გავიდნენ. უცნაურად მეჩვენა მათი საქციელი. სად გარბიან?

— გამარჯობა, გენაცვალე! — ღიმილით მომესალმა ქალი. — როზა მქვია, ბატონ ლადოსთან ვმუშაობ. ხომ კარგად ხართ? არ შეგეშინდეთ, ახლა უკეთ გამოიყურებით. ფერიც დაგიბრუნდათ. წეღან გული წაგივიდათ და ძლივს მოგაბრუნეთ. გინდათ, სადილი მოგიტანოთ? ალბათ უჭმელი იყავით და იმიტომაც...

— არ მინდა! დიდი მადლობა! — ლამის ვიყვირე. — წავალ, თუ... თუ შეიძლება...

— რა თქმა უნდა, გენაცვალე, წახვალთ, აბა, აქ ხომ არ დარჩებით, მაგრამ ჯერ ბატონი ლადო უნდა ნახოთ. გაბრაზდება, მის უნახავად რომ წახვიდეთ.

— სად შეიძლება, ვნახო? — ოღონდ აქედან დამეღწია თავი და მზად ვიყავი, კიდევ ერთხელ შეეხვედროდი „დემონს“.

— თავის კაბინეტში იქნება... გაგაცილებთ.

რის ვაი-ვაგლახით წამოვდექი და იქვე მდგარი ჩუქურთმებიანი „ტრილიაჟის“ სარკეში ჩავიხედე. პირკატა მეცა — ფერმიხდილი სახე, გაწეწილი თმა, ჩაშავებული თვალები... საგიჟეთიდან გამოპარულს ვგავდი. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მე ვარ? არ არსებობს! გაოცებულმა ინსტინქტურად პირზე მივიფარე ხელი.

გარკვეული ხნის შემდეგ, ცოტა აზრზე რომ მოვედი და ასე თუ ისე, თავბრუსხვევამაც გამიარა, როზა წინ გამიძღვა და ლადოს კაბინეტამდე მიმაცილა. ქალმა ფრთხილად დააკაკუნა კარზე და კიდევ უფრო ფრთხილად შეაღო იგი. მერე საჩვენებელი თითით მანიშნა, შედიო.

კი არ შევედი, შევლასლასდი. გავიგონე, როგორ მიიხურა ჩემ უკან მძიმე კარი და ადგილს მიველურსმე. კვლავ მომეკვეთა მუხლები. კიდევ ერთხელ მიწევდა ამ ენერგეტიკული ვამპირის ხილვა, რაც საშინელ დისკომფორტს მიქმნიდა.

ლადო ფანჯარასთან ზურგშექცევით იდგა და ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელები უკან შემოეწყო. ახლა კიდევ უფრო უზარმაზარი მომეჩვენა, ვეება მხრები ჰქონდა.

მამაკაცი მომიახლოვდა, უთქმელად ჩამავლო ძლიერი ხელები მხრებში და იქვე მდგარ სავარძელში ჩამსვა, თვითონ კი წინ დამიჯდა ზუსტად იმავენაირ მეორე სავარძელში.

საზარელმა სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ. პაუზა კარგა ხანს გაიწელა.

— კარგად ხარ? — მომეჩვენა, რომ რბილად მკითხა.

— დ... დიახ.

— ცოტა არ იყოს, შემაშინე.

— არ ვიცი, რა დამემართა.

— სამაგიეროდ, მე ვიცი.... შეგეშინდა... და ეს კარგია, ძალიან კარგი.

— რითია კარგი? — თვალები გამიფართოვდა.

— იმით, რომ შენი სიმართლე დაამტკიცე. ამასთან, სანამ გულწასული იყავი, მე ყველაფერი გავარკვიე.

— რა გაარკვიეთ?

— ის, რომ მართალი ხარ. ის, რომ არაფერ შუაში ხარ, რომ საერთო არაფერი გაქვს ვასიკოს გაქცევასთან.

— და?

— და თავისუფლად შეგიძლია, საკუთარ საქმეებს დაუბრუნდე. მაპატიე ჩემი უხეშობა.

— ღმერთო... — აღმომხდა.

— ნამდვილად კარგად ხართ? — რატომღაც მიმართვის ფორმა შეცვალა ლადომ და „თქვენობითზე“ გადავიდა.

ამან გამათამამა.

— არა, არ ვარ კარგად! — ავიმაღლე ხმა. — წასვლა მინდა აქედან! თანაც რაც შეიძლება, სწრაფად! ახლავე!

— რა თქმა უნდა, ასეც იქნება. თავს ალბათ შეურაცხყოფილად გრძნობთ, არა? რით შემიძლია, გამოვისყიდო ჩემი დანაშაული? უნდა გამიგოთ, სხვა გამოსავალი არ მქონდა...

— არ გქონდათ?! — მისმა მობოდიშებამ დიდ გულზე დამაყენა. — თქვენი აზრით, რადგან მდიდარი ხართ, გგონიათ, ყველაფრის უფლება გაქვთ? შეგიძლიათ, ნებისმიერს ისე მოექცეთ, თითქოს თქვენი მონა იყოს?

— ეგ რა შუაშ...

— შუაში კი არა, თავშია! — ლამის ვიყვირე.

მამაკაცმა ორივე ხელი ასწია და მანიშნა, გავჩუმებულიყავი.

— ნუ ცხარობთ, ანა! გთხოვთ, მომისმინოთ. აბა, როგორ მოვქცეულიყავი? ბიჭი 2 კვირაა, ბავშვთა სახლიდან გაქრა. მასზე ძებნა გვქონდა გამოცხადებული. ამ დროს მოდიხართ, სრულიად მშვიდი სახით და მოგყავთ იგი ჩემთან. უკვე ყველანაირი იმედი გადავიწურე, არ მეგონა, ცოცხალს თუ ვნახავდი. თქვენ რომ ყოფილიყავით ჩემს ადგილას, რას იფიქრებდით?

დავდუმდი... კი არ დავდუმდი, ენა მუცელში ჩამივარდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა. ახლა ვიგრძენი, რომ ძალა სრულიად გამომცლოდა.

— არ ვიცი, რას ვიზამდი, მაგრამ თქვენ მაინც არ გქონდათ უფლება, ასე მომქცეოდით. მეგონა, კარგი გავაკეთე, ბავშვი სახლამდე მოვაცილე, თქვენ კი... მტერს არ შეხვდებიან ისე, მე რომ შემხვდით. რა საჭირო იყო ასეთი მუქარა? ადამიანებს ადამიანურად უნდა ელაპარაკოთ. თუ გეგონათ, რომ ბოროტმოქმედი ვიყავი, რატომ მაშინვე პოლიციას არ გამოუძახეთ და არ დააპატიმრებინეთ ჩემი თავი? როგორი წნეხის ქვეშ გამატარეთ! ეს არის სიმართლის გარკვევის თქვენეული მეთოდი? თუ ასეა, უნდა გითხრათ, რომ საშინელი მეთოდია. ასე შეიძლება, სიკვდილის პირას მიიყვანოთ ადამიანი!

— რას ამბობთ! თქვენ სრულიად უსაფრთხოდ იყავით ჩემთან! — შორს დაიჭირა ყოფილმა „დემონმა“.

— მაგრამ საიდან ვიცოდი ეს? თუ დაგავიწყდათ, როგორ შემხვდით? — ნიშნის მოგებით შევლიმე.

კი არის ღირსი, მე თვითონ ვუჩივლო და ვაწკმუტუნო, მაგრამ ღირს კი? რას მივაღწევ ამით? არ არის საჭირო. ისედაც ბევრი გადავიტანე ჩემი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში და კიდევ ბევრის გადატანა მომიწევს. ამ პირქუში ბიძიას დაპატიმრება არაფერში მაძლევს ხელს, თან არც ისეთი საშინელი ყოფილა, პირველ წუთებში რომ მომეჩვენა. უფრო მეტიც, ერთობ სიმპათიური ვინმეა! აი, უკვე რაებზე ვფიქრობ! ბედის ირონია ამას ჰქვია სწორედაც!

— წასვლა მინდა! — მტკიცედ წარმოვთქვი.

— შემიძლია, ფული გადაგიხადოთ მორალური ზიანისთვის.

— თქვენი ფული არაფერში მჭირდება! უბრალოდ, აქაურობის დატოვება მინდა, სხვა არაფერი. ნუთუ ასე ძნელია ამის გაგება?

— საქმიანი წინადადება მაქვს თქვენთან.

— ძალიან ცუდი დრო შეარჩიეთ თქვენი საქმიანი წინადადებისთვის! — უფრო და უფრო ვთავხედდებოდი, — ამასთან, არ მაინტერესებს თქვენი წინადადება!

— მაგრამ შენ არც კი მოგისმენია იგი, — კვლავ „შენობით“ მომმართა.

— დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი თქვენი საქმიანი წინადადება ვერ მომხიბლავს. ამიტომ ტყუილად ნუ გაირჯებით! არც ეცადოთ! კარგად ბრძანდებოდეთ! — ამყად წამოვდექი და დემონსტრაციულად გავემართე კარისკენ.

ზურგს უკან მესმოდა, როგორ გაიხრიგინა სკამმა და როგორ შეიგინა ლადომ. წამიც და ვიგრძენი, ძლიერად რომ მწვდა უკნიდან მაჯაში. მსუბუქად შევკივლე, რადგან არ მოველოდი.

— მომისმინე და მერე წადი! — სისინივით გაისმა მისი ხმა.

— ხელი გამიშვით, მეტკინა, — ამის თქმა მოვახერხე შიშისგან თავზარდაცემულმა.

მისი არაადეკვატური საქციელი საგონებელში მაგდებდა.

— მომისმინე-მეთქი! — აგდებით თუ ზიზღით გაიმეორა.

— ვიყვირებ, იცოდეთ! — დავემუქრე.

— იყვირე, რამდენიც გაგიხარდება!

— სასამართლოში გიჩივლებთ! — „უმაღლეს“ ზომებს მივმართე.

არც ამან გაჭრა. ის უფრო და უფრო მიჭერდა თითებს. მაჯა ამეწვა.

— რას აკეთებთ! — ჩავიჩურჩულე გაფითრებულმა.

მამაკაცი უეცრად მოეშვა, ხელებიც შემიშვა და დაბნეულობა აღებეჭდა სახეზე.

— ლევანი წაგიყვანთ მანქანით, — თითქოს მომიბოდიშასავით.

ოთახიდან გამოვედი თუ არა, ლევანი დაბარებულივით წინ ამესვეტა, მერე გამატარა, უკან გამომყვა და ქუჩაში გავედით თუ არა, იქვე მდგარი ჯიპის კარი გააღო და დამელოდა, სანამ ჩავჯდებოდი. იმდენად ცუდად ვიყავი, თავპატიჟი არ გამომიდვია. ერთიანად ვკანკალებდი. არ ვიცი, რა იყო ეს — შიში თუ გაბრაზება, სამაგიეროდ, ერთი რამ ვიცოდი ზუსტად — კარგად არ ვიყავი...

ლევანმა სახლამდე მიმიყვანა. დავემშვიდობე და არეული ნაბიჯებით გავიარე მანძილი ჩემს ბინამდე. როგორც კი შინ შევედი, საწოლზე მივეგდე და მაშინ ამოვისუნთქე შვებით. ეს რა კოშმარი გამოვიარე! რა მრჯიდა? რა მზრუნველობა ამიტყდა? ახლა ხომ დარწმუნდით, ქალბატონო ანა, რომ საშკა მართალი ყოფილა? ნუთუ გული უგრძნობდა, რომ უსიამოვნებას გადავეყრებოდი?

სამსახური! ახლა გამახსენდა, რომ ვმუშაობ, სამსახური მაქვს და რომ დავაგვიანე. დავაგვიანე კი არა, გადავიწყე! შინ რა მომარბენინებდა? რატომ პირდაპირ სააგენტოში არ წავაყვანინე ლადოს „თანაშემწეს“ თავი? არა, არა, ახლა სამსახური კი არა, თავი აღარ მახსოვს. კიდევ ცოტა ხანს რომ გაგრძელებულიყო ეს უსიამოვნო ვიზიტი, მეორედ გავიშხლართებოდი ალბათ ლადოს ფეხებთან! კიდევ კარგი, ასე თუ ისე, უვნებლად მოვაღწიე სახლამდე!

კარგა ხანს ვიწექი. მერე ავდექი, ტელეფონთან მივედი და ავტომოპასუხე ჩავრთე. როგორც მოველოდი, საშკას შეტყობინება დამხვდა.

— ხომ კარგად ხარ? სად დაიკარგე? იმ ბავშვმა შარში ხომ არ გაგხვია? დამირეკე, როგორც კი დაბრუნდები! და იქნებ გაგახსენდეს, რომ ჩემი თანამშრომელი ხარ და დროზე უნდა გამოცხადდე სამსახურში? დაისჯები ამისთვის! და თუ ასე არ მოვიქცევი, იძულებული გავხდები, სხვებიც დავინდო სხვა დროს! ასე რომ, დასკვნები შენ თვითონ გამოიტანე!

გამაღიზიანა საშკას ხმამ. რას მსაყვედურობს, რომ მსაყვედურობს? როდის იყო, სამსახურს ვაცდენდი? ცრემლი მომერია. როგორი პრეტენზიული გახდა უცებ! მბრძანებლობა დამიწყო! რადგან ერთად ვართ, ჰგონია, ამის უფლება აქვს? იქნებ მოვკვდი? იქნება და, რა მჭირს? იმის მაგივრად, გაიგოს, რა გადამხდა თავს, საყვედურებით მავსებს? უსინდისო!

ტელეფონი გამოვრთე და კვლავ საწოლზე დავემხე. ვცდილობდი, ცრემლებს არ დავეჯაბნე და ჯიუტად ვიკავებდი თავს, არ ავტირებულიყავი.

აწეწილი ნერვები თანდათან დამიწყნარდა და მალევე ჩამეძინა...

ძლიერმა ბრახუნმა გამომაღვიძა. ვიღაცამ ლამის ჩამოიღო კარი. სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა საშკა? ბუზღუნ-ბუზღუნით გავედი ჰოლში.

— რა იყო, ამტვრევ? — სანამ აქეთ შემომიტევდა, იქით გადავედი იერიშზე. — ყრუ კი არ ვარ, რამდენს ხმაურობ!

— ცოცხალი ხარ? სად იყავი? რატომ არ დამირეკე? — მომაყარა და მომაყარა აქოშინებულმა.

რა, მორბოდა, თუ? ყურადღებით შევათვალიერე. არა, „ნარბენის“ არაფერი ეტყობოდა. ეს ქშინვა უფრო სიბრაზისას ჰგავდა.

— მეძინა, — მშვიდად წავიდუდღუნე და ისევ საწოლს მივაშურე. გარდიგარდმო გავწექი ლოგინზე და თვალები დავხუჭე.

— რა გჭირს? ავად ხარ? — მოვიდა და ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

— არ ვიცი, შეიძლება ვარ კიდეც.

— რა დაგემართა? მართლა ცუდად გამოიყურები.

ერთი ღრმად ამოვიოხრე, ხელისგული შუბლზე დავიდე და მოვუყევი, რაც გადამხდა.

— ვინ იყო ამისთანა? მაგას დედას ვუტირებ, მიმიყვანე და მე ვიცი, რასაც ვიზამ. ვაჩვენებ, როგორ უნდა ქალის შეშინება!

— შენი ჭირიმე, ზედმეტი პრობლემები არ მჭირდება, საშ! მე თვითონ, კარგი? უკვე ყველაფერი დამთავრდა. ჩათვალე, რომ ცუდი სიზმარი ვნახე, მორჩა და გათავდა!

— ანა, არ მომწონს ეს ყველაფერი. ბოლო დროს არეული ხარ. სამსახურსაც ველარ უდებ გულს. გამიჭირდება თანამშრომლებისთვის იმის ახსნა, რატომ იგვიანებ ან რატომ აცდენ სამუშაო დღეებს. არ მინდა იფიქრონ, რომ რაღაცის გამო განებივრებ. ასე თუ გააგრძელებ, ყველა მიხვდება, რომ ჩვენ შორის...

— მიხვდნენ მერე, რა მოხდა? შენ რა, შემთხვევით, ხომ არ გიტყდება, ჩემთან რომ ხარ? იქნებ გრცხვენია, რომ ერთად ვართ? იქნებ არ მიგაჩნივარ შესაფერის პარტნიორად? მითხარი, მითხარი! არ მეწყინება! მწარე სიმართლე მირჩევნია ტკბილ ტყუილს! — ისტერიკა დამემართა.

— ვერ ხვდები, რომ ჭედავ? — გაოგნებულს ყბა ჩამოუვარდა, — მორჩი ჭიჭყინს და მომისმინე, თუ შეგიძლია.

— არ შემიძლია, არა! მე ნერვები მაწყდება ბოლო დღეებში, ამხელა პრობლემები მაქვს, დღეს კიდევ უარესი დამემართა, შენ კი ისე მექცევი, თითქოს... — წინადადება ველარ გავაგრძელე, გული ამიჩუყდა და ნიკაპი ამიკანკალდა. — რა სულელი ვარ...

— სამაგიეროდ, საყვარელი სულელი ხარ, — გაიღიმა საშკამ, ჩემ გვერდით გადაწვა ლოგინზე და მკლავი მომხვია...

მისმა ერთმა კოცნამ ყველაფერი დამავიწყა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საზაფხულო რომანი

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. როგორც ჩანს, ზაფხული და წელიწადის ამ დროს დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობები მნიშვნელოვანი თემაა, ვინაიდან თქვენ მიერ გამოგზავნილმა მესიჯებმა „წამლეკა“. ზაფხული დასვენებასთან ასოცირდება და ალბათ ამიტომ უყვარს ადამიანთა უმეტესობას. რამდენიმე კარგი ამბავი ვერ დავტიე დღევანდელ „გზავნილებში“ და მომდევნოში შემოგთავაზებთ. ახლა კი პირველ მესიჯს გაეცანით, რომელიც, როგორც მივხვდი, „მობილი-ზაციაში“ გამოქვეყნებული, მუქარის მესიჯის პასუხია და ავტორი საკუთარ თავგადასავალს გვიყვება.

მულატი ბავშვის ქერა „მამა“

„უამრავი ტყუილით სცადა ქეთიმ, გიოსთვის თავბრუ დაეხვია. ხან მსოფლიოში ყველაზე ამაყი გოგოს ნიღაბი მოირგო, ხან — ყველაზე გაჭირვებულის, მდიდრის, მაწანწალის... დედოფლის იმიჯს — დამლაგებლის იერი, ხარივით ჯანმრთელისას განუკურნებელი სენით დაავადებული ადამიანის სახე ცვლიდა და ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ბიჭი თავის კლანჭებში არ მოაქცია. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ გიოც არ იყო გულგრილი მანდილოსნის მიმართ. მის მეტ-ნაკლებად მიმზიდველ სხეულსა და ზედმეტად სექსუალურ-გამომწვევ ჩაცმულობას ჭკუიდან გადაჰყავდა 17 წლის, გამოუცდელი, ახალგამოჩეკილი, ყმაწვილი კაცი. თითქოს ერთმანეთს გაუგეს კიდეც, შესაშური ურთიერთობაც კი ჩამოუყალიბდათ... ბიჭს ეგონა, გავერთობი, გამოვიყენებ, დავტკბები, „ვიგულავებ“ და რომ მომბეზრდება, მივატოვებო. გოგო კი... გოგოს სერიოზულზე სერიოზული გეგმები ჰქონდა. როდესაც ურთიერთობამ უფრო ღრმა ფაზაში გადასვლა დაიწყო, გიომ წასვლის, ასე ვთქვათ, გაქცევის გადაწყვეტილება მიიღო და ნამუსს ერთი წამითაც არ შეუწუხებია, ამ ერთი შეხედვით არაკაცური საქციელის გამო. მან კარგად იცოდა, რომ ქეთის არ გაუჭირდებოდა უმისობა და აღელვებულს, ხან დათო დაამშვიდებდა, ხან კობა, ლევანი, კახა და ასე, უსასრულოდ თუ არა, ძალიან დიდხანს გაგრძელდებოდა... მორიგი პაემნის დანიშვნისას, ბიჭს გადაწყვეტილი ჰქონდა, სამუდამოდ დაემახსოვრებინა ეს დღე მის ცხოვრებაში გაჩენილი პირველი ქალისთვის და გაემართა დანიშნულების ადგილისაკენ. როცა ქეთიმ 1 საათით გადააცილა დათქმულ დროს, არ უნერვიულია: გოგოა, ცოტას მანერვიულებს და მოვაო, ფიქრობდა (სხვა დროსაც უამრავჯერ დაუგვიანია პაემანზე). ლოდინმა დიდხანს გასტანა. ქეთის ტელეფონი გამორთული იყო, სახლის ნომერზე არავინ პასუხობდა... მართალია, იმ წამს ძალიან გაბრაზდა და გოგოც „ლოცა“ გონებაში, მაგრამ დაფიქრებისთანავე მიხვდა, რომ „ტუზი“ დაეცა. არ მოუწია არაკაცურად წასვლამ, არ მიატოვა ქალი, არ შეაწუხებდა ნამუსი არასოდეს, ის თავისუფალი იყო! გაათავისუფლეს! ერთი წუთითაც არ გრძნობდა გიორგი თავს შეურაცხყოფილად და მით უმეტეს — მიტოვებულად. პირიქით, ღმერთს მადლობას სწირავდა უეცარი ბედნიერების გამო. თუმცა ძალიან აინტერესებდა, რატომ არ მოვიდა ქეთი შეხვედრაზე. იქნებ რამე დაემართა? მანქანა ხომ არ დაეჯახა? ხომ არ მოიტაცეს? — ეკითხებოდა საკუთარ თავს.

ორი თვე გავიდა ასე, გაურკვეველ მდგომარეობაში და გიოს ტელეფონზე ქეთის ნომერი „ამონათდა“ (სწორედ ამ დროს ჩაესვენა ახალგაზრდა კაცის მზე). — სიხ, მაპატიე, მაშინ ვერ მოვედი შეხვედრაზე, — ნაზი, ალერსიანი და ყალბი იყო გოგოს საუბრის ტონი. — საქმე ისაა, რომ... მე... (ტირის)... არ ვიცი, ვიცი... (სლუკუნი) იცი... გითხრა... როგორ... მაპატ.. მოკლედ... შენგან ბავშვს ველოდები!

გაგონილით თავზარდაცემულმა, გოგოს დრო სთხოვა და ყურმილი დაკიდა... გიო საკუთარი თავგადასავლის შესახებ ყველაზე ახლო მეგობრებს დაელაპარაკა და გასათვალისწინებელი რჩევა-დარიგებაც უხვად მიიღო. მოკლედ, დამშვიდდა. მიხვდა, რომ თავიდანვე დიდი აფერის მსხვერპლი გახდა, რომ არავითარი ბავშვი არ არსებობს და თუ არსებობს, ის მისი ნამდვილად არაა! მატყუარა გოგოს დაურეკა და ყველაფერი პირში მიახალა...

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მისი ტანჯვა. 24-საათიანი კონტროლი, მუქარები... ხერხი არ დაუტოვებიათ, მისი შეშინება რომ არ ეცადათ. გიოს არ ეშინოდა, მყარად იდგა, ზურგს მეგობრები უმაგრებდნენ და ისიც იგერიებდა „შეურაცხყოფილი“ ქალის იერიშებს. ორსულმა ტაქტიკა შეცვალა: ახლა შანტაჟის დრო დადგა! — სახლში ჩამოგაკითხავ, ყველას გავაგებინებ, რა გარეწარიც ხარ, ნაბიჭვარო, უნამუსოვ, — და ა.შ. შანტაჟიც მოგერიებული იქნა... ყველაზე მძიმე, მათ ურთიერთობაში, ქვემოთ მოყვანილი მესიჯი აღმოჩნდა: „ახლა ადუღებულ წყალს ვასხამ ტაშტში და შიგ ვჯდები. ჩვენს შვილს ვკლავ. იძულებული ვარ, ასე მოვიქცე. მკვლელო, მეც მომკალი ბარემ. მძულხარ!“ გიოს წარმოდგენა არ ჰქონდა, შესაძლებელი იყო თუ არა, ცხელ წყალში ჩაჯდომით ბავშვის მოკვლა, მაგრამ გული ძალიან ეტკინა. მიუხედავად ყველაფრისა, ნამუსმა შეაწუხა.

ამ ზამთრის დამდეგს გოგონამ გიოს დაურეკა და თითქოს არაფერი მომხ-

დარიყოს, — საყვარელო, ჩვენი შვილი მოევლინა ქვეყანასო, — მზრუნველი ცოლის ხმით ახარა ბავშვის დაბადება მეტყველებადაკარგულ ბიჭს... მეორე დღესვე გიო თავის უახლოეს ძმაკაცთან, ლაშასთან ერთად, დიდი „ბამბანერკით“ ხელდამშვენებული სამშობიაროს კედლებში აწრიალდა. ქეთუსი თვალცრემლიანი უყვებოდა, როგორ გამოაგდო სახლიდან ძმამ, როგორ „შემოეცემა“ დედამისი, როცა საყვედურობდა მოულოდნელი ფეხმძიმობის გამო და როგორ ფაჩუნობდა მუცელში მათი პატარა... ეს სცენა ბრაზილიური სერიალის დასკვნით სერიას დაემსგავსებოდა, რომ არა პალატაში შემოსული მედდა, რომელმაც მტირალი პატარა დაუწვინა დედას. გიო სიცილით მოკვდა. მთელი არსებით ხარხარებდა. ქათქათა და ქერა ბიჭს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო ასევე ქერა და ფითქინა ქეთოსა და მისი პირმშო — მულატი. გოგონამაც დაყარა ფარ-ხმალი და თქვა: კარგი, შენ თუ არ გინდა, დათოსიც მშვენივრად იქნება ეს ანგელოზო. ბიჭებმა მთელი გულით მიესამძიმრეს დათოს თავს დატეხილი უბედურება და ბედნიერნი გაემართნენ სახლისაკენ.

P.S. როცა პალატის კარი გამოიხურეს, ძმაკაცებს მინის კარს მიღმა თავიანთი ნაყიდი „ბამბანერკა“ მოხვდათ თვალში. გიო მიბრუნდა, აიღო შოკოლადი, თვალი ჩაუკრა ახალნამშობიარებ ქეთუს და სამუდამოდ გაეცალა იქაურობას. იმ დღის შემდეგ აღარაფერი სმენიათ ქეთუს შესახებ გიოსა და მის მეგობრებს. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, აღარ გამოჩენილა...

P.P.S. ახლახან, გოგო შეცვლილი სახელითა და გვარით ისევ გამოჩნდა დასვენებული ყმაწვილის ცხოვრებაში და მესიჯით სცადა მისი გაღიზიანება: „მე ბევრი ვიცი. გაგანადგურებ!“ გიოსაც აქვს სათქმელი მისთვის რაღაც: მოდი, გიჟოოოოო, მომენატრა თავგადასავლები. რუისპირი (GREEN)“.

„როგორ დავუნგრიე შეფს ოჯახი“

„უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, კარგა ხანს უმუშევარი ვიყავი. 2 წლის შემდეგ ძლივს ვიშოვე სამსახური. მართალია, ჯამაგირი ცოტა იყო, მაგრამ არ დავეძებდი — მთავარი იყო, სადმე შემეყო თავი და შემდეგ რამე გამოჩნდებოდა. „შეფინია“ ქალბატონი ნუცა გახლდათ — „სტერვა“ და ავი ქალი. მის სახეზე ღიმილიც კი არავის დაუნახავს — მამაკაცებიც კი ერიდებოდნენ. ჩემ მიმართ გულმოწყალე გახლდათ. ხანდახან შინ მანქანითაც კი მივყავდი, თუ ოფისიდან ერთად გვიწევდა გასვლა. ვინაიდან მუშაობა დავიწყე, გავიპრანჭე კიდეც. არა, გაპრანჭული მანამდეც ვიყავი ხოლმე, მაგრამ ახლა იმაზე მეტად მოვიწადინე. ერთ დღეს შინ ტაქსით წავედი და მანქანაში მობილური ტელეფონი დამრჩა. ტაქსის მძღოლმა მომძებნა და ტელეფონი დამიბრუნა. ამის შემდეგ მოსვენებას არ მაძლევდა. მირეკავდა, შეხვედრას მთხოვდა, მაწუხებდა. თავიდან რომ ვერ მოვიშორე, შევხვდი. სულ სხვა თვალით შევხედე და მომეწონა. სიმპათიური მამაკაცი იყო, კარგი მანერებით. ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი, რომ „ტაქსისტად“ მუშაობდა. ამის შემდეგ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. ამასობაში ზაფხულიც მოვიდა. შვებულება ავიღე და დასასვენებლად ზღვაზე წავედი. 1 კვირის შემდეგ იქ ჩამომაკითხა და მთელი კვირა დარჩა. სწორედ მაშინ მოხდა ჩვენ შორის პირველი ფიზიკური ურთიერთობა. მეც ბედნიერად ვგრძნობდი თავს და ისიც. ერთ საღამოს სავახშმოდ რესტორანში შევედით. ცოტა ხანში კი დავინახე, რომ დარბაზში ჩემი „შეფინია“ შემოვიდა. გავუღიმე და წამოვდექი, რომ მივსალმებოდი და მომეკითხა. ის გამეხებული სახით მოდიოდა და არც კი მიყურებდა. პირდაპირ ჩემს კავალერს დაადგა თავზე და ისეთი სილა შემოჰკრა, რომ ნაპერწკლები მე წამომცვივდა თვალებიდან. მამაკაცი (სახელს შეცვლილსაც კი არ ვწერ, ისე მეშინია) წამოდგა, მეორედ მოქნეული ხელი დაუჭირა, ზურგს უკან ამოუტრიალა და რესტორნიდან გაიყვანა. ვერ გამეგო, რა მოხდა ან უკან უნდა გავყოლოდი თუ არა. იქ დარჩენაც არ ღირდა, რადგან ასი წყვილი თვალი ინტერესით მომჩერებოდა. ავდექი და გავიძურწე. მეორე დღეს ჩემი კავალერი სასტუმროში მომადგა, „ბოდიშებით“. ვინ იყო ის ქალი-მეთქი? — ვკითხე. — ჩემი ცოლიო, მიპასუხა. პირი დავაღე. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს შეფს ტაქსის მძღოლი ქმარი ეყოლებოდა და მაინცდამაინც მასთან გავაბამდი რომანს. რაღა თქმა უნდა, სამსახურში არც გამოვჩენილვარ. ჩემი ნივთებიც კი სხვამ მომიტანა შინ. ალბათ გაინტერესებთ, რა ბედი ეწია ჩემს რომანს. ამ ამბების შემდეგ ცოლ-ქმარს შორის შავმა კატამ გაირბინა. კარგა ხანს ისევ ერთად ცხოვრობდნენ და ჩხუბობდნენ (ამ პერიოდში მე აღარ ვურთიერთობდი), შემდეგ გაცილდნენ და ჩვენი ურთიერთობა აღდგა. დღეს კი ცოლ-ქმარი ვართ და წლინახევრის დეაც გვყავს. აი, ასეთი იყო ჩემი საზაფხულო (და არა მარტო საზაფხულო) რომანის ამბავი“.

გამწარებულები და შეყვარებულები

„ზაფხული, ზღვა, ახალი ურთიერთობები, ფლირტი და... შეიძლება, ყველაფერი საკურორტო, ხანმოკლე რომანით დასრულდეს, რომელიც ხანდახან ხანმოკლე სულაც არ არის და ადამიანის ცხოვრებას თავიდან ბოლომდე ცვლის. საკურორტო რომანი ზოგისთვის გასართობია, ზოგისთვის კი — საბედისწერო თამაში...

დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით ნამდვილად ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ საზაფხულო ფლირტი მქონია, რომელიც ჩემთვის არც სასარგებლოდ და არც საბედისწეროდ დასრულებულა, მაგრამ კარგი მოგონება კი დამიტოვა, რომელსაც ახლა გაგიზიარებთ. ყველაფერი სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო. ბავშვს — ანუ მე გადატვირთული სასწავლო წლის შემდეგ დასვენება მეკუთვნოდა. მე და დედამ ქობულეთში წასვლა გადავწყვიტეთ, ერთ-ერთ საკმაოდ პრესტიჟულ სასტუმროში. ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა. მოწყენილობამაც კი დამრია ხელი. ერთხელ დედაჩემმა ზღვაზე გასვლა დილის 7 საათზე გადაწყვიტა. თოლიებთან ერთად პლაჟზე ყოფნის პერსპექტივამ ვერ მომხიბლა და ვარჩიე, ჩემი საყვარელი საქმე — დილის ძილი გამეგრძელებინა. როგორც იქნა, ავდექი, მოვწესრიგდი და სასტუმროს „დალაშქვრა“ გადავწყვიტე. კიბეზე რომ ჩავრბოდი, სრულიად მოულოდნელად დავეჯახე 18 წლის, საკმაოდ სიმპათიურ ყმაწვილს, რომელსაც მთელი ლანგარი გადავუბრუნე. მაშინ მისი სიმპათიურობა ნამდვილად არ შემიმჩნევია, რადგან თავის მართლებით ვიყავი დაკავებული... ამის შემდეგ კი დაიწყო 10-დღიანი, საკმაოდ საინტერესო საზაფხულო ფლირტი ჩემსა და საბას შორის. ურთიერთობა ძირითადად, ერთმანეთის გამწარებაზე იყო აგებული. საბა მიხვდა, რომ ამით არაფერი გამოუვიდოდა და სტრატეგია შეცვალა. ამის შემდეგ დაიწყო დათუნიების, ყვავილების ჩუქება და გულების დანთება. ეს საკმაოდ სასიამოვნო იყო ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი მაინც დასრულდა... ჩვენი ურთიერთობა ჩემთვის ერთ დიდ, ლამაზ მოგონებად იქცა. ის არ იყო ერთადერთი, მაგრამ მასში იყო რაღაც განსაკუთრებული. ჩემთვის მაინც ჩემი

მომავალი და მიზნები იყო და არის მთავარი. ეს ზაფხული კი მხოლოდ ახლა იწყება. იმედია, თავი არ შეგაწყინეთ. პარასკევა“.

რა მავნებლობა მოაქვს 5 კილო ჯაჭვის ტარებას

„ვფიქრობდი, რა ამბავი მომეთხრო ჩემი უცნაური ცხოვრებიდან და უეცრად, ისეთი რამ გამახსენდა, რომ ცუდ ხასიათზე მყოფმა, თავი ბედნიერად ვიგრძენი და სახეზე ღიმილი დამეფინა. მე და ნინი დაბადებიდან ერთად ვიყავით. ჩემი ცხოვრების პირველი 7 წელი ვაკეში გავატარე, ის კი მეზობელად ცხოვრობდა. შემდეგ მე საცხოვრებელი შევიცვალე, თუმცა უკვე ოჯახებით ვმეგობრობდით (როგორც ხდება ხოლმე, ნათელმინორობა და ა.შ.). ნინი უდავოდ ჩემი მფარველი ანგელოზი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, 3 წლის წინ, ოჯახთან ერთად, შეერთებულ შტატებში გადასახლდა. ერთად ყოფნის ბოლო ზაფხულს, 16 წლის ასაკში, როცა უკვე ჩავთვალეთ, რომ საკმარისად დიდები ვიყავით, ბათუმში მარტო წავედით ბებიაჩემთან (იმედია, სკეპტიკოსები ამის შემდეგ მაინც ირწმუნებენ, რომ გულწრფელი, ქალ-ვაჟური მეგობრობა ნამდვილად არსებობს). ორივე „მეტალს“ ვუსმენდით და ჯაჭვებასხმული დავიარებოდით. მახსოვს, კისერზე ძაღლის რკინის საყელური მეკეთა :) მოკლედ, 5-5 კილო რკინას მაინც ვატარებდით აქსესუარების სახით. ერთ ღრუბლიან დღეს, მოწყენილები, ქალაქში გავედით სასეირნოდ. ბათუმისა და წვიმის ამბავი ყველას მოგეხსენებათ. უეცრად დაბნელდა, შავი ღრუბლებით დაიფარა ცა და დაიწყო უბედურება — თქეში, ელვა, ქარი, მეხი, ქუხილი... მანიაკურად მეშინია მეხის. ნინიც ასე იყო და უნდა გენახათ, რა „შიშკანკალი“ დაგვემართა. სად შევმძვრალიყავით, არ ვიცოდით. მერე უცბად მოვტვინეთ, რომ რკინები გვქონდა ასხმული და ისტერიკულად, ხტუნვა-ხტუნვით მოვიგლიჯეთ ეს ჯაჭვები, აქეთ-იქით მოვისროლეთ და გავიქეცით. საბედნიეროდ, ამ წარღვნამ მალე გადაიარა, ჩვენი აქსესუარები მოვხიკეთ და სანაპიროზე გადავინაცვლეთ. არანორმალური ღელვა იყო, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ავდექით და ტანსაცმლიანად (მაინც გალუმპულები ვიყავით) ზღვაში ჩასვლა გავბედეთ. საოცარი ადრენალინი იყო. :) ბოლოს, კედები გავიხადეთ და ასე ფეხშიშველები მივედით სახლამდე. გუბურა არ გაგვიმაზავს, ყველგან ვიტყლაპუნეთ, იხვებივით. ხალხი ისე გვიყურებდა, აშკარად შეშლილები ვეგონეთ. რამდენიმე დღეში ნინი გაფრინდა, ის დღე კი მის თავს არასოდეს დამავიწყებს. P.S. მსურს, ბოლოს ჰოლბახის ერთი ფრაზა გაგიზიაროთ: „ცხოვრება ის დღეები კი არ არის, რომლებიც წავიდა, არამედ ისინი, რომლებიც დაგვამახსოვრდა“. ნიკოლო“.

დედის სურნელი

„ჩემი ცხოვრების ყველაზე დაუვიწყარი და გამორჩეული დღე, უფრო სწორად, ღამე გასული წლის 19 დეკემბერი იყო — დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ოცნებად ქცეულ დედიკოსთან შეხვედრის დღე. ეს იყო მომენტი, რომლისთვისაც სიცოცხლე ღირს და რომელიც თითქმის 2 წლის განმავლობაში ყოველღამე მესიზმრებოდა. უსაშველოდ გაიწელა მისი მოლოდინის წუთები აეროპორტში. ეს დრო ლამის მთელ იმ პერიოდს უდრიდა, რომელიც დედის გარეშე გავატარეთ. ადგილს ვეღარ ვპოულობდი და საათს მოუთმენლად დავცქეროდი. ყველაზე მძიმე დრო ის მონაკვეთი იყო, როდესაც თვითმფრინავი დაჯდა და მგზავრებმა გადმოსვლა დაიწყეს. ღმერთო ჩემო, რა წუთები იყო, ვერ აღვწერ. ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში. მეშინოდა გაუცხოების. ვფიქრობდი, ვაითუ გადატანილმა ურთულესმა ოპერაციებმა რამე შეცვალა მის ხასიათსა და გარეგნობაში, რასაც ვირტუალური ურთიერთობისას ვერ ვამჩნევდით-მეთქი?.. და აი, ისიც გამოჩნდა, ისევ ისეთი ახლობელი და უფრო მეტად ძვირფასი, ვიდრე ოდესმე. სიხარულის ცრემლების არავის მოგვრიდებია, რადგან ჩვენთვის მხოლოდ ერთმანეთი არსებობდა და ათეულობით ჩვენზე მოშტერებული ცნობისმოყვარე თვალი არც შეგვიმჩნევია იმ დროს. არავინ იყო ჩემზე ბედნიერი, როცა კვლავ შევიგრძენი დედის ნაცნობი სურნელი და გულში ჩავეკარი. არასოდეს დამავიწყდება ის ემოციები, რაც მაშინ დამეუფლა, როდესაც მისი გულისცემა ჩემს მკერდთან ახლოს ვიგრძენი. ხანგრძლივი განშორებისა და უზომოდ ტკივილიანი თვეების შემდეგ ეს უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მადლობა უფალს, რომ დედა გამოჯანმრთელებული ჩამოვიდა და მასთან ერთად, სიხარული დაუბრუნდა ჩემს ოჯახს. ღმერთმა ყველას აშოროს ჩემნაირი განსაცდელი, მაგრამ ასეთ ცისოდენა სიხარულს ყველას გისურვებთ... „და რაც დრო გადის, მე დედაჩემს ისე ვუყურებ, თითქოს ქარში გატანილი სანთელი იყოს, რომელსაც ყოველი მხრიდან უნდა მოეფარო, რომ არ ჩაქრეს“. პარიჟანკა“.

ჩემი ქმრის ყოფილი ცოლები

„ჩემს ამბავს საზაფხულო რომანს ვერ დავარქმევ. ეს ამბავი შესაძლოა, წელიწადის ნებისმიერ დროს მომხდარიყო, უბრალოდ, ზაფხულს დაემთხვა და ეგაა. 32 წლის ვიყავი, როცა მერაბი გავიცანი. გარეგნულად მომეწონა, კარგი სამსახური ჰქონდა, მანქანაც ჰქონდა და არც უბინაობას უჩიოდა. მოკლედ, კარგი საქმრო იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა — ცოლს გაცილებული იყო და შვილებიც ჰყავდა. ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ბავშვები დედასთან ცხოვრობდნენ, თანაც — სხვა ქალაქში და მერაბს იმის საშუალება ჰქონდა, რომ ბავშვებისთვისაც მიექცია ყურადღება და არც მე დავეტოვებინე გულნაკლული. მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი მეგობრებიც შემომიჩნდნენ, — კარგი კაცია, ხომ ხედავ, გაუთხოვრების სიაში ჩაეწერე უკვე, ერთი ნაკლი აქვს და თვალები უნდა დახუჭო მაგაზეო. დედაჩემმაც მისი მხარე დაიჭირა და ცოლად გაყოლაზე თანხმობა ვუთხარი. არა, ისე არ გაიგოთ, თითქოს სხვებს ვაბრალებდე, მეც მომწონდა და იმიტომაც გავყევი. მოკლედ, დიდი ქორწილისა და ხმაურის გარეშე გადავედი მასთან საცხოვრებლად და თავს მართლა ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ მესამე დღეს ეს ბედნიერება ხუხულასავით დამენგრა თავზე. სოფლიდან დედამთილი ჩამოვიდა ჩემს გასაცნობად. მოვეწონე, გულში თბილად ჩამიკრა. შემდეგ დაიწყო მერაბის ბავშვებზე ლაპარაკი, — უი, კატო ისეთი საყვარელიაო... ნანიკო?.. ისეთი ლამაზია, თვალს ვერ მოსწყვეტო; ნოდარიკოს ენაცვალოს ბებიაო; ლაშიკო ისეთი ნიჭიერია, მთელი სკოლა გადარიაო. ჯერ მეგონა, სახელები ეშლება-მეთქი, იმდენი ბავშვი ახსენა. ბოლოს შიშით დაზაფრულმა ვკითხე, სულ რამდენი არიან-მეთქი? — ექვსნი არიან, ბებია ენაცვალოთო! ლამის გული გამისკდა. კი ვიცოდი, რომ ჩემს ქმარს ცოლი და 3 შვილი ჰყავდა, მაგრამ მე თურმე მხოლოდ ნახევარი მცოდნია. მას 2 ცოლი და თითოეულთან 3 შვილი ჰყოლია. მოსასულიერებელი გავხდი. მერაბმა კი უბრიალა დედამისს თვალები, ბევრს ნუ ლაპარაკობო, მაგრამ იმას უკვე ყველაფერი ნათქვამი ჰქონდა. ამ ამბის გადასახარშავად კარგა ხანი

დამჭირდა, რომ მეორედ მივიღე შოკი: ერთ მშვენიერ დღეს კარზე დააკაკუნეს და მერაბის ყოფილი ცოლები და შვილები შემრჩნენ ხელში, — შენს გასაცნობად მოვედითო, მითხრეს და ოთახში შემოლაგდნენ. გაგიგონიათ?! ამათვალიერ-ჩამათვალიერეს, სახლი დაათვალიერეს, მერაბს ეს უყვარს, ის არ უყვარსო, — ჭკუა დამარიგეს. რაღას ვიზამდი? გავუმასპინძლდი და ცოტა ხანში ჩვენი (დიახ, ჩვენი!) ქმარიც მოვიდა. მათი

დანახვა გაუხარდა, გადაკოცნა, მეგობრულად მოიკითხა, მაღაზიიდან კონიაკი ამოიტანა, დასხდნენ და კარგად იქეიფეს. მეც მაძალებდნენ, დალიეო, მაგრამ ისეთი გაოგნებული ვიყავი, თავი სიზმარში მეგონა. მერაბის ყოფილი ცოლები კი ამ დროს ჩემს სადღეგრძელოს სვამდნენ და მეუბნებოდნენ, ჩვენ ვმეგობრობთ და იმედი გვაქვს, შენც დაგვიდაქალდებიო. ეს ამბავი სხვას რომ მოეყოლა, არ დავიჯერებდი. უკვე 1 წელია, მერაბის ცოლი ვარ. მისი ყოფილები ხშირად მოდიან, ბავშვებსაც კი მიტოვებენ ხოლმე, თუ სადმე წასვლა უნდათ. 6 ბავშვის მოვლას ეხუმრები?! მე ამათ დავდევ, ისინი კი ხან კინოში მიდიან (თბილისში გასართობად და გულის გადასაყოლებლად ჩამოდიან), ხან — კონცერტზე და ხანაც — ღამის კლუბში. კიდევ კარგი, მერაბი არ დაჰყვება თან და შინაა ხოლმე, ჩემთან ერთად, თორემ სულმთლად გადავირეოდი. ახლა მეც ორსულად ვარ და მიზეზი მაქვს — ცუდი ფეხმძიმობა მაქვს და ბავშვებს ვერ დავიტოვებ-მეთქი. ცოტა ხანს შემეშვნენ და დავისვენე. მომავალში რა იქნება, წარმოდგენა არ მაქვს. ტანჯულა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„ქუთაისში, ერთ დიდ წარმოებაში კრება ტარდებოდა. კაბინეტი დიდი არ იყო და ყველას არ უშვებდნენ. ერთი მაღალი, მსუქანი ქალი უშედეგოდ ცდილობდა კაბინეტში შესვლას. წარმოების უფროსმა, მიშამ დაინახა ეს ქალი თუ არა, აგდებულად მიაძახა, — ხომ ხედავ, რომ ვერ ეტევი, არ შემოხვიდეო. ქალი ძალიან გაბრაზდა და ხმამაღლა უყვირა, — ბატონო მიშა, ახალგაზრდა, სუსტი და ლამაზი რომ ვიყავი, მაშინ ხომ ძალით შეგყავდი მაგ ოთახშიო?!. კრება ვიღას ახსოვდა?! მიშას კი ფერი ეცვალა. იმავე კრებაზე ცვლის უფროსი, შოთა დაგვიანებით გამოცხადდა. კრებას მისი სამივე ნაცოლარი ესწრებოდა. ცარიელი სკამი რომ ვერ დაინახა, შოთამ იქვე მჯდომ თამარას სთხოვა, ჩაიწიე, დამსვიო. თამარამ, — სირცხვილია, ხალხი რას იტყვის, ვერ დაგსვამო. — ქალო, ლოგინში რომ გიწვებოდი, მაშინ არ ამბობდი, სირცხვილიაო და ახლაა სირცხვილი, სკამზე თუ ჩამოგიჯექიო?! ასეთი სასაცილო ამბები ხდებოდა მაშინ, როცა წარმოებები არსებობდა საქართველოში. ამ ამბებს კი მადონა — ჩემი დაქალი მიყვება. გერასიმე“.

„დარწმუნებული ვარ, ამ თემაზე შემოსული ყველა მესიჯი ზღვისპირა ქალაქებს შეეხება და იქაურ ამბებს, მე კი პირიქით, შარშან ზაფხულს ზღვისპირეთიდან შემთხვევით სამეგრელოს ერთ მიყრუებულ სოფელში, წკემში მოვხვდი და ჩემი საზაფხულო სოფლური რომანი ქორწილით დაგვირგვინდა. მენატრებით, ჩემო ტკბილო აჭარავ და აჭარლებო“.

„ლაშა ჩემს კლასში გვიან გადმოვიდა და როგორც მოგვიანებით თავად ამბობდა, თურმე პირველი შეხედვისთანავე გულში დავჭერი. :) ჩვენი ურთიერთობა ტომისა და ჯერის თამაშს ჰგავდა. საშინლად ვაწვალებდი და ყველაფერში ვეწინააღმდეგებოდი, რადგან ორივეს ლიდერის თვისებები გვქონდა (ეს ახლა ვარ „ბულკი“, თორემ ახალგაზრდობაში?!.), რის გამოც ვერ ვეგუებოდით ერთმანეთს და ძალაუფლების არეალს ვერ ვიყოფდით. ასეთ ქიშპობასა და ჭირვეულობაში ერთი წელი გავიდა და ზაფხულში შიო მღვიმის მონასტერს ვეწვიეთ მთელი კლასი. ვინც ნამყოფია, კარგად ეცოდინება, რა ციცაბო კლდეებია ირგვლივ და იქ ასვლა სპეციალური ფეხსაცმლის გარეშე შეუძლებელია. ლაშამ კი ეს მოახერხა, როცა გაიგო, რომ კლდეზე ამოსული ულამაზესი ყვავილით აღვფრთოვანდი. ბევრი ვეხვეწე, არ გაერისკა, მაგრამ ის ჩემზე ჯიუტია და მაინც აცოცდა. სანამ დაბრუნდებოდა, ყველა გოგო თვალდახუჭული ვიდექით და ზემოთ ახედვას ვერ ვბედავდით. ლაშა კი ღიმილითა და ყვავილით მომიახლოვდა და ყველას თანდასწრებით, რამდენიმე ენაზე გამომიტყდა სიყვარულში. ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ ის ყვავილი ექსკურსიისთვის დაქირავებულ ავტობუსში დამრჩა. თუმცა ამ ადამიანმა იმ ზაფხულს ბევრი ლამაზი მოგონებით გაამდიდრა ჩემი ცხოვრება, მაგრამ რომანს მაინც ვერ ვუწოდებ ჩვენს ურთიერთობას. ამ რამდენიმე დღის წინ კი სკოლის დამთავრებიდან 5 წელი აღვნიშნეთ და დიდი ხნის უნახავი ლაშას დანახვაც მართლა გამიხარდა. ცოტა რომ დალია, გათამამდა, გაიხსენა თავისი „ვნებათაღელვა“ ჩემ მიმართ და იმ ყვავილის ამბავიც. თან მაგრძნობინა, თუ რამეა, ახლაც მზად ვარ კლდეზე ასაძრომადო. მოკლედ, ასეა საქმე და თუ ამ ზაფხულს მაინც შედგა ჩვენი რომანი, აუცილებლად გაცნობებთ. :) გკოცნით, პარიჟანკა“.

■

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

სამყარო, სადაც ყველა უმწიკვლო და სასურველია

„გზის“ №25-ში დაიბეჭდა 18 წლის ნინის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ემესიჯება 33 წლის კაცს. წყვილს მართალია, ერთმანეთი ჯერ არ უნახავს, მაგრამ როგორც ნინი ირწმუნება, ერთურთის გარეშე ვერ ძლებენ. „არ ვიცი, რა დავარქვა გრძნობას, რომელიც მისკენ მექაჩება. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, ვნახო თუ არა? თქვენ გჯერათ ვირტუალური სიყვარულის?“

„ვირტის“ წყალობით უამრავი ოჯახი იქმნება“

თათა:

„ვერ ვხვდები, მისი ნახვისგან თავს რატომ იკავებ? შენს ადგილას, მას უეჭველად ვნახავდი. 18 წლის გოგო 33 წლის კაცს თუ გაჰყვები, ეს კატასტროფის ტოლფასი ნამდვილად არ იქნება. მეც მყავდა 34 წლის შეყვარებული და მერწმუნე, ასაკის გამო მასთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია, პირიქით — შემეძლო, მასთან ნებისმიერ თემაზე მელაპარაკა და მქონდა იმედი, რომ საუკეთესო რჩევას მომცემდა; მე მას ბოლომდე ვენდობოდი. P.S. ალბათ, პატარებისადმი ჩემი უნდობლობა იმის ბრალია, რომ 25 წლამდე ასაკის ბიჭებში იშვიათად ვხვდები უკვე ჩამოყალიბებულ პიროვნებას“.

გრუზინკა:

„ვირტუალური სამყაროს წყალობით დღესდღეობით უამრავი ოჯახი იქმნება და თუ ის ბიჭი მოგწონს, ამაში დასაძრახი არაფერია. შეხვდი, ნახე და რა იცი, იქნებ ის შენი ბედია. წარმატებები!“

გუცა:

„თუ გრძნობა მისკენ ასე გექაჩება, შეხვდი და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვით. ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ერთმანეთი გიყვარდეთ. დამიჯერე, თუ შეხვდები, ამით არაფერს დაკარგავ, პირიქით — შეიძლება ეს შენთვის სასიკეთოც კი აღმოჩნდეს. წარმატებები!“

მაცმაცუნა:

„ჯერ გაიცანი და კარგად დააკვირდი. მერწმუნე, ვირტუალური ნაცნობები ხშირად გვიცრუებენ იმედს; უმეტესობა ისეთი ნამდვილად არ არის, როგორიც გვგონია. ჩემი აზრით, მას უბრალოდ, შეეჩვიე“.

იგიუე მისი:

„ჩემო კარგო, პირადი გამოცდილებიდან გეუბნები, რომ მას არ უნდა ენდო, ის არ უნდა შეიყვარო. მეც ვიყავი მსგავს სიტუაციაში: ჩემი რჩეული 30 წლის კაცი იყო და უფალსაც კი იფიცებდა, — სიგიჟემდე მიყვარხარ, ასეთი და ასეთი ადამიანი ვარო, მაგრამ ბოლოს, ერთი ავადმყოფი კაცი აღმოჩნდა. ნინ, წარმატებები და იცოდე, არასდროს დაუჯერო ადამიანს, რომელიც ვირტუალურ სიყვარულს გთავაზობს...“

ნიკოლო:

„ვირტუალურ სამყაროში ყველა უმწიკვლო და სასურველია. ვფიქრობ, „ვირტში“ ყველა ისე იტყუება, როგორც აწყობს ანუ ბევრი თავს ისე გვაცნობს, თითქოს იდეალური პიროვნებაა. ჰოდა, ვინაიდან ინტერნეტსივრცეში ადამიანის ნაკლი არ ჩანს, ნებისმიერს უადვილდება საპირისპირო სქესის წარმომადგენლის მოხიბვლა... რა თქმა უნდა, მას უნდა შეხვდე. იმედი მაქვს, პირველსავე დღეს არ აპირებ რაღაცებს, ეგეთი სულელიც არ ჩანხარ. P.S. ასაკობრივი სხვაობა „დაიკიდე“. მთავარია, მის გვერდით კარგად იგრძნო თავი“.

აურა:

„შენ მისკენ ვირტუალური იდუმალება მიგექაჩება და ეს სიყვარული გგონია. ისე, რა იცი, იქნებ ის მართლაც, შენი ნამდვილი სიყვარულია. ჰოდა, ნახე, მასზე უარს დაუფიქრებლად ნუ იტყვი“.

ლიფსო:

„ვირტუალური სიყვარულის როგორ არ მჯერა?! ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი რეალური პიროვნება მაინცაა, ზოგიერთს კი არარეალური ვიღაცები თუ რაღაცები უყვარდება... უნდა შეხვდე, აბა, რა უნდა ქნა? ჰოდა, თუ ერთმანეთის გარეშე მერეც ვერ გაძლებთ, ოჯახიც შექმენით“.

ატარექსია:

„მისკენ გრძნობა კი არა, ინტერესი გექაჩება. გირჩევ, ეგ ადამიანი „რეალში“ ნახო. რაც შეეხება შენს კითხვას: მჯერა თუ არა ვირტუალური სიყვარულის, „ვირტით“ დაწყებული ურთიერთობას კი არა, საერთოდ, ქალისა და მამაკაცის სიყვარულს არ ვაღიარებ. წარმატებები შენც და მეც!“

გერმან:

„კი, მაგრამ ის ხომ შენზე 15 წლით უფროსია? თან, შეგიყვარდა ადამიანი, რომლის შესახებაც ფაქტობრივად, არაფერი იცი. იქნებ შენი სიყვარულის ობიექტს ცოლ-შვილი ჰყავს და შენთან ჩეთაობით უბრალოდ, დრო გაჰყავს? მერწმუნე, „ვირტში“ გაცნობილი პრინცის ცოლობაზე ფიქრს „ლაივში“ ნანახი მაიმუნის შეყვარება სჯობს. ასე რომ, ის აუცილებლად უნდა ნახო!“

მარიკუნა:

„ვირტუალური სიყვარულის ნამდვილად მჯერა, რადგანაც „ლოვე“ მეც ასე, მესიჯობით გავიცანი. ვფიქრობ, ის ჯერ უნდა ნახო და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მიიღო“.

მისტერ:

„რამ გამოგააჯაფსანდალა? ნუთუ ვერ ხვდები, რომ 33 წლის კაცი იმდენად ტვინმწიფეა, რომ მშვენივრად იცის, თუ როგორ მოიპოვოს ქალის ნდობა, თავი გამგებ ადამიანად წარმოაჩინოს და შენში მისდამი ინტერესი ჩასახოს. მერწმუნე, სწორედ ასეთი ნიღბის უკან იმალება ხორცზე დაგეშილი მონსტრი. აბა, მაგ შენი მარწუხებში მოქცეული გონებით დაფიქრდი, რად უნდა 18 წლის ბავშვთან მეგობრობა ან სიყვარულობანა? თუ უფლებას მისცემ, ღიპიანს დაგტოვებს და წავა...“

უცნობი:

„ვირტუალური არაფერი ვარგა. ეცადე, ვინმე რეალური იპოვო და მერწმუნე, ამის შემდეგ ის კაცი მალევე დაგავიწყდება... ერთ-ერთი ჩემი ძმაკაცი, რომელსაც საშინელი ხასიათი აქვს, ძალიან მაგარ გოგოს ემესიჯება და თავს ისე აჩვენებს, თითქოს, მაგარი ტიპი, არაჩვეულებრივი ხასიათების მქონე იყოს. ჰოდა, ტკბილი სიტყვების წყალობით გოგო ლამის, გააგიჟა. ხალხნო, ამ ვირტუალურ სიყვარულს მოეშვით, რა! აბა, როგორ შეიძლება, სიყვარული შედგეს იქ, სადაც შუამავალი რობოტია?..“

უცნობი:

„თუ ადამიანი არც კი გინახავს, საინტერესოა, მის გარეშე როგორ ვერ ძლებ? ვფიქრობ, ვირტუალური სიყვარული არ არსებობს და იმას, რასაც მისდამი გრძნობ, შეჩვევა უფრო ჰქვია. თუ გინდა, შეხვდი, მაგრამ მე თუ მკითხავ, რეალურ ადამიანთან ურთიერთობა ბევრად კარგია“. ■

„მამიკოს ჯიბის“ ბიჭუნები და ნაადრევად შექმნილი ოჯახი

„გზის“ №25-ში დაიბეჭდა 15 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ჰყავს არაჩვეულებრივი შეყვარებული, რომელიც მასზე 2 წლით უფროსია. უცნობს „ლოვე“ ცოლობას სთხოვს, მაგრამ გოგონა თავს იკავებს, — არ მინდა ვიჩქარო და მერე, ოჯახი თავზე დამენგრესო. „ჩვენმა მშობლებმა იციან, ერთმანეთი რომ გვიყვარს და ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მაგრამ დედამ ის რომ გაიგოს, უკვე გათხოვებაზე ვფიქრობ, შეიძლება გამპუტოს კიდეც... შეყვარებული ხშირად მეუბნება, — თუ არ მიმატოვებ და ცოლობაზე უარს არ მეტყვი, გამაბედნიერებ. იცოდე, შენ გამო „მეკაჭკედაც“ ვიმუშავებო. მან სიყვარული არაერთხელ დამიმტკიცა და მჯერა, რომ ჩემ გამო მართლა ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ... თქვენი აზრით, ამ ასაკში რომ გავთხოვდე, ოჯახი აუცილებლად დამენგრევა?..“

„ჯკვიანი ჯაცი ცანცარა გოგოს ვერ შეიყვარებს...“

მარიკუნა:

„არ ვიცი, თქვენს შემთხვევაში რა მოხდება, მაგრამ ყველამ იცის, რომ ნაადრევად შექმნილი ოჯახების უმეტესობა ნაადრევადვე ინგრევა. იქნებ ორი წელი კიდევ მოითმინო და როცა სრულწლოვანი გახდები, ამ „პრობლემის“ გადასაჭრელად სხვების რჩევა არ დაგჭირდება“.

ატარექსია:

„რომ ამბობ, — ბედნიერი ვარ, ჩემნაირი ცანცარა გოგო ისეთმა სერიოზულმა და ჭკვიანმა კაცმა რომ შეიყვარა, როგორიც ჩემი რჩეულიაო, მანდ უკვე ყველაფერი გასაგებია: სერიოზული და ჭკვიანი ბიჭი ცანცარა გოგოს უბრალოდ, ვერ შეიყვარებს. ასე რომ, ეგ ცანცარული დილემა ორივემ ცანცარ-ცანცარში უნდა გადაჭრათ, ჩვენ კი თავი დაგვანებე, პატარავ...“

ლიფსი:

„მართლაც, რომ ცანცარა ხარ! ფუ, როგორ ვერ ვიტან შენნაირებს... ჯერ 15 წლის ხარ და უკვე გათხოვებაზე ფიქრობ? დარწმუნებული ვარ, როცა დასერიოზულდები, სულ სხვანაირად აჭიკჭიკდები, ყოველ შემთხვევაში, მე ამის იმედი მაქვს. ჰოდა, შენთვისვე აჯობებს, ჯერ არ გათხოვდე. არა, თუ გინდა, გაჰყევი, მაგრამ როცა დაბერდები, არ იწუწუნო, — ნორმალური ბავშვობა და ახალგაზრდობა არ მქონიაო. ჰმ, ჯერ პატარები ხართ და რა დროს თქვენი ქორწილია? P.S. ეს ხალხი მართლა გაგიჟდა. ღმერთო, ყველას უშველე“.

კონვერსი:

„რა სისულელეა?! ჯერ მხოლოდ 16 წლის ხარ და რა დროს შენი გათხოვებაა? იცოდე, ამ ასაკში შექმნილი ოჯახების 80% მაინც ინგრევა. ჩემო კარგო, სრულწლოვანი რომ გახდები, გათხოვებაზე მერე იფიქრე“.

უცნობი:

„ბედნიერების გარანტიას ვერასდროს ვერავინ და ვერც ერთ ასაკში ვერ მოგცემს; იმის გარანტიაც არ არსებობს, რომ 30 ან 50 წლის ასაკში შექმნილი ოჯახი არ დაგენგრევა თავზე. ბედნიერი ხარ, რადგან ვილაც გიყვარს, მაგრამ საინტერესოა, გაქვს თუ არა გააზრებული, რას ნიშნავს ოჯახის შექმნა? მერწმუნე, ის უფრო საშიშია, რომ რაღაცის გეშინია, ვიდრე ის, რაც გაშინებს. შეეცადე, უკეთეს მომავალზე იფიქრო. „ლოვეს“ ჯერ არ გაჰყოლიხარ და უკვე მასთან დაშორების შიში გაქვს, ჰოდა, როცა გაჰყვები, ეგ გრძნობა კიდევ უფრო გაგიმძაფრდება და მთელი ცხოვრება ამ შიშით ხომ არ იცხოვრებ? სიყვარულისთვის უფრო გაბედულად, ვაუკაცურად უნდა იბრძოლო. დაბოლოს, სჯობს რაღაც გააკეთო და მომავალში ეს ნაბიჯი ინანო, ვიდრე არ გააკეთო და ეს გაგიხდეს სანანებელი“.

აურა:

„ჰოდა, თუ უყვარხარ, ერთი-ორი წელი დაგელოდება კიდეც. პატარავ, ცოტა გაიზარდე, ოჯახი „დედაშვილობანას“ თამაში ნუ გგონია“.

ნიკოლო:

„დიახ, მართლაც რომ ცანცარა ხარ და ცოტათი მაინც თუ არ დასერიოზულდები, კისერს ძალიან მწარედ წაიტეხ. შენი შეყვარებული ჭკვიანი კი არა, შენზე უარესია. არ მესმის, 17 წლის ცხვირმოუხოცავი, „მამიკოს ჯიბის“ ბიჭუნები რა პონტში ურევენ გოგონებს ტვინს? P.S. ოჯახი აუცილებლად დაგენგრევა!“

გერმან:

„მაპატიე, გენაცვალე, მაგრამ შენი „ლოვე“ შენზე ცანცარა ყოფილა. არა მგონია, სერიოზულმა ადამიანმა 15 წლის ბავშვთან ოჯახის შექმნაზე იფიქროს (თან, დაჩქარებულ ტემპში). ვერ გავიგე, რისი უფრო გეშინია: გათხოვების შემთხვევაში დედამ არ გაგპუტოს (როგორც ეს თავად აღნიშნე) თუ იმის, რომ მომავალში ოჯახი არ დაგენგრეს? ხალხნო, ოჯახის შექმნას არასერიოზულად ნუ უყურებთ. P.S. ნუ, თუ მართლა ისე უყვარხარ, როგორც ამბობ, გათხოვდი და გაჩეჩასაც გადაურჩები, მაგრამ... წარმატებები!“

გრუზინკა:

„16 წლის ასაკში ოჯახის შექმნა ნაადრევია. შენ ჯერ უნდა ისწავლო, კარიერა აიწყო და გათხოვებას მერეც მოასწრებ. ჩემო კარგო, თავისუფლება ძალიან კარგი რამაა და ვიდრე შეგიძლია, უნდა შეირგო“. ■

„ნიკამ მოსვენება დამაკარგვინა...“

ლიკ 94:

„გამარჯობა. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ რამე. მოკლედ, ნიკა 3 წლის წინ, „დისკოზე“ ვნახე და ძალიან მომეწონა. დაქალმა მის შესახებ რაღაცები კი მითხრა, მაგრამ პირადად არ იცნობდა. იმ დღის შემდეგ ნიკას ხშირად ვხვდებოდი და მოსვენებაც დავკარგე. მერე შემთხვევით, მისი მობილურის ნომერი გავიგე და რაღაც მივწერე, თუმცა, მოგვიანებით შევეშვი... მასაც შემჩნეული ვყავარ, მიყურებდა კიდეც, მაგრამ — არაფერი... ვიფიქრე: დავივიწყებ-მეთქი, მაგრამ როცა ვხვდები, მის გარდა ყველაფერი მავიწყდება და უცნაური რამ მემართება. მინდა, დავუახლოვდე, თუმცა არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოვახერხო, რადგან საერთო მეგობარიც კი არ გვყავს. მინდოდა, „სკაიპში“ დამემატებინა, მაგრამ რა მეთქვა მერე? უჭკუო ნამდვილად არ ვარ და არ მინდა, თავი მოვაბეზრო...“

„მეგობართან ურთიერთობის აღდგენას ვერ ვახერხებ“

უცნობი:

„პირველად გწერთ და გთხოვთ, დამეხმარეთ. მეგობარი დამშორდა, მაგრამ ამის მიზეზს არ მეუბნება. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ჩვენი საერთო მეგობრის გამო მოხდა, რომელსაც ყველაზე მეტად ვენდობოდი და რომელმაც მიღალატა: როგორც სხვებმა მითხრეს, ის დაქალს ჩემზე ისეთებს ეუბნებოდა, რომ სხვა გზა არ დაუტოვა. არადა, ვიცი, მეგობარს მაგრად ვუყვარვარ და მეც მიყვარს, მაგრამ ურთიერთობის აღსადგენად არაფრის გაკეთება არ ძალმიძს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. მინდა გავიცნო ზრდილობიანი, სიმპათიური ბიჭი, 18-დან 20 წლამდე. ვარ 18 წლის. ციცქნა.

2. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 25-ში მე-12 და მე-17 მესიჯების ავტორების ნომრები. გმადლობთ.

3. გავიცნობ ბიჭს, რომელსაც ძალიან შევუყვარდები. რა თქმა უნდა, სერიოზული ურთიერთობისთვის. მსუქნებმა თავი შეიკავეთ. მაკო, 18 წლის.

4. გთხოვთ, მომცეთ 25-ე ნომრის მე-15 სმს-ის ავტორის ნომერი.

5. ვარ 24 წლის, მაღალი, გამხდარი და საკმაოდ სიმპათიური თბილისელი გოგონა, უმაღლესი განათლებითა და ბინით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს.

6. ვარ თელავის რაიონიდან, 30 წლის, ქმარს გაშორებული, მყავს 4 წლის გოგო. გავიცნობ შესაფერის ბიჭს, 35 წლამდე, კახელს. ნაფარეულის ზონიდან ნუ შემეხმიანებით.

7. ვარ 36 წლის, თბილისელი. ვცხოვრობ ქირით. ვმუშაობ. მყავს ბიჭი, 19 წლის, ცოლიანი, ცხოვრობს ცალკე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37-42 წლამდე მამაკაცს. მ.ვ.75.

8. გავიცნობ 20-დან 24 წლამდე ბიჭს. ნორმალურს, რა თქმა უნდა, თუ დარჩა საქართველოში.

9. არ ვარ ბებერი, მაგრამ არც ახალგაზრდა ვარ. :) მართლა, მართლა, არ გამეცნობა კაი ოჯახის ბიჭი? ზრდილობიანი, კეთილი, თბილი და მხიარული? მე 17 წლის ვარ. გულთამპყრობელი.

მამაკაცები

10. ვარ 25 წლის მამაკაცი, სიმპათიური. გავიცნობ 20-დან 40 წლამდე ქალბატონს.

11. გავიცნობ ქალბატონს, 30-40 წლამდე. ვარ რაიონიდან, სიმპათიური, დასაქმებული, ახალგაზრდა მამაკაცი.

12. ვარ 23 წლის, დასაქმებული, იმერელი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მეოჯახე, იმერელ გოგოს, 18-დან 22 წლამდე. გასართობად ნუ მომწერთ. დამიკავშირდით საღამოს.

13. ვეხმაურები ნომერ 1-ელ ქალბატონს. ვარ 46 წლის.

14. მაინტერესებს მე-15 ნომრის მე-2 მესიჯის ავტორის, ირმას ნომერი.

15. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ აღმოსავლეთ საქართველოდან პატიოსან, ქალიშვილ გოგოს ეკლესიური ოჯახიდან, 27-35 წლამდე. ვარ მორწმუნე, დასაქმებული ოჯახის ბიჭი, 37 წლის.

16. გავიცნობ 20-35 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ 25 წლის მამაკაცი, მატერიალურად უზრუნველყოფილი.

17. ვეხმიანები გულოს, მე-2 მესიჯის ავტორს. გთხოვ, დამიტოვო ნომერი.

18. ვეხმიანები „გზა“ №25, მე-2 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი ან ჩემი მისცეთ. წინასწარ გმადლობ.

19. ვარ 37 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალბატონს. მე ვცხოვრობ რუსთავში.

20. გავიცნობ გოგონას, სერიოზული ურთიერთობისათვის. ვარ 30 წლის სიმპათიური მამაკაცი.

21. გავიცნობ 21-დან 24 წლამდე, ქუთაისელ, სასიამოვნო გოგოს. ვარ 22 წლის, გიო. ფულ პაკეტი.

22. ხანგრძლივი ურთიერთობის მიზნით გავიცნობ თბილისელ ქალბატონს, 45 წლამდე.

23. ვარ 35 წლის, თბილისელი, სერიოზული. ვმუშაობ, ვარ ცოლს გაშორებული, გავიცნობ მანდილოსანს, 30-40 წლამდე, ბათუმელს, სამეგობროდ ან ოჯახის შექმნის მიზნით.

24. ვარ 35 წლის, ცოლს გაშორებული, თბილისელი, ვმუშაობ, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, 28-36 წლამდე, განქორწინებულს, უშვილოს. შემეხმიანეთ.

25. აქ პირველად ვამესიჯებ, მინდა გავიცნო წესიერი და სერიოზული გოგონა, 22 წლამდე, ვისაც ოჯახის შექმნა უნდა. მხოლოდ ქუთაისელმა მომწეროს. ვარ 23 წლის, დასაქმებული.

26. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 24-ის პირველი მესიჯის ავტორი ქალბატონის ნომერი.

27. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის 20-დან 35 წლამდე ასაკის, ლამაზ ქალბატონს. ვარ სიმპათიური, დასაქმებული და განათლებული.

28. ვეხმაურები „გზა“ №25, მე-11 სმს-ის ავტორს. მსურს თქვენი გაცნობა, ოჯახის შექმნის მიზნით. თუ გამომეხმაურებით, დამიტოვეთ თქვენი ნომერი.

29. გავიცნობ სერიოზული ურთიერ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

თობისთვის 20-დან 35 წლამდე ლამაზ ქალბატონს. ვარ სიმპათიური, დასაქმებული და განათლებული.

30. გავიცნობ მანდილოსანს, მეგობრობის მიზნით. ვარ 35 წლის, ბათუმელი.

31. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს. ვარ სიმპათიური, სპორტული გარეგნობის მამაკაცი, 30 წლის. დავითი.

32. მინდა, გავიცნო ჩემთვის სასურველი მანდილოსანი.

33. ვარ 23 წლის, 178 სმ, 75 კგ, სიმპათიური ახალგაზრდა. მინდა გავიცნო ისეთი მანდილოსანი, ვისაც სითბო და ალერსი აკლია, ვინც თავს მარტოდ გრძნობს. ვინც დამეხმარება მატერიალურად, ვინც გამიგებს და გვერდით დამიდგება, მისი ერთგული ვიქნები.

34. ვარ 24 წლის, დასაქმებული, 193 სმ, 95 კგ, თეთრი კანით, შავი თმითა და ღია მწვანე თვალებით. გავიცნობ სასიამოვნო მანდილოსანს, მხოლოდ რეალურს.

ბილოსებს ბილმა

• პატარავ, გენაცვალე... ამას რომ წაიკითხავ, უკვე ნანახი მეყოლები, მაგრამ მაინც გწერ. დედას სიცოცხლე ხარ... ჩემი ურჩი, ჯიუტი, სიცოცხლე, სიხარული და მონატრება. გეხუტუნე, დედი... უფალს ვევედრები, რომ კარგად მიმყოფის შენი თავი... დედას ცუნცულავ, გიკოცნი მწვანე თვალებს. ბევრს არ მოგწერ, იმიტომ, რომ უკვე გელაპარაკე... უფალი გფარავდეს. დედა.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, შენზე ერთ საყვედურსაც არავის შევარჩენდი, დღეს კი უნდა გნახო და დასაცავად კი არა, მოსაფერებლად ვერ უნდა გაგცე ხმა, მაგრამ არა უშავს, ჩემო სიცოცხლევ. გაურკვევლობას გავუძელით ამდენი ხანი ყოჩაღად, ახლა კი ბოლო გამოჩნდა და უკვე ყველაფერი სხვაც კარგად იქნება. შენც დამშვიდდი და არც არაფერზე ინერვიულო. ხომ იცი, შენით ვსუნთქავთ და ვარსებობთ. ჩვენ კარგად ვართ, დარდი არ გქონდეს. მოგიკითხა ყველამ. გკოცნი, ქეთი.

• 3.198გი, შენი ნახვა 28-ში მიწევს, სამშაბათს. მოუთმენლად ველოდები ამ დღეს. რიკოთზე გზა არაა სტიქიის გამო და მე და დიტო შემოვლითი გზით წამოვალთ. მენატრები. თეა.

• 3.198გი, ნინოსთან წერილი მივიდა ბანკიდან, სესხზე. ყვარლის პოლიციის განყოფილებაში გამოძახების რაღაც ფორმა უნდა შეავსოს და მერე წავა განხილვაო. მამაშენსაც უთხრა.

• 3.198გი, ძალიან ღელავს ნინო, რა იქნებაო. იმედია, რაღაც შეთანხმება შედგება. იქნებ რამით შეგიძლია დაარიგო. რომ დარეკავ, ეგ საკითხები გაითვალისწინე. გკოცნი, ბუუს. თეე.

• ბარო, კვაჭი, მაგრად გვენატრები ყველას, სულ გახსენებთ, მაგრად დაგვაკლდი ყველას, მაგრამ არა უშავს, მალე ღმერთით ჩვენ გვერდით იქნები. ჩვენ ძველებურათ ვართ, არაფერია ახალი, შენებს ვნახულობთ. გამაგრდი, ძმა, ყველა შენ გვერდით ვართ, ყველაფერი კარგად იქნება. ყველამ მოგიკითხა. მაგრად გეხუტები, ძმა. სურგა ვარ.

• იკა, როგორ ხარ? გვენატრები, ხშირად გახსენებთ. გავიგე გამოგზავნის წესი და აწი ხშირად მოგწერთ. :) აბა, შენ იცი, მხნედ იყავი. მუავანაძე, ჩანჩი, მეხუ, ქრისტო.

• იკა, ახლა ყველა ერთად ვართ ხატიასთან და გაგვახსენდა ის დრო. :(გვენატრები ძალიან და გვაკლიხარ. არ მოიწყინო, მალე ჩვენთან იქნები, სულ გვახსოვხარ.

• ნუგო30, შენ, რა, მგზავნელ გოგონებს „კერავ"? ეს ფოტოსურათი რაღა იყო? ისე ვერ იმეგობრებ, არა? ან კიდევ, შენი სიმაღლე და აღნაგობა რა შუაშია? P.S. მესმის შენი. ნიკოლო.

• იკა, როგორ ხარ? დე, მე ძალიან მენატრები. როდის დამთავრდება ეს კოშმარი, ღმერთო? რწმენაში განმტკიცება გვჭირდება, შვილო, და დედა ღვთისმშობელი შენს თავს დამიბრუნებს.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლევ, როგორც იქნა, დამთავრდა ამდენი გაურკვევლობა. ახლა 10 დღის მანძილზე მოვა შენთან ფურცელი და ეგრევე დამირეკე, რომ წამოვიღო საქმისთვის. როგორ მომენატრა შენთან მოხუტება. კუწ, მიყვარხარ და მიყვარხარ. გკოცნიან დედა და ბავშვები. მე კიდევ, ბევრს გეფერები. ყოჩაღად იყავი. გაკოცე გულში. შენი ლიკუნა. გადაყვანა როგორ იქნება, ჯერ არ ვიცი. ყველანაირად ვეცდებით, საუკეთესოდ გავაკეთოთ. ნეტავ შემეძლოს შენთან ყოფნა. თავს მიხედე, გთხოვ. 1,2,3. გაკოცე, შენი ლიკუნა.

• იკა, დე, დღეს გოგონები იყვნენ, ნათუკა და მარიამ თავართქილაძე. მოიტანეს ფული, იკას ჩაურიცხეთო. 6 გოგოს აუგროვებია, ბიჭებს არ დაველოდეთო; იკას უთხარით, რომ ძაან გვიყვარსო.

• იკა კვაჭანტირაძე, როგორ ხარ? ძალიან გვენატრები ყველას. გკითხულობთ და გელოდებით. ძალიან გვიყვარხარ. მთელი ჯგუფისგან დიდი მოკითხვა. უფალი გფარავდეს. :) ლიკა დარჩია.

სხვადასხვა

• იმედით გავყურებ შორეულ გზას, ხალისით ველოდები ჟურნალ „გზას", არ ვიცი, რა აზრი აქვს სხვას, მე კი მთელი გულით ვენდობი მას!

• ბოროტება-სიკეთეს შორის ჩატეხილი ხიდია, სიძულვილ-სიყვარულს შორის, მანძილი არც ისე დიდია, სიკვდილ-სიცოცხლე ხშირად ბეწვზე კიდია.

• გამარჯობა, მგზავნელებო, ძალიან კარგები ხართ და ძალიან მიყვარხართ, არასდროს დამიმესიჯებია „გზაში" და იმედია, ჩემს მესიჯს გამოაქვეყნებთ. გმადლობ. კუსი22.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ რუისპირს (GREEN), GRAZY GIRL-ს, WANDERER-ს, ლუნას და ყველა უსაყვარლეს მგზავნელს. ძალიან მომწონს რუისპირი (GREEN) და რა ვქნაა? კუსი22.

• წყნარი საღამო, ლამაზი ოჯახი... იქვე დივანთან თამაშობს პატარა... უცებ შემზარავი წივილით სახლს დაეცა სასიკვდილო ყუმბარა... არემარე საშინელმა, შავმა კვამლმა დაფარა, რა ცოდო-ბრალი ტრიალებს, უშველი რამეს განა? ვეღარა... და აი, გათენდა, მზის სხივებმა ნისლი აყარა, ღმერთო მაღალო, გარშემო სახლის ნანგრევები ეყარა, მუხლდაჩოქილი დედა, მისი სახის დანახვამ შემზარა, ცას კვეთდა მისი კივილი, ხელში ეკავა პატარა, და ქვითინებდა მთელი ხმით, მე რად არ მომკალ, რად არა? (ღმერთო, დაგვიფარე, რომ ეს აღარასდროს განმეორდეს, აღარა!).

• ო, შენზე ოცნებას განდევნის რააა, შენ უკვე სხვისი ხარ, დამაგვიანდაა... :(ამ ჭიქით ყველა დაგვიანებულს გაგვიმარჯოს. :(ეჰ... მალიშა.

• აუ ხალხოო, ბამბუჩას, ბარამბოს, ედეს, ულიბკას და საერთოდ, ყველას გაცნობა მინდაა... გადარეული გავიცანი. ლაკვასტ, უნიჭიერესი ხარ. რუისპირ, ცუცქნას გილოცავ. :) ჰუმანოიდ.

• კაცობრიობის 3 ყველაზე დიდი შეურაცხყოფა: პირველი, როცა ბრუნომ დამტკიცა, რომ დედამიწა მრგვალია. მეორე — როცა დარვინმა თქვა, ადამიანები მაიმუნისგან წარმოიშვნენო და მესამე, როცა მე, ზიგმუნდ ფროიდი ვაცხადებ, რომ თქვენ, ყველანი სასქესო ორგანოებით აზროვნებთ. და მე არ შემიძლია, არ დავეთანხმო ამ გენიალურ ადამიანს. :) ნიკოლო.

• მკლავებში ძალა წაერთო, სულს ლევდა გვირგვინოსანი, გლოვობდა მძლავრი სამეფო. იფერფლებოდნენ ვარსკვლავნი, თვალები დედა ლომისა; სიკვდილს კი არა ნანობდა, წუხდა უღონოდ რომ იწვა. ამ დროს გაიღო კარები დამწუხრებულის დარბაზის, მომაკვდავისკენ დაიძრა ორი ლომგული ვაჟკაცი. ძმები არ იყვნენ, ძმებს ჰგავდნენ, ბიჭები მხრებგანიერნი, მტერს შიშით მიწას აჭმევდა, მარტო იმათი იერი. და აი, ღონემიხდილმა, თამარმა მოყმეთ შეხედა, კეთილი იყვეს ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. დამმარხეთ, არვინ იცოდეს, სად არის ჩემი საფლავი, დაე, ვერავინ გაიგოს, სადა მარხია თამარი; უსიტყვოდ დამასაფლავეთ წმიდათაწმიდა მამულში, არ მინდა ქვაზე ჩუქურთმა, საფლავი არვინ იცოდეს, თორემ მომხდური სპარსელი, მე მკვდარსაც არ შემიცოდებს. არ შემიცოდებს ურჯულო, ჩემს წმინდა საფლავს წაბილწავს. ცოდვას ცეცხლს წაუკიდებენ, სამშობლოს ზეცას და მიწას. ეს თქვა თამარმა და შავი, ფართო თვალები დახუჭა, სიკვდილის ბევრჯერ მძლეველი, დღეს სიკვდილს ვეღარ გადურჩა. ვა-

ჟკაცებს ცრემლით აევსოთ, ცეცხლის მფრქვეველი თვალები, გულის ფიცარზედ ეწერათ, თამარის დანაბარები. 9 დღე იგლოვეს ცხედარი, დიდებულ თამარ მეფისა, მეცხრე ცათამდე ავიდა გლოვა და ზარი ქვეყნისა, და უპირქუშოდ ჩამოდგა, დროჟამი განსვენებისა. 9 კუბო გამოიტანეს, მხრებით წაიღეს 9 მხარეს, შავმოვლებული დროშები, გულის ფანცქალით დახარეს. 9 მხარეს ხალხი ვიდოდა, 9 მთაზე გადამავალი. 9 კუბო მხრებით მიჰქონდათ და არ იცოდა არავინ, მაინც რომელში ესვენა მეფეთა მეფე თამარი. ამ ორმა სხვების მალულად, მთაში გათხარეს საფლავი და დაიტირეს ერთგულად, თამარი, დედა მშობელი და ქვითინებდნენ ვაჟკაცნი, თვალზე ცრემლშეუშრობელნი. დამარხეს სადღაც მთის ძირას, წყაროს ჩუხჩუხი რომ ისმის, სადაც ყოველთვის მაისობს ფერად-ფერადი მაისი. დამარხეს, მერე წამოდგნენ, დაეშვნენ თურმე ბილიკზე, წყაროსთან შედგნენ და მერე, წყალი ისხურეს სახეზე. მიწანათხარი ხანჯლები, პრიალა ქვაზე დალესეს; დალესეს, მერე წამოდგნენ, ერთმანეთს გადაეხვიენენ, ჯერ გადაკოცნეს და მერე, გულშიო ჩაჰკრეს ხანჯლები. ასე ამბობენ წყაროსთან, სისხლი დაღვარეს ალალი, რომ ქვეყნად არვის სცოდნოდა, სად დაიმარხა თამარი.

• სალამი. მე ახალი ვარ. მიმიღებთ? ძალიან მიყვარხართ და მოვიკითხავ ჩემს ქმარუკას, რომელიც თურქეთშია და მუშაობს. ვაჟა, მენატრები. ანეტა22.

• სევდიანო ქალო, ძალიან მომწონს შენი ლექსები. რომ ვიმეგობროთ, შეიძლება? ანეტა22.

• ჩვენ ხომ ორივე ერთ ბედქვეშ ვიწვით, გზა ცხოვრებისა ერთი გვაქვს ნაზი; ის არ სჯობია ტკბილი ალერსით, ჩავახშოთ გულის სევდა, ლამაზო. კუნკულა.

• ნიკოლო, შენ კი არა, ვისაც მინდა, რომ აქ ვიცნობდე, იმათ არ ვიცნობ. ასე რომ, რაღაც გეჩვენება, იდეინნო პროტესტანტო. :) ატარექსია.

• ახლა ვინც ეს ექსკურსიის იდეა წამოჭრა, ინებოს და ორგანიზებაც ითავოს! ან სევდიანი ქალის არ იყოს, სახინკლეში მაინც წავიდეთ. ატარექსია.

• ბოლო ხანებში ერთი კითხვა ამეკვიატა: როდიდან ვიწყებთ დაბერებას? უფრო სწორად რომ ვთქვა, რა ასაკიდან ვიწყებთ დაბერებას? ან იქნებ, მთელი ცხოვრება ვბერდებით? ატარექსია.

• დიკი ანგელ, 27-ში შენი დაბიდუბია. ჰოოდა, გილოცააავ. დაგვიანებით თუ ისე. :) მე იმაზე კარგად გიცნობ, ვიდრე შენ გგონია, მაგრამ მაინც ინკოგნიტოდ დავრჩები. ბაბი.

• ხამსა, შევქმნათ დიკი ანგელის ფანკლუბი. :)) გიჟები — ერთად. ბაბი.

• ლუნიტა, რაო? გათხოვილ ქალს ტელეფონი არ უნდა ჰქონდესო? ეს რა უნიკალური მსოფლმხედველობა გქონია. ისა და, სანამ გაუთხოვარი ხარ, იქნებ ჩადრით გევლო? რა ვიცი, აბა?! :) ნიკოლო.

• იმედი მაქვს, „გზა“ „მედიაპალიტრის“ სხვა გამოცემებთან ერთად, ნაცების მეხოტბე ან უკეთეს შემთხვევაში, „დავარცხნილი“ ჟურნალი არ გახდება. არ შეეპუოთ დიქტატურას! ნიკოლო.

• შენი სახე ბადრი მთვარე მგონია, ნარგიზივით დამიჭკნები, მგონია; ეგ ოხერი, რა ქვა გული გქონია, ერთი კოცნა დიდი რამე გგონია.

• აქ ძალიან ბევრი რაღაც ნიღბებსაა ამოფარებული. ქაჯების დედოფალო, შენ მართლა უგვანო ქაჯი ხარ, რა. რუისპირზე აღარაფერს ვამბობ. ყველამ დაინახა მისი სახე. გრაცია.

• ნიკოლო, მეც მომწონხარ. :) წაუჩემნაირებ და ვიმეგობროთ? WANDERER, ველოდი შენს სმს-ს ამაოდ. იქნებ ფეისბუქი ან ოდნო მითხრა? გიპოვი. მიყვარხართ ყველა, არ დამეკარგოთ. ლი23.

• ვერა ქობალიას ვენაცვალე, დამფრთხალ თვალებში. ჩემი ფავორიტი გოგოა. რა ცოდვაა ეგეთი კოხტა არსება, ადამიანის მსგავსი ვირთაგვების გარემოცვაში. კუნკულა.

• მამუკა თავართქილაძე, 1-ელ ივლისს 42 წელი შეგისრულდებოდა. მეექვსე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, ჩემო ძამიკო. რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები.

• როგორ მიყვარხარ, იცი? თვით სიცოცხლეზე მეტად. ჩემი სიცოცხლე ხარ, ვახო, ჩემი უკუღმართი. მიყვარხარ.

• კობა გუგუტიშვილო, გმადლობ, რომ ასეთი სიყვარული მაპოვნინე, ვახოს სახით. დღეს ის ჩემი სიცოცხლეა და შენ მოგკლა ჩემში. უბედნიერესი ვარ.

• მამუკა თავართქილაძე, შენ ხომ განგებამ გამოგარჩია და ბინადარი გაგხადა ცათა. დაბადების დღეს ზეცად შეხვდები. ივლისი დადგა. მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამქვეყნად. დაე, ყველა ჩვენგანის მონატრებამ და დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობაში, ჩემო ძამიკო. ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მენატრები.

• გამარჯობა, მარი. :) „გზას“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ პირველად გწერთ. ამ თემის სათაური ძალიან მომეწონა და თავი ვერ შევიკავე მოწერისგან. ჩემთვის დაუვიწყარი დღე ჩემივე დაბადების დღე იყო. ამ დღეს ჩემმა მეგობრებმა სკოლაში სიურპრიზი გამიკეთეს — შუშხუნები, საჩუქრები, „მასკები“, ქუდები. ერთი სიტყვით, ძალიან კარგი იყო, მაგრამ ყველაზე კარგი იყო, როდესაც ჩემთვის საყვარელი ადამიანი მოვიდა და ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში პირველად ჩამეხუტა და ისე მომილოცა დაბადების დღე. ალბათ არაა საჭირო ამ გრძნობის აღწერა, რაც მე ვიგრძენი. ყველა გოგონა მიხვდება, რას ნიშნავს, როგორია, საყვარელი ადამიანი როცა გეხუტება. :) მოულოდნელი იყო ეს ყველაფერი ჩემთვის. ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

• რა ლამაზიიიიიიიიი თვეაااااااااა, რა ნათელიიიიი მზეაა, იმიტოოომ რომ 4-ში ლიმონაااااს, 11-ში რეალის დაბადეეების დღეااااااااااა. ;) მოკითხვა თელავიდან მგზავნელებს. ახლა ერთად ვართ და ნოსტალგია გვძალავს. სხვა თუ არაფერი, „გზავნილებმა“ გაგვაცნო ერთმანეთიიი. :) რას შვრებით, ხომ არ მოიწყინეთ უჩვენოოოოდ? ჰაა? ააარც გაბედოოოოთ! მის რეალი: ჰა, თელავში ჩამოვიდა თეო, უფრო მაგრად ამოვიდა მზეო, ვერას გვაკლებს ჩვენ სეტყვა და ქარი, გამარჯობა, ჯაფარიძე მარი! მოდი, ლიმონ, ამიყოლე რითმა, ვერ გაგვართო ჩვენ ვერც ერთმა მითმა, ანგელოზებს დასცვივნიათ ფრთები, რა მოხდა, თუ შევიჭერი თმები. ლიმონა: აკრიჭინდა წარსულიდან ექო და დალალებს დაათოვა ვეტო, სულს სიმების აურია კრედო, როცა თავი ჩემს ბალიშზე ედო. მომავლის ცას მზის სხივები ჰფენდა, ცხადს სიზმრეულ რეალობას სძენდა, საწოლიდან მიღიმოდა ბავშვი, მწვანე შუქი ციალებდა თვალში, „გზას“ მოჰგავდა, „გზავნილებზე“ გაშლილს. მასში ამ გზას ვერც ვერავინ წაშლის. მის რეალი: მწვანე შუქსაც ხან ეცვლება ფერი, ხანდახან მეც სხვა ნოტებზე ვმღერი. ლიმონა: მაშინ მოდი, მე დაგიწერ სოლოს, ერთ მაჟორზე რომ ვიმღეროთ მხოლოდ. მის რეალი: მგზავნელებო, თქვენ მოგვეცით ბანი, მეგრელი ხარ, კახელი თუ სვანი. ამ ლექსისკენ თუ გაგექცათ მზერა, კვლავ გასაღებს დაუბრუნდა ჟღერა. ორივე: მაშ, კეთილად შემოგვედგას ფეხი, მოწყენასაც წავამტვრიეთ კეხი. :) მის რეალი-ლიმონა.

• რატომ არ იღებს საზოგადოება ე.წ. ნაცირებს? განა ისინი ჩვენნაირები არ არიან? ხალხო, მათ ჩვენი გვერდზე დგომა სჭირდებათ. მათ საქციელში ხომ ჩვენც მიგვიძღვის ბრალი.

• დაუვიწყარი დღე ექნება ჩვენს ძვირფას ლექტორს, მთელი სასწავლებლის სტუდენტების მშობლები დაუმსახურებელი, დაბალი ქულებისთვის ჯანდაბაში რომ გაგზავნიან. ისეთ ქულებს წერს, რომ გადაბარება არავის ასცდება, ეს კი აწყობს, რადგან თითო სტუდენტიდან თითო გადაბარებაზე 10 ლარს იღებს. არ დაავიწყდება ის დღე, ნამდვილად! მაცმაცუნა.

• გამარჯობა, მარ, მიყვარხართ ძალიან. დაუვიწყარია დღე, როცა ჩემი სიცოცხლე ადამიანი გავიცანი. ხუტუნა, მიყვარხარ.

• გამარჯობა! 19 წლის ვარ და ძმაკაცის ახლობელი გოგო მიყვარს. მგონია, რომ მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ჩვენ შორის ერთი პიროვნება დგას — სწორედ ის ძმაკაცი. მე ჩემს ძმაკაცს ვერ ვეუბნები, რომ მისი ახლობელი მიყვარს, რადგანაც მიტყდება. ვიცი, რომ ის ასეთს არასდროს გამიკეთებდა. გთხოვთ, მირჩიეთ, ვუთხრა ჩემს ძმაკაცს ყველაფერი თუ ეს სიყვარული გულში ჩავიკლა? გაგა.

• გამარჯობა, მე „გზას“ ძალიან იშვიათად ვკითხულობ, მაგრამ რამდენიმე ნომერში თვალი მოვკარი თემებს თინეიჯერებზე, მარტოობასა და როკზე. იცით, თინეიჯერებისა და საერთოდ, როკერების გაგება ძნელია. მე თვითონაც როკერი ვარ, უკვე 3 წელია და ძალიან მაღიზიანებს ეს საზოგადოება. ისე, თინეიჯერებს გარყვნილებას რომ გვაბრალებენ, ერთი ალექსანდროვში გაიარეთ, მამისტოლა კაცები რომ ზასაობენ. MERIEN GHOUL

• სალამი, მარი, მგზავნელებო თუ უბრალოდ, მკითხველებო. როგორ ხართ? რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, არასდროს ვაქცევდი ახლების ნაწერს ყურადღებას. ახლა წავიკითხე და ძალიან ვიხალისე. მომიტევე,

ბუცა. შენი მოკითხვა მიღებულია. ეგოისტი, ჰო? ჩემნაირო! :) ნიკოლოს არ ვიცი, მაგრამ მე პირადად პროვინციელი კუნკულა ძალიან მომწონს! ჯანსაღი იუმორის გრძნობა აქვს, ჭკუამხიარული ტიპია. კუნკულ, მე შენი ფანი და გულშემატკივარი ვარ. :) სონა, მეც გკოცნი შუბლზე. ახლა თავს როგორ გრძნობ? ლი23 (ლიზი), ტალკერ (სალი), ლიფ-სო, მიხარია, ჩვენთან ერთად რომ ხართ! :) მოგიკითხავთ სიყვარულით. სიამოვნებით გაგიცნობდით და მოგიშლიდით ნერვებს. ჰოოოოდა... თეთრო, ეგოისტო, ბამბუჩა, ეს თქვენც გეხებათ. P.S. დიკი ანგელ, მეღიმება შენს სმს-ებს რომ ვკითხულობ, არადა, სხვა ინფოს ვფლობ შენზე, სანდო ადამიანიდან — 19 წლის ხარ, სკოლა ახლა დაამთავრე, გათხოვებაც მოგისწრია და გამოთხოვებაც. მოგცლია, ერთი, შენი არ ვიცი, მაგრამ მე ქმართან გაშორების დღეს სახლში დისკოთეკა მოვაწყვე. :) დასაკარგი დაკარგე, გასაშვები გაუშვი. წარმატებები. ნაომი.

•სტინგის კონცერტზე რომელიმე მგზავნელი აპირებთ ჩამოსვლას? ისე, რაც ღირებული და გემოვნებიანი კონცერტია, ყველა ბათუმში კეთდება. თბილისს კი ნინო ჩხეიძით მოაქვს თავი. თუ სოფო ნიჟარაძეს ან ხალვაშს მეტყვით, გაგახსენებთ, რომ ისინიც ბათუმელები არიან. ჯგუფი „თბილისის“ და გვანცა დარასელიას სიმღერა, თავისი კლიპითურთ, ვის მოგწონთ? მე ვიტირე მაგ კლიპზე. გველი კი არა, ბოთე ვარ. ბოთეეეე! მარ, თიკა ფაცაცია ჩემზე მაღალი ყოფილა, ოღონდ ცოტათი. აზრზე ხარ? ნაომი.

•არ მიყვარს უემოციო ადამიანები, რომლებსაც არ ეტყობათ არც სიხარული, არც წყენა, არც გაბრაზება... ვინც ასეთი სახის მიღმა ამჯობინებს, თითქოს არაფერი ხდებოდეს, ეს თავის მოტყუებას უფრო ჰგავს, უბრალოდ პრობლემის დაფარვის საშუალებაა... რა თქმა უნდა, მომხდარ ფაქტებზე ადამიანები სხვადასხვანაირად რეაგირებენ. ზოგი ადამიანი უფრო მგრძნობიარეა, ზოგი კი საშინლად გულგრილი... პირადად მე, ძალიან მაღიზიანებს ასეთი კატეგორია. დარწმუნებული ვარ, რომ ყალბია მათი ისეთი დამოკიდებულება ცხოვრების, ადამიანების, გარემოს და იმ ამბებისადმი, რაც მათ თავს ხდება. უბრალოდ, კარგად მორგებული ნიღაბია, რომელსაც ისე არიან მიჯაჭვულნი, რომ შეიძლება დაინტერესდე, სიმართლისთვის თვალის გასწორებას ახერხებენ ოდესმე? შეიძლება ითამაშო რაღაც სიტუაციაში, მაგრამ მუდმივად? ის ადამიანები, ვინც შენ გვერდით არიან, აუცილებლად შეატყობენ, რომ თამაშობ... მე უბრალოდ, ვეღარ ვენდობი ასეთ ადამიანს... იმიტომ, რომ მან ჯერ ერთი, თვითონ არ იცის, რა უნდა და მეორეც, აქვს პრინციპები, რომელსაც ჩემნაირი ემოციური ადამიანი ვერასდროს შეეგუება... ასე რომ, მისტერ და მისის რკინაბეტონები, ჩემგან რაც შეიძლება შორს! :) ამ თვისებების სიყალბეს ამიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ბევრი ჩემი ახლობელ-მეგობრისგან გამიგია მსგავსი სიტყვები: საშინლად მოწყენილი ვარ, მაგრამ ვერავინ ვერაფერს შემატყობს. არ ვამბობ, რომ საქვეყნოდ უნდა გამოაცხადო, თუ რაიმე გაწუხებს, მაგრამ არც ამ გრძნობის შენი ნერვების ფასად მიჩქმალვა ღირს, რომელიც ადრე თუ გვიან, მაინც თავს იჩენს... ზოგჯერ ეს აგრესიასაც იწვევს... აგრესიულები ხდებიან ყველას მიმართ, არ ესმით ხუმრობა, სულ ჰგონიათ, რომ მათ საქმეებში ერევიან... არ ვწერ კონკრეტულ პირზე, თუმცა, რამდენიმე დღის წინ მეც გადავეყარე ერთ ასეთ უდარდელს. და თუ არ გყავთ მეგობარი, რომელსაც თქვენ შესახებ დაელაპარაკებით, ნუ დაიტოვებთ გულში ნურაფერს, გამოხატეთ ემოცია, დადებითიც და უარყოფითიც იმ წამს, როცა იგრძნობთ... ხანდახან ესეც საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ შეუძლებელია, მუდამ ერთი მიწებებული ნიღბით ცხოვრობდე... თავშეკავებულებიც იყავით, ოღონდ მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვს ამას... სხვის დასანახავად კარგად ყოფნა არ შეიძლება. ჯობს, მოცემულ მომენტში იყოთ გულწრფელები, რომ მერე აღარ წუხდეთ რამეზე... P.S. ის საფასური, რასაც იხდი იმ წვრილმანი პრობლემების გადასაჭრელად, გაცილებით მცირეა, ვიდრე ის, რადაც გვიჯდება თავის ისე დაჭერა, თითქოს არაფერი ხდებოდეს... ლაკვასტი.

•და სანამ სხვა ქალი გააჩენდეს, აქ არის იგი, სიჩუმის წამზე შეყოვნებული და ნება შენია, წაიკითხავ თუ არა... ნებაზეც გეტყვის, თავისუფლებაზეც... საერთოდაც, შინაურივით ჩამოგიჯდება თვალწინ და თუ შეძლებ და ბოლომდე მოუსმენ, იქნებ დიდი ხნის დაუგემოვნებელი წიგნისგან გამოწვეული რაღაც ცრემლის მსგავსითაც კი წამოგატიროს. გაიკვირვებ... სტრიქონებთან უფრო მეტად მიუჩოჩდები და თითოეულს რამდენჯერმეც გადაკრავ თვალს. თითქოს სადღაცდან გეცნობა ეს ცოდნაც და ლაპარაკიც, თითქოს შენივე გულიდან ამოაქვს და წინ გიშლის შენსავე ცოდნას, ღრმად, ღრმად დამარხულს... მერე შესაძლოა, იამაყო კიდეც, რომ ამ წიგნის კითხვის მანძილზე, მთელი ეს დრო მე არ მყავს მეგობარი, რომელიც გაყინულ ოთახში ზის და ისე წერს, თითქოს ძველი გადამწერი იყოს, საკრალურ ტექსტთა გადამთარგმნელი, ჯერ რომ საჩინო სასმლის მოხმობას შესთხოვს მკითხველს და მერე ალაპარაკდება... მე მყავს მეგობარი, რომელიც თავის ოთახში (შესაძლოა, გაყინულშიც...) ზის, თავისი აწმყოთი და სინამდვილით ბუნებრივი; უსაზღვროდ ტკბება იმით, რომ წერს და დროდადრო ესიზმრება რაღაც... ყველა ზეცა გადავა და დარჩება თანაგრძნობა — როგორც ახალი ნიჭი, ახალი სიცოცხლე. არავინ იცის, საუკუნეების შემდეგ ადამიანები როგორი სიტყვებით, როგორი ენით დაელაპარაკებიან ერომანეთს, მაგრამ ამ საუბარში აუცილებლად იქნება სიზმარი, შეგრძნება, ხილვა, რათა სიცოცხლე არ მოსწყდეს თავის ფესვებს და დასასრულამდე გარდაიცვალოს სხვა სიცოცხლეში. უამრავ წინასწარმეტყველთა შორისაც არსებობს ერთი, ისე, როგორც საბოლოოდ ყველა მრავალი, ერთში მთლიანდება. წინასწარმეტყველი ხვალის ენაა... ყველას ჩვენ ჩვენი გვაქვს ხვალე... ლაკვასტი.

•თუ შეყვარებული ხარ, ნუ იტყვი: „ღმერთი ჩემს გულში“. უმჯობესია თქვა: „მე ვარ ღვთის გულში“. არასდროს იფიქრო, რომ სიყვარულის მართვა შეგიძლია. თუ იგი ღირსად ჩათვლის, თავად გატარებს შენივე გზაზე, რადგან სიყვარულის ერთადერთი სურვილი თავის პოვნაა და შენც მხოლოდ სიყვარულით შეიცნობ თავს. მაგრამ თუ შეყვარებული ხარ და სურვილებზე უარს ვერ ამბობ, დაე, შენი სურვილები ასეთნი იყვნენ: რუს ემსგავსე, რომ გამდინარდება, გაზღვავდება და მღერის დღედაღამ. რომ უსასრულო სინაზით უდიდეს ტკივილებს სწვდება. რომ წყლად იღვრება და სისხლადაც და უხარია თავისი ჭრილობა, რადგან შენდა წილად კიდევ ერთი დღე გერგო, შუადღესაც იმაზე ფიქრით ისვენებ, რომ ბედნიერი ხარ და საღამოობით ისევ მადლობას აღავლენ, რადგან იცი, რომ ხვალაც გეყვარება, ვისზეც ლოცულობ და გულში იკრავ, ის ღამითაც შენთანაა და შენც ღამეს ადიდებ, მან ხომ თავი დაგითმო და ის დღეც შენთვის დააღამა. გიყვარდეთ ერთმანეთი, სადამდეც შეძლებთ, დაე, მიჯნურის ქებით ჩაგთვლიმოთ, თქვენ გულში რაც იღვწის და ტუჩებზე გედებათ სიტყვებად... ლაკვასტი.



გილოცავ!

•ტირიფი73-ს მინდა იუბილე მივულოცო და ვუსურვო ყველაფერი კარგი ცხოვრებაში. ღვთის წყალობა არ მოგაკლდეს. გაკოცე, ძალიან მიყვარხარ. მუდამ შენი გადარეული გრუზინკა.

•ტირიფი73-ს: ნონ, იუბილეს გილოცავ და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. ძალიან მიყვარხარ. დაგლოცოს უფალმა. გაკოცე უამრავი.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჭაიმ-აუჭი

„ჩოხოსანი ჭიდაობის“ მამამთავარი

„მართალია, მოხუცი ვარ, მაგრამ პუტინს მაინც წავაქცევ, თუ დამეჭიდა, რა თქმა უნდა“, — ირწმუნება საქართველოში ძიუდოსა და სამბოს ფუძემდებელი — ქრისტეფორე ნინიაშვილი. „ჩოხიანი ჭიდაობის“ მამამთავრად აღიარებული ბატონი ქრისტეფორე 33 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი; ოთხჯერ გახდა ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში (XX საუკუნის 40-ციან წლებში), ორჯერ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამბოში. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობისთვის მიღებული აქვს არაერთი ჯილდო. უხუცესი ფალავანი ღირსების ორდენოსანიც გახლავთ. ახალგაზრდა სპორტსმენებზე განაწყენებულია და ამბობს, რომ ზოგიერთ მათგანთან პურის საჭმელადაც კი არ დაჯდება...

სათუნა გახტურიძე

— ბატონო ქრისტეფორე, ახალგაზრდა ფალავნებს რას ერჩით?

— იმას, რომ ისე ვეღარ ჭიდაობენ, როგორც საჭიროა. შეიძლება ეწყინოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: სამბისტთა ახალგაზრდა მწვრთნელმა, ბადრი ჯანიაშვილმა მოსკოვში ისეთი მოუმზადებელი გუნდი წაიყვანა, მესამე ადგილი ძლივს დაიკავეს... ჩემს ბიჭებს რუსები ვერასდროს ამარცხებდნენ. ქართველი მოჭიდავეები ყოველთვის საუკეთესონი იყვნენ... ბევრი ჩემპიონი გავზარდე, მათ შორის ზოგიერთი, შესანიშნავი მწვრთნელიც დადგა. არც კი ვიცი, რომელი ერთი დავასახელო — შოთა ზუკაკიშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, აკაკი ნინიაშვილი, ანზორ ზურაბაშვილი, ოთარ ყურაშვილი, ანზორ კიკნაძე, გურამ პეტრიაშვილი, ზაურ სახვაძე, გურამ სიმონიშვილი...

— თქვენ ვინ გასწავლათ ჭიდაობა?

— ჭიდაობა სოფელში, ნახერხმოყრილ მოედანზე ვისწავლე. კასპის რაიონში, ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეში 1921 წელს ვარ დაბადებული. დედაჩემი თბილისელი ქალი იყო, მამაჩემი კი — კარის აზნაურის ვაჟიშვილი. დედა ზაფხულობით ხშირად ჩადიოდა ხოვლეში თავის დეიდასთან. მამაჩემიც იქ გაუცნია. ერთმანეთი მოსწონებიათ და მალე დაქორწინებულან... ექვსი დედმამიშვილი ვიყავით — 3 ძმა და 2 და. მე ბებიამ, დედაჩემის დედამ, დარო კასრაძემ თბილისში წამომიყვანა და სკოლაშიც აქ შემიყვანა. მთელ ზაფხულს მშობლებთან ხოვლეში ვატარებდი და ძმებთან და მეგობრებთან ერთად ვჭიდაობდი.

— პუტინის წაქცევას როგორ აპირებთ?

— ისე, როგორც სხვა რუსები წამიქცევია! პირველად რომ ჩავედი მოსკოვში, ჩემპიონებს — ჩუმაკოვს, ანდრეევსა და ბედას დამაჭიდეს. ყველას მოვუგე. სხვათა შორის, სამბო ანდრეევის მწვრთნელის გამოგონილი იყო, შესაბამისად, ის ყველაზე ძლიერი იყო, საუკეთესო ტექნიკას ფლობდა. ასაკითაც ჩემზე უფროსი იყო. მე კი ახალბედა ფალავანი გახლდით, რომელმაც ქართული ჭიდაობის გარდა არაფერი იცოდა. იცით, ანდრეევმა რა ქნა? მხატვარს ჩემ მიერ ჩატარებული ილეთების დახატვა სთხოვა, მერე იმ ნახატებით იხელმძღვანელა და მეორე წელს, ზუსტად ჩემი ანუ ქართული ჭიდაობის ილეთებით დამამარცხა. თუმცა ტატამზე ჩვენი საბოლოო შეხვედრა მაინც ჩემი გამარჯვებით დასრულდა. 1968 წლიდან ჩემთვის აღარავის მოუგია...

— როცა ფრონტზე წახვედით, უკვე ცნობილი მოჭიდავე იყავით?

— არა, მაშინ 20 წლის ვიყავი. ომში ჩემს ორ ძმასთან — აკაკისა და ონოფრესთან ერთად წავედი. უკან მე და აკაკი დავბრუნდით, ონოფრე ქერჩის ფრონტზე დაგვეღუპა.

— თქვენ რომელ ფრონტზე იბრძოდით?

— მოსკოვში წამიყვანეს. ერთი წლის შემდეგ, სტალინის ბრძანებით, იქიდან ყველანი სტალინგრადის ფრონტზე გადაგვიყვანეს.

— ფრონტზე როგორი განწყობილებით მიდიოდით? ხომ არ ფიქრობ-

დით, რომ სხვის ომში უნდა გებრძოლათ?

— არა, ასე არ ვფიქრობდი: ომი გერმანიას რომ მოეგო, ის ქართველებსაც ისევე სასტიკად გაგვისწორდებოდა... ვიბრძოდი, როგორც შემეძლო. ერთხელ ჭურვის ნამსხვრევი ფეხში მომხვდა, მაგრამ ვიდრე ჩექმა სისხლით არ ამევსო, ვერაფერი ვიგრძენი. სხვა დაჭრილებთან ერთად, საბარგო მანქანით სარატოვში გადამიყვანეს. მკურნალობის შემდეგ, მატარებელში ჩამსვეს და ბაქოში გამამგზავრეს, იქიდან კი თბილისში გამომიშვეს. თურმე დაჭრილებს ფრონტზე ხელმეორედ ორთაჭალის გამანაწილებელი პუნქტიდან უშვებდნენ. ჩემი საქმე ერთ გაქართველებულ რუს ლეიტენანტს შეხვდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ფრონტზე აღარ გამიშვეს. დიდუბის „ავტორემონტში“ დამაწყებინეს მუშაობა. აკუმულატორებს ვაკეთებდით. 1944 წელს ქართულ ჭიდაობაში თბილისის საქარხნო სპარტაკიადა ჩატარდა. ჩვენმა ინსტრუქტორმა იცოდა, რომ კარგად ვჭიდაობდი და შეჯიბრებაში მეც ჩამრთო. 1-ელი ადგილი დავიკავე. ამის შემდეგ „დინამოში“ მიმიყვანეს და ჩემი თავი ილია თომაშვილს ჩააბარეს. იმავე წელს საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ამასობაში, ფრონტიდან ჩემი ძმაც ჩამოვიდა და ორივემ გადავწყვიტეთ, ქართულ ჭიდაობასთან ერთად, სამბოც შეგვესწავლა. 1950 წელს სამბოში საქართველოს მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს; ამასთან, ქართულ ჭიდაობასაც ვასწავლიდი.

— სამბოს სწავლა საქართველოში დაიწყეთ?

— არა, სამბო და ძიუდო საქართველოში მე და ჩემმა ძმამ „ჩამოვიტანეთ“. ყოველ წელს, მოსკოვში მწვრთნელთა სემინარებზე დავდიოდით და სამბოც მაშინ ვისწავლეთ. მაშინდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სამბოს მილიციის თანამშრომლებიც უნდა დაუფლებოდნენ (ომი ახალი დამთავრებული იყო, ქალაქში უამრავი ხულიგანი დადიოდა, ხალხს დაცვა სჭირდებოდა). ქართული მილიციისთვის სამბოს ილეთები — ქურდის განიარაღება, დაკავება — მე უნდა მესწავლებინა. გარკვეული დროის შემდეგ — უშიშროების სკოლა, მილიციის სკოლა და საბადრაგო დივიზიონიც მე მომამაგრეს.

— თანამდებობის პირებსაც ავარჯიშებდით?

— დიახ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ჩემი მოწაფეები იყვნენ. პოლკოვნიკი სახვაძე და მილიციის კაპიტანი ანზორ ზურაბაული კარგი ბიჭები იყვნენ...

— საკუთარ შვილებს თუ ასწავლეთ ჭიდაობა?

— როგორ არა, ჩემი ერთ-ერთი შვილი — ელგუჯა თბილისის ნაკრების წევრი იყო. სოციალისტური ქვეყნების პირველობაზე საკუთარ შვილთან შუამავალ მსაჯადაც კი გამიშვეს.

— მერე რამდენად ობიექტური იყავით?

— ნამდვილად ობიექტური გახლდით. მაშინ ელგუჯამ პირველი ადგილი დაიკავა... მეორე შვილი ხუთჭიდელი იყო; პოლიციის მაიორია, მაგრამ ახლა უკვე პენსიონერია. სხვათა შორის, მე უფრო დიდი პენსია მაქვს, ვიდრე მას.

— თქვენ რამდენი გაქვთ?

— 233 ლარი, ჩემს შვილს — 100. ვიდრე პენსიაში გავიდოდი, შინაგანი ჯარების სპორტკლუბის მწვრთნელიც ვიყავი, იქ მაღალი ხელფასი მქონდა.

— რამდენი წლის იყავით, ბოლოს რომ გახვედით საჭიდაო ხალიჩაზე?

— 85 წლამდე ვჭიდაობდი. მართალია, შეჯიბრებებში აღარ ვმონაწილეობდი, მაგრამ ჩემს ჭიას ვახარებდი.

— მიუხედავად იმისა, რომ 90 წლის ბრძანდებით, საკმაოდ კარგად გამოიყურებით; ამას მხოლოდ სპორტს წყალობით მიაღწიეთ?

— სიმართლე რომ გითხრათ, მთლად კარგადაც აღარ ვარ, — ბოლო დროს თავის ტკივილები დამჩემდა... 1994 წელს შვილი გარდამეცვალა და მაშინ წნევამ ამიწია. მას მერე ვეღარ გამოვკეთდი.

— თქვენს შვილს რა შეემთხვა?

— ყელის კიბო ჰქონდა. ოპერაცია გავუკეთეთ და თითქოს კარგადაც იყო, მაგრამ მერე უცებ სისხლდენა აუტყდა და (*პატონი ქრისტეფორე შვილის სურათზე მანიშნებს. — ავტ.*)... აბა, ამის შემყურე, კარგად როგორ უნდა ვიყო?!

— მეუღლე თუ გყავთ?

— პირველი ცოლი 1968 წელს გარდამეცვალა. ეთერი კარგი მეუღლე, დედა და მეგობარი იყო. მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ სიცოცხლე აღარ მინდოდა... 11 წელი ვიყავი ქვრივი, მერე ისევ

სამბო და ძიუდო საქართველოში მე და ჩემმა ძმამ „ჩამოვიტანეთ

დავოჯახდი. რუსიკოსთან ერთად 19 წელი ვიცხოვრე, მაგრამ ისიც გარდაიცვალა და დავრჩი ასე...

— მარტო ცხოვრობთ?

— არა, საცხოვრებლად შვილთან გადმოვედი. ჩემს მოსანახულებლად, შვილიშვილებიც ხშირად მოდიან. ცდილობენ, ყურადღება არ მომაკლონ. ■



ყავა — მსოფლიო სასმელი

⅄ ყოველდღიურად მსოფლიოში 1,5 მლრდ ფინჯან ყავას სვამენ. ევროპაში ყველაზე მეტ ყავას ფინელები და ნორვეგიელები მიირთმევენ.

⅄ დღესდღეობით, 70 სახეობის ყავა არსებობს, მათგან ყველაზე პოპულარულია: „რობუსტი“ და „არაბიკა“.

⅄ თავდაპირველად ყავას მარცვლებისგან ხარშავდნენ. შემდეგ მისი დაფქვა ისწავლეს. 1554 წელს პირველი ყავახანები სტამბოლში გაიხსნა. სირიელები ახალდაფქულ და მოხარშულ ყავას არომატისთვის მიხაკსა და ილს უმატებდნენ.

⅄ ყველაზე ძვირად ღირებულ ფინჯან ყავას იაპონიაში მოგართმევენ. იამაიკური რომით შეზავებული Jamaica Blue Mountain 30 ევრო ღირს. 1945 წლიდან იაპონიაში ყავას ყინულით მიირთმევენ. ამომავალი მზის ქვეყანაში ყავახანას Kissaten ჰქვია. იაპონიაში 1-ელი ოქტომბერი ყავის დღედაა გამოცხადებული.

⅄ ფრანგები დილაობით დიდი ჭიქით სვამენ რძიან ყავას, იტალიელები — მაგარ რისტრეტოს. ამერიკელები Starbucks-ის ყავახანებში 2 ჭიქა ამერიკანოს მიირთმევენ, 3 ჭიქის ოდენობა კი თან მიაქვთ. არაბები დილის 4 საათზე ქვიშის გაცხელებას იწყებენ, სპილენძის ჯეზვეში არომატული ყავის მოსახარშად.

⅄ ძველად მიიჩნევდნენ, რომ ყავა მებრძოლებს ძალას მატებდა, ფილოსოფოსებს კი — სიბრძნეს. ყავა არაბულად „სიძლიერეს“, „აქტიურობას“ ნიშნავს.

⅄ ევროპის კაფეებში დილით კაფე-ნეროს (საშუალო სიძლიერის შავ ყავას) მოგართმევენ, საღამოს — კაფე-ფერტინგს არყით. ასევე პოპულარული სასმელებია: ფიაკერი (ესპრესო ან მოკო რომით ან კონიაკით), მარია-ტერეზინა (მოკო ფორთოხლის ლიქიორით), აირიში (ყავა შაქრითა და ვისკით), ჰოთ-შოტი (ლიქიორითა და ნაღებით) და ა.შ.

⅄ თუ დილაობით ფრანგები რძიან ყავას სვამენ, საღამოს ლიეჟუას (ყავა ვანილის ნაყინითა და ნაღებით) მირთმევენ; დღის განმავლობაში — ლატეს, მაკიატოსა და კაპუჩინოს.

⅄ ავსტრიელი ოფიციანტი აინშპენერით (მოკო ათქვეფილი ნაღებით) ან მელანჟით (ყავა რძით) გაგიმასპინძლდებათ. შვეიცარიაში ტრადიციულად შიუმლის (ფილტრის ყავა) მოგართმევენ.

⅄ ყველაზე მოცლილი კლიენტები აფრიკულ ყავახანებში დადიან. ოფიციანტი, თქვენ თვალწინ, რეცხავს ყავის მარცვლებს, შემდეგ მოხალავს, გააგრილებს, ხელის საფქვავში ჩამოფქვავს, მოხარშავს და მოგართმევთ.

⅄ ამბობენ, რომ ეკატერინე II იმდენად მაგარ ყავას სვამდა, რომ ჭიქაში მორჩენილ ნალექს კიდევ უამრავჯერ ხარშავდნენ. მეორედ მას კამერდინერები სვამდნენ, შემდეგ მზარეულები, მოსამსახურეები და ბოლოს — ლაქიები.

⅄ ევროპაში შაქრიანი ყავა პირველად საფრანგეთის მეფემ, ლუი XIV-მ, 1715 წელს დააგემოვნა. მანამდე სასმელში, სურვილის მიხედვით, ლიმონის ნაჭერს აგდებდნენ. საფრანგეთში ყავა არაბებმა შეიტანეს. ევროპაში მას „არაბულ ღვინოს“ ეძახდნენ. ყავაში რძის ჩამატება ევროპელებმა 1680 წელს დაიწყეს.

⅄ ყავის ფილტრი 1908 წელს გერმანელმა მელიტა ბენცმა დაამზადა. პირველი ესპრესოს ავტომატი იტალიაში 1906 წელს დაამზადეს. ■

ევროპისთვის უჩვეულო სიცხე და უიმბლდონის ტურნირი

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ანომალიური სიცხეა. სინოპტიკოსები ახალ ტემპერატურულ რეკორდებს ელოდებიან. ესპანეთსა და პორტუგალიაში სიცხე 40 გრადუსს უკვე აღწევს, ბელგიაში კი ჰაერი 33 გრადუსამდე დათბა, მოქალაქეები თავს შადრევნებს აფარებენ. საფრანგეთში სიცხე 35-გრადუსიან ნიშნულს მიუახლოვდა, ლონდონში კი — 33 გრადუსია. ამჟამად დიდი ბრიტანეთი მსოფლიო ყურადღების ცენტრშია — იქ პოპულარული — უიმბლდონის საჩოგბურთო ჩემპიონატი მიმდინარეობს. სიცხე ჩოგბურთელებსაც ხელს უშლის. მით უმეტეს, რომ წლების განმავლობაში სპორტსმენები წვიმისა და მოღრუბლული ამინდის პირობებში ასპარეზობდნენ. სიცხის მიუხედავად, შეჯიბრებას სპორტის ამ სახეობის უამრავი თაყვანისმცემელი ესწრება. გულშემატკივრები თამაშებს შორის, შადრევნებში ბანაობენ და წყალს ეწაფებიან. ტურნირს ახალდაქორწინებულები — დიდი ბრიტანეთის პრინცი უილიამი და მისი მეუღლე, კემბრიჯის ჰერცოგინია ქეთრინ მიდლტონიც ესწრებიან. ბელგიის სამეფო მეტეოროლოგიური ინსტიტუტის კლიმატოლოგის, ლუკ დებონტრიდერის პროგნოზით, უახლოესი 3 თვის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში, ბელგიის რამდენიმე რეგიონში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში სიცხე ნორმას გადააჭარბებს. ■

ძვირად ღირებული ფეხსაცმელი

• დიზაინერი — სტიუარტ ვეიცმანი მხოლოდ ექსკლუზიურ ფეხსაცმელს ქმნის. პირველად ფეხსაცმელი მსახიობ — რიტა ჰეივორტის საყურით გააფორმა. სადა ფეხსაცმელი დედოფლის ფეხსამოსად იქცა. ძვირფასი თვლებით — ლალით, ბრილიანტითა და საფირონით დამშვენებული საზაფხულო ფეხსაცმელი 3 მლნ დოლარად შეიძინა მსახიობმა კეტლინ იორკმა.

• „კონკიას ქოშები“ ჰქვია ფეხსაცმელს, რომელსაც 595-კარატიანი ბრილიანტი ამშვენებს. მარჯვენა ქოში 5-კარატიანი შოკოლადისფერი ბრილიანტით არის შემკული. მომღერალმა ელისონ კუპერმა ეს ქოშები 2 მლნ დოლარად იყიდა.

• 2008 წელს, ვეიმანმა ახალი შედევრის შექმნა გადაწყვიტა და დახმარებისთვის ოქრომჭედელ — ლე ვიანორს მიმართა. საზაფხულო ქოშის დასამშვენებლად 185-კარატიანი ცისფერი ტანზანიტი და 28-კარატიანი ბრილიანტი დაიხარჯა.

• წითელძირიანი ფეხსაცმელი პლატინითაა დაფარული და 624 ლალითაა (საერთო წონა 120 კარატი) გაწყობილი. ის 1,6 მლნ დოლარი ღირს, მაგრამ მყიდველი ჯერ არ გამოსჩენია.

• „პლატინის გილდია“ ჰქვია ფეხსაცმელს, რომელიც პლატინითა და 464 ბრილიანტითაა გაფორმებული. ორივე ფეხსაცმელს ცენტრში მსლის ფორმის დიდი ბრილიანტი ამშვენებს. მსახიობმა — ლაურა ჰარინგმა ეს ფეხსაცმელი 1,9 მლნ დოლარად შეიძინა.

• „რეტრო ვარდი“ — XX საუკუნის 40-იანი წლების სტილით შეკერილი ფეხსაცმელი 1800 ბრილიანტის (საერთო წონა — 100 კარატი) ვარდითაა გაწყობილი.

• 1939 წელს მეწაღემ ფილმისთვის — „ჯადოქარი ოზის ქვეყნიდან“ შექმნა ფეხსაცმელი, რომელზეც წითელი ფერის მინის ფირფიტები დაამაგრა. სულ 6 წყვილი შეკერეს. 4 დაკარგულა. ერთი 2005 წელს კინომუზეუმიდან მოიპარეს. დარჩენილი წითელი ფეხსაცმელი დიზაინერებმა „გააცოცხლეს“ და ვერცხლის ზონრებითა და მთის ბროლით გააფორმეს.

• 2007 წელს შეიქმნა „ბრილიანტის ოცნება“. ფეხსაცმლის პლატინის ზონარი 1420 ბრილიანტითაა (საერთო წონა — 30 კარატი) დაფარული. მსახიობმა — ანიკე ნონი როუზმა ის 500 ათას დოლარად შეიძინა.

• ტორონტოს ფეხსაცმლის მუზეუმში ინახება 160 ათას დოლარად შეფასებული XIX საუკუნეში, ინდოეთის პრინცი — ნიზამი სიკანდარ ჯახუსთვის შეკერილი ფეხსაცმელი. აღმოსავლური აბრეშუმის ქოში ბრილიანტითა და ლალითაა დამშვენებული.

• მეწაღეებმა სპორტული ფეხსაცმლის დიზაინზეც იზრუნეს. სპეციალურად Reper, Antwan „Big Boi“ Patton-ისთვის „ნაიკის“ ფირმის კედი შოკოლადისფერი ბრილიანტებით გაფორმეს (საერთო წონა — 11 კარატი). სპორტული ფეხსაცმლის ფასი 50.000 დოლარია. ■

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რომელი კუნძულის მეფე იყო ოდისევსი?
2. რომელი დაავადების მოძველებული სახელწოდებაა „ინფლუენცა“?
3. როდის მოსდიოდა რონალდ რეიგანს მისივე მტკიცებით საუკეთესო იდეები თავში?
4. დაასახელეთ საბჭოთა მაღალჩინოსანი, რომელიც 19 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიას.
5. რომელ მხარეს უმაგრდება მოტოციკლს ეტლი?
6. დაასახელეთ „ლეგოს“ სამშობლო.
7. დაასახელეთ ქალაქი, სადაც კარმენს დაუდგეს ძეგლი.
8. ვინ შემოიღო გამოთქმა — „სერიული მკვლელი“?
9. დაასახელეთ ერთადერთი მართლმადიდებლური სახელმწიფო აფრიკის კონტინენტზე.
10. დაასახელეთ მდინარე, რომელიც გერმანიის, ავსტრიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, უნგრეთის, ხორვატიის, სერბეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის ტერიტორიაზე მიედინება.
11. დაასახელეთ ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშისას, ისე ოსტატურად მოატყუა ბრაზილიელი სანტოსი, რომ აღტაცებული მოწინააღმდეგე უკან გამოედევნა, დაეწია, მაისურში ხელი ჩაავლო, შეაჩერა და აღფრთოვანებული გადაეხვია.
12. დაასახელეთ ცნობილი რუსი მხატვარი, რომელიც სუფთა ჰაერზე ძილს კარგი ჯანმრთელობის საწინდრად მიიჩნევდა და ოჯახის წევრებს აიძულებდა, ყინვაშიც აივანზე დაეძინათ. ამ და სხვა უამრავი ახირების გამო მხატვარს საბოლოოდ ცოლი გაექცა.

ანეკდოტები

***

— ხვალ ბაბუაშენი სკოლაში მოვიდეს, — ეუბნება მოსწავლეს მასწავლებელი.

— ბაბუა თუ მამა?

— ბაბუა, ბაბუა! მინდა ვაჩვენო, რა შეცდომებს უშვებს მისი შვილი შენი დავალებების წერისას.

***

— აღარ შემიძლია სიდედრის ატანა!

— მოეშვი სისულელეებს, შენი ცოლი მაგან არ გაზარდა?

— სწორედ მაგიტომ ვერ ვიტან!

***

მიხომ თავისი ვაჟის მორჯულება გადაწყვიტა და წასასვლელად გამზადებულს ეკითხება:

— სად მიეთრევი?!

— რა შენი საქმეა?!

— როდის მოეთრევი?!

— როცა გამიხარდება!

— იცოდე, წუთითაც არ დააგვიანო!

***

3 დაქალი საუბრობს:

— მე კლასიკური პოზა მომწონს.

— მე — ძაღლური.

— მე კი — როდეო.

— ეგ რომელია?

— მამაკაცს ზემოდან მოექცევი და ეუბნები, რომ შიდსი გჭირს. მერე მთავარია, 3 წუთის განმავლობაში არ ჩამოვარდე.

***

— ისე, რა უცნაურია ცხოვრება. სიმთვრალეში 1-2 სიტყვა წამოგცდება, გამოფხიზლდები და უკვე ცოლიანი ხარ.

— ჰო, მართლა უცნაურია. ძილში 1-2 სიტყვა წამოგცდება და უკვე უცოლო ხარ.

***

— დედა, მამიკო ძალიან მორცხვი კაცია, არა?!.

— კი, შვილო, ძალიან. ასეთი მორცხვი რომ არ იყოს, შენ ახლა 5 წლით უფროსი იქნებოდი.

***

ერთი ქალი დაქალს ურეკავს:

— საშინელი წვეულება გამოვიდა. ისე დავთვერი, ისე დავთვერი, რომ ბოლოს საკუთარ ქმართან ერთად აღმოვჩნდი ლოგინში! ბედი არ გინდა?!.

***

პატარა რაჭველები თოვლის ბაბუას აკეთებენ:

— დათუნიკა, სტაფილო წამოვიღო? — ეკითხება ერთი მეორეს.

— 2 ცალი წამოიღე, ბარემ ცხვირიც გავუკეთოთ.

***

— დედი, ვიბანავებ რა მდინარეში!

— რას ამბობ, შვილო, საშიშია!

— მამა რომ ბანაობს?

— ეგ 100 ათას დოლარადაა დაზღვეული.

***

მთვრალი სვანი, რომ არ წაიქცეს, ბოძს ეჭიდება.

— აქ რას აკეთებ? — ეკითხება მეორე სვანი.

— ავტობუსს ველოდები!

— მერე, მაგხელა ბოძს ავტობუსში ვინ აგატანინებს?

***

პანაშვიდზე მისული ხევსური ძმადნაფიცს ეკითხება:

— ძმაო, რად სტირ?

— რაღა რად ვსტირ, ძმა მამიკვდა ერთაი!

— მაგას სტირ?! ვითომც სულ არ გყოლია!..

***

2 ლონდონელი ტემზის პირას თევზაობს. ერთმა ულამაზესი ქალთევზა დაიჭირა. ერთხანს ათვალიერა და ისევ წყალში გაუშვა. მეორე გადაირია:

— რატომ, კი მაგრამ, რატომ?!.

პირველმა მხრები აიჩეჩა:

— როგორ, კი მაგრამ, როგორ?..

***

— რა ჰქვია ხალხს, რომლებიც ხშირად სარგებლობენ მომენტით?

— ტოქსიკომანები.

***

ახალი რუსი მეგობარს მომხდარი ავარიის შესახებ უყვება:

— გზაჯვარედინზე „ოპელმა“ გზა გადამიჭრა და მაშინ ჩემმა „მერსედესმა“ თქვა: „ბენც!“.

***

სასამართლოში გაყრის პროცესი მიმდინარეობს:

— რა მიზეზით ეყრებით ქმარს?

— ლოგინში ვერ მაკმაყოფილებს.

ქალის ხმა დარბაზიდან:

— ყველას აკმაყოფილებს და შენ ვერა?!.

მამაკაცის ხმა დარბაზიდან:

— მაგას ვერავინ ვერ აკმაყოფილებს!

***

გეოგრაფიის გაკვეთილზე:

— ბავშვებო, დაიმახსოვრეთ: ლონდონი, მეხიკო, ბერლინი და მადრიდი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული, ხოლო ტაშკენტი, პეკინი და ტოკიო — მარჯვენაზე.

***

სიკვდილის პირას მყოფი ძველი ბოლშევიკი და რევოლუციონერი შვილიშვილს მოძღვრავს:

— ბაბუ, როცა მოკვდა მარქსი, დაიწყო მარქსის ეპოქა. როცა მოკვდა ლენინი, დაიწყო ლენინიზმის ეპოქა...

— აუ, არ მოკვდე რა, ბაბუა ანანია!..

***

ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს წინ დაბინტული ცოლ-ქმარი ტაქსის აჩერებს:

— თუ შეიძლება, ფრთხილად იარეთ. გუშინ ავტოკატასტროფაში მოვყევით.

— ა, ეს თქვენ ხართ? ვერ გიცანით.

***

— როგორ გადავარჩინოთ საგადასახადო ინპექტორი, რომელიც იხრჩობა?

— ხელები ჩამოვიღოთ მისი ყელიდან.

***

— ბებო, რა გიხარია?

— რა და ძალიან კარგი, ყურადღებიანი მთავრობა რომ გვყავს, შვილო.

— რას გულისხმობ?

— ქმარი 10 წლის წინ დავმარხე, დამავიწყდა კიდეც, მთავრობას კი ახსოვს და საარჩევნო ბიულეტენიც კი გამოუგზავნა.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ითაკის.
2. გრიპის.
3. ცხენზე ჯირითის დროს.
4. ვასილ მჟავანაძე.
5. რომელ მხარესაც არის მოძრაობა მოცემულ ქვეყანაში.
6. დანია.
7. სევილია.
8. „ეფ-ბი-აის“ თანამშრომელმა რობერტ რესლერმა.
9. ეთიოპია.
10. დუნაი.
11. მიხეილ მესხი.
12. ილია რეპინი.

ჩვენი ფოტოგალერეა

ჰოროსკოპი

30 აგვისტო - 6 სექტემბერი

ვერძა

არ აჩქარდეთ, ფორტუნა თქვენ მხარეზეა და ნებისმიერ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.

ჯუარა

ეცადეთ, კოლეგებთან თავი არ შეირცხვინოთ. საყვარელი ადამიანი ნებისმიერ სურვილს შეგისრულებთ.

ტყუპი

ამ პერიოდში ზოდიაქოს ყველა ნიშანზე მეტად თქვენ გაგიმართლებთ. შეეცადეთ, ეს დრო უქმად არ დაკარგოთ და მნიშვნელოვანი საქმეები მოაგვაროთ.

ჯიბრგხიტი

პროექტების განსახორციელებლად მოთმინება გმართებთ, რადგან კოლეგებს ისე თავდაუზოგავად არ შეუძლიათ მუშაობა, როგორც თქვენ. გამოგისწორდებათ მატერიალური მდგომარეობა.

ლომი

ახალ ბიზნესპარტნიორებთან ერთად სარფიან საქმიანობას წამოიწყებთ. გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. ახალ მწვერვალებს უპრობლემოდ დაიპყრობთ.

ქალწული

აუჩქარებლად იმოქმედეთ, თითოეული ნაბიჯი „შვიდჯერ გაზომეთ“. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მომავალში დაგეხმარებიან.

სასწორი

კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობის, მგზავრობისა და სწავლისთვის. სპორტსმენებს წარმატებული პერიოდი ელით, სტუდენტები გამოცდებს უპრობლემოდ ჩააბარებენ.

ბრიტანეთი

კოლეგებთან კონფლიქტების გამო შრომისუნარიანობა დაგიქვეითდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებთ და ხელმძღვანელობა დაგიფასებთ შრომას.

ბუკვიდოსანი

კარდინალური ცვლილებების დროა, როგორც სამსახურებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში. გავლენიან პირებს მეგობრებისა და ნათესავების დახმარებით დაუახლოვდებით.

ციხა რქა

მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეთ მოგზაურობის, მოლაპარაკებისა და ხელშეკრულებების გაფორმებისას. კარგი პერიოდია ხანმოკლე მგზავრობისა და ნათესავების მოსანახულებლად.

ბერწყუა

ხელმძღვანელობა ახალი პროექტების განხორციელებას გადავალებთ. თქვენი ცხოვრება საინტერესო და სახალისო გახდება. დასვენების დღეები მშობლებთან ერთად გაატარეთ.

ციბეზები

თანამოაზრეები შემოიკრიბეთ და ახალი იდეების განხორციელებას შეუდექით. ყურადღებით მოისმინეთ თითოეულის აზრი და გადამწყვეტი ნაბიჯები ისე გადადგით.

რემონტი ზოდიაქოს ნიშნების ბინაში

ენერგიულ **ვერძს** ცვლილებები უყვარს. მარტოს შეუძლია ავეჯის გადაადგილება, კედლების დანგრევა... სამუშაო მალე ჰბეზრდება და შესაძლოა, რემონტი განუსაზღვრელი დროით გადადოს. უმჯობესია, თუ გვერდით დამხმარე ან მრჩეველი ეყოლება.

თუ **ჯურომ** სიზარმაცე დაძლია, შესაძლოა, სარემონტო სამუშაოში თავადაც ჩაერთოს. სახლს ისე მოაწყობს, რომ ყველაფერი ტახტზე წამოწოლილმა, პულტით მართოს. ამასთან ძუნწიცაა და თითო ლურსმნის ყიდვისას შეუძლია, ივაჭროს.

მოუსვენარი **ტყუპი** მასალისა და ინსტრუმენტების საყიდლად არ გაუშვათ. უამრავ ლამაზ, მაგრამ გამოუსადეგარ ნივთს იყიდის. დაუსრულებელი საუბრით ყველას მოაცდენს. გარდა ამისა, შესაძლოა, დასრულების პირას მიყვანილი რემონტი აღარ მოეწონოს და ხელოსნებს თავიდან გააკეთებინოს.

კირჩხიბისთვის სახლი მისი ციხესიმაგრეა. მუშებს პირველ რიგში სამზარეულოს გარემონტებას დაავალებს. მისი დიზაინით გარემონტებულ ბინაში თავს ყველა კომფორტულად გრძნობს.

ლომი უამრავ ფულს დახარჯავს, საკუთარი ბინა სასახლეს რომ დაამსგავსოს, მდიდრულად მოაწყოს. მუშებს უხელმძღვანელებს, მაგრამ თვითონ არაფრის გაკეთების შნო არა აქვს.

ანგარიშიანი და პრაქტიკული **ქალწული** ყველა სამუშაოს თვითონ შეასრულებს, რათა ზედმეტი თანხა არ დახარჯოს. ყველა სარემონტო მაღაზიას შემოირბენს, რათა ყველა საჭირო ნივთი მოიმარაგოს.

დიზაინერის ნიჭი **სასწორს** ინტერიერის გაფორმებაში დაეხმარება. შეუძლია „კოსმეტიკური“ რემონტით შემოიფარგლოს.

მორიელი ყველას აკრიტიკებს, არაფერი მოსწონს. თავად კი ყველაზე რთულ სამუშაოსაც კი იდეალურად ასრულებს. ბინაში მისი მოსასვენებელი ადგილი სააბაზანოა. ამიტომ, მას მაქსიმალურად კომფორტულად მოაწყობს.

მშვილდოსანს უნდა, რომ საკუთარი ბინა მოდურ ჟურნალში ნანახივით მოაწყოს, მაგრამ ვერ ხვდება, რომ ყველა იდეის ერთ ოთახში განხორციელება წარმოუდგენელია.

თხის რქას ხელმძღვანელობით ყველა სამუშაო იდეალურად, განსაზღვრულ დროში შესრულდება. ბინას მკაცრად, მხოლოდ აუცილებელი ნივთებით მოაწყობს.

ენერგიული და იდეებით აღსავსე **მერწყული** ათასჯერ გააკეთებს რემონტს, სანამ საკუთარ ბინას იდეალურს არ დაამსგავსებს. მცირე დეტალების შეცვლა ყოველწლიურად შეუძლია. რემონტს ან მარტო, ან მეგობრების დახმარებით აკეთებს.

მერყევი ხასიათის გამო **თევზები** ხან აკეთებს რემონტს, ხან განუსაზღვრელი ვადით გადადებს. დაუსრულებლობის მიზეზი რამდენიმეა: სასიყვარულო გატაცებები, ეკონომიკური მდგომარეობა, აპათია.

■

1. ლექციის მოკლე ჩანაწერი
2. პატარა მოთხრობა
3. გადამდნარი კარაქი
4. ისრაელის პარლამენტი
5. შექსპირის ტრაგედია
6. ზიანის, ზარალის მომტანი
7. ავტორბოლა
8. რისამე მიმდინარეობის სისწრაფე
9. ლუდის სასმისი
10. ხმაურიანი სიცილი
11. ვენეციური ნავი
12. ორსახა ლმერთი რომ. მით.
13. სამშენებლო მასალა
14. პარკოსანი კულტურა
15. ველური ვარდი
16. ყაზახეთის დედაქალაქი
17. ... უინსლეტი
18. პატარა სარწყავი არხი
19. მძიმე შრომა
20. ბუნებრივი წყალსაცავი
21. ქონება, სიმდიდრე
22. მდინარე აზიაში
23. ცხვირის გარეთა ხვრელი
24. თევზის წვნიანი
25. ქვეყანა ევროპაში
26. იაპონელთა ხის ფეხსაცმელი
27. პატარა მარხილი
28. ფრანგი ფერმწერი
29. კუბელი დიქტატორი
30. ნიანგის სახეობა
31. სწრაფლმდგომ თვისებების მქონე ადამიანი
32. საცალფეხო გზა
33. ბოსტნეული
34. ჰომეროსის პოემა
35. ქვეყანა ევროპაში
36. სამი წერტილი კამათელზე
37. ჭრიჭინას როლის შემსრულებელი



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. სკაფანდრი; 2. ბახალა; 3. პაკისტანი; 4. ნირი; 5. კრება; 6. რეაგირება; 7. გილმორი; 8. ეთვე; 9. „სილვა“; 10. რეიტერი; 11. კოლეჯი; 12. სვე; 13. კარტინგი; 14. მანერა; 15. კაკაო; 16. ავდარი; 17. აეტომობილი; 18. დიეტა; 19. ბერეტა; 20. ფრაუ; 21. შრე; 22. რისკი; 23. სენ; 24. ნესტო; 25. მდარე; 26. ჰეროინი; 27. საჰარა; 28. გო; 29. ნამიბია; 30. დეპეშა; 31. ბანდეროლი; 32. დუბაი; 33. შენ; 34. ბზიკი; 35. ლეში; 36. ცემენტი; 37. მეტრიკა.

სურათებზე: სარა ჯესიკა პარკერი; ჰიუ ჯეკმანი.

საფერმო კროსვორდი

გ	ა	ე	რ	თ	ე	დ	ა	დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	ჩ	ვ	ე	ნ	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	ა	დ
ფ	ნ	ი	ე		მ	ა		ჯ	ა	ი	ნ	ა	ბ	ლ	ე	ი	ჟ	ე	ზ	ნ	ი	ი	ჯ	რ	ა	ა	ე	

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

გ. მათემატიკური მოქმედება; **ა**. ხის სარწევი საწოლი ჩვილი ბავშვისთვის; **ე**. სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ**. დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობათა ერთობლიობა; **თ**. რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება? **ე**. ჩხირზე ჩამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **დ**. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა*** ცელქი, მოუსვენარი; **დ*** წელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული; **ა*** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **ი*** სიქა, ღონე, არაქათი; **ს*** ტბა სომხეთში; **ვ*** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში? **ე*** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი, რომელსაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი; **ნ*** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე*** რა ერქვა ქალს, რომლის მოტაცების შემდეგაც დაიწყო ტროას ომი? **ჩ*** ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, მუსლიმანურ ქვეყნებში, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ*** მოგზაურობა (ეს სიტყვა დღეს ხშირად ირონიული შინაარსით იხმარება); **ე*** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ*** მუსლიმანთა ლოცვა; **თ*** მეტსახელი; **ა*** კარტოფილის სამშობლო; **ნ*** საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს. დარდისაგან ექო კლდედ იქცა, მისგან მხოლოდ ხმა დარჩა; **ე*** მეგრული კერძი, ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულგუნი; **რ*** ლითონის ფულის, ან მედლის უკანა მხარე; **თ*** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ა*** სამცხის მმართველთა ტიტული; **დ*** ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც დღისით ანთებული ფარნით ხელში დადიოდა ქუჩაში და როცა ეკითხებოდნენ ფარანი რად გინდაო, პასუხობდა: ადამიანს ვეძებო.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ* გუცაევი; **ზ*** ზვავი; **ა*** აორტა; **ს*** სტიმული; **თ*** თხემი; **ა*** აკლდამა; **ნ*** ნიკე; **ე*** ეპარქია; **რ*** რეცეპტი; **თ*** თასმა; **ა*** არსენა; **დ*** დრაკონი; **ა*** ალბიონი; **რ*** რეალი; **ა*** ალჟირი; **ს*** სკოტი; **დ*** დიზელი; **რ*** რეესტრი; **ო*** ოსმალო; **ს*** სეინერი; **მ*** მაუგლი; **ო*** ოჩხარი; **ი*** იუანი; **წ*** წერაქვი; **ყ*** ყლორტი; **ე*** ენდემი; **ნ*** ნიაგარა; **თ*** თაობა.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	7	3	5	8	6	1	9	2
8	6	9	1	2	4	7	5	3
2	5	1	9	3	7	4	6	8
6	1	8	2	4	5	9	3	7
3	4	2	7	6	9	8	1	5
7	9	5	3	1	8	6	2	4
9	8	6	4	5	2	3	7	1
5	3	4	6	7	1	2	8	9
1	2	7	8	9	3	5	4	6

3	1	9	7	2	8	4	6	5
7	4	5	6	3	9	8	1	2
8	2	6	1	4	5	9	3	7
1	9	7	2	8	3	5	4	6
5	6	4	9	7	1	2	8	3
2	8	3	5	6	4	1	7	9
9	7	2	4	1	6	3	5	8
6	3	1	8	5	2	7	9	4
4	5	8	3	9	7	6	2	1

7	5	3	4	9	8	1	6	2
9	4	1	6	2	5	7	3	8
8	6	2	3	1	7	4	5	9
1	9	8	5	6	3	2	4	7
3	2	4	1	7	9	5	8	6
5	7	6	2	8	4	9	1	3
4	3	9	7	5	6	8	2	1
6	1	7	8	4	2	3	9	5
2	8	5	9	3	1	6	7	4

* მარტივი

6		3			1		2	4
8			3					1
5			4		9			7
2	3		7				5	
7					5			6
	4		1	6			8	2
3			9		4			8
1					7			3
4	6		8			9		5

** საშუალო

		6	8				2	3
	5		7			1		
		2		6				8
		9			1		8	
	8		3	7			1	
	7			8		3		
5				4		7		
		4			7		5	
6	1				8	2		

*** რთული

	5				2			1
	8		6					3
	6		4	5		7		
3						6		8
6					9			4
8		7		3				5
		4		2	8		5	
5					1		4	
9			5				3	

კინოთეატრი
საქართველო
3D

გრანდიოზული აქცია:

29 ივნისიდან

ნახე

ტრანსფორმერები 3

ბოლოდ

6 დარად

გურამიშვილის 2/9
ტელ: 2 30 80 80
www.kinosaqartvelo.ge

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ჯარუსელთან“ ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

მალე გამოვა:

10 გიორგი საჯაძე
11 ჯოტე მარჯანიშვილი
12 ნიკოლოზ ბარათაშვილი
13 დავით აღმაშენებელი
14 ზაქარია ფალიაშვილი
15 გრიგოლ ხანძთელი

და სხვა დიდი ქართველები



წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

ფარნავაზ მეფე

გამოჩენილი
ადამიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის

უკვე გამოსული ტომები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები



დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია

გვერდების რაოდენობა: 620 გვ.
ფორმატი: 20X30.5
ფასი: 32.99
ყდა: მაგარი

ეს უხვად ილუსტრირებული წიგნი გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის და მოიცავს თითქმის ყველა დაავადების აღწერილობას. წიგნში გაანხილულია 250-ზე მეტი დაავადება, დაწვრილებით არის ახსნილი მათი გამომწვევი მიზეზები, განვითარების, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხები. წიგნის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს ამა თუ იმ დაავადების შესახებ.

ტკბილეული პატარებისთვის

ფასი: 15.99 ლარი

გვ. რაოდ.: 61
ფორმატი: 21.5X27.5
ყდა: მაგარი

თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ გემრიელი ყერძების მომზადება მხოლოდ უფროსებს შეუძლიათ, მაგრამ როცა ამ პატარა დიასახლისებისთვის შექმნილ წიგნს გადაშლით და მარტივ, სახალისო რეცეპტებს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ თურმე ნაირ-ნაირი ნუგბარებისა და სასუსნავების მომზადება დედის დახმარების გარეშეც იოლად შეიძლება. ხომ გაინტერესებთ, როგორ უნდა გამოაცხოთ „დედოფლის ნამცხვარი“ ან „ნამცხვარი-მანქანა? ეს წიგნი დაგეხმარებათ, სასიამოვნოდ გააოცოთ თქვენი მეგობრები.

ბაჭიების ძილისპირული

ფასი: 14.99 ლარი

გვ. რაოდ.: 69
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: ბალიში

ძილის წინ ამ საყვარელი ბაჭიების თავგადასავალს რომ მოისმენ, სიზმარშიც მათთან ერთად განაგრძობ თამაშსა და გართობას.

ორსულობა და უსაფრთხო წამალი

ფასი: 19.99 ლარი

გვ. რაოდ.: 240
ფორმატი:20X26
ყდა: რბილი

ამ წიგნში განხილულია ათასობით წამალი, ასობით პრობლემა და ერთი უდავო ჭეშმარიტება - უსაფრთხო წამალი არ არსებობს, თუმცა შეიძლებელია დედისა და ბავშვის უსაფრთხოება წამლის სათანადოდ გამოყენების გარეშე. რა დროს გამოვიჩინოთ სიფრთხილე წამალთან მიმართებაში და რა დროს - გამბედაობა, ამის განსაზღვრაში ეს წიგნი დაგეხმარებათ.

მეგობარი დინოზავრები

ფასი: 17.99 ლარი

გვ. რაოდ.: 11
ფორმატი: 20X26
ყდა: მაგარი

ეს პატარა დინოზავრები თავგადასავლების საძიებლად მიდიან. წაიკითხე გრძელყისერა ლეოს, ტერი ტი-რექსისა და ტამი ტრიკერატოფსის ამბავი და მერე თავად მოიგონე შენი თავგადასავალი! შენ შეგიძლია ორი მეგობარი დინოზავრი პახლებითა და ბლოკებით ააწყო.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიბანით ფასნამატის გარეშე • ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

ფოტოკუჩიოზები



უკვე გამოსული 1-ლი ტომის შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში
სახელი, გვარი:
პროფესია:
ასაკი:
მსოფლიო კულინარია
2 მექსიკური სამზარეულო
ტომი 2
4-დან - 11 ივლისამდე
სპეციალური ფასი 10 ლარი
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სერიის წიგნები:
1. იტალიური სამზარეულო
2. მექსიკური სამზარეულო
3. არგენტინული სამზარეულო
4. ჩინური სამზარეულო
5. ფრანგული სამზარეულო
6. იაპონური სამზარეულო
... და სხვები